თინათინ ბოლქვაძე

საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი



ქალაქება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის თუბილეს

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018

Shota Rustaveli National
Science Foundation

Giorgi Akhvlediani Society
for the History of Linguistics

Ivane Javakhishvili Tbilisi
State University

TINATIN BOLKVADZE

THE GEORGIAN TRIANGLE OF SOVIET LINGUISTICS:
N. MARR, I. STALIN, ARN. CHIKOBAVA

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თინათინ ბოლქვაძე

საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი: ნ. მარი, ი. სტალინი, არნ. ჩიქობავა

UDC (უაკ) 81(47+57)+811.353.1
ბ – 836

სამეცნიერო პროექტი **„საბჭოთა უტოპიური ენობრივი თეორიები და ზოგადი ენათმეცნიერების პირველი ქართული სახელმძღვანელოები“** (გრანტი №FR/503/1-30/14) განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში გამოიცა რარიტეტული წიგნი:

გიორგი ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტში 1918-1919 წლებში წაკითხული ლექციები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018

პროექტის ფარგლებში აგრეთვე მომზადდა და დაიბეჭდა წიგნები:

თინათინ ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018

საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიიდან: საარქივო მასალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018

The project “Soviet Utopian Theories and First Textbooks of General Linguistics: 1918-1950” (Grant №FR/503/1-30/14) has been made possible by financial support from the Shota Rustaveli Science Foundation. Within this project was published the rare book:

Giorgi Akhvlediani, Introduction to Linguistics, The lectures, Tbilisi University, 1918-1919 Academic Year, Publishing House “Universali”, 2018

Within the project have been prepared and published the books:

Tinatin Bolkvadze, The Georgian Triangle of the Soviet Linguistics, Publishing House “Universali”, Tbilisi, 2018

From the History of Soviet Linguistics: Archival Data, Publishing House **“**Universail”, Tbilisi, 2018

www. rustaveli.org.ge; www.gashol.ge
უფასო გამოცემა

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2018**
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-232-6

სარჩევი

წინასიტყვაობა.....7

თავი I. იაფეტური თეორია 11
§1. იაფეტური თეორიის სათავეებთან 11
§2. ლინგვისტური კვლევის მეთოდის პრობლემა იაფეტურ თეორიაში 21

თავი II. იაფეტური თეორია საქართველოში.....45
§1. ნიკო მარი და ტფილისის უნივერსიტეტი.....45
§2. დაპირისპირება კონტრრევოლუციონერ ინდოევროპეისტებსა და იაფეტური თეორიის მიმდევრებს შორის 57
§3. არნოლდ ჩიქობავას 1935 წელს გამოცემული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოს უცნაური წინასიტყვაობა 82

თავი III. 1950 წლის ენობრივ დისკუსიამდე 98
§1. იაფეტური თეორიის მდგომარება 1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში 98
§2. მზადება ენობრივი დისკუსიისათვის: არნოლდ ჩიქობავა, კანდიდ ჩარკვიანი და იოსებ სტალი-ნი,1949-1950 წლები 134
§3. იაფეტურ თეორიაზე სტალინის აზრის შეცვლის შესაძლო მიზეზები 175

თავი IV. ენობრივი დისკუსიის შემდეგ 188
§1. არნოლდ ჩიქობავას 1952 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების შესავალი“.....188
§2. 1950 წლის ენობრივი დისკუსიის შედეგები 201

The Georgian Traingle of Soviet Linguistics: N. Marr, I. Stalin, Arn., Chikobava 262

CONTENT

Preface **7**

Chapter I. The Japhetic Theory **11**
§ 1. The origins of Japhetic Theory 11
§ 2. The problem of the method of linguistic research in the Japhetic Theory 21

Chapter II. The Japhetic Theory in Georgia **45**
§ 1. Niko Marr and Tiflis University 45
§ 2. Controversy between counterrevolutionary Indo-European linguistis and followers of Japhetic Theory 57
§ 3. A strange preface to the Linguistics Textbook published by Arnold Chikobava in 1935 82

Chapter III. Before the Linguistic Discussion of 1950 ..... **98**
§ 1. The status of Japhetic Theory in the institutions of the USSR Academy of Sciences in 1949 98
§ 2. Preparing for the linguistic discussion: Arnold Chikobava, Kandid Charkviani and Joseph Stalin, 1949-1950 134
§ 3. Possible reasons for Stalin's change of thought on the Japhetic Theory 175

Chapter IV. After the Linguistic Discussion **188**
§ 1. "Introduction to Linguistics" by Arnold Chikobava published in 1952 188
§ 2. Results of the linguistic discussion 201

The Georgian Traingle of Soviet Linguistics: N. Marr, I. Stalin, Arn., Chikobava 262

წინასიტყვაობა

2015-2018 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ვიკვლიეთ საბჭოთა უტოპიური ენობრივი თეორიები და მათი გავლენა საქართველოში შექმნილ თეორიული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებზე. ყველაზე ცნობილი საბჭოთა ენობრივ თეორიებს შორის არის ნიკო მარის იაფეტური თეორია, რომელიც ოცდაათი წლის მანძილზე ითვლებოდა მარქსისტული ენათმეცნიერების ბურჯად საბჭოთა კავშირში. ამ თეორიის აღზევების პერიოდი ქმნის საბჭოთა ენათმეცნიერების ოცდაათწლოვან ისტორიას. წიგნის მიზანია ენათმეცნიერების ისტორიისა და თეორიის მკვლევრებისთვის, ასევე ამ პერიოდით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, რა შედეგები მოიტანა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენამ ენათმეცნიერებაზე, რომელსაც ეს რეჟიმი ფილოსოფიასთან ერთად იყენებდა მხოლოდ პროპაგანდისათვის, რის გამოც ენათმეცნიერება პოლიტიკის მხევალი აღმოჩნდა.

ამ წიგნის ძირითადი მიზანია თეორიული ენათმეცნიერების საბჭოთა პრობლემატიკის დამუშავების ოცდაათწლოვანი ისტორია აჩვენოს საარქივო მასალებზე, როგორც ყველაზე სანდო წყაროზე, დაყრდნობით. პრობლემის მეცნიერულად შესწავლისთვის მასალები მოძიებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივსა და საქართველოს ცენტრალურ არქივში, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივსა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, სადაც ინახება თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, აკად. გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი. ასევე რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რომელთაგან განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის მასალები, რომლებიც აჩვენებს ნიკო მარის კავშირს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხესთან, სადაც იზრდებოდა მომავალი ენათმეცნიერი. დაბლაციხეში მოქმე-

დებს ნიკო მარის სახლ-მუზეუმი, რომელიც ინახავს ბევრ დოკუმენტსა და რარიტეტულ გამოცემას. წიგნის ავტორი მადლობას უხდის სახლ-მუზეუმის მესვეურებს: ქალბატონ ეთერ ცინცაძეს, ალექსანდრა მარს და უჩა (იუჟინ) მარს, გაწეული დახმარებისათვის, ასევე მადლობას ვუხდით ჩოხატაურის სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს. განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევდა ქალბატონი თამთა ჯანხოთელი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას. ასევე საინტერესოა ქუთაისის კოლხური ბოტანიკური ბაღი, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ნიკო მარის მამას, იაკობ მარს. ამ ადგილს მაშინ, როცა ნიკო დაიბადა, უწოდებდნენ ფერმას, რადგან ეს იყო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც იაკობ მარი ხელმძღვანელობდა. ფერმის შენობა ძველი სახით არის შენარჩუნებული, სადაც მოქმედებს ნიკო მარის სახლ-მუზეუმი. დაბლაციხისა და ქუთაისის ბოტანიკური ბაღის სახლ-მუზეუმები ავსახეთ დოკუმენტურ ფილმში „ნიკო მარის სახლ-მუზეუმი“, რომელიც გადაღებულია თსუ კინოტელე ხელოვნების კათედრასთან თანამშრომლობით.

ამას გარდა, მუშაობა მოგვიხდა პეტერბურგის ორ არქივში: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქივის პეტერბურგის ფილიალსა და პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის არქივში. აქ მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ნიკო მარი ამ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ექვსი წლის განმავლობაში. საქართველოს ბოლო მეფეების საარქივო მასალები მთლიანად მისი აღწერილია, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სამუშაოებზე, რომელსაც იგი ატარებდა იმ დროისთვის მსოფლიოში სიდიდით მეორე ბიბლიოთეკაში. რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცული რამდენიმე დოკუმენტის ელექტროვერსიის მოპოვებაში დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით პროფ. ეთან პოლოკს, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს სტალინის პერიოდის საბჭოთა სამეცნიერო ომებზე.

ჩამოთვლილ საარქივო მასალებს დაემატა რამდენიმე საოჯახო არქივიდან მოპოვებული დოკუმენტები. სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, დიდი მადლობა გადავუხადოთ ცნობილ ანგლისტს, საქართველოს ყოფილ ელჩს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ბატონ გელა ჩარკვიანს, კანდიდ ჩარკვიანის ვაჟს, რომელმაც გადმოგვცა1949 წლის 27 დეკემბერს მისი მამის სტალინისადმი მიწერილი წერილი „საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის შესახებ“ და ამ წერილის გამოქვეყნების ნება დაგვრთო (იხ. წინამდებარე წიგნში). პირველად ეს საარქივო დოკუმენტი შევიდა კანდიდ ჩარკვიანის წიგნში „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“, რომელიც დაიბეჭდა გელა ჩარკვიანის რედაქციით.

ამ სტრიქონების ავტორი დიდ მადლობას უხდის ნიკო მარის მოწაფისა და იაფეტური თეორიის მიმდევრის, იოსებ მეგრელიძის ვაჟს, გუბაზ მეგრელიძეს იოსებ მეგრელიძის საოჯახო არქივში მუშაობისა და საარქივო მასალების გამოქვეყნების ნებართვისათვის. იოსებ მეგრელიძის არქივზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია მისი დამოუკიდებლად შესწავლა, რადგან იგი შეიცავს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომელთა გამოცემა და მონოგრაფიულად კვლევა აუცილებელია საბჭოთა ენათმეცნერების ისტორიის სრული სურათის აღდგენისა და კვლევისათვის.

დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ქეთევან გოდერძიშვილს, ნიკო მარის მოწაფისა და მიმდევრის, ალექსანდრე ღლონტის რამდენიმე ჩვენთვის უცნობი მასალის გაცნობისთვის.

მკითხველს შეიძლება გადაჭარბებულიც ეჩვენოს წიგნში ამა თუ იმ საკითხის განხილვისას ზოგჯერ დახვავებული საარქივო დოკუმენტები ან რომელიმე დოკუმენტის შინაარსის დაწვრილებით გადმოცემა, მაგრამ სანდო სურათის აღდგენა მხოლოდ ამ გზით წარმოგვიდგენია. მთლიანად ჩვენი სამეცნიერო პროექტი და კონკრეტულად ეს მონოგრაფია ქმნის უფრო სრულყოფილ ცოდნას ქართული და საბჭოთა ენათ-

მეცნიერების ისტორიის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა არნოლდ ჩიქობავას „პრავდაში“ 1950 წლის 9 მაისს დაბეჭდილი წერილის წინა ვარიანტის ასლი, რომელიც გადმოგვცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა, ბატონმა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ პატივცემულ მეცნიერს. ჩვენთვის ამ წერილს განსაკუთრებული მნისვნელობა, რადგან მას დართული აქვს იოსებ სტალინის კომენტარები.

წიგნში გამოყენებული საარქივო მასალების აბსოლუტური უმრავლესობა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში და ხელს უწყობს საბჭოთა ენათმეცნიერების, როგორც მოვლენის, მასზე მოქმედი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტებისა და მისი ამსახველი საბჭოთა ენობრივი დისკურსის ძირითადი მოდელების კვლევას. პრობლემის აქტუალობას განაპირობებს საზოგადოების დიდი ინტერესი საბჭოური მეცნიერებისა და მისი ფილოსოფიური და იდეოლოგიური წანამძღვრების კვლევისადმი. დაინტერესებული მკითხველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელი იყო პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი ენათმეცნიერული თეორიის შექმნა საბჭოთა პერიოდში. რა რთული გზა უნდა გაევლო ენათმეცნიერს, რომ საკუთარი სიცოცხლეც შეენარჩუნებინა და თეორიული ენათმეცნიერებაც არ დაეზარალებინა.

თავი I. იაფეტური თეორია

§1. იაფეტური თეორიის სათავეებთან

ნიკო მარის თეორიის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა, ბევრმა იკვლია იგი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სახელი და ღვაწლი ნიკო მარისა მაინც ლეგენდების საბურველშია გახვეული. ალექსანდრე ღლონტი, ნიკო მარის თეორიის მიმდევარი, რომელსაც არასოდეს არ შეუცვლია აზრი იაფეტური თეორიის განსაკუთრებულობაზე, მისი მასწავლებლის შესახებ წერდა: „ის იყო განუმეორებელი, ვიტყოდი, უნიკალური მოვლენა მეცნიერებაში. საოცარი პოლიგლოტი, გენიოსური მოაზროვნე, ცოდნის მთელი რიგი ახალი დარგების სულის ჩამდგმელი, ქართული ენისა და ლიტერატურის სწორუპოვარი მკვლევარი და ქომაგი. მოწაფეთა უგულისხმიერესი მოძღვარი, უსათუთესი გულის, სახიერებით სავსე ადამიანი და მოქალაქე, მაგრამ ამავე დროს, ნუ გაიოცებთ ამ პარადოქსს, ცხოვრებასა და თვით მეცნიერულ მოღვაწეობაშიც ტრაგიკული პიროვნება. მისი სიმაღლე მეცნიერებაში განუზომელია, მაგრამ ძნელად აღსაწერია ის სიავეც, რაც მაცდურმა წუთისოფელმა თავად მასა და მის მოძღვრებას ცხოვრებაში არგუნა“ (ღლონტი 1998:4). რა სიავეს გულისხმობს ალ. ღლონტი? რამ გამოიწვია მარის თეორიის ტრაგიკულობა? ამის მიზეზები და თვით იაფეტური თეორიის წარმოქმნაც გარეფაქტორებით არის განპირობებული. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი იქნება, მაგრამ ცდად ღირს. ამისთვის აუცილებელია, კიდევ ერთხელ წავიკითხოთ მარის ნაშრომები და მოვუსმინოთ ამ ნაშრომთა ინტერპრეტატორებს, როგორც მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს.

ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობას სხვადასხვაგვარად ყოფენ. მაგალითად, ვასილ აბაევი ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობაში გამოყოფს სამ ეტაპს:

1. სომხურ-ქართული ფილოლოგია;

2. მესამე ეთნიკური ელემენტი შუამდინარეთის კულტურის ფორმირებაში'

3. ენის ახალი მოძღვრება.

პირველი ეტაპი წმინდად ფილოლოგიურია, თუმცა ამ ეტაპზე შეიმჩნევა კავკასიის წარმოდგენა ერთიან კულტურულ ენობრივ სამყაროდ, რომელიც ნ. მარს გააზრებული ჰქონდა, როგორც შუამდინარეთის ეთნიკური კულტურის ნარჩენი, რომლის რელიქტია დასავლეთში ბასკური. სწორედ ამ მესამე ელემენტს უწოდებდა მარი იაფეტურს (აბაევი 1988:21).

კევინ ტუიტი ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობაში ოთხ პერიოდს გამოყოფს:

1. ქართველოლოგიური პერიოდი (1908-1916): ამ დროს ნ. მარი ქართველურ და სომხეთის პრეარიულ ენებს განიხილავდა ნოეტური ოჯახის ერთ-ერთ შტოდ, ქამიტურ და სემიტურ შტოებთან ერთად;

2. კავკასიოლოგიური პერიოდი (1916-1920): ამ წლებში ნ. მარი დაინტერესებული იყო იაფეტური „ფენებითა" და ჩრდილოეთ და სამხრეთკავკასიური ენების ნარევი მემკვიდრეობით;

3. ხმელთაშუაზღვის პერიოდი (1920-1923): ნ. მარი იაფეტურს განიხილავდა ხმელთაშუაზღვის კულტურის (ეტრუსკული, ბასკური, პელაზგური და სხვა) „მესამე ეთნიკურ ელემენტად";

4. ენის ახალი თეორია (1923-1934): ნ. მარმა საბოლოოდ გაიაზრა იაფეტური როგორც უნივერსალური ეტაპი ან „სისტემა"(ტუიტი 2008, ტუიტი 2011).


მიუხედავად ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობის განსხვავებულად დაყოფისა, ფაქტია, რომ მან დაიწყო, როგორც ფილოლოგმა, რომელიც იკვლევდა ძველ ტექსტებს, ურთავდა მათ ფილოლოგიურ აპარატს და გამოსცემდა „სოხურ-ქართული ფილოლოგიის შრომებში". სწორედ ფილოლოგიურ პერიოდში ჩაისახა იაფეტური იდეები. როგორც კვლევამ აჩვენა, ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების ჩამოყალიბებამდე მის ნაშრომებში უკვე მოიხსენიებიან იაფეტე-

ბი და მათი გადაადგილების ზოგიერთი მარშრუტი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკის“ წინასიტყვაობაში, რომელშიც მოცემულია იაფეტურ ენათა კლასიფიკაცია და ნაწილობრივ ნაჩვენებია მათი მიმართება სხვა ენებთან (მარი 1910/1933)[1].

რა წარმოდგენები ჰქონდა ნიკო მარს თეორიის ჩამოყალიბებამდე, კარგად ჩანს იაფეტური წარმოშობის ხალხთა გადაადგილების შესახებ მის მიერ აღმოჩენილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რუსული თარგმანისათვის დართულ წინასიტყვაობაში. იგი წერს: „ტაო-კლარჯეთის ნანგრევებს საქართველოს პოლიტიკური და განსაკუთრებით კულტურის ისტორიისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ქალაქ ანისის ნანგრევებს სომხეთის ისტორიისათვის. ტაო-კლარჯეთის არქეოლოგიური მონაცემები საინტერესოა არა მხოლოდ ქართული კოლონიზაციის, მისი წინამორბედი სომხური დასახლებისა და შემდგომში თუბალ-კაენური სახელმწიფოებრიობისათვის, კონკრეტულად კი IV საუკუნის ლაზეთისთვის, არამედ ე. წ. პრეისტორიული, არქაული პერიოდის იბერ-ჭანების კულტურის, თუბალ-კაენების და ხალიბების

[1] ცხრილი დამოწმებულია ნ. მარის „რჩეული შრომების“ I ტომის მიხედვით (მარი 1910/1933:48).

II. ГЕНЕАЛОГИЧЕСКАЯ ТАБЛИЦА ЯФЕТИЧЕСКИХ ЯЗЫКОВ



მიერ მეტალურგიის განვითარებისა და კოლხეთის საკვლევად, რომლის ძლიერებაზე შეიქმნა ოქროს საწმისის მითი (მარი 1911:XXXV). ამ მცირე ნაწყვეტში უკვე ვხედავთ იაფეტური თეორიის ზოგიერთ კონტურს: ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულა იბერ-ჭანების კულტურა. აქ დაწყებულა მეტალურგიის განვითარება და კოლხეთის ძლიერებასაც აქ ჩაჰყრია საფუძველი. ნიკო მარის მტკიცებით, უძველესი კოლხეთის (დასავლეთში ძველი ბერძნული ლეგენდით ცნობილი ქვეყანა) შემქმნელი ტომი სახლობდა არა რიონის, არამედ ჭოროხის აუზში, რომელსაც ემეზობლებოდა ივერების ანუ ტიბარენელების უძველესი სამშობლო. ბიბლიაში მათი ეპონიმური წარმომადგენელია თუბალი. ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა სწორედ თუბალ-კაენური ანუ ივერიულ-ჭანურია, რომელიც ქართულის ანუ ქართის მონათესავეა“ (მარი 1911:XVI). ქართებსა და ჭანებს შორის ნათესაობაზე ლაპარაკი სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ქართველებთან ივერიელების დაშორება და მათი ჭანებთან დაკავშირება დამაბნეველია. „თუბალები (resp. ტიბარენელები და კაენები, შემდგომში ივერები (<hiber-i) და ჭანები ორი მონათესავე ხალხი, დღევანდელი მეგრელები და ჭანები ანუ ლაზები სწორედ ტაო-კლარჯეთში გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს. ჯერაც ძნელი სათქმელია, რომელი ცხოვრობდა ამ რეგიონში პირველად – ივერები თუ ჭანები“ (მარი 1911).

ეს მოულოდნელი აზრი განვითარებულია იოსებ ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკის“ წინასიტყვაობაშიც. იოსებ ყიფშიძე, ნიკო მარის მსგავსად, მეგრულს და ჭანურს მიაკუთვნებს იაფეტურ ენათა თუბალ-კაენურ შტოს. თუბალურია მეგრული, ხოლო კაენური ენაა - ჭანური. წიგნის სახელწოდებაში მეგრულს ფრჩხილებში უწერია **ივერიული**, რომელიც ავტორისთვის არის კოლხეთის (შემდეგში ლაზიკის) უძველესი სახელი და მეგრული ენის ფონეტიკური წესების მიხედვით, ბუნებრივად მიაჩნია სიტყვის თავში **თ**-ს **ჰ**-ში გადასვლა და შემდეგ მისი დაკარგვა, ასევე **ლ/რ** მონაცვლეობა. აქედან გამომდინარე, **ივერ||იბერ||იმერ** (*hiver||*hiber||*hi-

mer) და **ივერია||იბერია||იმერია** ი. ყიფშიძისათვის ერთი და იგივე ოდენობაა. ხოლო იმ ფაქტს, რომ იბერი აღმოსავლეთ საქართველოს ძველ სახელწოდებად არის ცნობილი, იოსებ ყიფშიძე ხსნის ისტორიაში ხშირად მომხდარი ფაქტით – ამა თუ იმ ხალხის სახელწოდება გადადის სხვა ხალხზე პოლიტიკური გავლენის შედეგად. თავიდან, უძველეს პერიოდში **ივერები** (შემდეგში კოლხები) პოლიტიკურად მძლავრობდნენ **ქართებზე** (ანუ აღმოსავლეთ ქართველებზე (თ.ბ.), რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დაერქვა **ივერია**. მოგვიანებით ისევ პოლიტიკურმა მიზეზებმა, კერძოდ კი, ქართების გაძლიერებამ და ქვეყნის სათავეში მათი მოსვლის გამო „ქვეყანას ეწოდა **ქართ**-იდან ნაწარმოები პოლიტიკურ-კულტურული სახელი **საქართველო**. ამ ქვეყანაში ძირითადი გახდა **ქართული**. იგი იქცა სალიტერატურო-საეკლესიო ენად, რასაც მოჰყვა ივერების (იგივე ძველი კოლხების) ქართიზება ანუ გაქართველება" (ყიფშიძე 1994:XIII-XIV).

ივერ||იბერ||იმერ ძირის გამოცხადებას თანამდეროვე დასავლეთ საქართველოში მცხოვრები უძველესი (ისტორიულად კოლხებად წოდებული) ხალხის სახელად, ბევრი წინააღმდეგობა ხვდება. უპირველეს ყოვლისა, ხელმოსაჭიდი ისტორიული წყაროების სიმცირე და მხოლოდ ჰიპოთეტურად დასაშვები ლინგვისტური ახსნა. კორნელი კეკელიძემ და ივანე ჯავახიშვილმა მკაცრად გააკრიტიკეს ნ. მარის აზრი იბერიის დასავლეთ საქართველოში გადატანისა და სამეგრელოდ მიჩნევის შესახებ, რადგან იგი ეწინააღმდეგება ყველა ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობას. უდავოა, რომ იბერია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელი გეოგრაფიულ-პოლიტიკური სახელი იყო (ჯავახიშვილი 1979:245). რაც შეეხება ისტორიული კოლხების ქართიზებას, ამ თვალსაზრისს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ავითარებდნენ როგორც ნიკო მარი და მისი მიმდევრები, ასევე ივანე ჯავახიშვილიც.

ნიკო მარი, სწორედ როგორც ფილოლოგი, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში უკვე ახსნებს იაფეტური თეორიისათვის მნიშვნელოვან ცნებას: შეჯვარებასა და იაფეტური ტომების გავრცელების ტრაექტორიას. იგი გამოთქვამს თამამ, მაგრამ ძნელად დასასაბუთებელ მოსაზრებას, რომ სომხების წინაპრები არიან თუბალ-კაენები ანუ კოლხები. ტაო-კლარჯეთის დამფუძნებლებად სწორედ კოლხების წინაპრები არიან გამოყვანილი: „ოპიზის პირველი დამფუძნებლები უნდა ყოფილიყვნენ თუბალ-კაინები ანუ ივერები (მეგრელები) ანუ ჭანები (ლაზები). ოპიზა, უფრო ზუსტად, ოპიჯა არის ქართული საპირე-ს (შდრ ნაპირ) შესატყვისი თუბალ-კაენური ფორმა და ნიშნავს ნაპირის ადგილს“ (მარი 1911:XXII). რადგან კოლხთა პირველი განსახლების ადგილად ტაო-კლარჯეთი მიაჩნია, იგი ავითარებს აზრს, რომ კოლხების ძლიერი ქვეყანა მდინარე რიონის კი არა, მდინარე ჭოროხის ნაპირებზე ვითარდებოდა, რაც ძალიან ძნელი დასადასტურებელია ისტორიული მონაცემებით. ძალიან საინტერესოა ოპიზის ახსნა მეგრულ-ლაზური ოპიჯით. ეს გეოგრაფიული სახელი (ასევე, მაგალითად, არტანუჯი ← „არტაანის ყური“) სხვა ფაქტებთან ერთად გვაძლევს საშუალებას ეს რეგიონი კოლხურ სამყაროს მივაკუთვნოთ, რომელიც ვითარდებოდა რიონისა და ჭოროხის ნაპირებზე.

იაფეტური თეორიას ნიკო მარი მთელი ცხოვრების მანძილზე ამდიდრებდა ახალ-ახალი ფაქტებითა და ინტერპრეტაციებით. მისი მოწაფისა და მიმდევრის მ. ჩხაიძის დაკვირვებით, მარის ნაწერებში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი – ოცდაათიანი წლები. ეს არ ნიშნავს, რომ ადრეულ ნაშრომებს ღირსება აკლია, მაგრამ მათ ნამდვილად არა აქვთ კონცეფციური მთლიანობა, როცა ფინიშის ხაზს გაუსწორდა, ყველა ძველ შეხედულებას გადახედა. ამ პერიოდს დაემთხვა მარქსიზმის სიღრმისეული შესწავლა. მან საბოლოოდ ააგო მონოლითური იაფეტური მოძღვრება, შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე, რომლებიც ადრე მას ნამდვილად ახასიათებდა. ამიტომ ნ. მარი ხშირად წერდა, რომ აუცილებელი იყო მისი ძველი ნაწერების რეინ-

ტერპრეტაცია (ჩხაიძე 1988:151). მონოლითურ მოძღვრებაზე მაინც გაჭირდება მსჯელობა, თუმცა ეს თეორია, ბევრ, თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვან თეზისს შეიცავს.

იმ პერიოდში, როცა ნიკო მარი ქართულ-სომხური ფილოლოგიის ფარგლებში იკვლევდა კავკასიის ამ მნიშვნელოვან რეგიონს, იგი ჯერ კიდევ იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს. მაგალითად, შედარებითი ენათმეცნიერების ყველა სპეციალისტი მოიწონებს ბგერათშესატყვისობის იმ მაგალითებს, რომლებსაც იმოწმებს ნიკო მარი ქართველური ენებიდან „ენის მოძღვრების ზოგად კურსში“. უფრო მეტიც, ეს შესატყვისობები შემდეგ იქცა კლასიკურ მაგალითებად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საილუსტრაციოდ (ამ მხრივ საინტერესოა მარის რჩეული შრომების მეორე ტომი, მარი 1936:64-65). ამ მაგალითებს შეხვდებით ქართველურ ენათა კომპარატივისტული კვლევის თითქმის ყველა ნაშრომში.

ა//ო ↔უ
(ბაგისმიერ თანხმოვნებთან)
ბან-ა ბონ-უ-ა
ქათამ ქოთომ
მ-ხარ-ე მუ-ხურ (↔ ხორ)

ე//ა
თენება თანაფა
ტეხა ტახუა
თელ, მთელ ← მრთელ ტარ-, ჯანმრთელი, ტარ-ი

შ//სქ
შაშვი ზესქვ
ვაშლ უ-შქურ
შენ-ი სქანი

ზ//ჟ
მზე ბჟა

ც//ჩ
კაც კოჩ
ცხრა ჩხორ-ოშავ

ჩ//ჩქ
მარჩვ მუნჩქვ
ჩემი ჩქიმ

ს//შ
ასი -ოში
სამ-ი შუმი, სუმი

ძ//ჯ
ძაღლ ჯოღორ
ძველი ჯვეში

რ//ნ ჯ → დ
პირ პიჯ
ხარ ხოჯ

წ//ჭ
წაბლ ჭუბურ
მწერ ჭანჯი
წერა ჭარუა

ჭ//ჭკ
ჭადი ჭკიდი
ჭამა ჭკომუა
ჭრა ჭკირ-უ-ა

ქმარი ქომონჯ
სიზმარი იზმოჯა

ჯ//ჯგ
მარ-ჯვენე/ა მარძგვანი

ლ//რ
კბილი კიბირ
წელ *წარ-ი წარ (სომხ)
თაფლ თოფურ

უდავოა, რომ მარი იცნობდა და პრაქტიკულად იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს. როგორც კ. ბრენდისტი წერს, სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან იგი ვესელოვსკის მოწაფე იყო. მაგრამ ნ. მარი ამ მეთოდს არ თვლიდა საკმარისად ენათა შორის ურთიერთობის ყველა სახის ასახსნელად. ასეთი ბგერათშესატყვისობების დადგენა ნიკო მარის „ენის ზოგად კურსში“ გრძელდება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის მოულოდნელი მიმართულებით. იგი ამ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნას, რომ ბგერათა ცვლილება მეტყველებაში ასახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. **თ – დ – ტ** ბგერათა ცვლილების სამი საფეხურია, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც ერთი და იმავე საზოგადოებრივ კოლექტივში, შემდეგ ერთსა და იმავე კლასში, შემდეგ კი ერთსა და იმავე ტომურ გაერთიანებაში სოციალური ცვლილებების შედეგი. ასევე, სისინა და შიშინა ბგერების მონაცვლეობა არის ერთმანეთთან ახლოს მყოფ ენათა ორი წრე, როგორც შეთანხმება/ხელშეკრულება ორი სამეურნეო კოლექტივს, შემდეგ ორ კლასს, ორ ტომურ ჯგუფს შორის. ხოლო წინაენისმიერების **თ, დ, ტ, ც, ძ, წ**-ს შეცვლა უკანაენისმიერებით: **ქ, გ, კ, ჩ, ჯ, ჭ** ისევე, როგორც სუსტი **ს/შ** – ეს არის ერთმანეთთან დაშორებულ ენებს შორის მიღწეული შეთანხმება, უფრო ადრე კი ორი სამეურნეო-კოლექტიური ორგანიზაციის შეთანხმება, რომელთაგან თითოეული იყო ტომური ერთეულის მჭიდრო კავშირი (მარი 1936:65). მართალია, ბგერათა სოციალური ბუნება ანუ მათი

ფონოლოგიური შინაარსი არის საზოგადოების შეთანხმების შედეგი (ამ თეზას ეფუძნება თანამედროვე ფონოლოგია), მაგრამ ყოველთვის არ არის აუცილებელი ამ შეთანხმების გამოყვანა „სამეურნეო-კოლექტიური ორგანიზაციის შეთანხმებიდან“, რადგან, მაგალითად, სოციალურ დიალექტებში ბგერათა სოციალური ღირებულება სულაც არ არის დაფუძნებული სამეურნეო კავშირების ერთობაზე, არამედ სოციალურ სოლიდარობაზე (ასაკობრივი და სოციალური სიახლოვე, საერთო ინტერესები).

ნიკო მარი თვითონ გვიამბობს, როგორ მივიდა ფილოლოგიიდან იაფეტურ თეორიამდე: „ორი ენის, ქართული და სომხური ენების, ფილოლოგიური შესწავლის საფუძველზე წარმოიქმნა ეგრეთ წოდებული იაფეტური თეორია, რომელიც ენათმეცნიერულს ჰგავდა, მაგრამ რეალურად ფილოლოგიური იყო, რადგან იყენებდა ისტორიული ენების შედარებით მეთოდს, რომლითაც დამტკიცდა იაფეტური ენების სემიტურ ენებთან ნათესაობა, ეს თეზა უეჭველია, მაგრამ როგორც მოსდის ყველა შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტს (т. н. „Сравнительники“), ანუ ისეთ მკვლევრებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ გამოდიან შედარებითი ენათმეცნიერების ტყვეობიდან, დავიწყეთ იაფეტური და სემიტური ენების ერთი ფუძეენის მქონე საერთო ოჯახიდან გამოყვანა, რაც თეორიულად ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც ინდოევროპული ფუძეენის არსებობაა შეუძლებელი.

ამ შრომას, ანუ საერთო სემიტურ-იაფეტური ფუძეენის ძიების პერიოდს, ნიკო მარი ადარებს ჭის ფსკერზე ყოფნას, რომელშიც მარს უწევდა აქეთ-იქით იძულებითი ხტომისგან ბევრი ცოდვის აკიდება. ასეთ ცოდვად მიაჩნია, მაგალითად, კავკასიის წმინდა იაფეტური ენებისა და „ჰიბრიდული“ ენების (ასეთი ჰიბრიდული ენაა სომხური) გამოყოფა. ამ ცოდვების გამო, იაფეტური თეორია აღმოჩნდა, ერთი მხრივ, ტრადიციული კავკასიური ორიენტაციის ტყვეობაში. „კავკასიური ორიენტაციის“ მიხედვით, კავკასია არის ყველა იმ ხალხის აკვანი, რომლებიც ენობრივად ენათესავებიან კავკასიის იაფეტურ ხალხებს და მათ დასახელებებსაც კი იმეორე-

ბენ. მეორე მხრივ, იაფეტურ თეორიას იყენებდნენ ენათა ცალმხრივი შეჯვარების მომხრეები. ცალმხრივი შეჯვარებით იხსნებოდა როგორც მეტყველების ყოველგვარი ტრანსფორმაცია, ისე იაფეტური ენების ნათესაობა არაიაფეტურ, სწორედ ინდოევროპულ ენებთან (მარი 1926:168-169). იაფეტური მიმართულების გაძლიერებასთან ერთად იზრდება ნიკო მარის კრიტიკული დამოკიდებულება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მიმართ. ნიკო მარისთვის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელსაც იყენებს ინდოევროპული ენათმეცნიერება აუცილებელია, მაგრამ ენობრივი მოძღვრებისთვის ეს საკმარისი არ არის. შემდეგი ეტაპი სრულყოფილი კვლევისთვის პალეონტოლოგიური ანალიზია. თვით ისეთ ნაშრომებშიც კი, რომელთა ავტორები ძალიან ცდილობენ ობიექტურად შეაფასონ ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობა, ზოგჯერ ფაქტების საწინააღმდეგო დასკვნებს აკეთებენ. მაგალითად, ალპატოვი წერს, რომ „ნიკო მარმა აითვისა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მხოლოდ ზოგადი ცნებები, მაგრამ პრაქტიკულად ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება არ შეეძლო. ამის მიუხედავად, მიისწრაფოდა შორს მიმავალი თეორიისკენ, რომლის დამტკიცებაც ვერ შეძლო“ (ალპატოვი 2004) ვ. ალპატოვის მოსაზრება, რომ ნიკო მარი პრაქტიკულად ვერ იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს, მეტი რომ არ ვთქვათ, არასწორია. ამის თქმა შეუძლებელია, თუ მარის შრომებს კარგად გავეცნობით. ზემოთ უკვე დავიმოწმეთ, როგორ ვირტუოზულად იყენებს ნიკო მარი ამ მეთოდს. ალპატოვი ყოველთვის გახაზავს, რომ „ნ. ი. მარის „ახალი ლინგვისტური მოძღვრების“ კრიტიკა არ არის რთული. ამას შეძლებს ნებისმიერი ადამიანი, თუ მას ფილოლოგიური განათლება აქვს... ეს ამოცანა უკვე დიდი ხნის გადაჭრილია“. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ უცხოელი მეცნიერები მარს სერიოზულად იკვლევენ (ალპატოვი 2004:32). ასე მარტივად ნამდვილად არ არის საქმე. იმ დროს, როცა ნიკო მარი ისტორიულ-შედარებით მეთოდს იწუნებდა, ისტორიული ენათმეცნიერებაში შექმნილი კრიზისის დაძლევის გზებს სხვა ენათ-

მეცნიერებიც ეძებდნენ, მაგალითად, რომან იაკობსონი და იაკობ ტრუბეცკოი. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამი მეცნიერის ერთ რიგში დაყენებას ვ. ალპატოვი გადაჭრით ეწინააღმდეგება, რადგან მისთვის ნიკო მარის დილეტანტია, ხოლო პრაღის სტრუქტურალისტური სკოლის წარმომადგენლები – პროფესიონალი ენათმეცნიერები (ალპატოვი 2004:275), ჩვენ ვნახავთ, რომ მათ გადამკვეთი იდეები აქვთ.

§2. ლინგვისტური კვლევის მეთოდის პრობლემა იაფეტურ თეორიაში

ჯერ კიდევ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ფარგლებში მუშაობისას ნიკო მარს თანდათან უმტკიცდება აზრი, რომ **ყველა ენა შეჯვარების შედეგად არის წარმოქმნილი, შეუჯვარებელი ენები არასოდეს არ არსებულა.** „ადამიანთა ჯგუფები ბგერით ენაზე გადასვლამდე უკვე დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ ხაზოვან, უფრო ზუსტად – კინეტიკურ მეტყველებას; ჰქონდათ გამორჩეული, მოგვიანებით ეთნიკური, დასაწყისში კი ტომური მახასიათებელი – არა ცხოველის, არამედ ადამიანის დანაწევრებულ ბგერათა კომპლექსი, სიტყვის მსგავსი, შეთანხმებაზე დაფუძნებული ბგერითი ნიშანი... წმინდა მექანიკური აღწერისა და სიზუსტისათვის აუცილებელია ენათა კლასიფიკაცია ტომებსა და მეტყველებას შორის მიმართებების მაჩვენებელი ნიშნების ანუ ბგერითი შესატყვისობების მიხედვით, რომლებიც უნდა ვიცოდეთ ზეპირად როგორც გამები, რომ პიანინოზე დავუკრათ. ეს არის საფუძველი სტატიკური შედარებითი გრამატიკისა (რომელიც საფუძველშივე მატყუარაა, თუ არ არის პალეონტოლოგიურად შემოწმებული) და პალეონტოლოგიისათვის საჭირო ტექნიკისათვის“. მაშასადამე, ბგერითი შესატყვისობები მხოლოდ გამებია, მას სჭირდება გაღრმავება და სწორედ აქ შემოდის ოთხელემენტოვანი ანალიზი, რომელიც ფაქტობრივად ვერავინ ვერ გამოიყენა მარის გარდა.

თვით მარის მიერ მიღებული შედეგები კი ვერ იქცა ახალი კვლევების საფუძვლად. ერთი კია, თუ ერთმანეთს შევადარებთ ნიკო მარის ზოგიერთ დასკვნას და თანამედროვე კომპარატივისტიკაში ტიპოლოგიის წვლილს, ამ მხრივ ძალიან საინტერესო აღმოჩნდება მარის მიერ 1926 წელს წაკითხული მოხსენება „ეგვიპტური, შუმერული, ჩინური და მათი პალეონტოლოგიური შეხვედრები“ (მარი 1937:112-114). მარი თემატურ-შინაარსობრივი კავშირის თვალსაზრისით განიხილავს სიტყვებს ***„წვიმა, წყალი, თევზი, წყურვილი, სმა, ცურვა, ჩაძირვა“*** და ეძებს საერთო ძირებს როგორც ახლოს მყოფ, ისე ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულ ენებში. ამ სტატიას არნოლდ ჩიქობავა იმოწმებს როგორც „ნიკო მარის პალეონტოლოგიური ანალიზის შედარებით მარტივ ნიმუშს“. ანალიზის პროცესში ერთმანეთს დაუკავშირდა: ქართული, სომხური, თურქული, კოპტური, შუმერული, ჩინური და „რიგი ჩრდილოური ენები“ (ალბათ ე. წ. ჰიპერბორეული ანუ პალეო-აზიური ენები). ერთი და იმავე ოდენობადაა დასახული:

ქართული: წყურ- (წყურია), წყალ, **წურ-** (წურავს), **ცურ-** (ცურავს), **თურ-** (თურ-ებ-ა), **სურ**- (სურ-ს) **სუ-მა, წუ-მა** . . ხარ-ბ-ი . .

სომხური: წარ-ა-ვ (წყურვილი), **წორ**-ელ („დენა“), **წორ-წორ** (ხეობა), **ჯურ** (წყალი), **თორ-**ელ „დენა“, „დინება“, **არ**-ბ-ი (დავლიე), **ჰარ**-ჭ-ატ (მთვრალი)

თურქ: სუ (წყალი)

კოპტ: სო (სმა)

ეგვიპტ: სურ

სუმერ: შუ (ხელი), შურ „წვიმის მოსვლა“

ჩინური: შუ꜀ (წყალი), ꜀უ „წვიმა“, „თევზი“

ამ მაგალითების კომენტირებისას არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს: „სომხურსა და ქართულში რომ საზიარო ფუძე აღმოჩნდეს, მოულოდნელი სრულებითაც არ იქნება: სომხური, როგორც თვით ნ. მარს აქვს საკმაო დამაჯერებლად ნაჩვენები თავის ადრინდელ შრომებში, ნარევი ენაა, მასში ერთ ძირითად ფენას ქმნის კავკასიური, და უპირველეს ყოვლისა,

ქართველურ ენათა ლინგვისტური მასალა. შეუძლებელი არც ის იქნებოდა, რომ დადასტურებულიყო ლექსიკური შეხვედრა თურქულ ენასთან: ისტორიული კონტექსტი ამას გასაგებს გახდიდა. ამ მხრივ შუმერულთან კავშირი იქნებოდა მოულოდნელი. მაგრამ ნ. მარი ისტორიულ კონტექსტს თუ პერსპექტივას როდი ემყარება. საქმეც ისაა, რომ მისთვის ქართულის დაკავშირება ჩინურთან და კოპტურთან ისევე ბუნებრივი ჩანს, როგორც სომხურთან – ყველაში ოთხი ელემენტის ტრანსფორმაციაა ნავარაუდევი და იმიტომ“ (ჩიქობავა 1945:240-241). ის, რაც გასაკვირი იყო ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისთვის 1945 წელს, ახლა, ემპირიული ენობრივი მასალის სიმრავლის პირობებში, უკვე მოსალოდნელია. ენათა ნარევობა ადვილი სამტკიცებელია არა მხოლოდ სომხურის, ქართულისა და თურქულის ძალიან მჭიდრო ტერიტორიული და სხვა სახის კონტაქტების გამო, ასევე ადვილდება ძველი კონტაქტების დაშვებაც ზოგჯერ ამჟამად ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ენებში. თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან ჭირს ნ. მარისეული ხელის ენით, მაგალითად, 18 ცნების გამოხატვის ახსნაც და დაჯერებაც.

ოთხელემენტოვანი ანალიზის გამოყენება ვერავინ ვერ შეძლო. ყველა ენის ყველა სიტყვის შემადგენელობა **სალ, ბერ, იონ, როშ** (***sal, ber, yon, rosh)*** ელემენტებამდე ვერავინ ვერ დაიყვანა, თვით ნიკო მარის მოწაფემ, მეშჩანინოვმაც კი. მას არასდროს გამოუყენებია ოთხელემენტოვანი ანალიზი, რადგან არ ესმოდა მისი არსი. ეს გასაკვირი არც არის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აკად. თ. გამყრელიძის ახსნა, რომ ეს „ცნობილი ენათმეცნიერისა და ფილოლოგის ნ. მარის საოცარი მეცნიერული ინტუიციაა, რომელიც მას საშუალებას აძლევდა გაეკეთებინა ლოგიკური თვალსაზრისით მოულოდნელი დასკვნები. მაგალითად, მარის აზრით, ენათა სიმრავლე დაიყვანება თავისი არსით მნიშვნელობის არმქონე ოთხი ელემენტის თანამიმდევრობაზე. მსოფლიოს ნებისმიერი ენის ნებისმიერი სიგრძის ტექსტი ამ ოთხი ელემენტის

ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია, რომელიც გარკვეული ხაზოვანი თანამიმდევრობით არის დალაგებული. სწორედ ეს განსაზღვრავს გლოტოგონიური პროცესის ერთიანობას. თამაზ გამყრელიძის შეფასებით, მარის მოსაზრებას ვერ ეძებნება რაციონალური საფუძველი და მთლიანად ეწინააღმდეგება თანამედროვე ენათმეცნიერების ლოგიკასა და ენათა ემპირიულ მონაცემებს. ამ მხრივ ეს თვალსაზრისი ირაციონალურია. ნ. მარი საოცარი მეცნიერული ინტუიციით და ქვეცნობიერი ცოდნით უახლოვდება გენეტიკური კოდის შედგენილობას, რომლის რეალური ცოდნაც მას იმ დროს ვერ ექნებოდა. ამ მხრივ ნიკო მარის ინტუიცია ჰგავს სამი ათასი წლის წინ შექმნილ ჩინურ „გარდაქმნათა წიგნს“, რომელშიც მოცემულია, ოთხი ბინარული („მამაკაცური“ და „ქალური“) ელემენტით როგორ იქნება ყველაფერი ცოცხალი და ყალიბდება მათ შორის მიმართება. ასევე შეიძლება კავშირის დანახვა ადამიანის შემადგენელ ოთხ ელემენტთან, რომელსაც ჰიპოკრატემ მიაქცია ყურადღება. ეს მონაცემები გასაოცრად ემთხვევა გენეტიკური კოდის სტრუქტურას, რომელიც ამ სისტემების შემქმნელებში გაუცნობიერებელ მამოდელირებელ სუბსტრატად ყალიბდება (გამყრელიძე 1988:7-8. იხ. აგრეთვე გამყრელიძე 2005:3-6). ჩვენი მხრივ ამ ჩამონათვალს შეიძლება დავამატოთ შოთა რუსთაველის მიერ კავშირად სახელდებული ოთხი სტიქიონის, ოთხი ელემენტის — წყლის, ჰაერის, მიწისა და ცეცხლის ერთობლიობა. ეს ელემენტები ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი ნესტან-დარეჯანის წერილში:

> „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
> **ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა** თანა ძრომასა.“ 1304, 1-2

ნიკო მარმა გრძელი გზა განვლო ყოფილი ინდოევროპეისტიდან საკუთარ კონცეფციამდე, რომელიც დიამეტრალურად დაუპირისირდა ინდოევროპულს (მარი 1926). ისტორიულ-შედარებითი მეთოდი იყო და არის კომპარატივისტიკის საყრდენი, რომლითაც მუშაობს ინდოევროპეისტიკა და ამ მიმართულებას ეკუთვნოდა თავიდან ნიკო მარი. როგორც ნ.

მარის თეორიის მიმდევარი მ. ჩხაიძე წერდა: „მარის წინააღმდეგ მებრძოლებს ჰქონდათ ღრმა განცდა, რომ ისინი ებრძოდნენ ვანდალიზმს ენათმეცნიერებაში, რადგან მარის თეორია თავდაყირა აყენებდა ლინგვისტურ შენობას, რომელსაც ორი საუკუნის მანძილზე აშენებდნენ მეცნიერების კორიფეები“ (ჩხაიძე 1988: 151-152). როგორც უკვე აღვნიშნეთ, პალეონტოლოგიური მეთოდის გამოყენებამდე მარისთვის აუცილებელი იყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება. ეს ჩანს ბგერათშესატყვისობების მუსიკალურ გამებთან შედარებაში. მაგრამ კარგი დასაწყისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი პალეონტოლოგიური მეთოდით გაგრძელდება. არნოლდ ჩიქობავა სპეციალურად მსჯელობს ამ მეთოდზე, ადარებს ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას და აცხადებს, რომ „ენათა სტადიური, სისტემებრივი კლასიფიკაცია არის უარყოფა გენეალოგიური კლასიფიკაციისა ისევე, როგორც პალეონტოლოგიური მეთოდი იაფეტური თეორიისა წარმოადგენს ისტორიულ-შედარებით მეთოდის უარყოფას“ (ჩიქობავა 1945:247). **მთავარი სხვაობა ის არის, რომ მარი კი არ უარყოფს, არამედ სხვაგვარად ალაგებს ამ ორ მეთოდს: შედარება წინ უსწრებს პალეონტოლოგიას.** ჩიქობავა ასე აფასებს ამ ორი მეთოდის მიმართებას მარის თეორიაში: „სტადიური კლასიფიკაციის მეთოდი – პალეონტოლოგიური ანალიზი ელემენტების მიხედვით არის ანტითეზა ისტორიულ-შედარებითი მეთოდისა... არ შეიძლება **სხვადასხვა წარმოშობის** ენათა ფაქტების შედარება იმიტომ, რომ სხვადასხვა მასალა განვითარებისათვის ამოსავალი არ შეიძლება იყოს. ისტორიული ფონეტიკის წესების დაუცველად სიტყვათა შედარება **ერთი წარმოშობის ენების წრეშიც** არ შეიძლება იმიტომ, რომ ფონეტიკური წესი (ბგერათა ცვლა) განსაზღვრულია **ენობრივი კოლექტივით**, ერთის მხრით, **დროის მონაკვეთით**, მეორე მხრით: ესა თუ ის ბგერითი ცვლა მიმდინარეობს **გარკვეულს ენაში გარკვეულს დროს**, ეს ცვლა იმდენადვეა ისტორიული და სოციალური თავისი რაობით, - და არა უნივერსალური და მექანიკურ-ფიზიოლოგიური“ (ჩიქობავა 1945:248). ძალიან ჭირს ნ.

მარისეული ინტერპრეტაციებში ისეთი მაგალითების მოძიება, რომლებშიც ენობრივი მოვლენები მექანიკურ-ფიზიოლოგიური მიზეზებით იხსნებოდეს.

ნიკო მარს მაშინაც კი არ უარუყვია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, როცა ენები დაჰყო სტადიური განვითარების მიხედვით (მარი 1929:14-15):

I პერიოდის ენები:	1)მონოსილაბური და პოლისემანტიკური ენები. ამ წრეში შემოდის: 1) ჩინური და აგებულებით მასთან ახლოს მყოფი ენები (ჩინურის მთავარი მახასიათებელია წერილობით ენაში გაქვავება) 2) შუა და შორეული აფრიკის ენები.
II პერიოდის ენები:	1) ფინურ-უგარიტული, 2) თურქული, 3) მონღოლური
III პერიოდის ენები:	1)გადარჩენილი იაფეტური ენები 2)ქამიტური ენები (შუა და შორეული აფრიკის ენები)
IV პერიოდის ენები	1) სემიტური ენები 2)პრომეთეიდული ენები ან ე. წ. ინდოევროპული ენები [კლასიკური წერილობითი ენები: ინდური (სანსკრიტი), ბერძნული და ლათინური].

ამ ცხრილში წარმოდგენილი პერიოდებისა და ენების გარდა, ნიკო მარი გამოყოფს გარდამავალი პერიოდის ენებს, მაგრამ ამაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, რადგან მხოლოდ იმის ჩვენებას ვისახავდით მიზნად, რომ არც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და არც ენათა ოჯახები არ უარუყვია ნ. მარს. იგი ენათა ოჯახების შემდეგ დაინტერესდა უფრო ძველი პერიოდით, სანამ ენები მონათესავე ოჯახებად

დაიყოფოდა, რისთვისაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გამოუსადეგარი იყო.

როგორც ვ. აბაევი წერდა: „ეტიმოლოგიურ ლექსიკონთა უმრავლესობის სიღრმე არის ე.წ. ფუძეენა. მაგრამ ირკვევა, ფუძეენა არ არის ენის ისტორიის ბოლო სიღრმე. ამას გარდა, თვითონ ფუძეენა ამოსავალი და მონოლითური ოდენობა სულაც არ არის, იგი მრავალი ათასწლეულის განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების შედეგია (აბაევი 1986:36). სწორედ ფუძენების წინარე პერიოდების კვლევამ მიიყვანა ნიკო მარი ასეთ დასკვნამდე, რომ „მსოფლიოს ყველა ენა მონათესავეა და რომ ყველა ენის ყველა სიტყვა დაიყვანება ოთხ ელემენტამდე“(მარი 1936:135). ამ დასკვნის გამო იაფეტური თეორია თავს აყენებდა ინდოევროპეისტიკაზე მაღლა, რადგან ტრადიციული ენათმეცნიერების მიმდევრებს ჰქონდათ კვლევისთვის უფრო მცირე პერიოდი, ვიდრე იაფეტურ თეორიას, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ენის საყოველთაო გლოტოგონიური პროცესის აღდგენაზე. მხოლოდ ამით აიხსნება ნიკო მარის სიტყვები: „ინდოევროპეისტი ვერ იმსჯელებს იაფეტური თეორიის ნაკლსა და ღირსებაზე. ჩვენ უფრო მეტი ვიცით მის ნაკლზე“. სჯობს ინდოევროპეისტებმა „დახმარების ხელი გამოგვიწოდონ“, რომ ენათმეცნიერება გაერთიანებული ძალებით წავწიოთ წინ“ (მარი 1924/1934:11, მარი 1936:135).

სწორედ ამის გამო მართებულად წერდა ნიკო მარის თეორიის მიმდევარი მ. ჩხაიძე: არასწორია, რომ მარი უარყოფდა ენათა ოჯახებად დაყოფას და თითქოს ეწინააღმდეგებოდა მათ კვლევას. იგი მხოლოდ ეწინააღმდეგებოდა ენათა ოჯახების თავდაპირველ იზოლირებულობას. მარი ამტკიცებდა, რომ ენათა თანამედროვე იზოლირებულობა შედარებით გვიანდელი მოვლენაა. ხოლო ენათა ოჯახების წარმოქმნის პირობების კვლევა მას საჭირო და მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა. ამას გარდა, მარის პალეონტოლოგიური მეთოდი სულ სხვა მიზნებს ისახავდა. იგი არ იყო მონათესავე ენათა შესასწავლად შექმნილი. „პალეოგლოტოგონია“ ნიშნავს ძველი პერიოდის ენათშემოქმედებას, ხოლო „ნეოგლო-

ტოგონია“ კი გულისხმობს თანამედროვე (მოგვიანო ხანის) ენათშემოქმედებას. მარმა შექმნა ენის წარმოშობის თეორია; დაადგინა, რომ ძველი ხალხების ენების მდგომარეობა ძალიან (როგორც ცა და მიწა) განსხვავდება თანამედროვე ენათა მდგომარეობისაგან“ (ჩხაიძე 1988:144-145).

მიუხედავად პალეონტოლოგიური და ნეოგლოტოგონიური მეთოდების სხავობისა, იაფეტური თეორიის დასკვნები მაინც ეხებოდა თანამედროვე ენებს და საქმე იქამდე მივიდა, რომ ნიკო მარისგან ყველაფერს მოელოდნენ, რადგან იგი იმ დროისთვის სრულიად მოულოდნელ ენებს აკავშირებდა ერთმანეთთან. თვითონ მარი ამას თავისებურად აფასებდა: იაფეტური თეორიის კრიტიკოსი ჯერ არ მინახავს, თუ არ ჩავთვლით იმათ, ვინც უსაბუთოდ უარყოფს ან დამახინჯებულად გადმოსცემს ამ თეორიას. ჩემი ტემპერამენტის კრიტიკოსმა კი ერთხელ მახვილგონივრულად თქვა, რომ „რასაც მოვინდომებ და ვიტყვი, ის აუცილებლად ახდება. ვიტყვი: იქმენინ ნათესაობა იაფეტური და სემიტური ენებისა! და ეს ენები მონათესავენი გახდებიან. ან კიდევ ვიტყვი: იქმენინ ბასკური იაფეტური ენა! იქმენინ ნათესაობა ბასკური და კავკასიის იაფეტური ენებისა! და ეს აუცილებად მოხდება“. როგორც უკვე აღვიშნეთ, ეს აზრი გამოწვეულია მარის დაშვებით, რომ ყველა ენა მონათესავეა და ნათესაობა ეფუძნება ენათა შეჯვარებას.

იაფეტურ თეორიაში ერთიანი გლოტოგონიური პროცესის საკითხის დაყენებისთვის მნიშვნელოვანდ მიგვაჩნია ნიკო მარის ნაშრომი „ამერიკელი ადამიანის წარმოშობა და იაფეტური თეორია“, რომელიც პირველად 1926 წელს დაიბეჭდა. სწორედ ამერიკელი ადამიანის წარმოშობის საკითხზე დაფიქრებამ შეუქმნა აზრი ნიკო მარს გლოტოგონიურ ანუ ენათშემოქმედების პროცესზე. ამერიკის ენებს იაფეტური თეორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, - წერდა ნ. მარი, - ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათ აქვთ ისტორიამდელი მდგომარეობა. მეორე, არქეოლოგიური მასალა არათუ ემსგავსება აფროევრაზიის მონაცემებს სემანტიკის სფეროში, საიდანაც დაიწყო სხვადასხვა ტომის ენათა დანათესავე-

ბა, ისინი არღვევენ კიდეც ამ ერთგვაროვან ტიპოლოგიას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ენები ძველ სამყაროშია წარმოქმნილი და უსწრებს ენათა ნათესაობის პერიოდს. ამერიკასა და აზიას შორის ენობრივი ურთიერთობები უნდა მომხდარიყო ესკიმოსთა საშუალებით. სწორედ ესკიმოსური ენათესავება ბასკურს, რომელიც დიდი იაფეტური ოჯახის წევრია (ქართველურ ენებთან ერთად, - თ.ბ.). ეს ოჯახი ინდოევროპულ ენებამდე იყო მთელ აფროევრაზიაში გავრცელებული, საიდანაც გამოვიდნენ სემიტები და ქამიტები. ოღონდ ვერ ვარკვევთ, აქედან მოდიან თუ არა უგრო-ფინელები, განსაკუთრებით კი თურქები და მონგოლები. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი მიზეზით: აზიიდან საემიგრაციოდ გამოსულ ხალხებს ჩამორჩნენ უგრო-ფინელები, თურქები და მონგოლები. მათ ვერ მოასწრეს გასვლა და გაიჭედნენ აზიაში... იაფეტური ენათმეცნიერების აღმოჩენა ისაა, რომ კაცობრიობის თავდაპირველი სამეტყველო ენა ჩამოყალიბდა იმ ქვეყანაში, სადაც ირმებით გადაადგილდებოდნენ, ანუ ცივ ზონაში. თუ ამერიკაში ადამიანები ძველი სამყაროდან მოხვდნენ, მაშინ საძიებელია ეს მხოლოდ აზიიდან მოხდა, თუ ევროპის გზაც განვლეს ატლანტის ოკეანის გავლით მის პრეისტორიულ კუნძულებზე ან სულაც მთელ კონტინენტზე გავრცელებით. იაფეტური თეორიის ლინგვისტურ მიღწევათა გათვალისწინებით, უნდა მივესალმოთ იმ მდგომარეობას, რომ აზიიდან თუ ძველი სამყაროს სხვა ნაწილებიდან ტომობრივი წარმონაქმნების დაძვრა უკვე შესაძლებელია დავუშვათ მხოლოდ ნეოლითიდან, უკანასკნელ შემთხვევაში პალეოლითის ბოლო ნაშთებიდან. რადგან ამერიკისა და მის შესაძლო მეტროპოლიური რაიონების მოსახლეობას შორის კავშირს ამაზე შორს ვეღარ გადავიტანთ და თუ მაინც ვივლით ამ მიმართულებით, მაშინ თვით ბგერითი ენის შექმნის პერიოდს მივადგებით, რაც არ ჩანს დამაჯერებელი იმიტომ, რომ ამერიკაში მოსახლეობა გაფანტულია, ე.წ. ენობრივი „ოჯახები“ მკვეთრად ჩამოყალიბებული არ არის. ენობრივ ოჯახთა განსაკუთრებული სიმრავლეა ამ კონტინენტზე და თითოეული მათგანი ტიპოლოგიურად ახლოს დგას აფროევ-

რაზიასთან, კერძოდ, არქაული შუამდინარეთსა და ევროპასთან. ადამიანთა დასახლების წარმოქმნა ძველ სამყაროში და ახალ სამყაროში – ამერიკაში – მოსახლეობის გაჩენა ძველი სამყაროდან გადასვლით არის ერთი და იმავე პროცესის ორი უკიდურესი საზღვარი. თუ ამ პრობლემას სწორად დავაყენებთ, მაშინ აღარ ექნება სამეცნიერო ღირებულება კაცობრიობის დაყოფას წარმომავლობის მიხედვით. ასევე დაკარგავს აზრს აღმოსავლეთად და დასავლეთად დაყოფა და საზოგადოებრივ პროგრესთან ერთად გადავეჩვევით ადამიანთა დაყოფას კანის ფერის მიხედვით: შავ, ყვითელ და თეთრკანიან მოქალაქეებად (მარი 1926ა:189, 192). ეს განცხადება უკვე მხოლოდ ლინგვისტიკისთვის კი არ არის ღირებული, არამედ ასახავს ჰუმანურ დამოკიდებულებას კაცობრიობისადმი.

შეჯვარება ხდება ნიკო მარის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცნება. სწორედ შეჯვარებაზე მსჯელობისას მარი ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იაფეტურ ენებს, რადგან მათში ხედავდა ენათა ტიპების ისტორიულ თანამიმდევრობას: თავიდან სინთეტური ანუ ამორფული ენები – როგორიცაა აფხაზური, შემდეგ - აგლუტინაციური, კერძოდ, ნაცვალსახელურ-აგლუტინაციური, როგორიც არის ბასკური და ძველი ქართული, მთის ზოგიერთი ენა; შემდეგ - გამარტივებული აგლუტინაციური, როგორიცაა რამდენიმე ჩრდილოკავკასიური და ნაწილობრივ ხალხური ქართული და ბოლოს, ფლექსიური, სწორედ იაფეტური ენების სიბილანტური შტოს ენები, განაკუთრებით ძველი სალიტერატურო ქართული (ჭანური და მეგრული უფრო მეტად) ისევე, როგორც ახალი ქართული, რომელშიც ფლექსიურობა არა პრომეთეიდული („ინდოევროპული“), არამედ სემიტური ტიპისაა, ხოლო სომხური ენის ფლექსიურობა, განსაკუთრებით ძველი სალიტერატურო სომხურისა, პრომეთეიდული („ინდოევროპული“) ტიპისაა. არა მხოლოდ სომხური, არამედ ქართულიც აგლუტინაციურობიდან ფლექსიურობისკენ გარდამავალი ენაა. სომხური რჩება პრომეთეიდულ („ინდო-

ევროპული“) სისტემაზე, ქართული კი – სემიტურ სისტემაზე (მარი 1936:68).

ნიკო მარს სწორედ მაშინ შეაქვს ისტორიულ-შედარებით მეთოდში ეჭვი, როცა ისახება სტრუქტურალიზმი და ნეოლინგვისტური თეორიის ტენდენციები. ორივე შეფასებულია, როგორც რეაქცია ნეოგრამატიკოსთა კაბალურ ფონეტიკურ კანონებზე. სწორედ ამ რიგში უნდა ჩავაყენოთ ნიკო მარის იაფეტური თეორიაც, რომელიც არ უარყოფს მონათესავე ენათა შორის ბგერათშესატყვისობების არსებობას და იყენებს ამ მეთოდს, მაგრამ ეს საკმარისად არ მიაჩნია ენათა მიმართებების ისტორიული ვითარების აღსადგენად. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ პრაღის სტრუქტურალისტებსა და ნიკო მარს გადამკვეთი იდეები აქვთ, თუმცა ტრუბეცკოი მხოლოდ უარყოფითად მოიხსენიებდა მარს. ტრუბეცკოი ცნობილ სტატიაში „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“ (ტრუბეცკოი 1939:81-89) ხაზგასმით წერს: „არ არსებობს მიზეზი, რომელიც გვაიძულებს დავუშვათ ერთიანი ინდოევროპული ფუძეენა, რომლისგანაც თითქოს ყველა სხვა ინდოევროპული ენა წარმოიშვა. ამავე საფუძვლით შეგვიძლია დავუშვათ განვითარების საწინააღმდეგო გზა, ანუ ვივარაუდოთ, რომ ინდოევროპული ენათა შტოები თავდაპირველად ერთმანეთს სულაც არ ჰგავდნენ და მხოლოდ დროთა განმავლობაში გამუდმებული კონტაქტების, ურთიერთგავლენისა და სესხების გამო მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ არა ისე, რომ ერთმანეთს დამთხვეოდნენ. ენათა ისტორიაში ცნობილია დივერგენციული და კონვერგენციული განვითარება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ძნელია ზღვარის გავლება განვითარების ამ ორ გზას შორის“ (ტრუბეცკოი 2015).[1]

[1] „ტრუბეცკოის მოსაზრება ნიკო მარის თეორიაზე უფრო დეტალურად გადმოცემული იყო მის სტატიაში „ფიქრები ინდოევროპულ პრობლემაზე“ (ეს არის რუსული ვერსია სტატიისა "Gedanken über das Indogermanen Problem" (1939:81-89), რომელიც უნდა დაბეჭდილიყო „ევრაზიულ ქრონიკაში“, 1939 წლის XIII ნომერში, მაგრამ ვერ გამოქვეყნდა, რადგან აიკრძალა ნაცისტების მიერ. წერილი ნაკლულად დაიბეჭდა „ენათმეცნიერების საკით-

ტრუბეცკოიმდე გაცილებით ადრე ამ იდეას ავითარებდა ნიკო მარი. მან 1923 წლის 21 ნოემბერს წაიკითხა მოხსენება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე და გამოთქვა აზრი, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ინდოევროპული ენები არასოდეს არ მომდინარეობდნენ რომელიმე კონკრეტული რასის ენათა ოჯახიდან და არც რომელიმე რასის განსაკუთრებული ფუძეენიდან არ მოდიან. თავიდან იყო არა ერთი, არამედ ბევრი ტომური ენა. ერთი ფუძეენა სამეცნიეროფიქციაა, რომელმაც თავისი თავი უკვე ამოწურა. ინდოევროპული ენები ქმნიან განსაკუთრებულ ოჯახს, რომელიც არ არის რომელიმე სხვა რასის კუთვნილება, არამედ ისინი მიღებულია შეჯვარების შედეგად, რაც გამოიწვია წარმოების ახალი ფორმების გაჩენამ. ეს კი ალბათ დაკავშირებული იყო ლითონის აღმოჩენასა და მეურნეობაში მის ფართოდ გამოყენებასთან. არ არის გამორიცხული, რომ ამას თან სდევდა ფიზიკური ძალების გადახალისება. ენათა ინდოევროპული ოჯახი ტიპოლოგიურად ახალი სამეურნეო-საზოგადოებრივი ვითარების წარმონაქმნია. ფაქტობრივად, ეს არის იაფეტური ენების მომდევნო მდგომარეობა. ასეთი თვალსაჩინო ჰიბრიდები, როგორიცაა, მაგალითად, სომხეთის ენები და ნაწილობრივ ალბანური, ინდოევროპული ენების იაფეტურთან მოგვიანო შეჯვარების შედეგი კი არ არის, არამედ გარ-

---

ხებში“ 1958 წელს (ტრუბეცკოი 1958). სტატიას წინ უძღოდა სარედაქციო განმარტება. ბოლო ნაწილში კი ნ. ტრუბეცკოი ასეთ აზრს ავითარებდა: „თუ ენათმეცნიერები აქამდე აგლუტანაციური ტიპის ენებს უფრო პრიმიტიულ ენებად მიიჩნევდნენ, ვიდრე ფლექსიურ ენებს, ეს მხოლოდ ეგოცენტრული წინასწარი აკვიატება იყო“. სწორედ ამ წინადადებას უძღოდა სტატიის ორიგინალში ნიკო მარის კრიტიკა, რომელიც რუსულ თარგმანში ამოღებულია. ამ გადაწყვეტილებას სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორი ასე ხსნის: „სტატიის ამ ადგილას არის ნ. ს. ტრუბეცკოის ფართო შენიშვნა, რომელშიც მოცემულია ნიკო მარის შეხედულებების მკაცრი კრიტიკა ენათა მორფოლოგიური ტიპების შესახებ და გადმოცემულია თვით ტრუბეცკოის დამოკიდებულება ნ. ი. მარის თეორიისადმი მთლიანად. რადგან ამ შენიშვნის შინაარსი არ არის უშუალოდ დაკავშირებული სტატიის თემასთან, ამიტომ ეს ნაწილი გამოვტოვეთ. – *რედ.*“ (ტრუბეცკოი 1958).

დამავალი საფეხურია იაფეტური ენებიდან სრულყოფილ ინდოევროპულ ენამდე. ეს არის ენები, რომლებიც ისტორიულად გამოეყო იაფეტურ ოჯახს, მაგრამ სრულ ინდოევროპეიზმს ვერ მიაღწია. თვით ყველაზე სრულყოფილ ინდოევროპულ ენებში არის ხელშეუხებელი, ასე ვთქვათ, რელიქტური იაფეტური შრე, რომელსაც ვერ შეეხო იაფეტური ენების ინდოევროპულად გარდაქმნის პროცესი“ (მარი 1933:185-186).

ინდოევროპული ენების იაფეტური ენებად გარდაქმნა გამოწვეულია გარეფაქტორებით. ნიკო მარის აზრით, იაფეტები იყვნენ მეტალურგები და საკუთარი ბუნებრივი რესურსების ამოწურვის შემდეგ ისინი მოძრაობენ მეტალების მოსაპოვებლად ისევე, როგორც მომთაბარეები ეძიებენ საძოვრებს. მეტალურგია, რომლის განვითარებისათვის აუცილებელია ცეცხლი, უნდა უკავშირდებოდეს მათ მთავარ საქმიანობას – მიწათმოქმედებას, ხოლო ცეცხლის აღმოჩენას მივყავართ კავკასიასთან (შდრ. ქართული და ძველი ბერძნული მითოლოგიის მონაცემები), რაც ნიკო მარისთვის სრულიად ბუნებრივი ჩანს, რადგან კავკასია არის იაფეტიდთა ინდოევროპელებად გარდაქმნის ადგილი. ენათა გარდაქმნა სხვადასხვაგვარად დასრულდა: ზოგი იაფეტური ენა სრულად გარდაიქმნა ინდოევროპულ ენად, თუმცა იყო ენები, რომლებიც გამოეყვნენ იაფეტური ოჯახის ისტორიამდელ მდგომარეობას, მაგრამ ვერ გახდნენ სრულად ინდოევროპული ენები. თვით ყველაზე სრულყოფილ ინდოევროპულ ენებში არის ნაკლებად შეცვლილი, ლამის რელიქტური იაფეტური შრე, რომელსაც არ შეხებია იაფეტურის ინდოევროპულად გარდაქმნის პროცესი (მარი 1920/1933:119-120). ეს ნაშრომი განსაკუთრებული ღირებულებისაა იმიტომ, რომ ენის გავრცელება უკავშირდება ტექნოლოგიურ მიღწევას, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორია ამ ტექნოლოგიის შემმუშავებელი ხალხის ძალაუფლების ზრდისთვის, რასაც თან სდევს მისი ენის გავრცელება. სწორედ ამ დასკვნის გამო შეეცვალა ნიკო მარს დამოკიდებულება ინდოევროპული ენების მიმართ: „ინდოევროპული ენები ყველა ავტორიტეტული მეცნიერის მიერ აღიარებული იყო და ახლაც არის მიჩნეული განსაკუთ-

რებულ, რასობრივ ფენომენად, მაგრამ ამჟამად იგი განიხილება როგორც იაფეტურ ენებთან, ისე სხვა განსაკუთრებულ რასასთან შეჯვარების პროდუქტი.

ძალიან მალე ენისა და აზროვნების ტრანსფორმაცია დაუკავშირდა კაცობრიობის სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ გადატრიალებას, რომელიც არ გამორიცხავდა შეჯვარებას და ყველა ენობრივმა ოჯახმა მიყოლებით დაკარა შარავანდედი, როგორც ინდოევროპულმა, ისე სემიტურმა და უგრო-ფინურმა. უძველეს პერიოდში ჩამოშორებული აღმოჩნდა ქამიტური ენებიც, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს იაფეტურ ენათა აფრიკულ ენებთან შეჯვარების საქმეში. გამოირკვა, რომ აფრიკული ენები იაფეტურთან უფრო ახლოა, ვიდრე ურალურ-ალათაური, ფინურ ენებს კი აღმოაჩნდათ ნათესაობა აზიის ენებთან, განსაკუთებით ოსტიაკურთან (მარი 1926ა:169-170).

მიუხედავად ენათა შერევის შესახებ მსგავსი იდეებისა, ნ. ტრუბეცკოი სიცოცხლის ბოლომდე საბჭოთა ენათმეცნიერების სამარცხვინო ლაქად მიიჩნევდა ნიკო მარს და ყოველნაირად ცდილობდა, მის თეორიას გავლენა არ მოეხდინა სხვა საბჭოთა ენათმეცნიერებზე, განსაკუთრებით კი მათზე, ვისაც თვითონ ნ. ტრუბეცკოი დიდად აფასებდა. მის დამოკიდებულებაზე თვალნათლივ მეტყველებს ნაწყვეტი იმ წერილიდან, რომელიც ტრუბეცკოიმ გაუგზავნა რომან იაკობსონს: „მარის სტატია[1] აჭარბებს ყველაფერს, რაც კი აქამდე დაუწერია, მაგრამ მისი „დაჭედება“ რეცენზიაში[2] შეუძლებელია. ჯერ ერთი, სად უნდა გამოვაქვეყნო და, მეორეც, ჩემი ღრმა რწმენით, მისი რეცენზირება იმდენად ენათმეცნიერის საქმე არ არის, რამდენადაც ფსიქიატრის. მართალია, მეცნიერების საუბედუროდ, მარი ჯერ კიდევ ისე არ გაგიჟებულა, რომ მისი გამოკეტვა ყვითელ სახლში შეიძლებოდეს, მაგრამ

[1] ნ. მარი, იაფეტური თეორიისათვის, ჟურნალი „ახალი აღმოსავლეთი“, 5, 1924:303-339.

[2] „ნიკოლოზ ტრუბეცკოი, რომელიც 1916 წლიდან გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა მარის ექსტრავაგანტური თეორიის გავრცელებას, სთხოვა რომან იაკობსონს, სააშკარაოზე გამოეტანა მისი თაღლითური პროექტები.“

ის რომ შეშლილია, ჩემი აზრით, აშკარაა... თვით სტატიის აგებულებაც კი აჩვენებს, რომ იგი გონებრივად დაავადებული ადამიანის დაწერილია. საშინელებაა, რომ ამას უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევს. თუ შეიძლება მომწერეთ, იაკოვლევის ახალი მისამართი. მინდა, ის წიგნი ვთხოვო, რომელზეც რეცენზია წავიკითხე „ახალ აღმოსავლეთში“. თან კიდევ ერთხელ ვეცდები, ჩამოვაშორო მარს“ (ტრუბეცკოი:1975/ 2004).

თანამედროვე ჩრდილოკავკასიური (განსაკუთრებით კი აღმოსავლეთკავკასიური) ენების ჰიპერტროფირებული ფლექსია, უეჭველად, უფრო გამჭირვალე, ეკონომიური და ხელსაყრელია, ვიდრე ურალურ-ალათურ ენათა აგებულება, რომელიც ეგრეთ წოდებულ აგლუტინაციას ეფუძნება. ამ საკითხში [ესე იგი იგი ენათა სხვადასხვა მორფოლოგიური ტიპის განვითარების შესახებ] ნიკო მარის ე. წ. „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“ არაფრით არ განსხვავდება ე. წ. „ბურჟუაზიული ენათმეცნიერებისაგან“. და თუ ფლექსიური წყობის ენებთან შედარებით აგლუტინაციური წყობის დიდი „პრიმიტიულობის“ მტკიცება შეიძლება მივაწეროთ „მსოფლიო იმპერიალიზმის სოციალურ დაკვეთას“, ნიკო მარისა და მისი მიმდევრების პირით თქმული ეს მოსაზრება არის ევროპული მეცნიერების წინაშე მონობის გამოვლენის ნაყოფი (თან ევროპული მეცნიერება აქ ძალიან ზედაპირულადაა ათვისებული). საქმე ის არის, რომ რამდენადაც ნ. ი. მარის თეორია არ იყო მხოლოდ გიჟის („პარანოიკის“) უბრალო ბოდვა (როგორც, მაგალითად, მისი მოძღვრება „ოთხი ელემენტის შესახებ“: ***ber, sal, ion da rosh***), ეს გახლდათ ევროპელი ლინგვისტების, თან არცთუ პირველი კლასის ლინგვისტების ძველ სწავლებათა უბრალო გამეორება. თვალისმომჭრელი რეკლამისა და სრულიად ხელოვნურად შექმნილი მარქსისტული ფრაზეოლოგიის (რომელიც ზოგჯერ აბსოლუტურად დაცლილია შინაარსისაგან) წყალობით მთელი ეს მანიაკური ბოდვის ნაზავი და სხვათა დახავსებული თეორიები მოწოდებული იყო როგორც ახალი, ჭეშმარიტად მარქსისტული მოძღვრება ენის შესახებ. საბჭოთა რეალობის პირობებში, სა-

დაც მავნებლობა ასე ხშირად ადის განმკარგულებლის სიმაღლეზე, ამ თეორიამ შეიძინა თავისებური მონოპოლიური უფლება. ამის შედეგად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარება დიდი ხნით შეჩერდა. საბჭოთა ენათმეცნიერება მთელი ცივილიზებული სამყაროს მასხრად ასაგდები გახდა და რაც ყველაზე ცუდია, დაკარგა კონტაქტი ნამდვილად პროგრესულ და რევოლუციურ მიმდინარეობებთან, რომლებმაც გზა გაიკაფეს ევროპისა და ამერიკის ენათმეცნიერებაში.“

ნ. ტრუბეცკოის გაუნელებელი ზიზღი მარის მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ ნ. მარმა „თავისი ბოდვით მარქსისტული ენათმეცნიერება შექმნა“. პატრიკ სერიო სწორად მიუთითებს, „მარი არ უჩიოდა ფანტაზიას და ბევრი სპეკულატიური დაუმტკიცებელი მსჯელობაც ჰქონდა, თუმცა ამაში სულაც არ აჭარბებდა არც რომანტიკოსებს და არც შლაიხერს. მაგრამ წარმოსახვას სხვებიც არ უჩივიან. ტრუბესკოისაც და მარსაც სძულდათ ევროპული ენათმეცნიერება, მაგრამ ამისთვის განსხვავებული მიზეზები ჰქონდათ. ევრაზიელები და მარისტები გადაჭრით უარყოფდნენ შლაიხერის მოდელს (ნატურალიზმს), თუმც უფრო შორს მიდიოდნენ – ეჭვის ქვეშ აყენებდნენ ენათა მრავალფეროვნების გენეტიკურ ახსნას *გენეალოგიური ხის* კლასიკური ფორმის გამოყენებით... ამხსნელი ფაქტორების ძიებისას ევრაზიული თეორიის მიმდევრები მივიდნენ *სივრცობრივ* ახსნასთან (მსგავსება კონტაქტის შედეგია), ხოლო მარისტებმა მსგავსება *დროის* ფაქტორით ახსნეს (მსგავსება წარმოიქმნება მსოფლიოს ყველა ენის ერთგვაროვანი განვითარებით ერთსა და იმავე ეტაპზე)... ევრაზიელები აღიარებდნენ რელატივიზმს და ამით უპირისპირდებოდნენ ერთი, დასავლური კულტურის ბატონობას. მათ სხვები, როგორც ასეთი, აინტერესებდათ, ოღონდ მხოლოდ ძალიან კონკრეტული სხვები: არარუსები ევრაზიაში. სხვა სხვები მათი ინტერესთა სფეროში არ ხვდებოდნენ. მარისტები უფრო ღიაობითა და გახსნილობით გამოირჩეოდნენ სხვებისადმი (რადგან თავიანთ

თავს „ჩვენ“-ად არ აღიქვამდნენ). მათ ჰყავდათ პრივილეგირებული სხვები: კავკასიელი მთიელები, არარუსები რუსეთში – ჩუვაშები, ბაშკირები, იაკუტიელები (სერიო 2015:246-255). ერთი და იმავე ენობრივი ფაქტების ახსნისას დროის ან სივრცის მახასიათებლების გამოყენება და ძირეული სხვაობა ხალხებისადმი დამოკიდებულებაში, მარის თეორიას უფრო ჰუმანურ მოძღვრებად წარმოგვიდგენს, ვიდრე პრაღელი სტრუქტურალისტების იმპერიალისტურ ევრაზიულ თეორიას.

ამ მხრივ საინტერესოა ფუძეენის დაწუნების მიზეზები ნიკო მარის მხრიდან. ამ საკითხს იგი ბევრ ნაშრომში განიხილავს. ჩვენ ერთ-ერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას. ერთიანი გლოტოგონიური პროცესი და ენათა დანათესავების ახსნა მოცემულია ნიკო მარის ცნობილ წერილში „პირინეის გურია“ (მარი 1927/1937ა), რომელშიც იგი ამტკიცებს ბასკური ენის იაფეტურ ენებთან გაერთიანების მიზეზებს და მსჯელობს იაფეტური თეორიის მეთოდზე: ერთიანი გლოტოგონიური პროცესი ნიკო მარს წარმოუდგენია, როგორც კაცობრიობის ბგერითი ენის შექმნის ერთიანი პროცესი. აფროაზიის, ავსტრალიისა და ამერიკის ხალხები მეტყველებენ მონათესავე ენებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ სხვადასხვა განზომილების „ნათესაობა“. იმედია, არ მომაწერენ ენების ერთი ფუძეენიდან წარმოქმნის იდეას. მე არ ვეთანხმები მოსაზრებას არა მხოლოდ კონკრეტული ენების საერთო ფუძეენის თაობაზე, არამედ ფუძეენის ასეთ ბავშვურ, გამარტივებულ გაგებას. მე ვეწინააღმდეგები როგორც ე.წ. ინდოევროპული, სემიტური ან ინდოევროპულის ფარგლებში უფრო მცირე ჯგუფების ფუძეენებს – სლავურს, გერმანულს, რომანულს. მხოლოდ მატერიალურ რეალობას მოწყვეტილ აზრს შეუძლია დაუშვას, რომ რუსულის ნათესაობა გერმანულთან მომდინარეობს საერთო ფუძეენიდან ან რომ რუსულს, ჩეხურსა და პოლონურს ან ფრანგულსა და ესპანურს საერთო წარმომავლობა აქვთ და მათ აერთიანებს რომანული და სლავური ფუძენები ან ინდოევროპული ფუძეენა. ეს გაუგებრობა უკავშირდება დღევანდლამდე გაბატონებულ, მაგრამ მოძვე-

ლებულ ენობრივ თეორიას, რომელიც დღესაც ყველგან, განათლების ყველა საფეხურზე ყველა ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც კი ისწავლება. ამ თეორიას ახასიათებს ენათა რასობრივი დაყოფა, რადგან ენათა ყველა დიდ ჯგუფს აქვს თავისი ფუძე სამშობლო და ფუძე ენა, სხვა ენების ფუძე სამშობლოსა და ფუძე ენისაგან დამოუკიდებლად. ენათმეცნიერი რაც უფრო ღრმად ჭრის ასეთ ჭას, მით უფრო მეტად შორდება რეალობას. ეს არის ადამიანის მეტყველებისადმი იზოლაციური მიდგომა, რადგან რასობრივი, ტომობრივი და ნაციონალური დაყოფა გვიანდელი მოვლენაა. მხოლოდ მთელი კაცობრიობისათვის საერთო მასალის საფუძველზე შეიძლება ავაგოთ მოძღვრება ბგერით მეტყველებაზე. სწორედ ეს აინტერესებს იაფეტურ თეორიას“ (მარი 1927/1937ა:3-4).

მ. ბაბუხადია სწორად მიუთითებს, რომ ისტორიულ-შედარებით მეთოდში ეჭვის შეტანა გამოიწვია ენათმეცნიერების უძლურებამ, აეხსნა ენის მდგომარეობა, მაგალითად, 40-50 ათასი წლის წინ, იმ გარდასულ ეპოქებში, როცა ენებს შორის ფონეტიკური შესატყვისობები არ არსებობდა – ასეთი შესატყვისობები ან მოგვიანო პერიოდში ჩამოყალიბდა ან მრავალი ენისთვის ამგვარი რამ არც კი გამომუშავებულა. მაგრამ ნიკო მარს ეჭვი მხოლოდ ისტორიულ-შედარებით მეთოდში კი არ შეჰპარვია, მას ეჭვი საკუთარ თეორიაშიც ეპარებოდა: „რა არის ეს? სადაც გაიხედავ, ყველაგან იაფეტიდები?! იაფეტიდი იაფეტიდზე ზის და იაფეტიდს მიაჭენებს! („Яфетид на яфетида сидит и яфетидом погоняет!“) (ბაბუხადია 2005:48-557, აგრეთვე 101-104). საზოგადოებას სწორედ ეს აინტერესებდა. ნიკო მარი ძალიან პოპულარული ლექტორი იყო. თურმე ხშირად გაიგონებდით მარის ლექციის შემდეგ: „ბოლომდე გასაგები არ არის, მაგრამ ძალიან საინტერესოა„ („Не очень понятно, но очень интересно“, აბაევი 1988:22). მარის იდეებს ეწაფებოდნენ ფართო წრეების ინტელექტუალები. პოეტი ვალერი ბრიუსოვი წერდა:

„От дней Атлантиды
Несут откровенья до нас яфетиды.“

ნ. მარი მარტო არ იყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის კრიტიკისას. მისი ერთ-ერთი მხარდამჭერი ამ საქმეში გახლდათ კიტა მეგრელიძე, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ევროპული კვლევების შედეგად ვიღებთ არა ადამიანს, არამედ „ადამიანის მანეკენს“, რომელიც მხოლოდ ჰგავს ნამდვილ ადამიანს“ (კ. მეგრელიძე 1973:12).

ნიკო მარის თეორია ერთიან გლოტოგონიურ პროცესზე არ აღმოცენებულა ცარიელ ნიადაგზე. როგორც კვლევები აჩვენებს, ენის დიფუზური მდგომარეობის დროს ადამიანის აზროვნების მითიურობის იდეას ავითარებდა პოზიტივისტი ფილოსოფოსი, ლუსიენ ლევი-ბრიულიც, ოგუსტ კონტის მოწაფე. იგი ამტკიცებდა, რომ აზროვნების ძალიან ადრეულ ფორმებს განსაზღვრავდა „მონაწილეობის კანონი“. ამ კანონის მიხედვით, პირველყოფილ საზოგადოებაში გაზიარებული კონცეფციები იმართება გრძნობით და სხეულის მოძრაობით. მარის შრომებში პრიმიტიული საზოგადოების ენის დიფუზური მდგომარეობა გამოიხატება შესაბამისი სემანტიკური ერთეულებითა და სინტაქსური კონსტრუქციებით. როგორც კრეიგ ბრენდისტი ამტკიცებს, ეს იდეები მარმა განავითარა ჰერბერტ სპენსერის ნაშრომების გადამუშავებით. იგი თავად აღიარებდა სპენსერის გავლენას მის ინტელექტუალურ განვითარებაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ ენის ადრეული ფორმების პრიმიტიული „განსაზღვრულობა“ და მისი კორელაცია აზროვნების ფორმებთან. სპენსერის გავლენა მარზე სპეციალურად ჯერ არავის შეუსწავლია, მაგრამ ამ საკითხში ჩაღრმავება ბევრ საინტერესო დასკვნას გვპირდება. ასევე არ არის გამოკვლეული შოტლანდიელი მოაზროვნის სამუელ სმაილის გავლენა მარის იდეებზე. თვითონ მარი წერს, რომ სამუელ სმაილმა დიდი გავლენა მოახდინა მასზე.

ადრეული ადამიანის მითიური აზროვნების იდეა და მარის მეთოდი მითისა და ფოლკლორის სემანტიკის თაობაზე ძალიან კარგ შედეგებს აჩვენებს ლიტერატურამცოდნეობაში. ამის მაგალითად კრეიგ ბრენდისტი ასახელებს ნიკო

მარის პერიოდის მკვლევრებს: ფრანკ-კამენეცკი მარის თეორიაში ხედავდა ბიბლიური კვლევების განზოგადების საშუალებას, რომელიც რელიგიისა და ნარატიული ლიტერატურის განვითარების ზოგად თეორიამდე შეიძლებოდა მისულიყო. ასევე, მარის ერთიანი გლოტოგონიური პროცესის იდეამ ახალი ამოცანები დააყენა მეტაფორისა და სიუჟეტის მკვლევართა წინაშე. სწორედ ამ თეორიაზე, კერძოდ კი, მარის სემანტიკურ პალეონტოლოგიაზე დაყრდნობით შეიქმნა ფრანკ-კამენეცკი სტატია პოეტური მეტაფორის განვითარებაზე (ფრანკ-კამენეცკი 1935:5-145) და ფრეიდერბერგის სადისერტაციო ნაშრომი სიუჟეტისა და ჟანრის პოეტიკაზე (ფრეიდერბერგი 1936). ფორმალისტთა მხარდამჭერი ჟირმუნსკი ამტკიცებდა, რომ მარის ერთიანი გლოტოგონიური პროცესის თეორია იყო საბჭოთა სამეცნიერო აზრის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა (ჟირმუნსკი 1936:383).

ადრეული ადამიანი იყო ჰარმონიულ დამოკიდებულებაში საკუთარ თავთან, ბუნებასა და გარშემო მყოფებთან. მარის მიხედვით, ეს სოციალური და იდეოლოგიური ჰარმონია დაარღვია ეკონომიკის ადრეულმა ფორმებმა. თანამედროვე ადამიანის მიზანია თვითშეგნებისა და რაციონალურ დონეზე აღადგინოს ის ერთიანობა, რომელიც ადამიანს ბუნებისგან მიეცა ინტუიციურ დონეზე (ბრენდისტი 2016:26-31). ნიკო მარის პალეონტოლოგიური სემანტიკა შედეგიანი იყო ლიტმცოდნეობასა და ფოლკლორში. კ. ბრენდისტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიკო მარის ანტიინდოევროპეისტულ გამოსვლებს, რომლებიც, მისი აზრით, სულაც არ უნდა შეფასდეს როგორც გიჟის საქციელი, არამედ სერიოზული მიზეზებით განპირობებული გადაწყვეტილება. კერძოდ, ეს უნდა აღვიქვათ ინდოეროპული თეორიის მომხრე მეცნიერების მხრიდან იმპერიალიზმის გამოვლენად, განსაკუთრებით კი მარისთვის მშობლიური კავკასიის მიმართ. ინდოევროპეისტმა ფილოლოგებმა კავკასია ინდოევროპული ენების თავდაპირველ სამშობლოდ გამოაცხადეს ადგილობრივი ხალხებისა და ენების მარგინალიზებისა და ევროპის უპირატესობის მტკიცების ფონზე. გერმანელ მეცნიერთა, შეიძლება ითქვას,

შემოსევა კავკასიური კვლევების მიმართულებით მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში დაემსგავსა გერმანელთა სამხედრო შეტევას ამავე რეგიონში, რამაც კიდეც გატეხა რუსეთის იმპერიის სიძლიერე (ტოლცი 2011:91). ამიტომ უყურებდნენ საბჭოთა კავშირში ინდოევროპეისტულ ფილოლოგიას როგორც ტროას ცხენს და მის მიმდევრებს კი მეხუთე კოლონად აღიქვამდნენ. ამან გახადა ნიკო მარის იდეები 1930-იან წლებში სტალინის რეჟიმისთვის ძალიან გამოსადეგი (ბრენდისტი 2018). მაგრამ იმპერიალიზმი ვერ დაბრალდება თვით ისტორიულ-შედარებით მეთოდს, რომლითაც დადგინდა ინდოევროპულ ენათა ნათესაობა და შემდეგ იგივე მეთოდი გამოყენებულ იქნა სხვა ენობრივი ოჯახების დასადგენად, რითაც გამოჩნდა მისი უნივერსალურობა. საბჭოეთის პირველ პერიოდში ევგენი პოლივანოვი იყო სწორედ ისეთი ენათმეცნიერის მაგალითი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავდა ენათა ნათესაობის დადგენისას მეცნიერული სიზუსტისათვის მკაცრი მეთოდის გამოყენებასა და ამ მეთოდით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ახალ ინტერპრეტაციებს, განზოგადებებსა და კონცეპტუალიზაციას.

ნიკო მარისთვის კულტურა ერთიანია და მისი დაყოფა ნაციონალური წარმოშობის მიხედვით სწორი არ არის. „არ არსებობს წარმოშობის თვალსაზრისით ცალკეული ტომის კულტურა, არამედ არსებობს ამა თუ იმ განვითარების სტადიაზე მყოფი კაცობრიობის კულტურა, რომელიც დღეს ნაწილობრივ შემოუნახავთ კულტურული თვალსაზრისით სხვებისგან ჩამორჩენილ ტომებს. თვითონ კულტურა ერთიანია წარმოშობის თვალსაზრისით და ყველა მისი სახესხვაობა არის შემოქმედების ერთიანი პროცესის სხვადასხვა საფეხური. განვითარების ყოველი სტადია კულტურის ქმნადობას სძენს თავისებურ გაფორმებას და თავისებურ ელფერს იღებს ცალკეულ კულტურულ რაიონებში, ე. წ. „გეოეთნიკურ“ ერთეულებში (მარი 1927).

კულტურა ერთიანია, მაგრამ ენა კლასობრივად არის დეტერმინირებული მარისთვის. ამის გამო მისთვის უფრო ადვილია საერთო იპოვოს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, მაგ-

რამ ერთი კლასის წარმომადგენელ ადამიანებში, ვიდრე მონათესავე ენებს შორის. მისთვის ენები იყოფა კლასობრივი ნიშნით და არა ეროვნული ნიშნით. ენათა ტიპების ცვალებადობა და ამ ენებთან დაკავშირებული სოციოლინგვისტური საკითხები ნიკო მარისთვის ერთიანია. მაგალითად, მისი აზრით, ქართული ერთი ენა კი არ არის, არამედ ორია: ფეოდალური, ძველი სალიტერატურო და მასობრივი, უფრო ზუსტად ასეთად ქცეული ხალხური, რომელიც ურთიერთობის ძირითადი ენა გახდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა შუა საუკუნეებში საქართველოს ქალაქებში წვრილბურჟუაზიული ფენა და ელიტა. ეს ენები ერთმანეთს ენაცვლებიან. ენა კვდება მასზე მოლაპარაკე კლასთან ერთად. როცა ერთი კლასი მეორე კლასით იცვლება, ერთ ენას მეორე ენაცვლება. სწორედ ასე მოკვდა ძველი ქართული მასზე მეტყველ ძველ ელიტასთან ერთად, რომლის ადგილი დაიკავა წვრილბურჟუაზიულმა ელიტამ. რადგან ნიკო მარი ფიქრობდა, რომ ელიტის ენა წყვეტს ენის სოციალურ სიცოცხლისუნარიანობას, ამიტომ აღარც უკვირს, რომ მეგრულს გაფუჭებულ (ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით თუ ვიტყვით, „წამხდარ“, -თ. ბ.) ქართულს უწოდებდნენ, რაც ასახავს კონკრეტულ საზოგადოებრივ აზრს. მეგრულს, ასეთ დახასიათებამდე დიდი ხნით ადრე, მხოლოდ გლეხები იყენებდნენ, თვით მარგალ კოჩს - „მეგრელ კაცს“ სამეგრელოში „გლეხის“ მნიშვნელობა ჰქონდა. სოციალური მიმართებები, მარის აზრით, აისახება ენაში. ამის მაგალითად ერთმანეთს ადარებს ორი ქართული ენის მრავლობითი რიცხვის წარმოებას: ძველი ქართული: ნ-ი, ხალხური: ებ-ი.

აგლუტინაციური ძველქართული		**თითქმის ფლექსიური ვულგარული (ანუ ხალხური, თ.ბ.)**
სახ.	-ებ-ი	კაც-ნ-ი
ნათ.	-ებ-ის	
მიც.	-ებ-ს(ა)	კაც-თ(ა)

მიც. II	-ებ-მ(ან)	
მოქმ.	-ებ-ით	
მიმართ.	-ებ-ად	კაც-თა-მიერ

ამას გარდა, ნ. მარი კიდევ ბევრ მაგალითს ასახელებს ძველი და ახალი ქართულიდან, ასევე ძველი და ახალი სომხურიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ ენის მორფოლოგიური ტიპი ასახავს ამ ენაზე მეტყველი საზოგადოების მდგომარეობას და რომ სოციალური ცვლილებები ენის მორფოლოგიის ცვლილებით სრულდება. ელიტის შეცვლა იწვევს ახალ ენაზე გადასვლას, რომელსაც განსხვავებული მორფოლოგიური მახასიათებლები აქვს, მაგრამ თუ მაინც შეინიშნება რაიმე საერთო, ესეც სოციალური ფაქტორებით უნდა აიხსნას. მაგალითად, საერთო ლექსიკური ერთეულების არსებობა ძველ და ახალ ქართულში, მთლიანად საეკლესიო ლიტურგიის ენის დამსახურებაა, რომელსაც იყენებდნენ ფეოდალები და ამ ენაზე ქმნიდნენ ლიტერატურას. ძველი და ახალი ქართულისთვის საზიარო ლექსიკად თვლის ნიკო მარი შემდეგ მაგალითებს:

ძველქართული (ფეოდალთა ენა)	**ხალხური (წვრილბურჟუაზიული და ვულგარული)**
მხოლო	ერთად ერთ-ი
ხოლო	მარტო
არამედ	ენკლიტიკა: კი
თხემ	თავ
რაჲთა → რათა	რომ
ვითარ	როგორ
ვითარცა	რავარც, როგორც
ვითარცა	როცა
ოდეს	როდესაც
იხილა	დაინახა (მარი 1936:123-124).

რა თქმა უნდა, სადავო არ არის, რომ სოციალური ფაქტორები გავლენას ახდენენ ენაზე, მაგრამ მორფოლოგიური

ტიპის შეცვლისთვის მხოლოდ ელიტის შეცვლა საკმარისი ვერ იქნება, თუ ეს ელიტა სრულიად სხვა ენაზე არ მეტყველებს და მისი წარმოშობა მხოლოდ პოლიტიკური დაპყრობის შედეგი არ არის. ასეთ შემთხვევებში იწყება ენათა შერევისა და შეჯვარების ტოტალური პროცესი, რომლისთვის დროის მცირე მონაკვეთი უმეტესად საკმარისი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ განვიხილეთ ნიკო მარის იაფეტური თეორიის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, ეს მაინც არ არის საკმარისი ამ თეორიის გასაგებად. ჩვენ ვართ მკითხველის ფონური ცოდნის იმედზე, რადგან ნიკო მარის თეორიის დაწვრილებითი ანალიზი შეუძლებელია ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობის ფარგლებში. ერთადერთი საკიხი, რომელსაც არ შევეხეთ, ეს არის კაცობრიობის ენობრივი მომავლის ხედვა იაფეტური თეორიის ფარგლებში, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდება წიგნის მომდევნო ნაწილებში.

თავი II.
იაფეტური თეორია საქართველოში

§1. ნიკო მარი და ტფილისის უნივერსიტეტი

პეტერბურგის უნივერსიტეტში ნიკო მარის ქართველ სტუდენტთა ერთმა ნაწილმა მიზნად დაისახა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება. მათი ლიდერი იყო ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარის საყვარელი სტუდენტი და შემდეგ მისი თანამშრომელი. კაკი შანიძე იგონებს: „ივანე ჯავახიშვილი დიდ ხანს ემზადებოდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის შესაქმნელად. ჯერ კიდევ 1907 წელს მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე დააარსა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“, რომლის სხდომებზე სტუდენტები მოხსენებებს ქართულად კითხულობდნენ და ეჩვეოდნენ, ერთი მხრით, სამეცნიერო საკითხების კვლევა-ძიებას და, მეორე მხრით, გამართულ სჯა-ბაასსა და კამათს ქართულ ენაზე“. როგორც აკაკი შანიძე წერს, ქართულ ენაზე სამეცნიერო თემების განხილვა არ იყო ადვილი საქმე ტერმინოლოგიის უქონლობის გამო. „თვითონ ივანე ჯავახიშვილი ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ზოგჯერ ქართულად კითხულობდა, სემინარებში მუშაობა ხშირად ქართულად მიჰყავდა – იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მსმენელთა შედგენილობა (ესმოდა ყველას ქართული, თუ არა). საკვირველი ამბავია, მარამ ეს უეჭველი ფაქტია“. შეუძლებელია ამ სამეცნიერო წრის მუშაობა არ სცოდნოდა ნიკო მარს, რომელიც ამაყობდა ივანე ჯავახიშვილით. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი სტუდენტების ჩანაფიქრი ნ. მარმა ყურმოკვრით მაინც იცოდა. სწორედ უნივერსიტეტის შექმნისთვის მზადება იყო ამ სამეცნიერო წრის მიერ გამოცემული სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიის მიზანი. წრემ სპეციალური ანკეტით მოძებნა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში ქართველი სტუდენტები და შეისწავლა მათი სა-

მეცნიერო ინტერესები, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის დროისთვის ადვილი ყოფილიყო საჭირო კადრების მოძიება (შანიძე 1968:118).

ჯერ კიდევ 1907 წელს დაწყებული მზადება დიდი და მძიმე სამუშაოების შესრულებისა და ბევრი ფინანსური დაბრკოლების გადალახვის შემდეგ 1918 წელს დაგვირგვინდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის შექმნით. უნივერსიტეტის დამაარსებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ნიკო მარის ნასტუდენტარი იყო: ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, გიორგი ახვლედიანი. როგორც ა. შანიძე წერს, ტფილისის უნივერსიტეტი სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტის პირმშოა. ნიკო მარს ქართული უნივერსიტეტის გახსნა არ გახარებია ორი მთავარი მიზეზის გამო: მის სამეცნიერო სკოლას დაშლის საფრთხე ემუქრებოდა და იაფეტურ თეორიას ინსტიტუციური ოპოზიცია ექმნებოდა.

ნიკო მარსა და მის მოწაფეებს შორის დაპირისპირება სწორედ იმის გამო დაიწყო, რომ ცნობილმა მეცნიერმა მხარი არ დაუჭირა ტფილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსებას, რაც დაუფარავად გამოჩნდა უმაღლესი სკოლის რეფორმების კომისიისადმი მიწერილ წერილში. ეს კომისია განიხილავდა ტფილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხს. მარის წერილი გამოქვეყნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაცნეში (მარი 1918). გასაოცარი ისაა, რომ თვითონ კომისია მხარს უჭერდა უნივერსიტეტის გახსნას. ასეთ ფონზე გასწია წინააღმდეგობა ნიკო მარმა, რომელიც ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად იშველიებდა იმას, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ახალგაზრდა საქართველო ანგარიშს უსწორებდა განახლებულ რუსეთს. „თუ გვინდა მისი [ახალი რუსეთის, - თ.ბ.] შენება, რუსეთის ცხოვრებაც ნამდვილად ახალ, თავისუფალ საწყისებზე დგას და არ უნდა ჩავახშოთ მასში ახალი თავისუფალი სული ძველი, ყოველივე ცოცხალის ჩამხშობი წინა რეჟიმის გამო“ (მარი 1918).

აკაკი შანიძე იხსენებს იმ დროს, როცა პეტერბურგში ჩავიდა უნივერსიტეტის გახსნაზე თანხმობის მისაღებად. მან ნ. მარიც მოინახულა. „ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და მერე, წასვლა რომ დავაპირეთ, გამოგვყვა და კართან მოგვიხდა კამათი. მე ვამტკიცებდი, რომ თბილისის უნივერსიტეტის გახსნა აუცილებელია, საჭიროა. შემდეგ კი ერთმანეთს დავშორდით. ერთი კი ვუთხარი: ჩვენ ამ საკითხში ვერ შევთანხმდებით-მეთქი! ... მარს არ სიამოვნებდა, რომ მისი სკოლა დაიშალა პეტერბურგში. მაშინ ის ვერ გრძნოდა, რა მოჰყვებოდა რევოლუციას და ამიტომ არაა გასაკვირი მისი პოზიცია ამ საკითხში (შანიძე 1988:16-18). ნიკო მარი არსად არ წერდა მისი წყენის ნამდვილ მიზეზს. ყველგან ხაზს უსვამდა, რომ ქართული უნივერსიტეტის შექმნის გადაწყვეტილება წარმოიქმნა არა სამეცნიერო მიზნების, არამედ „ავადმყოფური ნაციონალიზმის“ ფონზე, რომ საქართველო მზად არ იყო ასეთი კვლევებისთვის.

სწორედ ქართული უნივერსიტეტის შექმნასთან დაპირისპირებამ გააფუჭა ურთიერთობა მარსა და მის მოწაფეს, ივანე ჯავახიშვილს შორის, თორემ იქამდე, ჯავახიშვილი ნამდვილად გრძნობდა, როგორც თვითონ წერს, „სულიერ კავშირს თავის მასწავლებელთან“ და ყოველმხრივ იცავდა ისეთი ქართველი მოღვაწეების თავდასხმებისაგან, რომლებსაც ხშირად აშფოთებდათ მარის ზოგიერთი მოსაზრება. მათი აზრით, ნ. მარი ჩრდილს აყენებდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას. ივანე ჯავახიშვილმა არ დაინდო ისეთი ცნობილი მოღვაწეც კი, როგორიც იაკობ გოგებაშვილი იყო და დაიცვა ნიკო მარი, რაც უნდა აიხსნას არა მხოლოდ მოძღვრის სიყვარულით, არამედ უფროსი თაობის ქართველ ინტელექტუალთა არასწორი დამოკიდებულებით იმპერიისგან თავსმოხვეული პრობლემების გადასაჭრელად. მან სპეციალურ ნაშრომში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ერთმანეთს დაუკავშირა ეს ორი პრობლემა. „საზოგადოებაში ცრუ აზრი ვრცელდება, ვითომც საჭიროა მხოლოდ „ადვოკატურ

გამოსარჩლებით“ ჩვენმა მეცნიერებმა რუსეთის მთავრობას და ხალხს დაუმტკიცონ, რომ ქართველები ნიჭიერები არიან, საუცხოვო კულტურა ჰქონდათ ოდესღაც, რომ საქმე გაიჩარხოს და გვითხრან, მოგვინიჭებია ყველა უფლებაო. ამნაირად საზოგადოება წყალობის მოლოდინს ეჩვევა და ამის გამო თვითონ, როგორც მომლოდინეს შეეფერება, არას აკეთებს. ჩვენში ერთობ ძალიან არის გავრცელებული ეს „მოიღეთ მოწყალების“ პოლიტიკა (ჯავახიშვილი 1904:5-6). ქართული საზოგადოების ერთ ნაწილი სულ უფრო მძაფრად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ნიკო მარის სამეცნიერო იმ შრომებზე, რომლებშიც სომხური და სპარსული კულტურის გავლენას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ეს იყო სინამდვილეში. ასეთ მიუტევებელ ნაბიჯებად ეთვლებოდა ნიკო მარს, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული წარმომავლობის იდეა, რამდენიმე მოსაზრება „სიბრძნე სიცრუისას შესახებ“ და სხვა ამგვარი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნიკო მარს ახასიათებდა მოსაზრებათა სწრაფი ცვალებადობა და ეს სულაც არ მიაჩნდა სათაკილო საქმედ. მაგალითად, მან შეიცვალა აზრი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზეც და უკან წაიღო ადრინდელი დასკვნა, რომ ეს პოემა ვერ იხსნება როგორც ქართული სასულიერო მწერლობის ბუნებრივი გაგრძელება (ბოლქვაძე 2016ა).

მარის მოსაზრებამ ვეფხისტყაოსანზე 1899 წელს განარისხა ილია ჭავჭავაძე, რომელიც „ქვათა ღაღადში“წერდა: „რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუგინოს მისის სამართლიანად სახელოვანი კაცი... რა საკადრისია! კიდევ ვიტყვით: ამის საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა, მართალს წინ რაღა დაუდგებოდა! (ჭავჭავაძე 1958:123). მარმა აზრი შეიცვალა ვეფხისტყაოსანზე, იგი შემდეგ ამტკიცებდა, რომ ეს ჭეშმარიტად ეროვნული, ორიგინალური ქმნილება იყო, მაგრამ როგორც ალ. ღლონტი წერს, „სპარსული დედ-

ნის“ ამაო ძებნა მას მაინც არ აპატიეს (ღლონტი 1998:8). მეცნიერების მიმართ საზოგადოების ასეთი დამოკიდებულებით გულდაწყვეტილი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს საზოგადოებაში ბევრი უცნაური ჭორებია გავრცელებული ამ ნიჭიერ და დიდბუნებოვან მეცნიერზე... ბ-ნი გოგებაშვილი ამ ჭორების ხმას აჰვა და თავის წიგნში ამგვარ ცილისწამებას თავი მოუყარა ერთად... ყველა ჭორები და ცილისწამება სრულს უვიცობასა და გაუგებრობაზეა დაფუძნებული“. ივანე ჯავახიშვილი ეთანხმებოდა ნიკო მარის პრინციპს, რომ სამშობლოს სიყვარული მოღვაწეს ამშვენებს, ხოლო მეცნიერს სიფრთხილე მართებს, რომ გადამეტებულმა პატრიოტულმა გრძნობამ სამეცნიერო პირუთვნელობა არ დაარღვიოს. „ამ გვარი შეცდომების მიზეზი უცოდინრობა კი არაა, არამედ ის გარემოება, რომ სამეცნიერო გამოკვლევის წერის დროს პატრიოტული გრძნობებით ხელმძღვანელობენ“. რამდენად მაღალი აზი ჰქონდა ივანე ჯავახიშვილს თავის მოძღვარზე ჩანს ამ წერილის ბოლო მონაკვეთიდანაც: „ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას კრიტიკის ეშინიან და ყოველგან მტრები ელანდება. განა ამ ნაირმავე გარემოებამ არ ათქმევინა ჩვენს ნიჭიერ მგოსანს ი. ჭავჭავაძეს ეს საუცხოვო ტაეპი:

„ჩემზედ ამბობენ ის სიავეს ქართლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია...“

განა ახლა-კი არ შეუძლიან საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერს, პრ. მარრს მაგალითად, ზემომოყვანილი ტაეპი გაიმეოროს? ოღონდაც რომ შეუძლიან! მაგრამ მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება თვითვე დაინახავს, ვინ იდგა „უკუღმართობის გზაზე“ პრ. მარრი, თუ მისი მოწინააღმდეგენი...“ (ჯავახიშვილი1904: 20, 36, 52). რა თქმა უნდა, ნიკო მარს განსაკუთრებული დამსახურება მუძღვის ქართული ფილოლოგიის საქმეში. ამას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ მარის მტრებიც კი, მაგრამ ისე განვითარდა მოვლენები, რომ მოძღვარმა ნიკო მარმა ჯავახიშვილი და ქართული უნივერსიტე-

ტის დამფუძნებლები სწორედ ბრმა ნაციონალიზმსა და შოვინიზმში დაადანაშაულა (ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის დაპირისპირების შესახებ დაწვრილებით იხ. ფუტკარაძე, ვაშაკიძე 2011).

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მესამე სართულის კედელზე საარქივო ფოტო- და ტექსტური მასალით აღდგენილია ის გზა, რომელიც გაიარეს უნივერსიტეტის დამაარსებლებმა უნივერსიტეტის გახსნამდე. ერთი სტენდი ეძღვნება ნიკო მარს, რომელიც აჩვენებს მის უარყოფით დამოკიდებულებას ქართული უნივერსიტეტის გახსნის მიმართ. სტენდზე დატანილია ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის წერილებიდან ნაწყვეტები, რომლებიც ნათლად აჩვენებს, რა მძიმე დაპირისპირება იყო მათ შორის: „თბილისის რუსულენოვანმა გაზეთმა „რესპუბლიკამ“ დაბეჭდა ნ. მარის წერილი „უნივერსიტეტის გარეშე კავკასიის მომავალი საფრთხეშია“. მან მოითხოვა თბილისში რუსულენოვანი საერთო კავკასიური უნივერსიტეტის დაარსება. ამ წერილის პათოსი ავტორმა მოგვიანებით ასე გამოთქვა: „თვით კავკასიის ხალხთა ღრმა სულიერი ინტერესები მოითხოვს სწორედ კულტურული ორიენტაციის შენარჩუნებას რუსეთის მიხედვით... ამ თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი იარაღია უნივერსიტეტი.“ მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილმა ყოფილ მასწავლებელს ასე უპასუხა: „არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატეხად და ჩასაშლელად... დაე, ჩვენმა მეცნიერულმა მუშაობამ დაანახოს ყველას და პირუთვნელმა ისტორიამ დასდოს თავისი თვალუხვამი მსჯავრი, თქვენ თუ თქვენგან ათვალისწუნებული ტფილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი არიან მტყუანნი.“ აშკარაა, რომ სულიერი სიახლოვე ყოფილ მოძღვარსა და დასამოძღვრს შორის მთლიანად გამქრალა. 1904 წელს ქართულ საზოგადოებას უკმაყოფილოდ მიმართავდა ივანე ჯავახიშ-

ვილი: „მოვა დრო და ჩვენი საზოგადოება თვითვე დაინახავს, ვინ იდგა „უკუღმართობის გზაზე“ პრ. მარრი, თუ მისი მოწინააღმდეგენი“, თვრამეტი წლის შემდეგ კი იმის გარკვევა მოუხდა, ვინ იყო მართალი – ნიკო მარი თუ „მისგან ათვალისწუნებული ტფილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი.“

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იმავე ბრალდებას უყენებდნენ თბილისის უნივერსიტეტს, რასაც ნიკო მარი წერდა, რომ ეს იყო შოვინისტური იდეოლოგიაზე დაფუძნებული უმაღლესი დაწესებულება. 1922 წლის 20 ივნისს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას უნდა გადასცემოდა ის სამუზეუმო და საარქივო კოლექციები, რომლებიც სხვადასხვა გზით იყო შესული მეფის მთავრობის დროს და ინახებოდა რუსეთის საცავებში. ეს გადაწყვეტილება არ მოსწონდათ რუს მეცნიერებს, მაგრამ განსაკუთრებულად აღშფოთდა ნიკო მარი. იგი წერდა: „მე გამოუთქმელი აღშფოთებით ვაცხადებ პროტესტს უგუნური ნგრევის წინააღმდეგ. უგუნურებაა, როცა ვარაუდობენ, რომ ეს საქმე ძალდატანებით გადაიტანონ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ ნიადაგზე, რომელიც უნაყოფოა მეცნიერული შემოქმედებისათვის მოცემულ მომენტში უმდაბლესი ზოოლოგიური ნაციონალისტური გრძნობების ბატონობის გამო“ (ამირანაშვილი 1978:5-6). ქართველ მეცნიერებს კი თავისი სიმართლე ჰქონდათ. „ერთად უნდა მოიყაროს თავი იმ ქართულმა ხელნაწერებმა და ნივთებმა, რომლებიც დასამუშავებელია, ეს იმდენად ნათელია, ნუთუ სამეცნიერო ეგოიზმს (რომ არა ვთქვათ სამეცნიერო იმპერიალიზმს) შეუძლია მეცნიერების წარმომადგენელს უკარნახოს საწინააღმდეგო“ (შათირიშვილი 2013:644). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შეიძლება უფრო მშვიდი მიმოწერის ამსახველი დოკუმენტების ნახვაც, მაგალითად, კორნელი კეკლიძის წერილი ამ საკითხზე ნიკო მარისადმი, რომელიც უფრო გამონაკლისს ჰგავს. ფაქტია, რომ ბევრი ქართული ხელნაწერი, რომელიც პეტერბურგში ნიკო მარის

სამეცნიერო მუშაობისთვის დატოვეს, ჯერაც არ დაბრუნებია საქართველოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკო მარის ოფიციალური წერილების მიხედვით, ყოფილ ქართველ სტუდენტებს შოვინიზმის გამო ემდურებოდა. რეალურად კი ეს იყო იაფეტური თეორიის დაუცველობის შიში. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა მარჩელო ჩერჩისა და პოლ მენინგის ერთობლივი ნაშრომი ნიკო მარისა და მისი ქართველი სტუდენტების შესახებ. ამ დაპირისპირებას ავტორები „კავკასიურ სქიზმას“ უწოდებენ. ნ. მარისა და მისი ქართველი სტუდენტებისა და კოლეგების ურთიერთობაში ისინი რამდენიმე ფაზას გამოყოფენ (ჩერჩი, მენინგი 2002:12-14):

(1) ნ. მარი ინდო-ევროპული კომპარატივიზმის თეორიული, ემპირიული და პოლიტიკური ასპექტების უარყოფით შეფასებას უზიარებს თავის პირველ სტუდენტსა და ახლობელ კოლეგას, შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლსა და ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელს, ივანე ჯავახიშვილს. ორივე ნაზიარები იყო ევროპულ მეცნიერულ ტრადიციებს. ისინი ერთობლივად სახავდნენ სამეცნიერო პრობლემებს, მაგრამ მისი გადაწყვეტა სხვადასხვაგვარად ესმოდათ.

(2) ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი, როგორც უცხოეთში განსწავლული „შვილების“ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, მეცნიერულად დაუპირისპირდნენ ქართველ ინტელექტუალთა უფროსი თაობის „ადვოკატურ პატრიოტიზმს“ (იხ. ზემოთ).

(3) მესამე ეტაპზე ნიკო მარი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ენა მოეცვა მის მიერ ნავარაუდევ სულ უფრო მზარდ ოჯახში. იგი გასცდა კავკასიის და კავკასიოლოგიის ფარგლებს. ჯავახიშვილის დაფუძნებული კავკასიოლოგია კი მიზნად ისახავდა გამოევლინა ყველა ის ნიშანი, რომელიც კავკასიურ ენებს სხვებისგან გამოარჩევდა.

(4) ქართული ენა მარისთვის ნელ-ნელა იაფეტურობის საზომი ხდება და მას თანდათანობით ეკარგება ემპირიული ღირებულება. ამით, ჩერჩისა და მენინიგის აზრით, ერთმანეთს უპირისპირდებიან ნ. მარი და აკაკი შანიძე, რომლისთვისაც ქართული ენის ცოცხალ დიალექტებს განსაკუთრებული ღირებულება აქვთ. ალ. ღლონტის ცნობით, აკაკი შანიძე ქართული ენის დიალექტებს სწორედ ნიკო მარის დავალებით სწავლობდა და მთის დიალექტების კვლევით საფუძველს უყრიდა მეცნიერულ დიალექტოლოგიას (ღლონტი 1998:13). მაგრამ მარს სხვა მიზნები ჰქონდა. თუ ნიკო მარის თეორიის ერთ-ერთი ამოსავალი დებულება იყო ხალხების შერევა, აკაკი შანიძე კი მსჯელობდა ერთი ხალხის ფარგლებში შერევაზე (ჩერჩი, მენინგი 2002:24).

(5) იაფეტური თეორია საბოლოოდ სცილდება კავკასიოლოგიას, იგი გადადის თვისობრივად ახალ სიმაღლეზე და იწოდება ენის ახალ თეორიად. უნივერსიტეტის შექმნან უფრო გააააქტიურა ეს დაპირისპირება, რადგან ახალი უნივერსიტეტის განყოფილებებში, სალექციო კურსებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებში ადვილი იქნებოდა იაფეტური თეორიისაგან განსხვავებული აზრის განვითარება, რასაც მეთოდოლოგიური დაპირისპირებაც მოჰყვა. ეს დაპირისპირება აისახა ივანე ჯავახიშვილის მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან ოთხი წლისთავთან დაკავშირებით.[1] „ნ. მარრი ბრძანებს, ვითომც ჩვენი პროგრამის დებულებანი პეტერბურგის უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტის სასწავლო გეგმებისა და მიმოხილვისაგან ყოფილიყოს ნასესხები იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის პროგრამაში ყველგან ნახმარი „იაფეტურის“ მაგიერ განზრახ ნაციონალისტური ზრახვების განსახორციელებლად „ქართული“ ყოფილიყო აღნიშნული... საითგან წარმოიდგინა მარრმა, რომ ქართულ ენათმეცნიე-

[1] ივანე ჯავახიშვილის ფონდი, № 872, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რებასა და დიალექტოლოგიას ნ. მარრისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიასთან რამე საერთო ექნებოდა? ხოლო თუ სიმართლის გაგონება ჰსურს ნ. მარრს, ჩვენ კი არ გაგვიდევნია ტერმინი იაფეტური, არამედ სწორედ მან განდევნა და სდევნიდა, რეალური ერთეული, ისტორიულად და ეხლაც არსებული ტერმინი ქართული და თავისი ჩვეულებრივი ჟინიანობით ყველგან ქართულის მაგიერ შემოიღო თავისგან შეთხზული და მოგონილი, მის ავტორისთვისაც კი გამოურკვეველი ერთეულისა და ავადებადი ცნების გამომხატველი ტერმინი იაფეტური... იაფეტური ენათმეცნიერება ნ. მარრის პირადი მონოპოლიაა და დამშვიდებული ბრძანდებოდეს ბ-ნი აკადემიკოსი, არც ერთ ჩვენგანს ქართული ენათმეცნიერება და დიალექტოლოგია მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებად არ ჰქონია განზრახული“ (ივანე ჯავახიშვილის მოხსენება დამოწმებულია ფუტკარაძე, ვაშაკიძის მიხედვით, 2011:102-104).

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა ნიკო მარმა გეზი აიღო მარქსისზმის იდეების ენათმეცნიერებაში დამკვიდრებისკენ და საბოლოოდ დააფუძნა ახალი ენათმეცნიერული მოძღვრება როგორც ერთადერთი მარქსისტული ენათმეცნიერება, ახლა უკვე ქართულ უნივერსიტეტის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს ბრძოლა, რადგან მას თვლიდნენ საბჭოთა მეცნიერების მოწინააღმდეგე მეცნიერულ ერთობად.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების აფიშა,1923 წ., გიორგი ახვლედიანის პირადი არქივიდან, თსუ მუზეუმი

საქართველოს მუზეუმის საუდიტორიო დარბაზში

(ფუნიკულაჟის, ყ. კალოუბნის, ქ., № 1) შედგება


ქართული

საენათმეცნიერო საზოგადოების

მორიგი საჯარო სხდომა

წესრიგი:

დასწრება არაწევრთაც შეუძლიათ.




СТРАНИЦЫ ИСТОРИИ
РАИМК-ГАИМК-ИИМК-ЛОИА
Марр Н.Я.
Орбели И.А.
Артамонов М.И.
Кипарисов Ф.В.
Греков Б.Д.
Удальцов А.Д.
Рыбаков Б.А.

§2. დაპირისპირება კონტრრევოლუციონერ ინდოევროპეისტებსა და იაფეტური თეორიის მიმდევრებს შორის[1]

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი განიხილებოდა ანექსიის შედეგად შექმნილი მოძალადე ხელისუფლების საშიშ ოპოზიციად, რომლის თვალთვალი და კონტროლი აუცილებელი იყო ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით. ფაქტობრივად, ნიკო მარი და საბჭოთა ხელისუფლება ერთნაირ ბრალდებებს უყენებდნენ თბილისის უნივერსიტეტს, რომლის საბჭოთა პრინციპებზე გადაყვანა ვერ მოხერხდა. მიუხედავად მრავალი „წმენდისა“, სტუდენტების „სწორ გზაზე დაყენებას“ კიდევ ბევრი დრო დასჭირდებოდა, როგორც ამას აჩვენებს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უშიშროების სამსახურის) უფროსის ლავრენტი ბერიას 1928 წლის 5 აპრილის მოხსენებითი ბარათი: მიუხედავად სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები კონტიგენტის „წმენდისა და შეზღუდვებისა, სახუნის (სახელმწიფო უნივერსიტეტის) სტუდენტთა თითქმის ნახევარი ჩვენი არ არის. სახუნის გასაჯანსაღებლად გატარებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა და სასურველი შედეგები არ გამოიღო... სტუდენტთა უმრავლესობა იდეოლოგიური თვალსაზრისით შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი მოსახლეობის გავლენას განიცდის. სტუდენტთა არცთუ მცირე ნაწილი ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობაში მონაწილეობს. სტუდენტებს შორის კვლავ დიდი გავლენით სარგებლობს შოვინისტურ-ანტისაბჭოურად განწყობილი პროფესურა...„ასეთ სტუდენტობასთან კიდევ ბევრია სამუშაო და კაცმა არ იცის, რას უნდა ელოდოს ადამიანი, ქვეყანაში რაიმე სერიოზული გართულების დროს“ (წერილი დამოწმებულია ვ. გურულის წიგნის მიხედვით (გურული 2011).[2]

---

[1] წაკითხულია მოხსენებად საერთაშორისო კონფერენციაზე „იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები“, 2015 წელს (ბოლქვაძე 2015)

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, აღწერა № 4, საქმე №82, ფურცლები 59-60)

უნივერსიტეტს აკრიტიკებდა საბჭოთა პრესა. გაზეთები - „კომუნისტი“, „მუშა“ და „ზარია ვოსტოკა“ ასეთ ბრალდებებს უყენებდნენ მას: თბილისის უნივერსიტეტი ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლებას, იგი კარს უკეტავს მარქსისტული იდეოლოგიის სწავლებას, შოვინისტური პოლიტიკის გამო ებრძვის რუსულ ენას და „არ აფასებს მეზობელი ერების ენასა და მიღწევებს“, უნივერსიტეტის პროფესურა რუსულად არ აქვეყნებს ნაშრომებს და არ მონაწილეობს რუსულენოვან სამეცნიერო კონფერენციებში; უნივერსიტეტი მხოლოდ მეცნიერებით ერთობა და „ცხოვრების მოთხოვნილებებს ვერ ამჩნევს ან არ ამჩნევს. ამ მძიმე ბრალდებებზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უხდებოდა პასუხის გაცემა. ეს კარგად ჩანს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში დაცულ ჩვიდმეტგვერდიან დოკუმენტში „უნივერსიტეტის საკითხის გარშემო (მოხსენება)“.[1] მოხსენებაში უარყოფილია ყველა ის ბრალდება, რომელსაც ხელისუფლება ამ უმაღლეს სასწავლებელს უყენებდა: „ბრალდება, თითქოს უნივერსიტეტს რაღაც თავისი „პოლიტიკა“ გააჩნდეს და „აპოლიტიკოსობის“ ნიღაბ ქვეშ არსებულ წყობილებისა და ძალა-უფლების საწინააღმდეგო იდეოლოგიურს თუ სხვა ჯურის საქმიანობას ეწეოდეს, გამგეობას დაუმსახურებლად მიაჩნია. დღიდან გასაბჭოებისა უნივერსიტეტს არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი, რომელიც ან პირდაპირ ან შემოვლით საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგ იყოს მიმართული და გამგეობას უფლება აქვს მოითხოვოს, აღნიშნული ექვსი წლის გასწვრივ თუნდაც ერთი ასეთი ნაბიჯი.“ მოხსენებაში მოცემულია უნივერსიტეტის პროფესორთა რუსულად დაბეჭდილი შრომების ჩამონათვალი და ის რუსულენოვანი კონფერენციები, რომლებშიც ქართველი მეცნიერები მონაწილეობდნენ. „გვეუბნებიან, რატომ რუსებისთვის რუსულად არ ვსწერთ დასკვნებს, - ნათქვამია მოხსენებაში, - ხანდახან რუსულად იწერება, განსაკუთრებით სამკურნალო დარგში, მაგ-

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი №3, საქმე № 248

რამ ყოველთვის ეს საჭირო არაა, რადგან მეცნიერული ურთიერთობა შეიძლება ერთსა და იმავე დროს ევროპის მეცნიერებასთან და რუსულთან სწორედ იმავე ევროპიულ ენებზე, რადგანაც ყველა მეცნიერებმა და მათ შორის რუსებმაც იციან დასავლეთ ევროპის ენები“. მეზობელ ხალხთა ენებისა და კულტურების პატივისცემის დასტურად მოხსნებაში დამოწმებულია ის ფაქტი, რომ „უნივერსიტეტში ისწავლება თითქმის ყველა ჩვენი მეზობელ ერის და საქართველოში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა ენა, ისტორია და ლიტერატურა. ეს ფაქტია და მისი დაუნახველობა და მით უმეტეს უარყოფა გაუგებარია. უნივერსიტეტში არსებობს ინდურისა და ბერძნულის გარდა კათედრები სომხური ენისა, ლიტერატურისა და ისტორიისა, თურქულისა, არაბულისა, სპარსულისა, ოსურისა, აფხაზურისა. აგრეთვე ისწავლება მეგრულ-ჭანური, სვანური და წოვა-თუშური /ანუ ბაცბური/. ამ ენებში სწარმოებს არა მარტო მეცნიერული კვლევა ძიება, არამედ პრაქტიკული ვარჯიშობაც. გამგეობა ფიქრობს, რომ ამაში კარჩაკეტილობისა და შოვინიზმის დანახვა ისევე არ შეიძლება, როგორც იმ გარემოებაში, რომ ადერბაიჯანის და სომხეთის უნივერსიტეტებში ქართული ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება ობიექტიურ პირობების გამო ჯერ-ჯერობით სათანადოდ ვერ მოწყობილა. ან ეგების ის იყოს კარჩაკეტიოლობისა და მეზობელთა უყურადღებობის მაგალითი, რომ 1924 წელს ჩვენი უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი იყო საგანგებო სამეცნიერო ექსპედიცია /პროფესორ გ. ჩუბინაშვილისა, ა. შანიძისა, დოცენტ ლ. მელიქსედ-ბეგისა და არქიტექტორ ნ. სევეროვის შემადგენლობით/ სომხეთში იქაური სახუროთმოძღვრო ძეგლებისა, ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული მასალების შესასწავლად; ან იქნებ ის გარემოება, რომ ჩვენივე უნივერსიტეტის მოამბეში დაიბეჭდა ასეთი გამოკვლევანი „გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში“ პროფეს. ივ. ჯავახიშვილისა /ტ. II/, „სომხები ანთროპოლოგიური თვალსაზრისით“ პროფეს. ლ. ჯავახიშვილისა /ტ. 4/, მთელი რიგი წერილებისა ოსური ენის შესახებ პროფესორ გ. ახვლედიანისა /ტ.ტ. 3, 5, 6/, ან ეგების ის, რომ უნივერსიტეტმა გამოსცა სომხური ქრესტომათია

/1920წ./ და ამზადებს დასაბეჭდათ სომხურ ლექსიკონსა და დისერტაციას სომხური მწერლობის ისტორიიდან“[1]. უნივერსიტეტის ცხოვრებასთან ყოველდღიური კავშირის საჩვენებლად დამოწმებულია სამკურნალო ფაკულტეტთან დაკავშირებული საავადმყოფოები, ასევე მიწათმოქმედების კომისარიატის ურთიერთობა უნივერსიტეტთან და პოლიტექნიკური ფაკულტეტის მუშაობა. რუსულის სწავლების საკითხი მრავალჯერ დასმულა ფაკულტეტების სხდომებზე. ქვემოთ დამოწმებულ დადგენილებაში ჩანს, რომ რუსული ენის მნიშვნელობისა და ფუნქციონირების არეალის გაზრდის გარდა, ყურადღება ექცევა ენათმეცნიერების მიმართულების სტუდენტთა პარტიულ კუთვნილებას.

პედაგოგიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს ა.ლ.კ.კ. ბიუროების და პარტიის კომკავშირის აქტივის გაერთიანებული სხდომის ოქმი №13 16/6 – 1929 წელი[2]

1930 წლის საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმის განხილვის შემდეგ დაადგინეს:

ა) სავალდებულოდ იქნეს ცნობილი ყველა სტუდენტთა დასწრება რუსული ენის მეცადინეობაზე;

ბ) გადადებულ იქნას თანხა ფაკულტეტის მიერ რუსული ენის საათების გასადიდებლად და საერთოდ მიღებულ იქნას ზომები ამ საგნის საუკეთესოდ დასაყენებლად.

გ) დასმულ იქნას სათანადო ორგანოებში საკითხი ლენინიზმის კათედრის ჩამოყალიბების შესახებ.

დ) მიექცეს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების დროს ყურადღება, რათა ენათმეცნიერების დარგზე იქნეს მოზიდული პარტიის და კომკავშირის წევრების საკმაო რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის გამგეობა ასეთ მოხსენებებს უგზავნიდა ხელისუფლებას, ეს სასწავლებელი

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი №3, საქმე №248:14-15

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №13

მაინც არ ითვლებოდა პოლიტიკურად სანდო ორგანიზაციად. უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა სოციალური წარმოშობის, მათი მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ინტერესების მუდმივი კვლევა იყო თსუ პარტიული მუშაკების ერთ-ერთი მთავარი საქმე. ამ თვალსაზრისით უამრავ მასალას იძლევა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში დაცული დოკუმენტები. მაგალითად, 1928 წლის 6 იანვრის თსუ გაერთიანებული კომუჯრედთა ბიუროს სხდომის ოქმში (ოქმი №8) ჩაწერილი ერთ-ერთი დადგენილება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აჩვენებს, რომ მოწმდებოდა და განიხილებოდა სტუდენტებისა და პროფესურის პოლიტიკური სანდოობის საკითხი. დადგენილება მიღებულია რამდენიმე სტუდენტისა და თანამშრომლის პარტიიდან გარიცხვის თაობაზე. თსუ გაერთიანებული კომუჯრედთა ბიუროს 1928 წლის 11 იანვრის სხდომაზე (ოქმი №9) მიიღეს დადგენილება პარტიიდან გარიცხულ ოპოზიციონრებზე თვალყურის დევნების შესახებ, ხოლო ს. კ. პ. /ბ./ ბიურო სახ. უნივერისტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა 1928 წლის 26 ოქტომბრის საერთო სხდომის ოქმში (ოქმი №10) ხაზგასმით არის აღნიშნული უჯრედის ბიუროს დამსახურება ოპოზიციის გამოვლენისა და კომკავშირლების გააქტიურების საქმეში.

პროფესორთა თვალთვალის შედეგების გასაანალიზებლად სპეციალურად იმართებოდა სხვადასხვა სახის შეკრებები. მაგალითად, თსუ პარტ-ბიუროკოლექტივის 1929 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე განხილულია საკითხი მუშა-გლეხებისა და სხვების სოციალური წარმოშობის შესახებ, „რისთვისაც იქნა მოწვეული სტატისტიკოსი ცესუ-დან.“[1] სახელმწიფო ხელს უწყობდა უღარიბესი და ღარიბი მოსახლეობიდან გამოსულ ახალგაზრდებს ერთადერთი მიზნით, რომ მათ დაეყრდნობოდა პოლიტიკურად. სტუდენტთა წმენდის შესა-

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №7

ხებ სპეციალური მოხსნება კეთდება „სახ. უნივერისტეტის ბიურო კოლექტივის სხდომაზე 1929 წლის 3 მარტს, ოქმი №14.[1] „წმენდა“ ეხება პოლიტიკურად არასანდო და შედარებით შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდებს.

თანდათანობით დაამკვიდრეს ტერმინი „კონდრატიევშჩინა“, რომლითაც აღნიშნავდნენ საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი მეცნიერების თითქოს შეთანხებულ მოქმედებებს საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდნენ ამ მიმართულების მკვლევრის ან უნივერსიტეტის ლექტორის გამოვლენასა და დევნას. სწორედ კონდრატიევშჩინის შესახებ გაიმართა დისპუტი საქ[ართველოს] პედინსტიტუტში 1930 წლის 13 დეკემბერს, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი ივ. ვაშაყმაძე. მისი გამოსვლის ტექსტი დაიბეჭდა გაზეთ ,,ახალგაზრდა კომუნისტის“ 1930 წლის 16 დეკემბრის ნომერში. „ინსტიტუტის პროფესურის 80 პროცენტი არამარქსისტული სოფლმხედველობის ხალხია, ნაწილი მარქსიზმს მტრულად უცქერის, ხოლო პროფესურის ერთი ნაწილი არც კი იცნობს, რა ხილია მარქსიზმი. ამის გამო ზოგიერთ პროფესორსა და მეცნიერების სხვა მუშაკს ჰგონია, რომ მარქსიზმი არის მარტო პოლიტიკური სოფლმხედველობა და მისი გამოყენება არ შეიძლება ბუნების მეტყველების, მეცნიერების რომელიმე სხვა დარგში. მარქსიზმისადმი ასეთ უყურადღებობას ბოლო უნდა მოეღოს. მარქსიზმი ფართოდ უნდა შეიჭრას მეცნიერების ყოველ დარგში, უნდა დაისვას საკითხი მეცნიერების დისციპლინათა რეკონსტრუქციის შესახებ.“

სწორედ ასეთი მიზანდასახულობის სხდომაზე გამოსულა სიტყვით იოსებ მეგრელიძე, როგორც თვითონ აღწერს საკუთარ დღიურში. ეს არის „საერთო რვეული“, რომელსაც აწერია „დღიურის მაგიერ და წითელი ფერის ფანქრით მითითებულია წლები. „1930 წლის 14.XII-ს გამოვედი საქ. პედ. ინსტი-

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №14

ტუტის საჯარო კრებაზე კონდრატიევშინის წინააღმდეგ, კრებაზე იყო ათასამდე კაცი და ჩიქობავა, თოფურია და ქართველი ენათმეცნიერების უმრავლესობა დავახასიათეთ, როგორც ინდოევროპეისტები. წინ დღით 13.XII30-ს გამოვედი ენა ლიტ. ფაკულტეტის საწარმოო თათბირზე და მოვთხოვეთ ჩიქობავა-თოფურიას მარქსისტული მეთოდით ესწავლებინა ჩვენთვის ენათმეცნერების საგნები...ფორმალიზმს ებრძვის ახალი თაობა. მარქსისტულად დამუშავებული საგანი ყველგან იქნება მიღებული, (თოფურიას რეპლიკა: მარქსისტული გრამატიკა არ არსებობს!). საქმე მეთოდშია და იმ მეთოდით, რომლითაც ახლა იკითხება, ვერ დარჩება იგი.“[1]

როგორც უკვე ვაჩვენეთ, უნივერსიტეტს ბრალად ედებოდა რუსული ენის იგნორირება. 1930 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე ამ საკითხს სპეციალურად ეხება ივ. ვაშაყმაძე. იგი მსჯელობს უცხო ენების ცოდნაზე პროფესორთა და სტუდენტთა შორის და შეუწყნარებლად მიაჩნია რუსულის გარდა რომელიმე სხვა უცხო ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის დასახელება, ხოლო ნაშრომების უცხო ენებზე გამოქვეყნებას დანაშაულად თვლის: „იყო შემთხვევები, როდესაც პროფესურა სტუდენტობას უსახელებდა არა მარქსისტულ ნაშრომებს. ამავე დროს ნაციონალისტურ სულისკვეთებით გაჟღენთილი პროფესურა მოწადინებული იყო, რომ სტუდენტებისათვის შეეძაგებია რუსული ენა. ამის გამო მეცნიერულ ნაშრომებს ასახელებდენ მხოლოდ ევროპულ ენებზე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წიგნები რუსულადაც მოიპოვებოდა. ამავე დროს ზოგიერთი პროფესორები თავის ნაშრომებს ბეჭდავენ უცხო ენებზე.“

რუსული და სხვა ევროპული ენების ცოდნისა და მათი ფუნქციური მიმართების საკითხზე პარტიის ხაზის გამტარებლები სხდომებზე იმოწმებენ შალვა ნუცუბიძის სიტყვებს: „პროფესორი ნუცუბიძის აზრით, ჩვენი ასპირანტები არაფრად არ ვარგა, ისინი არიან კარგი ბიჭები, ვინც უცხო

[1]დამოწმებულია იოსებ მეგრელიძის საოჯახო არქივში დაცული დღიურის მიხედვით.

ენებს სწავლობს, დანარჩენი კი ფინაჩები არიანო. /ხმა პრეზიდიუმიდან: ეს ძველი ამბავია/. მართალია, წითელ პროფესორებს არ ჰქონიათ დრო, რომ მდიდარი იყვნენ ენით, ამის საშუალება არ გვქონდა, რომ ენები შეგვესწავლა, 20-30 წელი კაბინეტებში ჩავკეტილიყავით და მრავალი წიგნი წაგვეკითხა, ამის საშუალება არ ქონდა წითელ პროფესორებს. ჩვენ გავიზარდეთ ყანაში, წარმოებაში, ჩვენ ვართ წარმოების სიღმის გულიდან გამოსული, დიდ რევოლუციაში და სამოქალაქო ომში გამობრძმედილი, რომელიც უფრო კარგად ითვისებს ჭეშმარიტებას, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას.“[1] ამ გამოსვლაში ჩანს, რომ რუსულის გარდა სხვა ევროპული ენების ცოდნა არის პოლიტიკური არასანდოობის ნიშანი, რადგან ეს მიუთითებს სტუდენტისა და პროფესორის მატერიალურ კეთილდღეობაზე. ენების უცოდინრობა კი მატერიალური გაჭირვების გარდა პოლიტიკური სანდოობის ნიშანია.

ივ. ვაშაყმაძის 1930 წლის 13 დეკემბრის გამოსვლა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ჩანს, რას ედავებიან უნივერსიტეტის პროფესურას. ყველა საკითხი უნდა გატარებულიყო მარქსიზმის პრიზმაში და ამას ითხოვდა ის ხალხი, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ესმოდა მარქსიზმი. ზოგჯერ ძნელი ასახსნელია, რატომ არის დაწუნებული ცნებები „სინდისი“ და „მისტიციზმი“, ან რატომ არის საშიში გეოგრაფია და საქართველოს სილამაზე. ვფიქრობთ, ღირს კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ქართველ ბოლშევიკთა წუხილს, რომელიც აისახა ივ. ვაშაყმაძის გამოსვლაში: „პროფ. ს. დანელია სუბიექტურად ცდილობს, ჩვენთან იყვეს, მაგრამ ობიექტურად პირიქით გამოუდის. მისი ნაშრომები ანტიმარქსისტულია. **ამ პროფესორის მსოფლმხედველობა ნათლად გამოსჭვივის მის წიგნში „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, სადაც იგი სწერს: „სად ქართველი და სად მისტიციზმი. განა საქართველოს მზის სხივებს მისტიციზმი გაუძლებდა“, სად სჩანს აქ**

[1] სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებისა, 7 იანვარი, 1935 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №1, საქმე №54:51

მარქსიზმი, რა შუაშია მზე, სად არის კლასიკური მიდგომა? იმავე წიგნში იგი ანვითარებს ანტიმარქისტულ აზრებს: „ქრისტემ მოაბრუნა კაცობრიობა და წარმართა იგი მომავლისაკენ.“ რაც მთავარია, მისი წარმოდგენით „სინდისი უდრის საწარმოო ურთიერთობას“ - ნასესხები სინდისით ისტორია არ შეიქმნებაო“ - სწერს დანელია იმავე წიგნში.

გამოურკვეველია ს. ყაუხჩიშვილის პოზიცია, იგი ჩვენთანაც არის და მემარჯვენეებთანაც. საბოლოოთ ჯერ-ჯერობით მემარჯვენეებისგან თავი ვერ დაუხწევია. პროფ. დ. უზნაძე სუბიექტურად ცდილობს ჩვენთან იყვეს, მაგრამ თეორიულად და იდეოლოგიურად დაშორებულია მატერიალისტურ სოფლმხედველობისაგან. იგი გულმოდგინეთ უმტკიცებს სტუდენტობას, რომ არ არის მარქსისტული ფსიქოლოგია. **დოც. ვ. კოტეტიშვილს იტაცებს ნაციონალისტური სულისკვეთება, ლაპარაკობს ქართველი ხალხის შესახებ და არა საქართველოს მშრომელებზე. მის ნაშრომებში არ სჩანს მარქსიზმი.** იდეოლოგიურად უახლოვდება ფედერალიზმს (რომლის წარმომადგენელიც იყო წარსულში). პროფ. გ. ნიკოლაძე წარსულში ხელმძღვანელობდა გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც იყო ნაციონალისტური საზოგადოება, ეხლა რას ფიქრობს, გამოურკვეველია**. ლექტორი კეცხოველი გატაცებულია საქართველოს სილამაზით და ნაციონალიზმის ჭაობში ვარდება. ასეთივე განწყობილებით არის აღჭურვილი გ. ქიქოძე...** პროფესორთა მემარცხენე ნაწილის საუკეთესო წარმომადგენელია პროფ. გ. ნათაძე რომელიც ყოველმხრივ ცდილობს ჩვენთან მოსვლას. დოც. მოსე გოგიბერიძე - ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოსულა მთლიანად. დოც. კ. ბაქრაძე პოლიტიკურად პასიურია. პროფ. კ. კეკელიძე ცდილობს მარქსისტული ენით ალაპარაკდეს. პროფ. შალვა ნუცუბიძე საბჭოთა ხელისუფლების 1-ლ დღიდანვე სდგას ჩვენს პლატფორმაზე, მაგრამ მეთოდოლოგიურად არ არის განთავისუფლებული იდეალისტური სოფლმხედველობისაგან. პროფ. თვალჭრელიძე ენტუზიაზმით მუშაობს, რაც ჩვენც გვახალისებს“ (ივ. ვაშაყმაძის წერილის სრული ვერსია იხ. გურული 2011). პროფესორთა „აბსტრაქტული კამათი და მსჯელო-

ბა“ განსაკუთრებით აღელვებდათ ბოლშევიკებს: „ავიღოთ რუსთველის შესახებ დისპუტი... ამ დისპუტზე ერთ-ერთი ტენდენცია იყო ცნობილი რუსთველი და რუსთველოლოგები ცდილობდნენ ამ დიდ სოციალურ შინაარსთან პოლიტიკა გამოეყენებიათ სულ სხვაფრივ. ამან გამოიწვია ერთგვარი აბსტრაქტული კამათი. უარყოფით მოვლენებს ქონდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით ვეფხვის ტყაოსანის შესახებ, რომელიც სულ სხვანაირათ უნდა გამოიყენონ ძველმა პროფესორებმა. ამისათვის ჩვენი კომუნისტური ძალები მეტათ უნდა შეიარაღდნენ ამ საკითხის გარჩევაში.”[1]ეს ნაწყვეტი დავიმოწმეთ იმის საჩვენებლად, თუ რა პირობებში უხდებოდათ უნივერსიტეტის პროფესორებს ცხოვრება.

ყოველთვის იდგა ძველი პროფესურის შეცვლის საკითხი და ეს მართლდებოდა აკადემიურ-იდეოლოგიური მიზნებით, თუმცა იდეოლოგიური მიზანი უფრო მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის კომკავშირული და კომუნისტური უჯრედებისათვის. განსაკუთრებულ გაავებას იწვევდა ის გარემოება, რომ პროფესურა თითქმის არ ერიდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფარავად კრიტიკას. 1935 წელს უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრების სტენოგრამულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ჩვენ გვაქვს მაგალითები იმისი, რომ ეს ხალხი თავისთავად გამოდიან დერეფნებში, თავისუფლად ლაპარაკობენ პროფესორის შვილები. **ისინი იძახიან დიალექტიური მატერიალური მოძღვრება, ეს არის ძნელი მძიმე მოძღვრება, რომ ადამიანს თავისუფლად აზროვნება არ ძალუძს. ეს მაჯლაჯუნასავით აწევს ადამიანის გონებასო. აი ასეთი მდგომარეობა თავიდანვე უნდა იყოს დევნილი. მე საჭიროდ მიმაჩნია, თვითეული ასეთი კუნჭული გამოვნახოთ. დარ-**

[1] სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებისა, 7 იანვარი, 1935 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №1, საქმე №54:31

ტყმა იმ ადგილას, სადაც არ გრძნობენ პროლეტარიატის გე-გემონიის უაღრეს ჭეშმარიტობას.“[1]

ასეთ სხდომებზე ზოგჯერ ერთი და იმავე სტუდენტის ან პროფესორის შესახებ სხვადასხვაგვარი დადგენილებაა გამოტანილი. მაგალითად, საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის 1931 წლის 13 იანვარს პარტბიურო კოლექტივის სხდომაზე (ოქმი №10) პროფესურის დახასიათებისას აღნიშნულია: კარბელაშვილი აკადემიკოს მარის მოწაფეა, მატერიალისტურ თვალსაზრისზე ცდილობს დგომას ენათმეცნიერებაში, პოლიტიკურად ლოიალურია”, თუმცა იმავე კარბელაშვილს შემდეგ სხდომაზე (16 თებერვალი 1931 წელი, ოქმი 31) ახასიათებენ როგორც ანისაბჭოთა ელემენტს.[2]

ერთ-ერთი მიმართულება იყო უნივერსიტეტის პირველი თაობის სტუდენტების გადმობირება მარქსიზმისაკენ. მას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, რადგან უნივერსიტეტის პირველი თაობა უნივერსიტეტში მომდევნო თაობის სტუდენტებს ზრდიდა. ნაწყვეტი ერთ-ერთი კრების ოქმიდან: „ამხანაგებო, ეხლა ენათმეცნიერების ფრონტის შესახებ. მე უკმაყოფილო ვარ ნიკო მარის სამგლოვიარო საღამოთი, სადაც ლაპარაკი იყო, რომ ნიკო მარი ინდო-ევროპის წარმომადგენელი იყო. ის მათი წარმომადგენელი არ არის. ჩიქობავამ განაცხადა, რომ ნიკო მარი ინდო-ევროპის წარმომადგენელიაო და მისი წიგნი ინდო-ევროპული არიო /არ ისმის, რადგან ხმაურობა არის დარბაზში/. ამის შესახებ მოსკოვის „პრავდაში“ იყო დაწერილი. მარის აზრი იყო მარქსისტული პარტიის პოლიტიკა. აქ საჭირო არის ძალიან დიდი სიფრთხილე. აქ არის ცოტა დათმობა იდეოლოგიურ ფრონტზე. არ გვინდა აშკარა ბრძოლა. კომუნისტები არ გვყავს, ჩიქობავა კი არ გვინდა გამოვიყენოთ, არამედ ის გამოვიყე-

[1] სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის გაერთიანებული კრებისა, 7 იანვარი, 1935 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №1, საქმე №54:15

[2] ორივე ოქმი იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №21

ნოთ მარქსისტულ ენით მეცნიერ მომუშავეთ.“[1]

უნივერისტეტის პარტკომის1934 წელი 21 მაისის სხდომა მთლიანად ეძღვნება პროფესურის დახასიათებას სანდოობის მიხედვით (ყველა ფაკულტეტის შესახებ ცალკ-ცალკეა მოხსენებები). სწორედ ამ სხდომაზე გამოაცხადეს არნოლდ ჩიქობავა და გიორგი ახვლედიანი ინდოევროპული ენათმეცნიერების წარმომადგენლებად. ჭკუასელს ჰქონდა მოხსენება მომავალი სასწავლო წლის მომზადების შესახებ. მან სპეციალურად დაახასიათა პროფ. ახვლედიანი და პროფ. ჩიქობავა: „[ისინი] არიან ინდოევროპეისტიკის წარმომადგენლები დღევანდლამდე, აშკარად არ უარყვიათ თავისი შეხედულებები, პასივობას იჩენენ მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერებისათვის ბრძოლის საქმეში, ხშირად თავსაც ესხმიან მარქს-ლენინურ ენათმეცნიერების მიმდევართ ახალგაზრდა კადრებს.

26 დაადგინეს: იმის გამო, რომ სათანადო მარქსისტულ-ლენინურ შემცვლელი კადრები არ მოგვეპოვება ამიტომ დატოვებულ იქნას პროფ. ახვლედიანი და ჩიქობავა და გაძლიერდეს მათზე კონტროლი და გაიშალოს ბრძოლა მათი საბოლოო განიარაღებისათვის.

27 მოისმინეს: დ. (იგულისხმება დოც.,–თ.ბ.) თოფურია ინდოევროპეისტიკის წარმომადგენელია, **მართალია აქტიურად არ გამოდის მარქსისტ-ლენინური ენათმეცნიერებისათვის გაშლილ ბრძოლის წინააღმდეგ, მაგრამ ჩიქობავა-ახვლედიანის გავლენით არავითარ აქტივობას არ იჩენს. ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში ცდილობს ინდო-ევროპიულ ტიპის მიმდევარ ახალგაზრდა კადრების დაწინაურებას. პრაქტიკულ მუშაობაში უფრო ენერგიულია, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში.**

27 დაადგინეს: პარტკომს შესაძლებლად მიაჩნია მისი მუშაობა უნივერსიტეტში, საჭიროა სისტემატური ყურადღება და ხელის შეწყობა, რომ თოფურიამ დაძლიოს ძველი შეხედულებები და დადგეს მარქს-ლენინურ ენათმეცნიერების

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი, №947, ანაწერი №1, საქმე № №58:50

საფუძველზე.“[1] ამავე სხდომაზე განხილულია პროფ. ჯავახიშვილისა და პროფ. გრ. წერეთლის სანდოობის საკითხი.

ინდოევროპეისტებისა და მარქსისტული ენათმეცნიერული იდეების დაპირისპირების შესახებ სპეციალურად მსჯელობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (კ პ /ბ/) თბილისის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მომხსენებელი იყო აღნიაშვილი, რომელმაც იმსჯელა ლინგვისტურ ფრონტთან დაკავშირებით[2]. **როგორცა ჩანს, მარქსისტული ორიენტაციის პროფესურა და სტუდენტები ლინგვისტურ დისკუსიებში ჩამორჩებოდნენ „კონტრრევოლუციონერ ინდოევროპეისტებს“. აღნიაშვილი უკმაყოფილოდ აღნიშნავდა, რომ ამ სერიოზული საკითხის განხილვა არ მომზადდა შესაბამისად და ინდოევროპული ენათმეცნიერების დაგმობის ნაცვლად ცალეული პიროვნებების დაგმობა გამოვიდა, რაც იდეოლოგიური თვალსაზრისით სულ არ იყო სასურველი.** აღნიაშვილის გამოსვლის სტენოგრამული ჩანაწერი ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს: **„ჩიქობავა შანიძისა და თოფურიას მსგავსად გარკვეული ხარისხით ინდო-ევროპული სკოლის მომხრეა, მაგრამ ვთვლი, რომ ამ დისკუსიის ჩატარება ახლა მიზანშეუწონელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ არა ვართ მომზადებული ამისთვის. ეს განსაკუთრებით სერიოზული ფრონტია, რომელსაც მოსკოვსა და ლენინგრადში ვერ გაუმკლავდნენ. თქვენი მარი არ არის აზრთა მპყრობელი არც მოსკოვში და არც ლენინგრადში და ახლა ენათმეცნი-**

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი, ს.კ.პ. /ბ/. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის სხდომის 1934 წლის 21 მაისის ოქმი №13, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №49

[2] საქართველოს კომუნისტური პარტიის (კ პ /ბ/) თბილისის კომიტეტის სხდომათა სტენოგრამული ჩანაწერები, საქმე 2184 (37), სახუნივერისტეტის საკითხებთან დაკავშირებული კრების სტენოგრამა Тифлийский Комитет Комунистической партии (ТККП(б) Грузии/Дело сб. 12184 (37), Стенограмма совещания по вопросам Госунта, I и II заседение, 3. 07, 1934 года (Фонд 17, опись. 1 дело 2184), Утренное заседание; Выступает Агниашвили: Относительно лингвистического фронта: 13.

ერებას ასწავლიან სოსიურის და არა მარის სახელმძღვანელოს მიხედვით. მე მას ვეუბნებოდი, რომ ამ დისკუსიისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. არიან ამხანაგები, რომლებიც ამას დაადასტურებენ. მე მათ ვეუბნებოდი, რომ არ შემიძლია მათ დავუპირისპირო ახალგაზრდა, ჯერ სრულიად მოუმზადებელი ჩხენკელი და ჩხენკელის ბაგეებით დავცხო თოფურიასა და ჩიქობავას (ადგილიდან: ჩვენს აკადემიკოსებად გახდომას დაველოდოთ?). საჭირო იყო სოლიდურად მომზადება, და არა სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდა კაცის გამოყვანა... დისკუსიის დროს ჩიქობავა აღმაშფოთებლად იქცეოდა (ადგილიდან: და მთელი მისი ჯგუფი). გამოვიდა მხოლოდ თოფურია, თანაც ძალიან წარუმატებლად. იმის ნაცვლად, რომ პრინციპულ საკითხებზე ესაუბრა, მან ჩიქობავას დაცვა დაიწყო... მე კატეგორიულად ვითხოვდი, რომ კრება არ ასცდენოდა სამეცნიერო პოზიციებს, გვეჩვენებინა, რაში მდგომარეობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია და კონტრევოლუციური ინდო-ევროპული მოძღვრება, რომელსაც გარკვეული ხარისხით ემხრობა ჩვენი პროფესურა. და რა მოხდა რეალურად?...ამხ. მინდაძემ შეადგინა დადგენილების პროექტი, რომელშიც ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებას კი არ უწოდებს კონტრევოლუციურს, არამედ ჩიქობავას უწოდებს კონტრრევოლუციონერს. **პარტკომს უნდა ჰქონდეს ელემენტარული ალღო, პარტიული ეთიკა და არ უნდა გვითითებდეს ჩიქობავას, ნუცუბიძისა და თოფურიას მოხსნისაკენ. თქვენ არავის არ ნიშნავთ და ვერც ვერავის გაათავისუფლებთ. ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაცია, რომელიც ხელმძღვანელობს დაწესებულებას“**[1]**.** ჩიქობავას დასაცავად გამოდის ერმილე ბედია, რომელიც აცხადებს: რაც შეეხება ჩიქობავას, აქ ამტკიცებდნენ, რომ იგი არალეგალურ სამსახურს ეწეოდა. მე ამაში ეჭვი მეპარება. ნება მომეცით, კრიტიკულად შევხედო განცხადებას, თითქოს იგი კლასობრივ ბრძოლაში იყო ჩართული, განსაკუთრებით იატაკქვეშა საქმიანობაში... ჩვენ ამ

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №17, ანაწერი №1, საქმე №2184.

ფაქტს შევამოწმებთ. მე ეჭვი მეპარება იმაში, რომ მან სპეციალური ოთხეული ჩამოაყალიბა.[1]

აღნიშნულ გამოსვლაში საყურადღებოა ის, რომ პარტიული ორგანოებისაგან დევნილ არნ. ჩიქობავას ისევ პარტიული ორგანს წარმომადგენელი იცავს. ეს იშვიათი გამონაკლისი შემთხვევა იყო, რადგან არნოლდ ჩიქობავას ყოველთვის აკვირდებოდნენ, როგორც არასანდო ენათმეცნიერს. მაგალითად, 1934 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის 25 მაისის სხდომაზე განიხილება ერთი ინციდენტი: „არნ. ჩიქობავასა და „ელხი"ს (ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტის) პარტორგანიზაციის მდივანს, ამხ. ცინცაძეს შორის მოხდა დაპირისპირება. როგორც ჩიქობავა აღნიშნავს, ცინცაძე მას დაემუქრა, მაგრამ პარტკომი ცინცაძე ჩიქობავას ამტყუნებს. თავად სხდომაც იხრება იქითკენ, რომ ჩიქობავას არავინ არ დამუქრებია და ყოველთვის ჰქონდა მუშაობის კარგი პირობები."[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში ინახება უნივერსიტეტის პარტკომის მდივნის, ამხ. ხუბუას სახელზე დაწერილი განცხადება, რომელშიც ჩივიან „ჩიქობავასგან დევნილი მარქსისტ-ლენინისტი სტუდენტები."[3]

როგორც დამოწმებული საარქივო მასალა აჩვენებს, დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული ინდოევროპეისტი კონტრევოლუციური ენათმეცნიერების წინააღმდეგ, რომლებიც იყენებდნენ ისტორიულ-შედარებით მეთოდს და არა მარისეულ პალეონტოლოგიას ან ოთხელემენტოვან ანალიზს. ნიკო მარის თეორიის დამწუნებელი ენათმეცნიერები განიხილებოდნენ არასანდო პოლიტიკურ ძალად და გათანაბრებულნი იყვნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებთან. ალ.

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №17, აღწერა №1, საქმე №2184

[2] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №49:28

[3] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, აღწერა №1, საქმე №92:9-10,68.

ღლონტი, ნიკო მარის მოწაფე და იაფეტური თეორიის მიმდევარი“, ასე იხსნებს იმ პერიოდს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ მარისტები და „ინდოევროპეისტები“ „გაჩაღდა დაუსრულებელი მწვავე დისკუსია, რომელშიც თითქმის იმ პერიოდში მოღვაწე ყველა ცნობილი ენათმეცნიერი მონაწილეობდა. დისკუსია წლების განმავლობაში გრძელდებოდა როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში, რაც სრულიად არ უშლიდა ხელს იმას, რომ მეცნიერებათა აკადემიის სისტემასა და ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებდნენ ორივე სკოლის, ნ. მარის მოძღვრების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა წარმომადგენელნი. წინა პოზიცია ზოგან ერთ მხარეს ეჭირა, ზოგან კი – მეორე მხარეს. რაც შეეხება ენის ახალ მოძღვრებას /იაფეტურ თეორიას/ ის უნივერსიტეტებსა და პედაგოგიურ ინსიტუტებში, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელ, სავალდებულო დისციპლინად ისწავლებოდა. ნ. მარის იაფეტური თეორია – ენის ახალი მოძღვრება - ორი ნაწილისაგან შედგება. ერთია მოძღვრება საკუთრივ იაფეტურ ენათა შესახებ – იაფეტოლოგია ვიწრო გაგებით, მეორე კი მოძღვრება საერთოდ ენაზე, ადამიანის მეტყველების წარმოშობის, განვითარების, ენათა სისტემების – ოჯახების ვითარების საკითხებზე – ზოგადი ენათმეცნიერება, იაფეტიდოლოგია, ფართო გაგებით. საყოველთაო ინტერესის საგანს მეორე ნაწილი შეადგენდა, რადგან სწორედ ის უპირისპირდებოდა გაბატონებულ ინდოევროპეისტიკას – ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას, რომელიც თავისი განშტოებებით და სხვადასხვა მიმართულებებით მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებულ-აღიარებული და უსიტყვოდ მიღებული“. მარის თეორიის დებულებათა სიახლეს ბევრი აღიარებდა და ზოგი სიცოცხლის ბოლომდე ავითარებდა, მაგალითად, აკად. ი. მეშჩანინოვი, მეორე შეხედულება ცნობდა ნ. მარის თეორიული დებულებების აქტუალობას, მაგრამ უარს ამბობდა პალეონტოლოგიური მეთოდის მიღებაზე, მესამე კი – მას სრულიად უარყოფდა (ღლონტი 1998: 16-18).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი № 1, საქმე № 54 გვ. 50-51

ნონ ნაციონალურ ისტორიის ძეგლებად, ნაციონალისტებს დავს არ მოვა-
ტყუებინებდა.

ამხანაგებო, ეხლა ენად მეცნიერების ფრონტის შესახებ. მე უკმაყო-
ფილო ვარ იმ ნიკო მარის სამგლოვიარო საღამოს, სადაც ლაპა-
რაკი იყო, რომ ნიკო მარი ინდო-ევროპის წარმომადგენელიც იყოო, ეს
მაინ წარმომადგენელი არც არის. ჩიგოგავამ განაცხადა მარი , რომ ნიკო
მარი ინდო-ევროპის წარმომადგენელიაო და მისი წიგნი ინდო-ევროპული
არიო..... ...../არ ისმის რადგან ხმაურობა არის დარბაზში/.

ამის შესახებ მოსკოვის პრავდაში იყო დაწერილი, მარის აზრი იყო მარ-
ქსისტული პარტიის პოლიტიკა, აქ საჭირო არის ძალიან დიდი სიფხიზლე,
აქ არის ცოტა დაობობა იდეოლოგიურ ფრონტზე, არ გვინდა აშკარა ბრძოლა
კომუნისტები არ გვყავს, ჩიგოგავა კი არ გვინდა გამოვიყვანოთ, არაფერ
ის გამოვიყენოთ მარქსისტულ ენიმ მეცნიერ მომუშავეთ.

ამხანაგებო, ავიღოთ ფილოსოფიის ფრონტი.. რა გვაქვს ჩვენ
აქ, ჩვენ გვაქვს შემთხვევა ინსტიტუტში, ჯგუფი ლექტორებისა ჯავახიშვილის
ქიქოძის შვილი, რომელიც ლაპარაკობს იდიალიზმი ეს არის ჭეშმარიტების შე-
მოწმება, მატერიალიზმი ეს არის ქონება, ეს არის დეკლარაცია უფრო სულის
ჩამდგმელი. ლექტორი უსხნის მას ეს არ სჯერა, მქვენ გონიათ, რომ ეს
უბრალო შეცდომაა. არა ეს შეცდომა არ არის, ეს არის იდეოლოგიური ფრონ-
ტის დავიწყება. ავიღოთ განიარაღება იდეოლოგიურ ფრონტზე, განიარაღდნენ
პროფესორი ნუცუბიძე, დანელია და სხვები, ამხანაგებმა იცნეს დავიანთ
შეცდომა, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ამხანაგები განიარაღდენ./ხმები:
სწორია/ ნუცუბიძე, როდესაც გამოვიდა მარის საღამოზე, მან სთქვა მარი
რევოლიუციონერი იყოვო, მისი დამსახურება ეს არისო, რისთვის იყო რევო-
ლიუციონერი, [illegible] ის იყო ავტოკეფალიდან , სა-
ქართველოში ფაკები აღმოაჩინა, მან ქართველების სისხლი აქვთო. პრობე-
სორები დიდი მეცნიერებია, მაგრამ სჩანს, რომ არ [illegible] იაფეტების
ისტორია, ეს არის კავკასიის ..... პ.... ეს აზრის კუნძული, სადაც
დარჩენილი არის ძველი ენის დანაღექები, მაგრამ ნუცუბიძემ ნაციონალური
მიდგომა მოძებნა. ეს კაცი მე არ მჯერა, ის არ არის გაბედული, ის დიდი
ფერმეტყველია

57

ქერმეტყველია, ის წავა საბჭოთა ცრიელობაზე სიტყვას იტყვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დიდი მიღწევები აქვს, მაგრამ ის საბოლოო გარეთ 1931წ. წიგნი გაგზავნა "ვაიმარის ფილოსოფია", ის აკრიტიკებს ლენინს, იქაური სიტყვის ასახვის თეორიის წარმომადგენელია, ეკლექტიკური გაუნვითარების მიმდევარია, ეს არის გუნებრივად რეაქციაში. ნუცუბიძეს კარგი უნარი აქვს პოლიტიკურ სიტყვების, მას რომ დავალოთ მოხსენების გაკეთება, ის იტყვის, რომ მარქსიზმი და ლენინიზმი ნამდვილი ცაძარია, ნუცუბიძე კი ამბობს, რომ ლენინი არ არის მეცნიერი. ნუცუბიძეს ჩვენ ვკვეთ უნდა ვასწავლოთ, რადგან ის ამზადებს პროლეტ სტუდენტობას, ნამძიმია ქვევრს რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებსო. რას აკეთებს ნუცუბიძე ლექციაზე სტუდენტებთან, წარია რახუნი დიდ სიტყვების, ფილოსოფიას, როგორ ასწავლის, რადგან მან იცის უცხო სიტყვები, მას ფეტიშად ეაქცევ, ჩვენ გვგონია დიდი მეცნიერი, მე ამაში ეჭვი მეპარება. ჩვენ გვყავს ყოველ შემთხვევაში პარტიული ჯგუფი აპირანტების, რომელსაც ისინი იდეოლოგიურ შეფერხებებს იღებენ, საიდან გამომდინარეობს, ამის წყარო მან და მან არის შექნილი, ეს არის აუცილებლად ჩვენი პორფესორებიდან, მე არ ვამბობ, რომ ეს ხალხი ჩვენ არ უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბოლშევიკურ ფრონტზე შეურყეველი ბრძოლა, გამოვიყენოთ ისე როგორც საჭირო არის.

პროფესორ ნუცუბიძის აზრით ჩვენი ასპირანტები არაფრად არ ვარგა, ისინი არიან კარგი ბიჭები ვინც უცხო ენებს სწავლობენ, დანარჩენი კი ფრანტები არიანო. /ხმა პრეზიდიუმიდან: ეს ძველი ამბავია/. მართალია ჩვენ პროფესორებს არ ქონიათ დრო, რომ ფილოსოფია იცოდნენ ენით, ამის საშუალება არ ეძლეოდა, რომ ენები შეეკასრებინა, 20-30 წელი კაბინეტებში ჩაკეტილიყვნენ და მრავალი წიგნები წაეკითხა. ამის საშუალება არ ქონდა ჩვენ პროფესორებს, ჩვენ გავიზარდეთ ცანაში, წარმოებაში, ჩვენ ვართ წარმოების სიღრმის გულიდან გამოსული, დიდ რევოლუციაში და სამოქალაქო ომში გამობრძმედილი, რომელიც უფრო კარგად იცავისებს ფლობს მარქსიზმ, ლენინიზმის თეორიას, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ახალგაზრდა მეცნიერებს მხარს დაუჭერს პარტიული ორგანიზაცია და გაშლის ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე, რომელსაც სასახელო სახელით ჩაიწერება ისტორიაში, თავს გავინათავისუფლებთ ბურჟუაზიული იდეოლოგიდან, როგორც ამას ისახავს მე-17 პარტ ყრილობა.

/ხანგრძლივი ტაში./

24. დაადგინეს: ბოვიგაში ელისაბედ ილიევის ასული მოიხსნას თანამდებობიდან.

25. მოისმინეს: მერიული მნიშვნელოვანი ძე, დ/ბ/ან '' აღიას ტრანსფერ ლიცენზიის დანიშნულებისა მუშაობს ამ კუნძულებზე სხვა და სხვა თანამდებობაზე. მერიული არის ძველი პიონერული ჩინოვნიკური ცხოვრების განსახიერება საბოლოდ. მუშაობას არ ეწევა და არც სურს, ეალდებულებას ეკიდება გულგრილად, პიონერულად მერიული წინააღმდეგი წავიდა გოგანაწყობის მოხსნის შესახებ და საკითხს კომუნისტების დანიშნის შესახებ აპირებდა განსახილველად კონსერვატიულ ნაწილში და ჩარჩენილი სხეულებრივა შორის მათი დანაშაულის მიმართ აღრად დანიშნული ბელშევიკური კომუნისტების წინააღმდეგ.

25. დაადგინეს: მერიული გრიგოლ აღექსანდრეს-ძე, როგორც შეუფერებელი მოიხსნას თანამდებობიდან.

26. მოისმინეს: ისტ.ლიტ.მაკულტის პროფ.პედაგოგიური პერსონალის გადასინჯვის შესახებ / ცირკულარი/.

ადრი გამოსთქვეს: ჯანელიძე, ჭკუასელი, ყუნია, ანდრაძე.

პროფ.გ.აბელიანი პროფ.ჩიქობავა. არიან ინდოევროპეისტიკის ნარჩომადგენლები დღევანდელ ამკარად არ უარყოფათ თავისი შეხედულებები. პასიროვას იჩენენ მარქსისტული-ლენინური ენათმეცნიერებისათვის ბრძოლის საქმეში, ხშირად თავსაც ესხმიან მარქს-ლენინ ენათმეცნიერების მიმდევართ ადგილობრივ კადრებს.

26. დაადგინეს: იმის გამო რომ საათანადო მარქსისტულ-ლენინურ შემცველი კადრები არ მოგვეპოვება აიცილოს დაცულებულ იქნას პროფ. გ.აბელიანი და ჩიქობავა საშუალოზე და გაძლიერდეს მათზე კონტროლი და გაისაძლოს ბრძოლა მათი საბოლოო გამიანადებისათვის.

27. მოისმინეს: დ.ტატიშვილი ინდოევროპეისტიკის ნარჩომადგენელი, მარტალია აქტიურად არ გამოდის მარქსისტ-ლენინური ენათმეცნიერებისათვის გაძლიერ ბრძოლის წინააღმდეგ, მაგრამ ჩიქობავა-აბელიანის გავლენით არეიოთ აქტიურობას არ იჩენს. საბოლოდ კადრების მომზადების საქმეში, ცდილობს ინდო-ევროპიული ტიპის მიმდევარ ახალგაზრდა კადრების დანიშნულებას. მარქსიკელ მუშაობაში უფრო ენერგიულია, აქტიურად აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში.

27. დეკანოზი: პარტკომს შესაძლებლად მიაჩნია მისი მუშაობა უნივერსიტეტში, საჭირო ნიშნებაციური ყურადღება და ხელის შეწყობა რომ თოფურიამ დაძლიოს ძველი შეხედულებები და დაიცვას პარტ-ლენინურ ენათმეცნიერების საფუძველზე.

28. პროფესორი: პროფ.ივ.ჩავჩავაძის პროფ.ბრ.წერეთელი, ისევ ძველ შეხედულებებზე დგანან, კითხულობენ ლექციებს, არ იცვლებენ საათობრივ ნაშრომებს სასწავლებლებში მიღებულ სწავლების მეთოდებს, არ აანალიზებენ მიმდინარე პრინციპებს და სხვ.

28. დეკანოზი: პარტკომის აზრით მათი უნივერსიტეტში მუშაობა მიზანშეწონილია, მაგრამ დღეს დღეობით მათი შემცველი საათების სპეციალისტების უყურადღებოდ გაჩო შესაძლებლად იქნას ცნობილი მათი გამოყენება, მით უმეტესად, რომ თავის დარგში ღრმა სპეციალისტები არიან.

29. პროფესორი: პროფ.პ.შანიძე, თითქოს არ იზიარებს ჩიქობავა-ახვლედიანის შეხედულებას, მაგრამ ვერც ბედავს აზის საბრძნობე გამოცანას. როგორც შეცნიერი ყველგან შეცდილი იქნება და ჩინებული თავისი შეხედულებით და ყველაზე უფრო ახლო სდგას საქართა ხელისუფლებასთან.

29. დეკანოზი: პროფ.შანიძე დაფიქრებული აქვს სახ.უნივერსიტეტში თავის თანამშრომაზე.

30. პროფესორი: პანსაძლებლების პ.სარალიძე, პ.ინსტიტუტიანი, ჭანიშვილი ოფიციალურ.ასწავლიან რუსულ ენას.ერთა პროფესორის გამო ვერ იქნენ სათანადო ეფექტის აქ შესახებ აქტიურად საგნის სწავლებაში. განსაკუთრებით სალარიძე სრულიად შეცდომაა აქტიური მეთოდებით სწავლების უნარს ითხოვს ყველა აქტივობში აღნიშნავენ როგორც ლექციებზე გამოყენებულია უსაქმოდა და სწავლებლის სისუსტის გამო.ინსტიტუტი ვერ შეეგება უპირველეს ყანსწავლებლებს მოთხოვნილებას სწავლების ახალი ხარისხის

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი № 1, საქმე № 49 გვ. 28-29

173 28

ო ქ მ ი ს ი

ს.კ.პ./ბ/ სამხედრო-პოლიტიკური პროპაგანდის სახლის

1934 წლის "26" მ ა ი ს ი.

პარტიული პარტკომის წევრები: მინაძე, ჭკუასელი, მამალაძე, კაიანაროშვილი, ბარათელაშვილი, გასვიანი, სულაბერიძე.

ა ბ რ ე უ ე ე: კვეკვეიძე, ციხისთავი, ანდრიაძე, თევდორაშვილი, აბულაძე, ვაჭარაძე, ბიწაძე.-

I. მოისმინეს: ოისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლების ერთდროული მიმოწარეობის შესახებ.

მომხსენებელი: სულამბერიძე, კაიანაროშვილი, კვეკვეიძე, ირემაშვილი, ბიწაძე.

ადრე გასულებმა: ჭკუასელმა, მინაძემ.

I. გადაწყვიტეს: I. აღინიშნოს, რომ პარტკომის ორგანიზება ოისციპლინის განმტკიცების და სწავლების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლების ერთ ძირითად ჩაგარების შესახებ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, ნაცვლად იმისა, რომ არა საპატიო მიზეზებით გაცდენები აცდენილი ყოფილიყო 0-მდე რიგ ფაკულტეტებზე /ფიზიკომათემატიკური, საბუნებისმეტყველო, ეკონომიური, სამართალი/ ამგვარი აქვს გაცდენების ბრაას რაც შეეხება პარტორგანიზაციების ყველა რგოლების სუსტი მუშაობისა, პარტკომის ორგანიზების რეალიზაციის საქმეში

2: ზოგიერთი ამხანაგების მხრივ აღვილი აქვს არა საპატიო მიზეზით გაცდენების 0-მდე მიყვანის ტენდენციას, არა საპატიო მიზეზით გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლის გზით.

პარტკომი ა დ გ ე ნ ს:

1. პირველაძეებს მიეცეს პარტორგანიზატორებს ეარდეა გაშალონ მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობა აკადემიური ჯგუფებში საკითხის ათვისებით და მიიღონ გაათმაგრილი ზომები გაცდენების 0-მდე მიყვანის უზრუნველსაყოფად.

2. გაძლიერდეს და კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩამორჩენილ სტუდენტებზე ათანამშრომლების პრაქტიკა, ათვალოს ამხ. მესხიას შემოწმების ფაკულტეტებზე ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა და შემოწმების შედეგი წარმოადგინოს პარტკომის მორიგ სხდომაზე.

3. პირველაძეებს მიეცეს პარტორგანიზატორებს ათანდებოდეთ მოაწყონ გაცდენების აღრიცხვის სწორე ისე, რომ ეს ბოლოს იყოთ რომელმა სტუდენტმა რა მიზეზით გააცდინა ლექცია და ცნობები წარუდგინონ სასწავლო ნაწილს ათანდებით ვადებში.

4. ათვალოს სასწავლო ნაწილს შესწავლა აღრიცხვის პრინციპლექტორების და სტუდენტების გათვეცნობა და მიიღონ გაათმაგრილი ზომები გაცდენების აღმოსაფხვრელად.

II. გადაწყვიტეს: პრიფ. ჩიქობავას განცხადების შესახებ/მინაძე/

ამხ. ამხ. ჭკუასელმა, ციხისთავმა, მინაძემ.

2. გადაწყვიტეს: I. პრიფ. ჩიქობავას მიერ "ლენინის" პარტორგანიზატორ ამხ. ცინცაძეზე გაკეთებული ბრალდებები: "მისი ათვისების მისი კათედრის მხედველობის და ამხანაგების ეაქვს ჩიქობავაზე" უსაფუძვლოდ და ეს საკითხს არ გააფუჭებდეს და არა სხვა ზომებს მიეღებოს" ლიტერატურა ათვალოს მიზეზი არ ათვალოს.

2. აღინიშნა, რომ პარტიული კომიტეტის ამ რეკომენდაციის მიერ პრინც. ჩიქობავას უნივერსიტეტში შექმნილი აქვს მეშაობის საუკეთესო პირობები, რომ პარტიულმა კომიტეტმა ინსტიტუტში მომუშავე პარტ-კომკავშირული შემადგენლობის

მიმართ/ხელმძღვანელი, ჩიქოვანი, ლიონგი/

საჭიროებათა ზომების მიღებით თავის ერიდება საჭირო შესაფერისი მუშაობა ჩიქობავას საშუალო პირობების ყოველ მხრივ უზრუნველსაყოფად.

3. რომ უნივერსიტეტის ყველა პასუხისმგებელი ამხანაგებს ეამოკიდებულება ჩიქობავასადმი სრული კოლექტიურია.

4. პარტ-კომი აღნიშნავს, რომ პრინც. ჩიქობავას მიერ პარტკომის ამ რეკომენდაციის ყველა ეს ღონისძიებანი სრულად წინააღმდეგ იქნება შესასრულებლად და გამოყენებული, რომ ჩიქობავას ახასიათებს კიდევ უფრო თავაშვებულება მუშაობაში, მის მიერ აკრძალული აქვს ინსტიტუტში მიმუშავე პარტ-კომკავშირული ახალგაზრდობის ეკვის ფაქტს/ხელმძღვანელი, ჩიქოვანი, ლიონგი და სხვა./

5. პარტკომი ყოველად აკრძალებდა სხვების ჩიქობავას მიერ პარტკომიტეტისადმი ფულიმაგვარის წამოყენებას, "ღირსი" პარტნორჩანიშვილის შესახებ. ციტატის პარტიული საშუალოვანი ამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ.

6. ამასთანავე ერთად პარტკომი აღნიშნავს, რომ ჩიქობავასაგან აკრძალული აქვს თავისი ანტიმარქსისტული ნაშრომების ირგვლივ ნაკვეთების ფაქტის იმ პარტიულ ამხ. წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან მარქსისტული თეორიისათვის ენაკ-მეცნიერებაში.

პარტკომის ს ე კ რ ე ტ ა რ ი:

ყველა აღნიშნული მასალები ჩიქობავას შესახებ ამ აკრძალვის შესახებ ინსტრუქციები განხილულ იქნას პარტკომის სხდომაზე საჭიროების ფარგლებში.

მისმინეს: 28 მაისს "ენათმეცნიერების საკითხებზე" "საერთო კრების ჩატარების შესახებ.
/მინაძე/

დადგინეს: 1. ენათმეცნიერების საკითხებზე 28 მაისის მოწვეული საერთო კრება გადაეწეული იქნას 31 მაისისათვის ს.კ.პ/ბ/ ა/კავკასიის საბჭოსერო კომიტეტის პლენუმის მოწვევის გამო.

2. მიეცეს ამხ. მინაძეს, ციხისთავს და კალინინგრადის უზრუნველყონ 31 მაისისათვის კრების ჩატარების ორგანიზაციული მომზადება.

მისმინეს: ამხ. სვანიძის განცხადების შესახებ/კომისია ამხ.ამხ. სიხარულიძე, ხუციშვილი/.

ასრულებულია: გადაეცეს, რუსიაშვილის, სვანიძეს, ხუციშვილს, მინაძეს.

დადგინეს: კომისიის მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის პროექტი შესწორებით დამტკიცდეს. /იხ.დანართი № 1./

მისმინეს: "ბაქოს" ბიბლიოგრაფიული კალენდრის" რედაქციის მეშაობის შესახებ/ხელმძღვანელი/.

დადგინეს: წარმოდგენილი პროექტიული ღონისძიება დამტკიცდეს.
/იხ.დანართი № 2./

მისმინეს: მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მისაღებად კანდიდატების შერჩევის შესახებ /მინაძე/

დადგინეს: ინვენტარის სასწავლო ნაწილს/ამხ. ჭკუასელს/ შეარჩიოს საჭირო კანდიდატები და წარმოდგინოს პარტიულ კომიტეტს დასამტკიცებლად.

მისმინეს: საშვილო კოლექტივებზე სასიფ. სამ. იარაღებით დახმარების შესახებ./მინაძე/

მართალია, ყველა უმაღლეს სასწავლებელში იყვნენ იაფეტური თეორიის მიმდევრები და კომარატივისტები, მაგრამ მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ხელისუფლება ღიად უჭერდა მხარს მარისტებს, რადგან იაფეტური თეორია ითვლებოდა მარქსისტულ ენათმეცნიერებად და კომუნისტური პარტიის ხაზად მეცნიერებაში. ეს დაპირისპირება ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებასაც კი ქმნიდა, რადგან მეცნიერის ან სტუდენტის მოხვედრა არასანდოთა რიცხვში მისთვის შეიძლებოდა ცუდად დასრულებულიყო.

სწორედ ასეთ ფონზე ნიკო მარმა მოინდომა თბილისში ჩამოსვლა. ძირითადი მიზეზი იყო მისი ვაჟის, ცნობილი ირანისტის, იური მარის ავადმოყოფობა, მაგრამ ვაჟთან ახლოს ყოფნის გარდა თბილისის უნივერსიტეტში ლექციების კითხვაც ისურვა. ეს ძალიან გაუხარდათ ნიკო მარის უნივერსიტეტელ მიმდევრებს, განსაკუთებით ახალგაზრდებს, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ნიკო მარის სახელობის იაფეტიდოლოგიურ წრეში და ნიკო მართან შეთანხმებული გეგმით მუშაობდნენ. ამ ინფორმაციის სისწორეს ადასტურებს ალექსანდრე ღლონტი, რომელიც სპეციალურად იხსენებს ნიკო მარის თბილისში ჩამოსვლას. ეს ამბავი აგრეთვე ასახულია იოსებ მეგრელიძის ხელნაწერ დღიურებშიც, რომელიც ინახება მის საოჯახო არქივში.

ალ. ღლონტი იგონებს: „1931 წელს წრის წევრებმა გადავწყვიტეთ, ჩვენს მეცადინეობაზე დასასწრებად ბ-ნი ნიკოს მოწვევა, რასაც ნიკო მარი დიდი მოწონებით შეხვდა. შეხვედრა გაიმათა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, დიდძალი ხალხი დასწრო და როცა ალექსანდრე ღლონტმა აუდიტორიას დიდი მეცნიერი წარუდგინა, მას ფეხზე ადგომითა და მხურვალე ოვაციით შეხვდნენ. ღლონტის მოკლე მოხსენების შემდეგ მეცნიერს მიმართა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კორნელი კეკელიძემ. დაუვიწყარი იყო მარის გამოსვლა. ლაპარაკობდა ქართულად, გურული აქცენტით. წრის საქმიანობა და ჩემი მოხსენება მოიწონა და ვრცლად შეჩერდა იაფეტური თეორიის ახალ მიღწევებზე.

რამდენიმე ხანში შეიქმნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავასიის ფილიალი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ნ. მარი. „ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავრობამ გამართა დიდი დარბაზობა, რომელსაც ესწრებოდნენ მეცნიერები, საქართველოსა და ამიერკავასიის მთავრობის წევრები, პარტიული მუშაკები, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ორიანტის დიდი სააქტო დარბაზი გადაჭედილი იყო. თამადობდა ნიკო მარი, რომელმაც გონებამახვილობით, საოცარი ხალხური იუმორით, სხვადასხვა ენაზე საუბრით ყველა გააოცა. ლაპარაკობდა ის რუსულად, ქართულად, სომხურად, თურქულად, აზერბაიჯანულად, აფხაზურად, სვანურად, ლაზურად, მეგრულად, გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად, ბასკურად. თანაც ამ ენებით საუბარში ურთავდა ხოლმე ცოცხალ ხალხურ ანდაზებს, ფრთიან სიტყვებსა და აფორიზმებს, რაც დარბაზობის მონაწილეთა აღტაცებას იწვევდა... მეორე დღეს „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი იუწყებოდნენ, დარბაზობას გრანდიოზული სახე ჰქონდაო...ნიკო მარმა გადაწყვიტა დარჩენილიყო თბილისში ავადმყოფ შვილთან. მაგრამ აზრთა ფუნდამენტურმა სხვადასხვაობამ უნივერსიტეტის პროფესურასთან ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე. როგორც ალ. ღლონტი იხსენებს, გაზეთში წინასწარ გამოცხადდა ლინგვისტთა თათბირი, რომლის თაობაზე ნიკო მარი არავის გაუფრთხილებია. გაზეთი თათბირის დამსწრეთა ვინაობასაც იუწყებოდა: ნ. მარი, გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ს, ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, დ. კარბელაშვილი, ასპირანტი ალ. ღლონტი და სხვებიო. მარი გაცეცხლდა, მე ლავრენტი ბერიას სტალინთან შეხვედრის მოწყობა ვთხოვე და არა ეს თათბირი, რომელზეც ალბათ ჩემი გალანძღვა უნდათო“. ალ. ღლონტმა დააკავშირა ტელეფონით ნიკო მარი უნივერსიტეტის რექტორთან, რომელსაც აღელვებული ელაპარაკა: ამხანაგო ორაგველიძე, ეს თათბირი წინასწარ ჩემთან არავის შეუთანხმებია, რა მიზანი აქვს, არ ვიცი, მასეთ თათბირს არ დავესწრები, არ მოვალ, სულ წავალ საქართველოდანო. მიუხედავად რექტორისა და მისი

მოადგილის დიდი მცდელობისა, ნ. მარი არ დაესწრო თათბირს. თათბირი ჩაიშალა, იმ დღესვე გაემგზავრა აკად. ნ. მარი საქართველოდან... რამდენიმე ხანში მოვიდა ცნობა პეტერბურგიდან, რომ ნ. მარს ენისა და აზროვნების ინსტიტუტში მოხსენების კითხვისას გადააწოდეს დალუქული პაკეტი. ეს აღმოჩნდა ლავრენტი ბერიას ბარათი: როდესაც მოსკოვში იქნებით, ი. სტალინს დაურეკეთ. ის თქვენ მიგიღებთ (ბარათი ინახება არქივში, - ალ. ღლონტი არ წერს, რომელ არქივს გულისხმობს). მარმა მოხსენების კითხვა განაგრძო, მოულოდნლად შეტორტმანდა, ჩაიჩოქა, მარჯვენა კიდურების დამბლა მოუვიდა, დაეცა და საავადმყოფოში მკურნალობსო“. ალ. ღლონტი სპეციალურად ჩავიდა პეტერბურგში მოძღვრის მოსანახულებად. ნიკო მარი 1934 წელს გარდაიცვალა (ღლონტი 1998:17-18, 41-43). დაპირისპირება მისი თეორიის მომხრეებსა და მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეებს შორის კვლავ გაგრძელდა, რადგან საბჭოეთში იაფეტური თეორია კვლევ რჩებოდა ოფიციალურად აღიარებულ ერთადერთ ლინგვისტურ მოძღვრებად.

§3. არნოლდ ჩიქობავას 1935 წელს გამოცემული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოს უცნაური წინასიტყვაობა[1]

თეორიული ენათმეცნიერების პირველი სახელმძღვანელო შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე. მისი ავტორი იყო თვით უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესაფუძვლე და ამავე უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის დამაარსებელი გიორგი ახვლედიანი. ეს წიგნი გამოვიდა 1918-1919 წლებში როგორც ლექციების კურსი „ხელთნაწერის მაგიერ“ სამ ნაკვეთად, სტუდენტური კავშირის გამგეობის დაფინანსებით (ახლედიანი 1918-1919). ამჟამად იგი ერთ-ერთი რარიტეტული გამოცემაა. სწორედ ამიტომ ჩათვალეთ საჭიროდ მისი ხელმეორედ დაბეჭდვა ერთ წიგნად გავაერთიანეთ სამივე ნაწილი და ტერმინთა საძიებელი დავურთეთ (ახვლედიანი 2018). ამ სახელმძღვანელოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული საენათმეცნიერო მეტაენის შექმნის ისტორიის თვალსაზრისით, რადგან გიორგი ახვლედიანი იყო როგორც პირველი საენათმეცნიერო ტერმინების შემქმნელი, ასევე მათი გარდამქმნელიც, განსაკუთრებით ფონეტიკაში.

მეორე თეორიული ენათმეცნიერების სახელმძღვანელო გამოვიდა გიორგი ახვლედიანისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი თაობის კურსდამთავრებულის, არნოლდ ჩიქობავას თანაავტორობით 1932 წელს, უკვე შეცვლილ პოლიტიკურ კონტექსტში. წიგნი „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა“ ორი განაკვეთისაგან შედგება. იგი შედგენილია დაუსწრებელი პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის განყოფილების პირველკურსელი სტუდენტებისათვის. მეორე განაკვეთს აქვს სპეციალური ქვესათაური „მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) დარგები“. ამ წიგნში უკვე ჩნდება თავი „ენა, როგორც ენათ-

[1] წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ისტორიის საერთაშორისო კონფერენციაზე 2017 წელს პარიზში (ბოლქვაძე 2017)

მეცნიერების საგანი მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით“(ახვლედიანი, ჩიქობავა 1932). ამ ორი სახელმძღვანელოს შედარება აჩვენებს, როგორ იზრდება იდეოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი პარაგრაფები თეორიეული ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებში.

თუ პირველი, 1918-1919 წლებში მომზადებული სახელმძღვანელო მთლიანად თავისუფალი იყო იდეოლოგიური წნეხისაგან, თანდათანობით მეცნიერული და აკადემიური თავისუფლება ჯერ იზღუდება, ოცდაათიან წლებში კი, ფაქტობრივად ისპობა მთლიანად. ამ მხრივ საინტერესოა არნოლდ ჩიქობავას 1935 და 1946 წლებში გამოსული სახელმძღვანელოები. ავტორი 1935 წლის სახელმძღვანელოში თავს არიდებს ნიკო მარის კრიტიკას და მხოლოდ ზოგჯერ აკეთებს მოკლე კომენტარს, თუმცა იოსებ სტალინის მოსაზრებების განხილვას უთმობს ჯეროვან ადგილს. ეს განსაკუთრებით ითქმის მე-9 პარაგრაფზე - „ერთიანი ენის საკითხი მომავალ უკლასო საზოგადოებაში“. ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სტალინისა და ნიკო მარის მოსაზრებები თავიდან ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, მარის გარდაცვალების შემდეგ კი საბჭოთა ხალხთა ბელადმა აზრი შეიცვალა.

არნოლდ ჩიქობავას 1935 წელს გამოცემულ „ზოგადი ენათმეცნიერების პროპედევტიკულ ნაწილს“ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სახელით უძღვის წინასიტყვაობა, რომელიც ბევრ საინტერესო საკითხს აშუქებს. ამ წინასიტყვაობის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მოთხოვნები წაეყენებოდა ენათმეცნიერების სახელმძღვანელოს „სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.“

- უნდა დაწერილიყო მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე;
- უნდა გაეკრიტიკებინა ძველი, ბურჟუაზიული ენათმეცნიერება ანუ ინდოევროპეისტიკა

• უნდა გაეთვალისწინებინა ახალი მოძღვრების (იაფეტიდოლოგიის) ყველა მიღწევა ენათმეცნიერების „გვერდაუვლელი პრობლემების“ შესახებ.

აქვეა მოცემული რა ითვლებოდა 30-იანი წლების საბჭოთა ენათმეცნიერების „გვერდაუვლელ პრობლემებად“:

1. კომპარატიული მეთოდისა და ცრუ ისტორიზმის უარყოფა

„ნიკო მარმა სამართლიანად დაანგრია ძველი ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული შენობა და მის ნაცვლად ახალი ააგო. უარყოფილ იქნა ე.წ. კომპარატიული მეთოდი და მისი ცრუ ისტორიზმი, რომლის ადგილი დაიჭირა მატერიალისტურმა დიალექტიკამ, მისმა სპეციფიკურმა კონკრეტიზაციამ ენობრივ მასალებზე, მატერიალურმა პალეონტოლოგიამ და ნამდვილმა ისტორიზმმა“ (წინასიტყვაობა 1935:VIII).

2. ენათმეცნიერების კვლევის ობიექტად არა მხოლოდ ბგერითი, არამედ ხელის ენის აღიარება

„ენათმეცნიერება არა მარტო ბგერით ენას და მის განვითარებას შეისწავლის, არამედ ხელის ენასაც, კინეტიკურ მეტყველებასაც, რომელიც გადმონაშთების სახით დღესაც შემონახულია ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა ტომებსა და იაფეტურ კავკასიაში“ (წინასიტყვაობა 1935:IX)

3. აზრის ისტორიისა და ენის ისტორიის გაიგივება

ენა არის პრაქტიკული რეალური ცნობიერება. აზრის ისტორია = ენის ისტორია. „მარის მოძღვრება ბრწყინვალე დადასტურებაა მარქს-ენგელს-ლენინის დებულებათა სრული ჭეშმარიტებისა“ (წინასიტყვაობა 1935:X).

4. აღწერითი გრამატიკის დაწუნება, ისტორიზმის აუცილებლობა თვით სასკოლო გრამატიკებშიც კი


თუ სასკოლო გრამატიკა მხოლოდ ფაქტებს აღწერს და მისი არსით არ ინტერესდება, „მაშინ ეს იქნება გრამატიკის კარიკატურა, ყოველგვარ ღირსებასა და მნიშვნელობას მოკლებული. ასეთი მჭლე და უსუსური გრამატიკის პროპაგანდა ჩვენი სკოლებისთვის უცხოა“ (წინასიტყვაობა 1935:XI).

5. ენის წარმოშობის საკითხი

ეს საკითხი ინდოევროპეისტიკაში მოხსნილია. ბურჟუაზიული ლინგვისტიკის მესვეურები მას ენათმეცნიერების პრობლემად არ თვლიან (წინასიტყვაობა 1935:XII). სულ სხვაგვარად უყურებს ამას ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება, რომელიც ბგერით ენამდე ხელის ენის არსებობას უშვებს. „ადამიანს მეტყველება დანაწევრებული ბგერებით არ დაუწყია. დიდი შრომა დასჭირდა, სანამ ის ხმიერ მეტყველებას შეძლებდა. ენა მან შექმნა შრომის პროცესში და თავდაპირველად იგი არ იყო ხმიერი. მეტყველების პირველი სტადია იყო კინეტიკური ანუ ხელის ენა“ (წინასიტყვაობა 1935:XII).

6. ენათა შემოქმედების გლოტოგონიური პროცესი

„ნიკო მარმა გაანადგურა ინდოევროპული პირამიდა. ერთი ენა არის მრავალ ენათა დასაბამი, ენათა განვითარება მცირე რიცხოვნობიდან მრავალ რიცხვნობისკენ მიდის,-ასეთია წმინდა წყლის იდეალისტური კონცეპცია. ახალი მოძღვრება აცამტვერებს იდეალისტურ თეორიას. ენათშემოქმედება ერთი ენით კი არ იწყება, არამედ მრავლით. პირამიდა წვერით კი არ დგას, არამედ ფუძით. მრავალი ენიდიან ერთი საკაცობრიო ენისკენ – ასეთია განვითარების დიალექტიკა. ასეთია ენის დიალექტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური გამგრძელებლის ამხ. სტალინის აზრით და ასეთივეა ნ. მარრის ახსნა“ (წინასიტყვაობა 1935:XV).



7. ენათა ნათესაობის დადგენის მეთოდი

მარი უარყოფს ენათა სისხლით ნათესაობას, რომელიც ინდოევროპეისტიკამ შეიმუშავა, ე. ი. ერთი ენიდან ჩამომავლობით ნათესაობასა და მსგავსებას, მაგრამ საერთოდ ნ.

მარრს არსად არ უარუყვია ენათა ნათესაობა, პირიქით, ის ენათა ნათესაობას ღებულობს, მაგრამ არა მეიე-სოსიურისეული გაგებით. მარრი ასე ხსნის ამას: „ნათესაობა სოციალური მსგავსებაა, უნათესაობა – სოციალური განსხვავება.“[1] ენის ახალი მოძღვრება მარქსიზმის მომარჯვებით ანადგურებს ბურჟუაზიული ინდოევროპეისტიკის ბიოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ახსნას ენათა ნათესაობის შესახებ. ენათა ნათესაობა წარმოიშვა არა სისხლის ნათესაობიდან და არა წარმოშობით ერთი წყაროდან, არამედ საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების გაერთიანებიდან. იაფეტურმა პალეონტოლოგიამ არა ერთი გზით დაამტკიცა, რომ ნათესაობა არ არის თავდაპირველი მოვლენა, არამედ ის საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა (წინასიტყვაობა 1935:XVI).

8. ენის სტადიური განვითარება

ახალი ენათმეცნირებისათვის მიუღებელია ენათა ნებისმიერი კლასიფიკაცია, რომელიც არ ითვალისწინებს გლოტოგონიურ პროცესს და არ იძლევა ენის სტადიალური განვითარების დახასიათებას (წინასიტყვაობა 1935:XVI-XVII). მარრმა დაანგრია ძველი ენათმეცნიერება, უარყო ტრადიციული კლასიფიკიაცია და მის ნაცვლად შემოიღო ახალი სტადიალური კლასიფიკაცია და ენების სისტემებად დაყოფა ოჯახების ნაცვლად.

უნივერსიტეტის გამომცემლობის ანონიმური რეცენზენტის მიერ ენათმეცნიერებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს არნოლდ ჩიქობავას სახელმძღვანელო, მაგრამ ამის მიუხედავად, წიგნი მაინც იბეჭდება: „არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა იდეალისტური შეხედულებებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამ უდიდესი ნაკლისა, ჩვენ მაინც საჭიროდ ვცნობთ ამ წიგნის გამოცემას; ცხადია, იმ პირობით, რომ მკითხველი მას აითვისებს კრიტიკულად და გაით-

[1] Родство - социальное схождения, неродство - социальное рассхождение.

ვალისწინებს თეორიულ შეცდომებს“ (წინასიტყვაობა 1935:VIII). ავტორის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ „სათანადოდ ვერ აფასებს საბჭოთა ლინგვისტიკას და მის მიღწევებს. იგი დღესაც სავსებით ვერ გამიჯნულა ინდოევროპეისტიკის პრინციპებისგან, მაგრამ სახელმძღვანელოს დადებითი მხარე ისაა, რომ აქ ავტორი ზოგადი ენათმეცნიერების პრინციპულ საკითხებს შლის ქართული ენის მასალაზე, რაც სტუდენტობას შესამჩნევად გაუადვილებს ლინგვისტიკის ძირითადი საკითხების შესწავლას“ (წინასიტყვაობა 1935:VIII). ეს აზრი მეორდება წინასიტყვაობის ბოლო აბზაცშიც, რომ „მკითხველმა უნდა გამოიჩინოს კრიტიკული მიდგომა, უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოს მთავარი შეცდომები, მაშინ წიგნი დაეხმარება სტუდენტობას ზოგადი ენათმეცნიერების კურსის შეთვისებაში“ (წინასიტყვაობა 1935:XII).

მაინც რა „შეცდომებს“ უშვებდა „ინდოევროპულ პრინციპებზე მდგომი“, „იდელისტური შეხედულების მქონე“ არნოლდ ჩიქობავა, რომ მის წიგნს შეეძლო ზიანი მიეყენებინა საბჭოთა სტუდენტებისათვის, თუ ისინი კრიტიკულად არ მიუდგებოდნენ მათთვის შექმნილ სახელმძღვანელოს. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა იყო ჩიქობავას მხრივ ენათმეცნიერების საგნიდან ხელის ენის ამოშლა, თუმცა ამ მიმართულებით მცირეოდენი წინსვლა ჰქონდა ავტორს: „იყო დრო, როცა ამ სახელმძღვანელოს ავტორიც უარყოფდა ენის წარმოშობის საკითხის ენათმეცნიერების საგნად მიჩნევას. აქ კი ის ძველ დებულებას ემიჯნება. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი არის და უნდა მივესალმოთ. მაგრამ ავტორისთვის ჯერ კიდევ ცხადი არ არის მატერიალური ლინგვისტიკის მონაპოვარი. მართალია, ენის წარმოშობის საკითხი მიჩნეულია ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად საკვლევ პრობლემად, მაგრამ ენის წარმოშობაში მხოლოდ ბგერით მეტყველებას გულისხმობს და ეჭვი შეაქვს, შეძლებენ კი ოდესმე ენათმეცნიერები ენის წარმოშობის საკითხის დოკუმენტალური სიზუსტით გარკვევას (წინასიტყვაობა 1935:IX,XII). რეცენზენტი დარწმუნებულია, რომ ეს საკითხი გადაჭრილია, რაზეც

მიუთითებს მატერიალური კულტურის ნაშთები, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის, ფსიქოლოგიის, ლოგოგონიისა და ენობრივი მოვლენების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებსაც ენათმეცნიერების სახელმძღვანელოს ავტორი გვერდს უვლის (წინასიტყვაობა:1935:XII).

არნოლდ ჩიქობავა სხვა შეცდომებსაც უშვებს. იგი ენის მხოლოდ ორ ფუნქციას გამოყოფს: ექსპრესიულსა და საკომუნიკაციოს. ავტორი ენად მიიჩნევს გაგებინების ყოველგვარ საშუალებას. ენის ამგვარი გააზრება არ არის ზუსტი და ამდენად უმართებულოა (წინასიტყვაობა 1935:X). ჩიქობავა გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში საჭიროდ არ თვლის ისტორიული საკითხების განხილვას. „განა ასეთ გრამატიკას მოითხოვს მთავრობისა და პარტიის დადგენილებები მშობლიური ენის სწავლების დარგში? აღწერითი გრამატიკა, საერთოდ კი ენობრივი მოვლენებისადმი პასიური მიდგომა ბურჟუაზიული ინდოევროპეისტიკის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია (წინასიტყვაობა 1935:XI). ასევე არ მისდევს სახელმძღვანელოს ავტორი ახალ ენობრივ მოძღვრებას ენათა რაოდენობის შესახებ კაცობრიობის უხსოვარ წარსულსა და მომავალში. „იგი თავის თავს ეწინააღმდეგება ენათა განვითარების პროცესის ახსნაში. ერთი მხრით, ის გამოსავალ წერტილად ერთ ენას იღებს, მისი დიფერენციაციით მრავალი ენები იქმნება და მათი რიცხვი დღესაც მატულობს. ხოლო მეორე მხრივ, მოყავს რა ამხ. სტალინის ცნობილი შეხედულება, ეთანხმება მარს მომავალი ერთი საკაცობრიო ენის შექმნის აუცილებლობაში. როგორც ვხედავთ, ახსნა წინააღმდეგობრივია. ან მრავალ ენიდიან ერთი ენისკენ (ფუძეზე მდგომი პირამიდა) ანდა ერთი ენიდიან მრავალი ენებისაკენ (წვერით მდგომი პირამიდა). ორში ერთია მართალი... მატერიალური დიალექტიკა გვიმტკიცებს, რომ მსოფლიო ენებმა განვითარების პირველი ხაზი გაიარეს. მაშასადამე, სხვაგვარი ახსნა ახალი ენათმეცნიერებისათვის მიუღებელია (წინასიტყვაობა 1935:XV).

უნივერსიტეტის გამომცემლობის ანონიმური რეცენზენტის აზრით, არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოს სხვა ნაკლიც აქვს. იგი ადამიანის პირველ ენად ბგერით ენას ასახელებს ხელის ენის ნაცვლად, რაც იაფეტური თეორიის მთავარი მიღწევის უგულებელყოფაა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ისაა, რომ არნ. ჩიქობავა მხარს უჭერს ენათა ნათესაობის დადგენას ენათა ძირებისა და აგებულების მიხედვით. აქედან აშკარად გამომდინარეობს, რომ პრაენიდან გამოსულები ერთმანეთთან ნათესაობაში იმყოფებოდნენ, რადგან ამ პრაენაზე პრაერი ლაპარაკობდა რომელიღაც პრასამშობლოში!“ (წინასიტყვაობა 1935:XVI). ეს აზრი კი მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის მიუღებელია.

ასევე მიუღებელია სახელმძღვანელოში განხილული ენათა გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაციები, რადგან ორივე კლასიფიკაცია თავისი არსით ინდოევროპულია. „მრავალ ფაქტთან ერთად ინდოევროპეისტული კლასიფიკაციის საწინააღმდეგოდ ისიც ლაპარაკობს, რომ ერთსა და იმავე ენაში შესაძლებელია ვიპოვოთ როგორც ფლექსიურობა, ისე აგლუტინაციურობა, ანდა პოლისინთეტურობა და ფლექსიურობა“ (წინასიტყვაობა 1935: XVII).

ადვილი წარმოსადგენია ასეთი წინასიტყვაობის სახელმძღვანელო რა არაჯანსაღ გარემოს შექმნიდა სასწავლო პროცესში, როცა სტუდენტი დადარაჯებული უნდა ყოფილიყო, მისმა ლექტორმა შეიცვალა თუ არა პოზიცია და „ინდოევროპელობიდან“ გადაინაცვლა თუ არა ახალი ლინგვისტური მოძღვრების დამცველთა რიგებში. თუ ეს არ მოხდა, შემდეგი ნაბიჯებიც არ არის რთული წარმოსადგენად წინა პარაგრაფში ნაჩვენები პარტიულ კრებებზე განხილული საკითხებისა და გამოტანილი დადგენილებების მიხედვით (იხ. ზემოთ).

არნოლდ ჩიქობავას 1935 წელს გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში ავტორი ყოველნაირად არიდებს თავს ნიკო მარის თეორიის დამოწმებასაც და კრიტიკასაც. არის ერთა-

დერთი საკითხი, რომლის თაობაზე იმ პერიოდში სტალინს და მარს მსგავსი შეხედულებები ჰქონდათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმძღვანელოს მე-9 პარაგრაფის თემაა „ერთიანი ენის საკითხი მომავალ უკლასო საზოგადოებაში“. წიგნის ამ ნაწილში ავტორი მიჰყვება სტალინის მოსაზრებას, რასაც იწონებს უნივერისტეტის გამომცემლობის ანონიმი რეცენზენტი: „მრავალი ენიდიან ერთი საკაცობრიო ენისკენ, – ასეთია განვითარების დიალექტიკა. ასეთია ენის დიალექტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური გამგრძელებლის ამხ. სტალინის აზრით და ასეთივეა ნ. მარრის ახსნა“ (წინასიტყვაობა 1935:XV). მრავალი ენდიან ერთი ენის წარმოშობა უნდა დავუშვათ წარსულშიც, ამიტომ იაფეტური თეორიისათვის მიუღებელია პრაენის ანუ ფუძეენის თეორია, რომელიც ერთი ენიდიან მრავალი ენის წარმოშობას ამტკიცებს.

ნიკო მარი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იაფეტურ თეორიას არა მხოლოდ ენის წარსული (სხვადასხვა სისტემის ენათა წარმოქმნის ქრონოლოგია, ამ ენებში მეტყველების ნაწილთა ჩასახვა და მეურნეობასთან, მატერიალურ კულტურასა და საზოგადოების ფორმებთან დაკავშირებული ლექსიკური მასალის წარმოქმნა), საერთოდ, სამეტყველო ენის წარმოშობა, არამედ ენების მომავალიც აინტერესებდა, რის გამოც ჩვენი თეორიის სიმძიმის ცენტრი მკვდარი ენებიდან ცოცხალ ენებზე გადადისო, - წერდა თავის ავტობიოგრაფიაში (მარი 1927/1933). ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას აინტერესებს არა მხოლოდ გეოლოგიური ასაკის ენობრივი მოვლენების აღდგენა ანუ პალეონტოლოგიური მეთოდი, არამედ ენობრივი სიმრავლიდან ერთ ენაზე გადასვლის პროცესი, რომელიც მრავალი ათასი წელია მიმდინარეობს და საბოლოოდ ერთიანი სამეტყველო ენისაკენ მივყავართ. მას შემდეგ, რაც სსრკ მეცნიერებათა კადემიამ მარის თხოვნით იაფეტური ინსტიტუტი შექმნა, მისი თანამშრომლების ერთობლივმა შრომამ აჩვენა, რომ მსოფლიოს ყველა ენა ადამიანური შემოქმედების ნაყოფია, ერთიანი პროცესის შედეგია

და თითოეული ენა უნდა იქნეს განხილული არა როგორც მონოლითური მასივი, არამედ სხვადასხვა შრის შეჯვარება. ამ მოვლენის შესწავლა ერთ ადამიანს არ ძალუძს, ამას სჭირდება გიგანტური შრომა. იაფეტური ინსტიტუტის მიზანი ნათელია: გაცნობიერებული, მიზანდასახული ტექნიკით შევუმსუბუქოთ კაცობრიობას ურთიერთობისათვის ერთიანი საზოგადოებრივი იარაღის შექმნა“ (მარი 1927/1933: 12-13).

კაცობრიობის ენობრივ მომავალზე სპეციალურად მსჯელობს ნიკო მარი სტატიაში „ერთიანი ენის საკითხისათვის“, რომელიც წინასიტყვაობად აქვს წამძღვარებული ე. დრეზენის წიგნს „საერთო ენისათვის“. ნიკო მარის აზრით, კაცობრიობა ყოველთვის მიისწრაფოდა საერთაშორისო ენის შექმნისაკენ, მაგრამ ყოველთვის იღებდა ხელოვნურ, კუსტარულ ნაკეთობას, რომელიც ევროპული იმპერიალიზმის გემოვნებას აკმაყოფილებდა. ახალი ეპოქისთვის ასეთი ენა არ გამოდგება. საჭიროა ნამდვილად მსოფლიო მასშტაბის ენა. ერთიან საკაცობრიო ენაზე, ნიკო მარი, რასაკვირველია იაფეტური თეორიიდან ამოსვლით მსჯელობდა. რადგან მას მიაჩნდა, რომ კაცობრიობამ ენა შექმნა შრომის პროცესში გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში. კაცობრიობას შეუძლია მის მიერ შექმნილი გარდაქმნას კიდეც სოციალურ ფორმებთან ერთად. მაინც როგორი იქნება ეს ენა? „ნათელია, რომ მომავალი ენა იქნება ახალი სისტემის, ისეთი, როგორიც აქამდე არ არსებულა“. როგორც მომავალი მეურნეობა დაეფუძნება ახალ სისტემას, როგორც საზოგადოება და კულტურა იქნება სრულიად ახალი ანუ უკლასო, ასევე აშკარაა, რომ კაცობრიობის საერთო ენა ვერ იქნება მსოფლიოს რომელიმე ცოცხალი ენა (კულტურული და კლასობრივი თვალსაზრისით ბურჟუაზიული) ისევე, როგორც ვერცერთი მკვდარი ენა ვერ გახდა ნამდვილად საერთაშორისო ყოფილ, ოქტომბრამდელ მსოფლიოში. თანამედროვე საზოგადოების ახალი სუნთქვა ძველ სამყაროს საფიქრალს უჩენს, თვით მრავალ ათასწლოვანი ისტორიის მქონე ჩინეთსაც კი.

ერთიან საკაცობრიო ენას იაფეტური თეორია არა თუ არ გამორიცხავს სამეცნიერო პრობლემატიკიდან, არამედ, პირიქით, პირველხარისხოვან საკითხად მიაჩნია. მეცნიერთა ღიმილს იწვევს ერთიანი საკაცობრიო ენის ხელოვნური ხასიათი, თითქოს შექმნის დროიდანვე ენა „ხელოვნური“ არ იყო. აქ აისახება ძველი შეხედულება, თითქოს ენა ბუნების საჩუქარია და არა ხელოვნური ქმნილება. ენა ისეთივე ხელოვნურია, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები და მხატვრული ნაწარმოებები. სწორედ აქ მიადგა ნიკო მარი ენის, როგორც ზედნაშენური მოვლენის საკითხს. „ჩვენთვის, ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების წარმომადგენლებისათვის, ერთიანი ენისკენ სწრაფვა უეჭველია. კაცობრიობა, რომელიც მიისწრაფვის მეურნეობის გაეთიანებისა და უკლასო საზოგადოებისაკენ, ვერ ასცდება მეცნიერულად დამუშავებულ ხელოვნურ ღონისძიებებს, რომელიც ამ მსოფლიო პროცესს დააჩქარებს“.

საკაცობრიო ერთიან ენაზე იმავე პერიოდში მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამდა სტალინი. ძალიან ახარებდა ნ. მარს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერი და იაფეტური თეორიის შემოქმედი მეცნიერი ერთ აზრზე იდგნენ. იგი დაუფარავი სიამაყით იმოწმებდა სკპ (ბ) XVI ყრილობაზე სტალინისა და კაგანოვიჩის ერთობლივი ანგარიშიდან იმ მონაკვეთებს, რომლებიც მსოფლიოს მომავალს ეხებოდა: „ნაციონალურ ენათა კვდომა და მათი ერთ ენად შერწყმა არ არის შიდასახელმწიფოებრივი ან სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების საკითხი. ეს საერთაშორისო საკითხია და სოციალიზმის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვებას უკავშირდება. ლენინი შემთხვევით არ ამბობდა, რომ მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ ნაციონალური სხვაობები კიდევ დიდხანს დარჩება“ (სტალინი, კაგანოვიჩი 1930:32; მარი 1931/1933:274).

თუ აქამდე ნიკო მარი დასავლურ ენათმეცნიერებას ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებად ნათლავდა ისტორიულ-შედარე-

ბითი მეთოდის გამო, ახლა ერთი ახალი ბრალდებაც დაემატა, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ენობრივ უმცირესობათა, ადგილობრივ ენათა საკითხი მოგვარებული არ არის. ისინი უუფლებონი არიან, საბჭოთა კავშირში კი ნაციონალური საკითხი ბოლშევიკური წყობის კოზირია, რადგან ამ ქვეყანაში ეს საკითხი საუკეთესოდ არის გადაწყვეტილი: აღიარებულია ყოველი ნაციის თვითგამოხატვის უფლება მისი წარსული კულტურული მიღწევებისაგან დამოუკიდებლად (მარი 1931/1933:273,276).

მარისა და სტალინური კომუნისტური პარტიის იდეათა ერთობის საილუსტრაციოდ ნამდვილად ღირს კომუნისტური პარტიის (ბ) XVI საკავშირო ყრილობაზე აკად. ნიკო მარის გამოსვლის გახსენება სოციალისტური მშენებლობის ხელშემწყობი მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის სახელით (ВАРНИТСО[1]). ნ. მარის გვარის გამოცხადებას მოჰყვა მქუხარე და ხანგრძლივი აპლოდისმენტები. იგი მიესალმა ყრილობას არა როგორც პარტიული, არამედ როგორც უპარტიო, რამაც კიდევ ერთხელ გამოიწვია დამსწრეთა მქუხარე ტაში. მან ხაზი გაუსვა ორ მიმართულებას, რომ საჭიროა სსრკ-ს ერების კულტურული რევოლუციისათვის ხელშეწყობა და პროლეტარიატის გამარჯვება სოციალიზმის მტრებთან. „ოქტომბრის რევოლუციამ გაათავისუფლა ყველა მშრომელი და მათ შორის მეცნიერები, რომლებიც ეწამებოდნენ უმომავლო იდეალიზმის ტყვეობაში“. საბჭოთა ხელისუფლებამ სრული თავისუფლება მისცა მეცნიერებას, რითაც გზა გაუხსნა ყველაზე თამამ იდეებს. ნიკო მარი ფიცივით ამბობდა: „მტკიცედ ვდგავარ ... სამეცნიერო კულტურის ფრონტის მებრძოლის პოზიციაზე. ჩემი აზრით, ამ მიმართულების უპარტიოს მაქვს უფლება თქვენ წინაშე გამოვიტანო მნიშვნელოვანი დოკუმენტი“ (მარი 1930:98). როგორც უკვე აღინიშნა, ეს იყო სოციალისტური მშენებლობის ხელშემწყობი მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის მიმარ-

[1] Всесоюзная ассоциация работников науки и техники для содействия социалистическому строительству СССР

თვა, რომელიც კონკრეტული შინაარსისაგან დაცლილი, საბჭოთა რიტორიკის ნიმუშია, რომლის უკან მხოლოდ ნიკო მარის მსგავს მეცნიერს თუ შეეძლო ლინგვისტური იდეებისა და საქმეების დანახვა (მარი 1930:99).

ამ დოკუმენტით მეცნიერები დებდნენ პირობას, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ იმისთვის, რათა სამეცნერო-ტექნიკური მიღწევები რაც შეიძლება ფართოდ დანერგილიყო წარმოებაში და მეცნიერებას ექცია საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად, ხუთწლედი სამოთხ წელში დაემთავრებინათ და სოციალიზმის მშენებლობა დაესრულებინათ. ნიკო მარი გამოხატავდა სურვილს, დაკავშირებოდნენ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-ტექნიკური აზრის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ახლოს იდგნენ მშრომელებთან. სოციალისტური მშენებლობის ხელშემწყობი მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის მიმართვა გამოხატავდა იმ მეცნიერთა აზრს, რომლებმაც თავისი ბედი პროლეტარიატის ბედს დაუკავშირეს. „ჩვენ მუშათა კლასთან ერთად დავიცავთ მსოფლიოში პირველ პროლეტარული სახელმწიფო შიდა და გარე მტრებისაგან. გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის გენერალურ შტაბს! გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის XVI საკავშირო ყრილობას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!“ (მარი 1930:99). ეს ვრცელი ამონარიდი კარგად აჩვენებს, რომ არა თუ კონფლიქტის, აზრთა სხვადასხვაობის მცირეოდენი ნიშანიც კი არ ჩანს მარის მოსაზრებასა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის, პირიქით, მისი გამოსვლა კომუნისტური პარტიის საკავშირო XVI ყრილობაზე ითვლება მუშათა კლასისა და მეცნიერების სოლიდარობის ნიმუშად. არნოლდ ჩიქობავა მოგვიანებით ირონიით წერდა, რომ ამ ყრილობაზე თავისი გამოსვლით უპარტიო მარმა პარტიულებს გადააჭარბაო (ჩიქობავა 1985).

მარისა და სტალინის აზრთა სიახლოვე ემთხვევა საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მეორე პერიოდს, რომელიც დაიწყო

ოცდაათიანი წლებიდან და 1953 წლამდე გრძელდებოდა. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი ენობრივი პლურალიზმი ახლა უკვე ცენტრალიზმმა შეცვალა. საბჭოთა ენობრივ პოლიტიკას ამ დროს, რა თქმა უნდა, იოსებ სტალინი განსაზღვრავდა. იგი 1929 წელს წერილში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ (სტალინი 1949:335-355) - ფაქტობრივად აჯამებს საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირველ პლურალისტურ პერიოდს, როცა წერს: “სოციალისტურმა რევოლუციამ კი არ შეამცირა, არამედ, პირიქით, გაზარდა ენათა რაოდენობა, რადგან მან კაცობრიობის ქვედა ფენები შეანძრია და გამოიყვანა ისინი პოლიტიკურ სცენაზე, ახალი სიცოცხლისათვის გამოაღვიძა ისეთი ხალხები, რომლებიც ადრე უცნობი ან ნაკლებცნობილი იყო” (სტალინი 1954 : 11). ი. სტალინმა დაიწყო ერთა (და შესაბამისად ენათა, - თ.ბ.) დაახლოების (сближение) პოლიტიკა, რომელიც, მისი აზრით, მომავალში ენათა შერწყმით (слияние) უნდა დასრულებულიყო.

ნიკო მარის აზრით, ერთიანი ენის საჭიროებაზე მიუთითებს ხელოვნური ენების შექმნა, თუმცა ისინი შესრულებითა და ტექნიკით სუროგატებია იმასთან შედარებით, რაც გარდაუვლად მოხდება მსოფლიო ხალხთა ენების დაახლოების შედეგად. ამ გლობალურ პროცესს ვერც ერთი ერი ვერ ასცდება, - წერდა ნ. მარი. ერთ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობას დამწერლობაც ერთი ექნება. ასეთად მას ლათინური წარმოედგინა. სწორედ ამიტომ შექმნა ნ. მარმა აფხაზური ენისთვის ლათინურზე დაყრდნობით, როგორც თვითონ უწოდებდა, ანალიტიკური ანბანი (მარი 1936:328-330).

ი. სტალინზე უფრო ადრე ამტკიცებდა ნ. მარი ზონალური ენების საჭიროებას. ამის მაგალითად განიხილავდა ერთიანი კავკასიური ენის შექმნის აუცილებლობას. იგი წერდა: კავკასიის თანამედროვე და მომავალი საზოგადოებრიობა ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, თუ კავკასიამ ოდესმე შეძლო ყოველთვის ხელიდან გამსხლტარი დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი საერთო კავკასიური მნიშვნელობის ენად აღიარებდა ქარ-

თულს, რომელსაც ახასიათებდა როგორც თვითკმარ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულობით გამორჩეულ ენას, მისი აზრით, კავკასიის მასშტაბით ქართულის საერთაშორისო მნიშვნელობას განაპირობებდა, ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართული გამდიდრებულია სხვა კულტურებიდან შემოსული ტერმინოლოგიით: ძნელად თუ მოიძებნება სხვა ენა, რომელზეც ამდენი ენიდან ითარგმნებოდა ლიტერატურა: ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან და ა.შ. (მარი 1922:4,14). ერთიანი ენის შექმნასთან ერთად კავკასიელებს უნდა ეზრუნათ საერთო დამწერლობაზეც, რომლის საფუძველი, მისი აზრით, რა თქმა უნდა, ლათინური ანბანი უნდა ყოფილიყო. ნ. მარს ანაქრონისტულ მოვლენად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ქართველები და სომხები ჯერაც იმ ანბანებს იყენებდნენ, რომელთა ასოები წარსულში შექმნეს მხოლოდ კლასობრივი და არა ეროვნული ინტერესების მქონე ფენებმა და თითოეული ნიშანი აუღებელ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა (მარი 1922:5). მიუხედავად იმისა, რომ ნიკო მარი და იოსებ სტალინი მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამდნენ კაცობრიობის ენობრივი მომავლის შესახებ პარტიის XVI ყრილობაზე, არნ. ჩიქობავა 1935 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ძირითადად მაინც სტალინს ეყრდნობა.

არნოლდ ჩიქობავას მოწაფე და მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ვაჟა შენგელია 1935 წელს გამოსულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით იგნობეს: „წიგნში ავტორის წინასიტყვაობას წინ უძღვის „გამომცემლობის წინასიტყვაობა“ (უპრეცედენტო შემთხვევა წიგნის გამოცემის ისტორიაში), მისი ავტორები, ბუნებრივია, იყვნენ არა გამომცემლობის მუშაკები, არამედ — ე. წ. „წითელი პროფესურის“ კონკრეტული წარმომადგენლები... შემდეგ მოეწყო წიგნის განხილვა, რომელსაც წარმართავდნენ კომპარტიისა და კომკავშირის აქტიური წარმომადგენლები. არნ. ჩიქობავას ბრალი დასდეს, რომ ის იყო „ბურჟუაზიული“ ინდოევროპეისტიკის წარმომადგენელი და ნ. მარის „მარქსისტული მოძღვრების“ მოწი-

ნააღმდეგე. ბ-ნ არნოლდს განხილვისას უთქვამს, რომ ოთხელენტოვანი ანალიზი არ არის არც მეცნიერული და არც მარქსისტული. „წითელი პროფესურის“ ერთ-ერთ წარმომადგენელს უკითხავს: მაშ ტყუის გაზეთი „პრავდა“, როდესაც ნ. მარს გამოჩენილ საბჭოთა მარქსისტ მეცნიერს უწოდებსო? არნ. ჩიქობავას უპასუხებია: გაზეთი „პრავდა“ კი არ ტყუის, არამედ ის, ვინც გაზეთის ამ გამონათქვამს არასწორ ინტერპრეტაციას აძლევსო... ამ განხილვის შემდეგ ბ-ნ არნოლდს ქუჩაში შეხვედრია ერთი ახალგაზრდა მკვლევარი (ნ. მარის მომხრე) და მისთვის უთქვამს: რა უსამართლოდ მოგექცნენ, ბატონო არნოლდ, ძალიან ვწუხვარო... ბ-ნი არნოლდი: ჩემი სათქმელი მე იქ უკვე ვთქვი და ახალს ვერაფერს მოგახსენებო (ეტყობა აღნიშნულ პირს უნდოდა ბ-ნი არნოლდისათვის რაიმე დაეცდევინებინა). ამ განხილვას შედეგად ის მოჰყვა, რომ არნ. ჩიქობავა გაათავისუფლეს უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ აღადგინეს, რაკი შეიტყვეს სტალინის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ ნ. მარის პიროვნების მიმართ“ (შენგელია 2013:64-65). თუ ამ მოგონებას დავეყრდნობით, გამოდის, რომ საზოგადოების მცირე ნაწილისთვის მაინც ცნობილი ყოფილა სტალინის შეცვლილი აზრი ნიკო მარზე ჯერ კიდევ 1935 წელს. ამ საკითხს დავუბრუნდებით ენობრივი დისკუსიის მიზეზების განხილვის დროს.

თავი III. 1950 წლის ენობრივ დისკუსიამდე

§1. იაფეტური თეორიის მდგომარება 1949 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში

სსრკ მეცნიერებათა აკდემიის პრეზიდიუმის 1949 წლის 21 ივლისს მიიღო ცნობილი დადგენილება ***„საბჭოთა ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ენათმეცნიერული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“*** (დადგენილება 1949:95-96). ამ დადგენლების ძირითადი დებულებები ასეთი იყო:

• ლინგვისტურ ფრონტზე შეიმჩნევა არასახარბიელო მდგომარეობის საგანგაშო ნიშნები. ნ. მარის ენის ახალი მატერიალისტური მოძღვრების საფუძვლები განვითარდა მისი მოწაფეების შრომებში, უპირველესად აკად. მეშჩანინოვის კვლევებში. თუმცა ბოლო წლებში აშკარაა მატერიალისტური ენათმეცნიერების მტრული მიმართულების გააქტიურება და საზღვარგარეთული ბურჟუაზიული ენათმეცნიერების რეაქციულ-იდეალისტური მიმართულებების გავლენის გაძლიერება ზოგიერთ საბჭოთა ენათმეცნიერზე (აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ს. ჩიქობავა, აკად. ა. ა. ფრეიმანი, პროფ. მ. ნ. პეტერსონი, ა. ს. რეფორმატსკი და სხვები) და მათ მიმართ ახალი ენათმეცნიერული მოძღვრების ზოგიერი წარმოამდგენლის მხრიდან შემრიგებლური დამოკიდებულება.

• ფუძეენის რეაქციული თეორიის აღდგენის მცდელობა ხდება ზოგჯერ შენიღბულად (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. დ. ვ. ბუბრიხი), ზოგჯერ კი – შეუნიღბავად (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. ა. ა. ფრეიმანი); არის ფორმალურ-შედარებითი მეთოდის რეაბილიტაციის ცდები (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორები: დ. ვ. ბუბრიხი, ვ. მ. ჟირმუნსკი, ასევეა ა. ვ. დესნიცკაია, მ. მ. გუხმანი); გვხვდება ანალიტიკურ ენათა (როგორიცაა, მაგალი-

თად, ინგლისური) უპირატესობის მტკიცება ფლექსიურ რუსულ და სხვა სლავურ ენებთან შედარებით (ვ. მ. ჟირმუნსკი, მისი მოწაფეები და მიმდევრები); თითქოს რუსული ენის ისტორიაში ვლინდება რუსული ენის „ევროპეიზაციის“ ფაქტები (აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი).

• პრეზიდიუმი თვლის, რომ ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობა ახალი ენობრივი მოძღვრების წარმომადგენელთა ბოლოდროინდელმა დაინტერესებამ სინტაქსით, ხოლო სინტაქსში ფორმალისტურმა და რეაქციულმა ტენდენციებმა იჩინა თავი.

• ნ. ი. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტს ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთი კვლევაც კი არ შეუქმნია ეთნოგენეზისისა და გლოტოგენეზისის პრობლემებზე; ფაქტობრივად შეჩერებულია მსოფლიოს ენების ისტორიაში სტადიური განვითარების კვლევა იმ პოზიციიდან, როგორც ეს ნ. მარმა დასახა.

• ძალიან სადავოა და დაზუსტება სჭირდება ახალშექმნილ მოძღვრებას „ცნებით კატეგორიებზე“, რადგან არსებობს საფრთხე, რომ იგი გადაიზარდოს განსაკუთრებულ „ენობრივ აზროვნებაში.“

• მატერიალისტური ენათმეცნიერების გადაყვანა კერძო, ზოგჯერ ძალიან მეორეხარისხოვან გრამატიკულ საკითხებზე განსაკუთრებით კარგად ჩანს კრებულის - „ენა და აზროვნება“ - XI ტომში, რომელიც 1948 წელს გამოიცა.

• პეზიდიუმმა გაამახვილა ყურადღება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე, რომელიც არათუ არ ჩაუდგა ენათმეცნიერებაში რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში, არამედ ფართოდ გაუღო კარი პროპაგანდას, რომელიც შენიღბულად ან ღიად უპირისპირდება ახალ ენათმეცნიერულ მოძღვრებას (კურილოვიჩი, ბულახოსკი, ფრეიმანი, ბუბრიხი და სხვა ავტორების სტატიები). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს („Известие“) არ გამოუქვეყნებია არც ერთი მეწინავე სტატია ენათმეცნიერულ ფრონტზე. ამას გარდა, არ ჩაუთ-

ვლია საჭიროდ საზღვარგარეთული ლინგვისტური რეაქციული თეორიების კრიტიკა და მხილება.

• დადგენილებაში ყურადღება მიექცა იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულია სსრკ ხალხთა ენებისა და დამწერლობების განვითარებისა და ასევე ენობრივი მშენებლობის სფეროში. თვით ახალი ლინგვისტური მოძღვრების წარმომადგენლებიც კი არ უკავშირებდნენ თავიანთ კვლევას ნაციონალურ რესპუბლიკებში პრაქტიკული ენობრივი საკითხების გადაწყვეტას. რადგან არ არსებობდა სამეცნიერო პრობლემების კოორდინაცია, ადგილებზე დაუშვეს სერიოზული შეცდომები ნაციონალურ დამწერლობებთან დაკავშირებით. ასევე შეცდომები ვერ იქნა არიდებული ნაციონალური ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიის, ლექსიკონებისა და ზოგიერთი ენის გრამატიკის შექმნის დროს.

• პრეზიდიუმმა დაგეგმა ლინგვისტურ ფრონტზე არასახარბიელო მდგომარეობის აღმოფხვრის ღონისძიებები, კერძოდ, ენისა და ლიტერატურის განყოფილებას დაევალა, რომ მეცნიერთა აკადემიის სწავლულთა სამდივნომ შეისწავლოს ენათმეცნიერული პროფილის ინსტიტუტთა გეგმები და ხელი შეუწყოს მათ საჯარო განხილვას. ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებებს დაევალათ შექმნან იმ პრობლემათა ნუსხა, რომელთა საკვლევად საჭიროა ენათმეცნიერთა, ლიტარატურათმცოდნეთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ფილოსოფოსთა ერთობლივი შრომა და ამისთვის მოამზადონ შესაბამისი საორგანიზაციო ბაზა.

• პრეზიდიუმმა დღის წესრიგში დააყენა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნის“ (Известие) რედაქციის გადახალისება და ახალ შემადგენლობას დაავალა მატერიალისტური ენთმეცნიერების განვითარებაზე განუწყვეტელი ზრუნვა.

• საკავშირო რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს დაევალა მიმდინარე წლის (1949წ.) ოქტომბერ-ნოემბერში მოსკოვში სამეცნიერო სესიის მოწყობა, რომელზეც უნდა იქნეს განხილული სსრკ ნაციონალური ენებისა და დამწერლობების განვითარების საკითხები.

• ნ. მარის დაბადებიდან 85 წლისთავისა და გარდაცვალებიდან 15 წლისთავის აღსანიშნავად, პრეზიდიუმის დადგენილებით, სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ჩაატაროს დეკემბერში სპეციალური სესია ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილებათა მონაწილეობით. განახლდეს მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის მიერ ნ. მარის „რჩეულ შრომათა“ ბეჭდვა და 1952 წლისთვის დასრულდეს ათტომეულის გამოცემა. ნ. მარის ძველ შრომათა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცევის გამო, 1950 წელს გამოიცეს მისი „რჩეულ ნაშრომთა“ ერთტომეული; 1949 წლის თავიდან გამოიცეს ვ. ა. მიხანკოვას მიერ დაწერილი ნ. მარის ბიოგრაფია და 1949 წლის ბოლომდე დაიბეჭდოს გ. პ. სერდიუჩენკოს ნაკრვევი ნ. ი. მარის მოძღვრების შესახებ.

• დაევალოს ჟურნალებს „საბჭოთა ეთნოგრაფიის ბიულეტენს", „ისტორიის საკითხებს", "ფილოსოფიის საკითხებს", „უძველესი ისტორიის ბიულეტენს", „საბჭოთა ეთნოგრაფიის ბიულეტენს“, „საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენს", მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ 1949 წლის განმავლობაში და 1950 წლის დასაწყისში დაბეჭდონ სტატიები ნიკო მარის წვლილზე საბჭოთა მეცნიერებაში.

• ჩამოთვლილი ღონისძიებების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: აკად. ს. ი. ვავილოვი (თავმჯდომარე), აკად. ვ. პ. ვოლგინა და ი. ი. მეშჩანინოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ბ. დ. გრეკოვა, ი. ა. ორბელი, სსრ აკადემიის წევრ-კორ. ა. დ. უდალცოვა, პროფესორები ს. პ. ტოლსტოვა, გ. პ. სერდიუჩენკო (სწავლული მდივანი), ფ. პ. ფილინი, ნ. თ. იაკოვლევი, ნ. პ. ტრეტიაკოვი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი ა. ი. ნაზაროვი. მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას, ნ. ი. მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტს, რუსული ენის ინსტიტუტს, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს და მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებსა და ფილიალებს დაევალათ პრეზიდიუმის 1949 წლის 21 ივლისის დადგენილების განხილვა და

საენათმეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება (დადგენილება 1949).

ეს დადგენილება აჩვენებს, რომ საკავშირო აკადემიას სურდ აიმ ვითარების აღდგენა, რომელიც სუფევდა ენათმეცნიერებაში ნიკო მარის სიცოცხლეში. უფრო მეტიც, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ნიკო მარის თეორიით უნდა ესუნთქათ. სწორედ ამ დადგენილების შემდეგ ინანიებდნენ ლინგვისტები იაფეტური თეორიის ამა თუ იმ დებულების ან მთელი თეორიის კრიტიკის გაბედვას. 1949 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის. ამ დროს ყველაზე მეტი დისკუსია გაიმართა მარქსისტულ ენათმეცნიერებაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემია ხაზგასმულად ნიკო მარის იაფეტური თეორიის ერთგული რჩებოდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყველას მთელი საბჭოეთის მასშტაბით, თუ ვინმეს კრიტიკული აზრი გამოუთქვამს მარის თეორიაზე მთლიანად ან მის რომელიმე დებულებაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 1949 წლის 21 ივლისის ცნობილი სხდომის შესახებ წყაროს მნიშვნელობა ენიჭება ნიკო მარის მოწაფისა და მიმდევრის, ალექსანდრე ღლონტის წიგნში მოთხრობილ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან ამბავს, რომელიც ასახავს 1949 წლის 21 ივლისის დადგენილების მზადების პერიოდს. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა გადაწყვიტა „სპეციალური თათბირის ჩატარება საბჭოთა ენათმეცნიერებაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად. თათბირის ხელმძღვანელობა მიენდო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს სუსლოვსა და მეცნიერების სამმართველოს ხელმძღვანელს პროფ. ი. ჟდანოვს... თათბირის მონაწილეთა პერსონალური შემადგენლობა 21 პირის დასახელებით, დამტკიცებული იყო პოლიტბიუროს მიერ. საქართველოდან ამ პირთა სიაში შედიოდა ორი კაცი: პროფ. ს ჟღენტი /თბილისი უნივერსიტეტის პროფესორი/ და დოც. ლ. ღლონტი /გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე/. ამ შემადგენლობიდან მახსოვს კიდევ აკადემიკოსები: ი. მეშჩანინოვი /მთავარი მომხსენებელი/, ა. ტოფჩიევი /მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუ-

მის მუდმივი მდივანი – მომხსენებელი/, ა. ტრედიაკოვი, ს. ტოლსტოვი, პროფესორები: ფ. ფილინი, ვ. მიხანკოვა, გ. სერდიუჩენკო /მომხსენებელნი/, ნ. ბელოდედი და კ. ცელუიკო /უკრაინიდან/, ა. ღარიბიანი და ე. აღაიანი /სომხეთიდან/, ნ. ჩემოდანოვი /მოსკოვის უნივერსიტეტიდან/ და ენათმეცნიერების სხვა თვალსაჩინო მოღვაწენი. მე ამირჩიეს თათბირის რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრად. თათბირმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, რომ ქვეყნის ენათმეცნიერთა მთავარ ამოცანად თეორიულ კვლევა-ძიებაში დაისახოს ნ. მარის ენის ახალი მოძღვრების შემოქმედებითად განვითარება და სწავლების მაღალ დონეზე დაყენება. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში შევიდა პირადად ჩემი სამი რეკომენდაცია: 1. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში რამდენიმე ინსტიტუტის ნაცვლად შეიქმნას ერთი მძლავრი ენათეცნიერების ინსტიტუტი, რომელიც იარსებებს მოსკოვში, ხოლო პეტერბურგში ექნება ფილიალი; 2. გამოიცეს თეორიული ჟურნალი – ენის საკითხები; 3. ცალკე გამოიყოს რუსული ენის ინსტიტუტი და დაუქვემდებარდეს უშუალოდ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებას. თათბირის მთელი მასალა რეზოლუციითა და სტენოგრამითურთ გასაცნობად გადაეცა ი. სტალინს, რომელთანაც მაშინ, ჩანს, სხვადასხვა არხებით განსხვავებული შინაარსის ინფორმაციები მიდიოდა. ი. სტალინმა არ მოიწონა თათბირის მასალები და, როგორც ცნობილია, ამას შედეგად მოჰყვა „პრავდის“ ფურცლებზე იმავე წლის მაისში ენათმეცნიერების საკითხებზე ეგრეთ წოდებული „თავისუფალი დისკუსიის“ დაწყება (ღლონტი 1998:20-21).

1949 წელს განსაკუთრებულად უხვად იბეჭდებოდა შრომები ნიკო მარსა და მის თეორიაზე., რაც მთლიანად შეესაბამებოდა 1949 წლის 21 ივლისის სსრკ მეცნიერებათა აკდემიის პრეზიდიუმის დადგენილებას. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ 1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ შეუკვეთა ბესარიონ შარაშიძეს მოეგროვებინა ყველა ის მასალა, რომელიც უკავშირდებოდა ნიკო მარს ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხეში. ბესარიონ შარაშიძე იმიტომ იქნა შერჩეული ამ საქმისთვის, რომ ნიკო მარის დედას,

აღათი მაღულარიას ენათესავებოდა. ნიკო მარის დედის პირველი მეუღლე სწორედ შარაშიძე იყო გვარად. მოგროვილი მასალა ბესარიონ შარაშიძეს წარუდგენია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივნისთვის, სერგი ჟღენტისთვის, ხოლო 1949 წლის 8 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკაკი შანიძე. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე საილუსტრაციო მასალას ბესარიონ შარაშიძის მოგროვილი მასალიდან, რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ამათგან გამოვყოფ ნიკო მარის რამდენიმე წერილს დედისადმი, ასაკოვანი აღათი მაღულარიას ფოტოებს, ნიკო მარის მიერ 1919 წელს გადახდილი რამდენიმე გადასახადის ქვითარს, რომლებიც გაცემულია ოზურგეთის სამაზრო ერობის მიერ.

1949 წელს ენის ინსტიტუტის[1] დირექტორად დაინიშნა ცნობილი ენათმეცნიერი გიორგი ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, რომლის შრომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის ბევრი თაობის კურსდამთავრებულთა აღზრდაში. ეს განსაკუთრებით ითქმის უნივერსიტეტის პირველი თაობის კურსდამთავრებულებზე. იგი იყო არნოლდ ჩიქობავას მასწავლებელი, შემდეგ კი ერთად ქმნიდნენ ენათმეცნიერების საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს. გ. ხვლედიანმა 1923 წელს დააარსა საენათმეცნიერო საზოგადოება, რომელშიც გაერთიანებული იყო იმ დროის ყველა ცნობილი ძველი თაობის და დამწყები ენათმეცნიერი. ამ საზოგადოების ფარგლებში ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ლევონ მელიქსეთბეგი, არნოლდ (მაშინ ბენედიქტეს სახელით ცნობილი) ჩიქობავა და სხვა ცნობილი ლინგვისტები.

[1] ენის ინსტიტუტი დაარსდა 1941 წელს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე.

N 56-03, ნიკო მარის საარქივო ფონდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერლებმა, ერთი მხრივ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიამ კიცე-პრეზიდენტ ა.შანიძის სახელით, და მეორე მხრივ ბესარიონ ციმაკურის ძე შარაშიძემ დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1) საქ. მეცნიერებათა აკადემია ავალებს, ხოლო ბესარიონ შარაშიძე კისრულობს გაემგზავრის ამ დღეებში ბურიაში, ჩოხატაურის რაიონში, და შეკრიბოს დაბერა ციხესა და მიმდგომ სოფლებში აკად. ნიკო მარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასალები (წერილები, ფოტოები, მოგონებანი და სხვა) და წარმოადგინოს აკადემიაში.

2) ეს მასალები ან მათი ფოტოპირები აკადემიის ერთერთი დაწესებულების (მაგ., საქ. მუზეუმის) კუთვნილება იქნება.

3) მოქ. ბესარიონ შარაშიძეს აკადემია მისცემს სამივლინებო თანხას (მივლინება იქნება 20 დღის ვადით) და, ამას გარდა, შეგროვებული მასალის ჩაბარებისას, გასამჯერო 1000 მანეთს.

4) ბესარიონ შარაშიძეს უპირატესობა აქვს მის მიერ შეკრებილი და ჩვენთვის საინტერესო მასალის დამუშავებაში და აკადემიის გამომცემლობაში წარმოსადგენად, სათანადო საავტორო ჰონორარის მიღებით.

9/VIII 1949

8/VIII-49

5) ამ ხელშეკრულებას ვადა აქვს ამა წლის 10 სექტემბრამდე.

მხარეთა მისამართები:

1. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია: ბათუმი, ძერჟინსკის ქ. № 8

2. ბესარიონ შარაშიძე. ბათუმი სამოგადოების ჩიხი, № 8.

მხარეთა ხელმოწერები:

საქ.სსრ მეცნ.აკადემიის მხრით
ვიცე-პრეზიდენტი ა. [illegible] /ქ.ჩანიძე/

დამქირავებლის მიმღები: /ბესარიონ შარაშიძე/

ბათუმი
1949 წ. აგვისტოს 8-1.

პატარა ნიკო მარი დედასთან, აღათი მაღულარიასთან ერთად, ნიკო მარის საარქივო ფონდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



N 49-01, ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



N 49-02, ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



N 52-01, ნიკო მარის დედა, აღათი მაღულარია,
ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი




**N 80-01r, ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

11) [1894] 1


ძვირფასო ილია,

ჩემი უკანასკნელი წერილი მივიღეთ
სურამიდან მეგობრებმა წერილით
ჩემ ავადმყოფობას მეტად შეწუხებია
იმედიან. გიამბეთ ამბავი მაგრამ
ჩვენ ჯერ ისევ ვერ მოვედით
ტფილისში, მაგრამ ამ თვეს გადავიხდით.
ეს წერილი გადაგზავნა მარიამმა, რომ გიამბოთ
ავადმყოფობა მისი, თორემ ახლა ვეღარ ვეტყ-
ოდი. ჩვენ ეს ზაფხული ოკრიბაში ვასრულებთ.
ძალიან ენატრები ამ იქიდან ისაუბებით.
შენი თუმცა ეკიმში გადასახედი გვაქვს-
ნაწერი, მაგრამ თვითონ კარგ შენ-
განახლებულ და ახალით შეცვლილია


**N 80-01r, ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**



**N 80-01v, ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**



N 3-02, ნიკო მარის საარქივო ფონდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



ოზურგეთის სამაზრო ქრობა

თემი

კვიტანცია № 37

„26" აგვისტოს 1919 წ.

მიღებულია სოფ. [illegible] მცხოვრების [illegible]


[illegible] გან [illegible]

[illegible] გადასახადი 76 მან. 11 კაპ.

გადასახადის ფურცელი № 1919 წლისა.

გადასახადის ამკრეფი [illegible]

N 3-03



ოზურგეთის სამაზრო ქრობა

[illegible] თემი

კვიტანცია № 44

„1" [illegible] 19[illegible] წ.

მიღებულია სოფ. [illegible] მცხოვრების [illegible]

[illegible] გან [illegible]

[illegible] გადასახადი 32½ მან. [illegible] კაპ.

გადასახადის ფურცელი № [illegible] 1920 წლისა.

გადასახადის ამკრეფი [illegible]

ჩოხატაურის მთლიანი კოოპერატივი
„მ ნ ა თ ო ბ ი“

ს ა წ ე ვ რ ო გ ა რ ა მ ი

№ 1853/31

გვარი ქარი

სახელი და მამის სახელი ნიკო

იოსების

1926წ. 21/III „ „

გამგეობა: ს. [illegible]

N 50-01, ნიკო მარი მეუღლესთან და შვილებთან ერთად,
ნიკო მარის საარქივო ფონდი,
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



გიორგი ახვლედიანმა 1949 წელს უნივერსიტეტსა და ენის ინსტიტუტში წარმოადგინა აკად. ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისებისთვის სპეციალური გეგმა, რომელსაც იმ დროს „თეზისებს“ უწოდებდნენ. „თეზისები“, რომელიც მოგვიანებით გიორგი ახვლედიანისთვის კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა, კომუნისტური პარტიის მიერ დიდი ხნის წინ საბჭოთა ენათმეცნიერების უმთავრესი იდეოლოგიურ ორიენტირად გამოცხადებული იაფეტური თეორიის შემოქმედის, ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლას ისახავდა მიზნად, რაც მისი აზრით, მარქსისტულ-ლენინისტურ საფუძვლებსაც გაუმყარებდა საბჭოთა ენათმეცნიერებას და ზოგადი ენათმეცნიერების სალექციო კურსის შემუშავებასაც შეუწყობდა ხელს.

აკად .ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისების გეგმა საქართველოში 1950 წელს[1]

I ზოგადი საფუძვლები

1. ენათმეცნიერების პრობლემების დამუშავება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ყოველი საბჭოთა ენათმეცნიერის ვალია; ერთიანი, ჭეშმარიტად საბჭოთა ენათმეცნიერება მხოლოდ ამ გზით შეიძლება აიგოს.

2. ლენინ-სტალინის მოძღვრება ნაციონალური ენებისა და ერთიანი მსოფლიო ენის შესახებ ანათებს საბჭოთა ენათმეცნიერის კვლევით გზას.

3. აკად. ნ. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისება შესაძლებელია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად შესწავლის საფუძველზე და ნაციონალური ენებისა და ერთიანი მსოფლიო ენის შესახებ ლენინ-სტალინის მოძღვრების შუქზე.

4. ენის ახალი მოძღვრების საფუძველზე და აკად. ნ. მარის იმ ცნობილ გამონათქვამებზე, რომლებიც გაბნეულია მის მრავალრიცხოვან შრომაში, შეიძლება დამუშავდეს ენათმეცნიერების ბევრი მიმართულება. ამიტომ ეს უნდა იყოს ამოსავალი საბჭოთა ენათმეცნიერების აგებისათვის.

---

[1] თვითონ დოკუმენტი დაწერილია რუსულ ენაზე და ინახება გიორგი ახვლედიანის პირად საარქივო მასალებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში.

ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისება და ენის ახალი მოძღვრების შემდგომი დამუშავება ამ თვალსაზრისით, ყველა საბჭოთა ენათმეცნიერის ერთსულოვანი თანამშრომლობით მიგვიყვანს ერთიანი საბჭოთა ენათმეცნიერების შექმნამდე.

5. უმაღლესი სასწავლებლებისათვის ენათმეცნიერების საფუძვლების ისეთი სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა, რომლებიც უპასუხებენ საბჭოთა ენათმეცნიერების მოთხოვნებს, საბჭოთა ენათმეცნიერთა გადაუდებელი ამოცანაა.

II „აკად .ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისების გეგმა“ გულისხმობს:

1. აკად. მარის შრომების გამოცემას ქართულ ენაზე განმარტებითი კომენტარებით – დაახლოებით 45 ნაბეჭდი თაბახი.

2. აკად. ნ. მარის შროების კრებულის შედგენას მისი კვლევითი თემატიკის მიხედვით.

3. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ცალკეულ ენათა სტრუქტურის საკითხებზე თემატური კრებულის შედგენას, რათა ეს საკითხები განხილული იქნეს ენის ახალი მოძღვრების შუქზე.

პირველი და მესამე საკითხების გადაწყვეტა მიზნად ისახავს ენის ახალი მოძღვრების შესწავლის საქმეში სტუდენტ-ფილოლოგების, განსაკუთრებით სადიპლომო ნაშრომებზე მომუშავე სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ თანმშრომლების ჩართვას.

4. ნ. ი. მარის შრომებზე დაყრდნობით კავკასიური და ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონის გამოცემას.

5. ენის ახალი მოძღვრების ფონეტიკური ნაწილის დამუშავებას.

მეოთხე-მეხუთე საკითხების დამუშავება - ცალკეული პრობლემების თაობაზე მარის შრომებიდან მრავალფეროვანი ენათმეცნიერული მასალის ამოკრება მიზნად ისახავს სამეცნიერო-განმაზოგადებელ და სისტემატიზების სამუშაოებს. ეს შეიძლება გახდეს ამოსავალი მასალა ზოგადი ენათმეცნიერების კურსის შესაქმნელად სტუდენტ-ფილოლოგებისათვის.

გ. ახვლედიანი

ასეთი გეგმები ჰქონდა გიორგი ახვლედიანს 1950 წლისათვის და ამის შესახებ სპეციალურად მოახსენა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილებას 1949 წლის 22 ნოემბერს გამართულ სხდომაზე, რომლის სტენოგრამული ჩანაწერი ინახება გიორგი ახვლედიანის

გ. ახვლედიანი, აკად .ნ. ი. მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისების გეგმა საქართველოში 1950 წელს („თეზისები“), გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი

ПЛАН ОСВОЕНИЯ ЯЗЫКОВЕДЧЕСКОГО НАСЛЕДИЯ АКАД.Н.Я.МАРРА

в ГССР на 1950 год

I. Общие установки.

1. Разработка языковедческих проблем на основе марксизма-ленинизма долг каждого советского языковеда; цельное подлинно советское языковедение может быть построено только этим путем.

2. Учение Ленина-Сталина о национальных языках и об общем мировом языке освещает исследовательский путь советского языковеда.

3. Освоение языковедческого наследия акад. Н.Я. Марра возможно лишь на основе глубокого изучения марксизма-ленинизма и в освещении ленинско-сталинского учения о национальных языках и о всеобщем языке будущего.

4. По основным положениям Нового учения о языке и отдельным замечательным высказываниям акад.Н.Я.Марра, разбросанным в многочисленных его трудах, можно разработать ряд важнейших разделов языковедения; поэтому они должны служить исходными в деле построения советского языковедения.

Освоение языковедческого наследия Н.Я.Марра и дальнейшая разработка Нового учения о языке в этом направлении, при единодушном сотрудничестве всех советских языковедов, приведут к созданию цельного советского языковедения.

5. Составление учебных книг по Основам языковедения для вузов, отвечающих требованиям советского языковедения, неотложная задача советских языковедов.

II.

"План освоения языковедческого наследия акад.Н.Я.Марра в ГССР на 1950 год" предусматривает:

1. Издание трудов акад.Марра на грузинском языке с об'яснительными комментариями - ок. 45 печ.л.
2. Составление сборника исследовательской тематики по трудам акад. Марра.
3. Составление сборника тематики по вопросам общего языковедения и структуры отдельных языков - для разработки в свете её Нового учения о языке.

   I -3 ставят себе целью широкое вовлечение в дело изучения Нового учения о языке студентов — филологов, особенно же дипломников, и молодых научных работников.
4. Издание "Этимологического словаря картвельских языков, составленного по трудам Н.Я.Марра".
5. Разработку фонетической части Нового учения о языке.

   4-5 ставят себе целью извлечение из трудов Н.Я.Марра разнообразного языковедческого материала по отдельным проблемам разного об'ема; представляя собою научно-обобщающую и систематизирующую работу, это может послужить материалом для составления общего курса языковедения для студентов-филологов.

Г. АХВЛЕДИАНИ.

პირად არქივში, თსუ მუზეუმში.[1] ჩანაწერი დიდია და მისი სრულად მოყვანა, როგორც ბეჭდურად, ისე ფოტომასალის სახით შეუძლებელია. ამიტომ საილუსტრაციოდ დამოწმებული იქნება სხდომის ცალკეული ნაწილები.

ეს სხდომა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მისმა მომწყობებმა და მონაწილეებმა გიორგი ახვლედიანის მსგავსად, არაფერი იციან საბჭოთა ენათმეცნიერებაში მოსალოდნელი სერიოზული ცვლილებების შესახებ. სხდომა საინტერესოა იდეოლოგიური თვალსაზრისით. მას თავმჯდომარეობდა აკად. ი. ი. მეშჩანინოვი. მასთან ერთად კითხვებს ძირითადად სვამდნენ სერდიუჩენკო და ნ. თ. იაკოვლევი. იმ პერიოდში ეს ენათმეცნიერები ცნობილნი იყვნენ არა მხოლოდ როგორც მარის მიმდევრები, არამედ როგორც ყველაზე ავტორიტეტული და გავლენიანი მეცნიერები. სწორედ ამ სხდომაზე წარდგა გიორგი ახვლედიანი, როგორც ენის ინსტიტუტის ახლადარჩეული დირექტორი. მან დამსწრეებს აცნობა: „ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ენის ინსტიტუტს მე უნდა ვუხელმძღვანელო, რადგან პირადად ვიცნობდი მარს, ვიცი მისი შრომები და მარის ცოდნით უფრო ახლოს ვარ ამ საქმესთან.“[2] ენის ინსტიტუტის დირექტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, გიორგი ახვლედიანი მიზნად ისახავდა ნიკო მარის რჩეული შრომების ორტომეულისა და მისივე ნაშრომების ქრესტომათიის მომზადებას სტუდენტებისათვის. მასში უნდა შესულიყო ნათარგმნი ლიტერატურა. ასეთი იყო უნივერსიტეტის რექტორის, ნიკო კეცხოველის სურვილი. ქრესტომათიაში შესულ ნაშრომებს დართული ექნებოდა კომენტარები, რომლებიც სტუდენტებს გაუადვილებდა მარის ნაწერების გაგებას. ამას გარდა, მარის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე, მის თეორიაზე აუცილებელია სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების შექმნა და ამის-

[1] Стенограмма заседания бюро отделения литературы и языка АН СССР 22/XI -49, თსუ მუზეუმი, დოკუმენტი №9904 ხი -1386

[2] თსუმ, №9904 ხი-1386:17

თვის თემების ჩამონათვალის შედგენა.

ამავე სხდომაზე გ. ახვლედიანმა დამსწრეებს აცნობა, რომ არნ. ჩიქობავა მხოლოდ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მუშაობდა და ინსტიტუტის სხვა საქმეებში იგი არ ჩაერთვებოდა 1958 წლამდე. ლექსიკონზე მუშაობის დასრულება ამ დროისთვის ივარაუდებოდა. „მარის შრომების გამოცემა და კომენტირება ნელ-ნელა მოგვამზადებს იმისთვის, რომ სწორად ვუპასუხოთ კითხვას: რაც მარქსისტულად მიგვაჩნია, მარისტულიც არის? მარი ჩვენი დროშაა. ჩვენ მარის დროშის ქვეშ დავდივართ, მაგრამ მხოლოდ მისი ციტატების დამოწმებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. მისი გამოწვლილვით შესწავლა 1950 წლის ბოლოს დაგვარწმუნებს, რომ, მაგალითად, რასაც საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში ვერნერის კანონი ეწოდება, ის მარის კანონია[1]. მე ცოტა ხნის წინ გამოვეცი „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“, რომელშიც რამდენიმე იდეოლოგიურ საკითხსაც შევეხე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ცდა. დიდ იმედს ვამყარებ, რომ 1950 წელს ბოლო მოეღება ამ საქმისადმი (იგულისხმება მარის ნაშრომთა ინტერპრეტირება – თ.ბ.) ჩვენს არასწორ დამოკიდებულებას (თსუმ, №9904 ხი-1386:7, 8, 9-10).

სხდომის თავმჯდომარე აკად. მეშჩანინოვი და აიკოვლევი დაუფარავად გამოთქვამდნენ უარყოფით დამოკიდებულებას არნ. ჩიქობავას მიმართ ნიკო მარის თეორიის კრიტიკისათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო 1940 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე არნოლდ ჩიქობავას წაკითხული მოხსენება, რომელშიც ენის არსის თაობაზე პაულის, სოსიურის, ფოსლერისა და სხვა მეცნიერთა მოსაზრებებთან ერთად იგი განიხილავდა ნიკო მარის ინტერპრეტაციებიც, მაგრამ ეს მოხსნება, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაუბეჭდავთ „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტე-

[1] გასაოცარია, როგორ უნდა დამტკიცებულიყო, რომ 1875 წელს დანიელი ენათმეცნიერის კარლ ვერნერის მიერ ახსნილი გერმანიკული ენების ფონეტიკურ-მორფოლოგიური კანონზომიერება ნიკო მარის კანონია. 1875 წელს ნიკო მარი მხოლოდ ათი წლის ყმაწვილი იყო. თ.ბ.

რატურისა და ენის განყოფილების მოამბეში“. იგი დაიბეჭდა საქართველოში (ჩიქობავა 1941).

„აკად. მეშჩანინოვი: თქვენ ისაუბრეთ არნოლდ ჩიქობავას „შესავლის“ ხელახალ გამოცემაზე. სტუდენტები ამ სახელმძღვანელოს ახლაც იყენებენ? მეორე გამოცემაში რა ცვლილებები იქნება?

გ. ს. ახვლედიანი: ეს არის ენათმეცნიერების შესავლის კურსი, მაგრამ ნიჭიერი ადამიანის კარგად დაწერილი წიგნი. ის ადგილები, რომლებიც განსხვავებულ ემოციებს იწვევს, რა თქმა უნდა, ამოვიღეთ. ჩიქობავას წიგნი იმით გამოირჩევა, რომ აქ მოცემულია კავკასიური და ქართული მასალა. ამ წიგნს სამი ადამიანი ვარედაქტირებთ და ვმუშაობთ, რომ კურსი იყოს უსაფრთხო სტუდენტებისათვის. იგი არ იქნება საშიში. თუ რამეს შევამჩნევთ, ამოვიღებთ და რაც საჭიროა, იმას შევიტანთ.

ნ. თ. იაკოვლევი: თუ პრინციპული ცვლილებები არ იქნება, ესე იგი, ფიქრობთ, რომ ეს წიგნი გადამუშავების გარეშეც კარგია.

გ. ს. ახვლედიანი: პრინციპული ცვლილებები არ იქნება. ეს მხოლოდ შესავალია და ვერაფერი ისეთი ამ ნაწილში ვერ მოხვდება, რამაც შეიძლება საფრთხე წარმოქმნას. ჩვენ უკეთესი სახელმძღვანელო არ გავქვს. რამით ხომ უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს? ამიტომ ამ სახელმძღვანელოს ვაუმჯობესებთ, სანამ უკეთესი შეიქმნება“.

მ. მ. გუხმანსაც აფიქრებს ჩიქობავას მსოფლხედველობა, რაზეც ახვლედიანი პასუხობს, რომ ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს მკვლევარის სამეცნიერო კვლევა და მსოფლმხედველობა.[1]

„სერდიუჩენკო: ორი კითხვა მაქვს. როგორ აღიქვამს ჩიქობავა კრიტიკას? სადმე გამოვიდა სიტყვით? რას ეთანხმება და რას არ ეთანხმება? და მეორე. ეს წიგნი, რომელსაც რედაქტორობთ, ამოღებულია სწავლებიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ სტალინის პრემიაზე წარადგინა,

[1] თსუმ, №9904 ხი-1386:18-19

აქედან გამომდინარეობს თუ არა, რომ ეს წიგნი გამოხატავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მსოფლაღქმასა და მოძღვრებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არსებობს თუ არა მყარი პოზიცია ამ წიგნის მანკიერების თაობაზე. თუ ასეთი დამოკიდებულება არ არის, მაშინ რატომ ამოიღეს სწავლებიდან?“ ...

„სერდუჩენკო: რას ფიქრობს თვითონ ჩიქობავა და რამდენად იღებს შენიშვნებს?

გ. ს. ახვლედიანი: ჩიქობავა თვლის, რომ მარქსისტული ენათმეცნიერება ვერ დაეფუძნება მარს. აქ ჩვენი თვალსაზრისები იყოფა.

გ. პ. სერდიუჩენკო: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია. ძლიერისგან მეტს ითხოვენ. ჩვენ არ მოგვიწყვია ჩიქობავას წიგნის სპეციალური განხილვა, რადგან ვფიქრობთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია იმდენად ძლიერია თავისი კადრებით, რომ ეს სამუშაო მან უნდა ჩაატაროს... ჩიქობავას წიგნი საზიანოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მარის წინააღმდეგაა მიმართული, არამედ იმიტომაც, რომ არნოლდ სტეფანეს ძის მოსაზრებები აშკარად ანტიმარქსისტულია. დავუშვათ, შესაძლებლად მიაჩნია მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების აგება მატერიალისტური ტრადიციის გარეშე. რას გვთავაზობს ამის სანაცვლოდ? რამდენადაც ამ წიგნს ვიცნობ, იგი, მაგალითად, ფიზიკალიზმს დაურიდებლად აწყვილებს სოსიურის თეორიასთან“.

გ. ს. ახვლედიანი ყოველნაირად იცავს ჩიქობავას და ცდილობს დაარწმუნოს სხდომის მონაწილენი, რომ ჩიქობავა არ ეწინააღმდეგება მარქსისტულ ენათმეცნიერებას.

„სერდუჩენკო: დეკემბერში გაიმართება მარისადმი მიძღვნილი სესია. ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას შეეჯამებინა საქართველოში დარჩენილი მარის სამეცნიერო მემკვიდრეობა. მაგრამ ჯერაც არ მიგვიღია პასუხი.

ნ. თ. იაკოვლევი: არ შეგვიძლია, არ მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ თქვენ ხართ ენის ინსტიტუტის სათავეში. ამ ინსტიტუტში ყოველთვის ორგანიზაციულზე მეტად მეთოდო-

ლოგიის პრობლემები იყო ... ცნობილი ქართველი მეცნიერთა ერთი ნაწილი მარის მოწაფეა, როგორც თქვენ და აპირებთ მისი მოძღვრების განვითარებას, მარის პოპულარიზებას, მის გამოცემას. თქვენ ამბობთ, რომ თქვენთან დაჯგუფებები არ არის. ჩიქობავამ მრავალწლიანი მოღვაწეობისას მოასწრო მოწაფეების აღზრდა, რომლებიც ავითარებენ მის მოსაზრებებს და მთლიანად აღზრდილნი არიან მის მეთოდოლოგიაზე. ასე ადვილად მათი უარყოფა სწორი არ იქნება. ვერ ვიტყოდი, თითქოს ჩიქობავას მომხრეები და მიმდევრები არ ჰყავს. მე მგონია, რომ ჰყავს. თუ თქვენ აპირებთ თქვენი ხაზის გატარებას, ამას აუცილებლად შეეჩეხებით.

კიდევ ერთი რამ მაწუხებს. გულწრფელად რომ გითხრათ, ვერაფრით ვერ გამიგია, თქვენ ამბობთ, რომ პროფესორი ჩიქობავა არ ცნობს მარს. თქვენ თქვით პირდაპირ, ნათლად და პატიოსნად, რომ ჩიქობავა არ ცნობს მარს. ამის შემდეგ ამტკიცებთ, რომ ჩიქობავას ნაშრომებს, რომლებშიც ის მარის წინააღმეგ გამოდის, არაფერი აქვს საერთო მეცნიერებათა აკადემიასთან... ამის მიუხედავად, თქვენ მიერ წარმოდგენილ ბოლო გეგმაში, თუ არ ვცდები, არის თემები, ლექსიკონის გარდა, რომლებზეც მუშაობს ჩიქობავა.

გ. ს. ახვლედიანი: გეგმაში მას არაფერი არა აქვს.

ნ. თ. იაკოვლევი: ჩიქობავას სახელი არ არის? ამაში ძალიან მეპარება ეჭვი. მე ვიცი, რომ ა. ს. (იგულისხმება არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა, - თ. ბ.) ამჟამად მუშაობს ავარულ და კიდევ რამდენიმე სხვა ენაზე. იგი ამზადებს ასპირანტებს, ხელმძღვანელობს სექტორს ინსტიტუტში... მე მგონია, რომ თუ წავიკითხვათ თქვენს გეგმას, აუცილებლად ვიპოვით პროფესორ ჩიქობავას სახელს.

გ. ს. ახვლედიანი: არ არის. მე პასუხს ვაგებ იმაზე, რასაც ვამბობ.

ნ. თ. იაკოვლევი: კიდევ ერთი კითხვა. როგორც თქვენ ამბობთ, ჩიქობავა ქართული ენის საუკეთესო მცოდნეა. მე ვიცი, რომ ქართულის საუკეთესო მცოდნე ა. შანიძეა და მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ მას მიანდობდნენ ლექსიკონის შექმნას. რატომ არ ჩანს ამ საქმეში არსად შანიძე? ეს უცნაურია! რატომ

არ ხელმძღვანელობს იგი რომელიმე მნიშვნელოვან ლინგვისტურ ორგანიზაციას? ისიც მარის მოწაფეა.

ახვლედიანი: მე მარის მცოდნე ვარ და არა მოწაფე.

იაკოვლევი: შანიძე კი მოწაფეა.

ახვლედიანი: იგი არ იჩენს ინტერესს ასეთი საქმეებისადმი.

იაკოვლევი: იქნებ იმიტომ, რომ თქვენი ინსტიტუტი არ იჩენს ინტერესს მისი შრომებისადმი. ეს პირველი წელი არ არის, როცა ქართული ენის უმთავრესი სპეციალისტი დისკუსიის დროს არ მოიხსენიება. ჩიქობავას გვარს კი ახსენებენ და არა მხოლოდ ლექსიკონთან დაკავშირებით.

ახვლედიანი: ა. შანიძე არ მუშაობს ამ ინსტიტუტში.

ნ. თ. იაკოვლევი: სწორედ ეს მაკვირვებს. რატომ არ მუშაობს შანიძე ინსტიტუტში, ჩიქობავას კი, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს, მიანდეს ქართული ენის ლექსიკონის ხელმძღვანელობა. ქართული ენის საუკეთესო მცოდნე კი მაინც შანიძეა და არა ჩიქობავა. თუ თქვენ გსურთ, რომ თქვენი ინსტიტუტი ნამდვილად ავტორიტეტული დაწესებულება იყოს, უპირველეს ყოვლისა, შანიძე უნდა მოიწვიოთ. იგი დაეხმარება ინსტიტუტს ახალ გზაზე დადგომაში. უამისოდ, მგონია, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩება. ჩიქობავას სახელი არ იქნება, მაგრამ ფაქტობრივად იგი ყველაფერს გააკეთებს მარის თეორიის საწინააღმდეგოდ.

გ. ს. ახვლედიანი: შანიძეს არ სურს ინსტიტუტში მუშაობა!

ნ. თ. იაკოვლევი: პროფ. არნ. ჩიქობავა, დისკუსიებსა და პრესაში მისი საფუძვლიანი კრიტიკის მიუხედავად, მაინც ფიგურირებს როგორც ცენტრალური პირი. მაგალითად, ლექსიკონის საქმის ხელმძღვანელობა მთლიანად მასზე მინდობილი. მაკვირვებს ის ფაქტი, რომ დირექტორი ვარლამ თოფურია და მისი მოადგილე სერგი ჟღენტი გადადგნენ თანამდებობიდან მაშინ, როცა ისინი არავის გაუკრიტიკებია. ჩიქობავა კი, რომელიც ყველაზე ხშირად არის გაკრიტიკებული, კვლავ რჩება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

გ. ს. ახვლდიანი: როგორ აფასებთ თქვენ არნ. ჩიქობავას თეორიას?

ნ. თ. იაკოვლევი: მე მიმაჩნია, რომ ჩიქობავას თეორია სწორად არის შეფასებული როგორც რეაქციული თეორია, რომელიც იმეორებს სოსიურის, ბრუგმანისა და სხვების ბურჟუაზიულ თეორიებს. ეს არის კავკასიურ ენათა პრაენის თეორია.

გიორგი ახვლედიანი ცდილობს ჩიქობავას დაცვას მთელი სხდომის მანძილზე. ამ კონკრეტულ ბრალდებაზე კი იაკოვლევს არწმუნებს, რომ „ჩიქობავა მთლიანად ლექსიკონზე მუშაობით არის დაკავებული და ლექსიკონს არავითარი კავშირი არა აქვს არც მის და არც რომელიმე უცხო თეორიასთან. აბსოლუტურად! ეს არის ქართული ენის, ახლა მოქმედი ქართული ენის, მთელი სიმდიდრის გამოვლენა როგორც სახელის, ისე ზმნის ნაწილში. ზმნა ძალიან რთულია და, როგორც იცით, ძალიან ორიგინალური. არნ. ჩიქობავას საქმიანობა შეთანხმებული და მოწონებულია საქართველოს უმაღლეს ხელისუფლების მიერ“.[1]

გიორგი ახვლედიანი ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას. არნ. ჩიქობავასთვის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნის მინდობა ნამდვილად საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კანდიდ ჩარკვიანი დიდტანიან წიგნში „განცდილი და ნააზრევი“ იგონებს, რატომ დაისვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანლის წინაშე განმარტებითი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა და როგორ გადაწყდა მისი შექმნა: „საბჭოთა პერიოდში ქართული ენა უაღრესად გამდიდრდა, მეცნიერების ყველა დარგის იარაღი გახდა. დაზუსტდა და დაკანონდა მისი ძირითადი გრამატიკული ფორმები. წერისა და მეტყველების კულტურის დროის მოთხოვნათა სიმაღლეზე აყვანისთვის საჭირო იყო თანამედროვე ქართული ენის მთელი სიმდიდრის ერთ კორპუსად შეკვრა და ლექსიკონის სახით ხელმისაწვდომად წარმოდგენა... შეიძლება ენათმეც-

[1] თსუმ, №9904 ხი-1386:20,21,25,29,30,31,32,34

ნიერები კიდეც ფიქრობდნენ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობაზე, მაგრამ ყველა თავისი მეცნიერული ინტერესებით იყო გართული და ამ დიდი საქმის წამოწყებას ვერავინ ბედავდა. ასე იყო თუ ისე, წინადადება არსაიდან ჩანდა. კულტურის ყველა სფეროს წინსვლა პარტიის საზრუნავია. პირადად ჩემთვის ამ რიგის ღონისძიებათაგან მთავარი თანამედროვე ქართული განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა იყო“ (კ. ჩარკვიანი 2004:519). მან შეისწავლა ეს საკითხი და 1945 წელს სპეციალურად შეხვდა სიმონ ჯანაშიასა და არნოლდ ჩიქობავას. გადაწყვიტა ამ საქმის სათავეში ჩიქობავა ჩაეყენებინა: „რატომ ა. ჩიქობავა? ენათმეცნიერები, შეიძლება უფრო დამსახურებულებიც, სხვებიც გვყავდნენ, მაგრამ ჩიქობავას მათგან გამოარჩევდა პრინციპულობა, თანამედროვე ენობრივი აზროვნება. ის ლექსიკონში არქაულ გრამატიკულ ფორმებს არ გააჭაჭანებდა. ამ უკანასკნელთა გალვანიზაციის ცდები ჩვენი დიდი ენათმეცნიერების ნაშრომებში კი ხშირი იყო“. ეს აზრი არეკლილია გ. ახვლედიანის პასუხებში სერდიუჩენკოსა და იაკოვლევის კითხებზე – რატომ არ შეირჩა ა. შანიძე ქართული ენის განამრტებითი ლექსიკონის თავკაცად (უფრო დაწვრილებით იხ. თავად საარქივო დოკუმენტი[1]). განმარტებითი ლექსიკონის სალექსიკონო ერთეულის არჩევანის საკითხი ძალიან დიდი და საინტერესო თემაა, მაგრამ ახლა ამ საკითხზე ვერ ვიმსჯელებთ. როგორც კანდიდ ჩარკვიანმა შენიშნა, ჩიქობავას არ გახარებია ეს შეთავაზება: „ასე მეჩვენა, რომ ეს წინადადება ა. ჩიქობავამ ხალისით არ მიიღო. როგორც ჩანს, ენათმეცნიერებაში ლექსიკოგრაფიის მოღვაწეობა უმადურ შრომად ითვლება. თანამედროვე ენაში ბევრ ახალ კანონზომიერებებს ვერ აღმოაჩენ, ჩიქობავა კი მაშინ იბერიულ-კავკასიური ენების კვლევით იყო გატაცებული და ამოდენა ორგანიზაციული და სარედაქციო მუშაობის ტვირთად აღების პერსპექტივა არ ეჭაშნიკა. მიუხედავად ამისა, ცენტრალური კომიტეტის დავალებაზე უარი მაინც ვერ თქვა“ (კ.

[1] თსუმ, №9904 ხი-1386

ჩარვიანი 2004:520). კ. ჩარკვიანს საინტერესო ინფორმაცია აქვს მოცემული საარქივო მასალების ჩვენებით, როგორ მიდიოდა განმარტებით ლექსიკონის საქმე, რომელიც ვერ დასრულდა წინასწარ დაგეგმილ დროს, რაც არ არის გასაკვირი, რადგან ძალიან დიდი სამუშაო იყო შესასრულებელი: წამოწყება მეტად დიდი აღმოჩნდა. საქართველოში ამ ზომის გამოცემა წინათ არასდროს განხორციელებულა. ლექსიკონის მოსალოდნელი მოცულობა კვლავ გაიზარდა. ახლა მთავარი რედაქცია უკვე რვა ტომზე ლაპარაკობდა. როცა მორიგ სიძნელეთა გადალახვა გაუჭირდებოდა, ა. ჩიქობავა მე მომმართავდა. მახსოვს, ჩემთან ერთი შეხვედრისას მან ამგვარი შედარებაც იხმარა: მთელი ენის მომცველი გამოცემა ზაჰესის აგებაზე ადვილი არ არისო“ (კ. ჩარკვიანი 2004:521). კ. ჩარკვიანის მოგონება აჩვენებს, რომ გ. ხვლედიანი სწორ ინფორმაციას აწვდიდა სხდომის მონაწილეებს – არნ. ჩიქობავა დროის უდიდეს ნაწილს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მუშაობაში ხარჯავდა.

გიორგი ახვლედიანის გადაწყვეტილება, გამოეცა ნიკო მარის შრომები, განპირობებული იყო საბჭოთა ენათმეცნიერებაში ოფიციალურ თეორიად იაფეტიდოლოგიის აღიარებით, რაც აისახა კიდეც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 21 ივლისის დადგენილებაში. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ახვლედიანის გადაწყვეტილება მთლიანად ეთანხმება მაშინდელი აკადემიის აზრს ნიკო მარის თეორიის შესახებ. ეს საკითხი სპეციალურად ყოფილა განხილული 1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სხდომაზე, როგორც ამას ადასტურებს საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტები. სპეციალური მსჯელობის საგანი იყო ნ. მარის სამეცნიერო პრობლემატიკისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ლინგვისტურ-ფილოლოგიური პროფილის კათედრის საკვლევი თემატიკის წარმოჩენა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დეკანის, ილია აბულაძის დასკვნით სიტყვაში თორმეტი კათედრის გაერთიანებულ სხდომაზე (იხ. ქვემოთ).

ოქმი №12[1]

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სხდომის 11.VI.49წ

დაესწრნენ: გ.ახვლედიანი, ს. ჟღენტი, თ შარაძენიძე, მ. ბახტაძე და თ. აბზიანიძე

დღის წესრიგი:

1. სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებული საკითხები
2. 1949 წლის სამეცნიერო საკვლევი თემატიკის შესრულება და პირველი ორი კვარტლის ანგარიში.
3. სახელმძღვანელოების სამწლიანი საგამომცემლო გეგმა
4. ნ. მარის შრომების გამოცემის ორგანიზაციის საკითხი
5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: გ. ახვლედიანის ინფორმაცია სახელმძღვანელოების სამწლიანი საგამომცემლო გეგმის შესახებ:

1949 წელს გამოვა გ. ახვლედიანის I ტ ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები I და II ნაწილი

1950 წელს 1. არნ. ჩიქობავას ზოგადი ენათმეცნიერება, I ტ პროპედევტიკული ნაწილი და ნ. მარის შრომების ერთი ტომი,

1951 წელს გ.ახვლედიანი II ტ. ზოგადი ფონეტიკის პრობლემები და არნ. ჩიქობავა ზოგადი ენათმეცნიერება II ტ ძირითადი ნაწილი

მოისმინეს: გ. ახვლედიანის ინფორმაცია მარის შრომების გამოცემის ორგანიზაციის საკითხის შესახებ. მარის შრომების გამოცემა ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, ამ საქმეს ერთი კათედრა ვერ გაუძღვება, ამიტომ საჭიროა უნივერსიტეტის ყველა საენათმეცნიერო კათედრების გაერთიანებული სხდომის მოწვევა, სადაც განიხილება საკითხი, თუ როგორ უნდა მოევლოს ამ საქმეს.

გარდა ამისა საჭიროა კათედრებმა მიადევნონ თვალყური, რომ სადისტერტაციო თემატიკას: შერჩეული და გაშუქებული იქნეს მარის შრომების გათვალისწინებით.

დაისვას საკითხი, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოიცეს დამუშავებულ ეტიმოლოგიური ლექსიკონი მარისა, რაც გაკეთებულია უკვე რამოდენიმე წელია.

---

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №214, ფურც 19-20

მომავალი წლიდან შემოღებული იქნეს სემინარი სტუდენტებთან მარის მოძღვრების შესასწავლად.

საჭიროა, რომ კათედრებზე წაკითხული იქნეს სქემატური მოხსენება იმის შესახე,ბ თუ როგორ დალაგდება მარის შრომების მიხედვით ზოგადი პრობლემატიკა.

დაადგინეს: 1. უახლოეს ხანში დაინიშნოს საენათმეცნიერო კათედრების გაერთიანებული სხდომა.

2. დაევალოს ს. ჟღენტს უახლოეს კათედრის სხდომაზე წარმოადგინოს სქემატური მოხსენება ზოგადი პრობლემატიკისა.

კათედრის გამგე გ. ახვლედიანი (ხელმოწერილია)
მდივანი თ. აბზიანიძე (ხელმოწერილია)

ოქმი 13[1]
თორმეტი საენათმეცნიერო კათედრის
გაერთიანებული სხდომის 18.VI-49 წ

დაესწრნენ: გ. ახვლედიანი, ალ. ბარამიძე, ვ. თოფურია, გ. წერეთელი, ს. ჟღენტი, ივ. გიგინეიშვილი, ლ. მელიქსეთბეგი, ს. ვაჩნაძე, შ. ძიძიგური, ს. ჯიქია, თ. მრევლიშვილი, არ. ცხადაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ფურცელაძე, ვ. ჟიდკო, ნ. ხიდაშელი, ელ. კრემერი, გ. მდივანი, ის. გვარჯილაძე, ლ. კვაჭაძე, ნ. ქადაგიძე, თ, შარაძენიძე, კ. წერეთელი, ალ. ლეკიაშვილი, ლ. კიკნაძე, ევგ. ჯეირანაშვილი, მზია ანდრონიკაშვილი, თ. ბურდული, ლ. ახვლედიანი, მ. შანიძე.

დღის წესრიგი:

1. ნ. მარის შრომების ქართულ ენაზე გამოცემის ორგანიზაცია

მოისმინეს: პროფ. გ.ახვლედიანის ინფორმაცია 1949 წლის 19 ივნისის ბრძანების შესახებ. გამოყოფილი იყო სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ფილოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მდგომარეობა, რის შედეგად გამოირკვა, რომ მიუხედავად მიღწევებისა, ფილოლოგიის ფაკულტეტის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ეს უმთავრესად ეხება ლიტერატურათა და საენათმეცნიერო კათედრებს.

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №№471, ანაწერი №№21, საქმე №№214, ფურც 21-22

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ ვერ შეძლო წამყვანი როლი შეესრულებინა ნ. მარის მოძღვრების საქმეში. ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ იქონია მსჯელობა და დასახა ღონისძიებანი. ნ. მარი მართლაც მრავალმხრივი მკვლევარი იყო და არც ერთ საენათმეცნიერო კადედრას არ შეიძლება არ მოენახოს რაიმე კონტაქტი მართან. მაგ. მარი და რუსული ენა, მარი და სომხური, მარი და კავკასიური ენები, მარი და სემიტური ენები და სხვა და სხვა.

რა თქმა უნდა, ერთი კათედრა ასეთი მუშაობის ჩატარებას ვერ შეძლებს, ამიტომ საჭიროა ყველა საენათმეცნიერო კათედრების ჩაბმა ამ მუშაობაში. ზოგადი ენათმეცნიერების კათედრას ევალება ზოგადი ხასიათის თეორიული შრომები, რაც შეეხება ცალკე დარგებს, ამას სხვა კათედრები გააკეთებენ.

პრაქტიკულ საქმიანობაში საჭიროა:

1. სადისერტაციო თუ საგეგმო თემების დამუშავება მარის მოძღვრებიდან, მისი ცალკეული შრომებიდან.

2.სტუდენტებს მიეცეთ სადიპლომო თემები ნ. მარის თემატიკიდან.

3. გამოიცეს ნ. მარის რჩეულ ნაწერთა I ტომი, რომელიც უნდა დამზადდეს ამ წელს. I ტომში, რომელსაც დაამზადებს ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა აკად. განყოფილებასთან ერთად, შევა მარის გამოკვლევები ზოგადი საკითხის შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო: ვ. თოფურიამ, გ. წერეთელმა, ლ. მელიქსეთბეგმა, ს. ჯიქიამ, ვ. გიგინეიშვილმა და სხვა.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ფაკულტეტის დეკანი ილ. აბულაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ უპირველესად ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ უნდა მიიღოს ღონისძიება, რათა პროგრამები იქნეს განხილული და დამუშავებული, სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნენ სახელმძღვანელოთი, საჭიროა კათედრამ შეარჩიოს ორი-სამი სტუდენტი მოსკოვსა და ლენინგრადში გასაგზავნად ასპირანტურაში.

დაადგინეს: დაევალოს კათედრებს წარმოადგინონ თავიანთი გეგმის ვარაუდი მარის შრომებზე მუშაობისა ა. წ. 25.VI-მდე.

კათედრის გამგე — გ. ახვლედიანი (ხელმოწერილია)
მდივანი — თ. აბზიანიძე (ხელმოწერილია)

გიორგი ახვლედიანის გადაწყვეტილება ნიკო მარის ახალი ლინგვიტური მოძღვრების ათვისების თაობაზე ერთხმად მოიწონეს თორმეტი საენათმეცნიერო კათედრის გაერთია-

ნებულ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 1949 წლის ივნისში (იხ. ზემოთ). ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეს გადაწყვეტილება არ მოეწონა, იყო არნოლდ ჩიქობავა. უფრო მეტიც, მან დოკუმენტის პირველი ნაწილი, რომელშიც თეზისურად არის მოცემული ზოგადი მოსაზრებები მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების შესახებ პირადად მის საწინააღმდეგო ნაბიჯად ჩათვალა, რაც წერილობით მისწერა 1950 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტს. იორგი ახვლედიანისთვის ნ. მარის შრომათა ათვისებაზე „თეზისების“ შექმნა იქცა მის ბედისწერად შეცვლილი პოლიტიკური კონიექტურის გამო, რომლის შესახებ 1950 წლის 9 მაისამდე მან არაფერი იცოდა.

§2. მზადება ენობრივი დისკუსიისათვის: არნოლდ ჩიქობავა, კანდიდ ჩარკვიანი და იოსებ სტალინი 1949-1950 წლები[1]

1949 წელი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სწორედ ამ დროს შეირყა ოფიციალური დამოკიდებულება მარის თეორიის მიმართ – იოსებ სტალინს გაუჩნდა ეჭვი, რომ მარის თეორია არ იყო მარქსისტული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარისტული მარქსისტულს აღარ ნიშნავდა. სტალინი ალბათ დამოუკიდებლად არ მისულა ამ აზრამდე. მას ეხმარებოდნენ ამ თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. გარეფაქტორებმა ხელი შეუწყო იოსებ სტალინის ჩარევით საბჭოთა ენათმეცნიერებიდან ნიკო მარის სახელის ამოგდებას, ხოლო თვით სტალინს მრავალ სახოტბო სახელთან ერთად შეემატა კიდევ ერთი: „მეცნიერების კორიფე“.

როგორც უკვე აღინიშნა, 1949 წლის ივნისში გიორგი ახვლედიანის გეგმა ნიკო მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისების შესახებ მოიწონა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თორმეტი საენათმეცნიერო კათედრის სხდომაზე. ეს ბუნებრივი იყო იმ ვითარებაში, როცა სწორება ნიკო მარის იაფეტურ თეორიაზე ხდებოდა. სსრკ მცნიერებათა აკადემია, რა თქმა უნდა, მოიწონებდა ამ გეგმას 1949 წლის 21 ივლისისა და 21 ნოემბრის სხდომების ფონზე. მაგრამ იგივე 1949 წელი უნდა ავიღოთ ამოსავალ წერტილად, როცა სსრკ-ს უმაღლესმა პირმა, იოსებ სტალინმა, სერიოზულად დაიწყო ფიქრი მარის თეორიის კრიტიკაზე. ამ წელს იმართებოდა შეხვედრები, პარტიული მუშაკებისა და მეცნიერების კონსულტაციები მარის თეორიის ყველა ღირსებისა და ნაკლის გამოსავლენად. სწორედ 1949 წლის ბოლოს მისწერა კანდიდ ჩარკვიანმა იოსებ სტალინს სპეციალური წერი-

[1] ამ პარაგრაფის სხვადასხვა ნაწილები წაკითხულია საერთაშორისო კონფერენციებზე თბილისსა და ლვოვში (იხ. ბოლქვაძე 2016, ბოლქვაძე 2017ა).

ლი საბჭოთა ენათმეცნიერებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში, ყოფილ პარტიულ არქივში ინახება საქმე[1], რომელიც მოიცავს არნოლდ ჩიქობავას ორ სამეცნიერო სტატიას. ეს სტატიები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას მიუღია 1949 წლის 21 აპრილს. ერთერთი ამ სტატიებიდან არის მანქანაზე რუსულად გადაბეჭდილი ნაშრომი ნიკო მარის სტადიური თეორიის შესახებ, ხოლო მეორე ეხება თურქულ ლინგვისტურ თეორიას „გიუნეშ დილს“ და მის კავშირს ისტორიზმის პრობლემასთან თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ორივე სტატია კანდიდ ჩარკვიანმა დაურთო თავის წერილს. არნ. ჩიქობავას პირველი სტატიით იგი ამყარებდა თავის მოსაზრებებს ნიკო მარის თეორიაზე, მეორე სტატიით კი სტალინს წარუდგინა იმის საჩვენებლად, რომ მარის უარყოფითი გავლენა გასცდა საბჭოეთის ფარგლებს და ახლა უკვე თურქმა ენათმეცნიერებმა შექმნეს იაფეტიდოლოგიაზე დაყრდნობით „რასისტული მოძღვრება“. სტალინი ამ საკითხს უბრუნდება მხოლოდ 1950 წლის გაზაფხულზე. კ. ჩარკვიანს გადასცემენ მის წერილს სტალინის რეზოლუციით: „დაუბრუნდეს ამხანაგ ჩარკვიანს („Вернуть Т-щу Чарквиани“).“ გარდა ამ რეზოლუციისა, სტალინს კანდიდ ჩარკვიანის ცამეტგვერდიან სტატიაზე დართული აქვს მეტად მნიშვნელოვანი კომენტარები, რომლებსაც განვიხილავთ კანდიდ ჩარკვიანის მიერ მარის მთავარი შეცდომების ჩამოთვლისას.

საკითხისთვის ნათელის მოსაფენად აუცილებელია აღვადგინოთ, რა ხდებოდა საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში, როგორ აისახებოდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსკოვში თავიდან საიდუმლოდ, შემდეგ კი ღიად გამოცხა-

[1] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი №23, საქმე №476, საქმე №38

დებული ბრძოლა იაფეტური თეორიის წინააღმდეგ. რა გზა გაიარა არნ. ჩიქობავას სტატიამ, სანამ იგი გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდებოდა 1950 წლის 9 მაისს. თუ ერთმანეთს შევუჯერებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა მასალას, ასეთ სურათს მივიღებთ. ჩვენ გვაქვს ოთხი საარქივო დოკუმენტი:

I. კანდიდ ჩარკვიანის წერილი სტალინისადმი „საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის შესახებ“, გაგზავნილი 1949 წლის 27 დეკემბერს, რომელიც შეტანილია მის წიგნში „ კანდიდ ჩარკვიანის წერილი სტალინისადმი „საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის შესახებ“, გაგზავნილი 1949 წლის 27 დეკემბერს, რომელიც შეტანილია მის წიგნში „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები.“ დიდ მადლობას ვუხდით ინგლისური ფილოლოგიის ცნობილ სპეციალისტს, საქართველოს ყოფილ ელჩს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ბატონ გელა ჩარკვიანს, კანდიდ ჩარკვიანის ვაჟს, რომელმაც ეს წერილი გადმოგვცა და მისი გამოქვეყნების ნება დაგვრთო.

II. რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტი Записка Сталина И.В. к рассылаемой статье Чикобавы А. "О некоторых вопросах советского языкознания", с приложением статьи А.Чикобавы с правками Сталина И.В.,[1] რომლის მოპოვებაში დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ამერიკელ მეცნიერს, პროფ. ეთან პოლოკს.

III. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში დაცული აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებისთვის ჩაბარებული არნოლდ ჩიქობავას ორი წერილი ენათა ნიკო მარისეული სტადიალური კლასიფიკაციის შესახებ და თურქული ენობრივი თეორიის „გიუნეშ დილის“ შესახებ. სწორედ მარის სტადიალურ თეორიაზე დაწერილი სტატიაა

[1] ID # F.558, op.11, d.1251, doc.1

ის, რომელიც წაიკითხა და შენიშვნები დაურთო სტალინმა კანდიდ ჩარკვიანის წერილთან ერთად. სწორედ ეს წერილი ინახებოდა იმ საქაღალდეში, რომელიც სტალინმა არ დაუბრუნა ჩიქობავას და პრავდისთვის ახალი სტატიის დაწერა შესთავაზა (ჩიქობავა 1985). დამოწმებული სტატიის მხოლოდ ინგლისური ვერსიის სქოლიოში მიუთითებს ჩიქობავა: მალე, ჩარკვიანის ხელით, მე მივიღე ჩემი სტატია მარის ენის განვითარების სტადიების შესახებ სტალინის შენიშვნებით.[1] ეს ინფორმაცია არ არის მოცემული ჩიქობავას სტატიის არც რუსულ და არც ქართულ ვარიანტებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში ახლაც ინახება ეს წერილი კომენტარებისა და შენიშვნების გარეშე. მასთან ერთად საქაღალდეში დევს სტატია თურქული თეორიის „გუნეშ დილის“ (მზის ენების) შესახებ.

IV. არნოლდ ჩიქობავას მიერ „პრავდისთვის“ დაწერილი წერილის ასლი, რომელიც გადმოგვცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა, ბატონმა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ პატივცემულ მეცნიერს. ეს უნდა იყოს არნ. ჩიქობავას „პრავდაში“ 1950 წლის 9 მაისს დაბეჭდილი წერილის წინა ვარიანტი.

კანდიდ ჩარკვიანი სტალინისათვის მიწერილ წერილში საბჭოთა ენათმეცნიერების შესახებ დანანებით აღნიშნავს: საბჭოთა ენათმეცნიერებაში შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას განაპირობებს ის, რომ ენათმეცნიერთა ყველაზე აქტიური ნაწილი ენის წარმოშობის, მისი ბუნებისა და განვითარების შესახებ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მითითებათა დანერგვაზე კი არ ფიქრობს, არამედ ბრმად მისდევს ნიკო მარის თეორიას, რომელიც თავის სწავლებას მარქსისტულ მოძღვრებად ნათლავს. მარის კვლევათა შესწავლამ ჩარკვიანი დაარწმუნა, რომ, მცდელობის მიუხედავად,

[1] I soon received, trough K. Charkviani, my paper on Marr’s stadial development of languages, with J. Stalin’s notes (ჩიქობავა 1985).

ცნობილმა ენათმეცნიერმა ვერ შეძლო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ათვისება და დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენება ენათმეცნიერებაში, რამაც გამოიწვია მისი დასკვნების უმწიფრობა. კანდიდ ჩარკვიანი ჩამოთვლის და აანალიზებს მარის ყველაზე მთავარ ექვს შეცდომას. თითოეულზე ი. სტალინი აწერს თავის კომენტარს. ჩვენ ორივეს – კ. ჩარკვიანის მოსაზრებას და სტალინის კომენტარებს - წარმოვადგენთ ერთად, რაც მკითხველს განსახილველი საკითხების აღქმას გაუადვილებს.

1) მარის მოსაზრებები არ ეთანხმება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა კლასთა და ენათა წარმოქმნა, ნაციონალური ენებისა და ნაციონალური კულტურის ბედი სოციალიზმის დროს. მისი აზრით, ენა წარმოქმნის მომენტიდანვე კლასობრივი იყო. „სხვაგვარ მიდგომას იაფეტიდოლოგია არ ცნობს... უკლასო ენა აქამდე არ არსებულა. ეს მხოლოდ მომავალი უკლასო საზოგადოების საქმეა.“ სტალინი ამ მოსაზრებას სისულელედ თვლის, რაც პირდაპირ უწერია კომენტარში: „სისულელეა: კლასობრივი ენები არ არსებობს“ („Глупость. Классовых языков нет“). კანდიდ ჩარკვიანის დაკვირვებით, მარი ვერ ასაბუთებს ამ მოსაზრებას. მართალია, ენას აკავშირებს წარმოების პროცესთან, მაგრამ მაგიაც წარმოებად მიაჩნია და ქმნის ტერმინს - „შრომამაგიური პროცესი.“ აქედან ასკვნის, რომ მაგები ქმნიდნენ განსაკუთრებულ კლასს. სტალინი გადაჭრით არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. „არა“, - ვკითხულობთ მინაწერში. მეცნიერს, რომელსაც ეფუძნებოდა საბჭოთა ენათმეცნიერება ოცდაათი წლის განმავლობაში და ამ საქმეში თვითონ სტალინს არამცირედი როლი მიუძღვის. ყოველ შემთხვევაში, არსად და არასდროს 1950 წლამდე მარი და მისი თეორია არ დაუწუნია, ახლა იმეტებს შეურაცხმყოფელი ეპითეტისათვის: „სულელი!“ („Дурак!“). კ. ჩარკვიანი გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ მარი ხვდება მისი მოსაზრებების შეუთავსებლობას მარქსიზმის კლასიკოსებთან, მაგრამ უკან

კი არ იხევს, არამედ წერს: „ენგელსის მოსაზრებები კლასთა წარმოქმნის შესახებ სერიოზულ შესწორებებს მოითხოვს“.

ასევე მიუღებელი აღმოჩნდა მარის აზრი „ბურჟუაზიული ენების“ ცნების თაობაზე. ამ საკითხშიც უთანხოებაა მარქსიზმის კლასიკოსებსა და მარს შორის. არსად არ უთქვამთ მარქსისტებს, რომ გერმანული, რუსული ან ინგლისური ბურჟუაზიული ენებია. შეიძლება ვიმსჯელოთ ენობრივ სტილთა კლასობრივ შეფერილობაზე, მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რომ ნაციონალური (ეროვნული) ენა მთლიანად ეკუთვნის ამა თუ იმ კლასს. სტალინი ასეთ კომენტარს აკეთებს: „მარი ურევს, მაგრამ იგი უახლოვდება იმ მოსაზრებას (პოზიციას), რომ ენის განვითარება დაკავშირებულია ადამიანთა შემოქმედების ნაყოფიერებაზე“ („Марр путает, но он приближается к положению о том, что развитие языка связанно с развитием производительности людей”). ამ ნაწილში კ. ჩარკვიანი იმოწმებს ალექსანდრე წულუკიძეს: „ენის განვითარებაში მონაწილეობას იღებს საზოგადოების ყველა ფენა, მაგრამ რადგან ამ სულიერ იარაღში აისახება ფარული სოციალური დაპირისპირებები, მას იყენებენ ერთმანეთის გასანადგურებლად.“ რაც უნდა გასაკვირი იყოს, სტალინი არ ეთანხმება მის ყოფილ თანამებრძოლს, მასთან დაახლოებულ მარქსისტს, ალექსანდრე წულუკიძეს, რომელიც საპყრობილეში ტუბერკულოზით დაავადების გამო ადრე წავიდა ამქვეყნიდან. იგი დიდი ასოებით წერს კომენტარში: **„არა“,** თან შემოხაზავს ამ სიტყვას.

2) კანდიდ ჩარკვიანის აზრით, მარი ვერც კი ხვდება, რომ ენათა სტადიალური კლასიფიკაციით (რომელიც იაფეტური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, - თ.ბ.), წყალს ასხამს რასისტთა წისქვილზე. იგი იმოწმებს ენათა ოჯახების მარისეულ დაყოფას სტადიური განვითარების მიხედვით. ამ ჩამონათვალზე სტალინის გაკეთებული აღნიშვნებით და კომენტარით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ მას უკვირს სემიტური ენების მოხვედრა ევროპულ ენებთან ერთად IV სტადიის ენებში,

რასაც კითხვის ნიშნის დასმით გამოხატავს. ჩარკვიანის შეფასებით, ქართულს მარის სტადიურ კლასიფიკაციაში „შეურაცხმყოფელი“ ადგილი აქვს მინიჭებული. საერთო საკაცობრიო ენობრივი შემოქმედების უმაღლეს პროდუქტად გამოცხადებულია სწორედ „ევროპული (მარის ტერმინოლოგიით „პრომეთეიდული“) და სემიტური ენები, რომლებიც მიღებულია იაფეტურ ენათა ტრანსფორმაციის შედეგად. ასეთი გარდაქმნა დაკავშირებული უნდა იყოს ლითონის აღმოჩენასა და მეურნეობაში მის ფართო მოხმარებასთან“. ეს მტკიცება კანდიდ ჩარკვიანს დამაჯერებლად არ მიაჩნია. „სხვა დანარჩენი ენები მარმა გამოაცხადა საკაცობრიო კულტურის განვითარების წინა საფეხურზე გაჩერებულ, ნაშთებად შემონახულ, გაქვავებულ ენებად... მარის სქემა საშუალებას აძლევს „ანგლო-საქსონ იმპერიალისტებს“ თავიანთი ენა გამოაცხადონ ყველაზე დაწინაურებულ ენად მსოფლიოში. გარდა ამისა, ეს სქემა შეიძლება გახდეს ანტიპატრიოტული და ანტინაციონალური გამოხტომების საფუძველი ყველა და ყოველგვარი კოსმოპოლიტიზმისათვის, რომლებიც უარყოფენ საბჭოთა ხალხების კულტურული თვითმყოფადობასა და მათ ისტორიულ კავშირს“. კ. ჩარკვიანი „ქართული საბჭოთა კულტურის დამცირებად“ აფასებს ქართული ენის შეტანას „ლამის გაქვავებულ, განვითარების უნარის არმქონე ენათა ჯგუფში“. ეს დაუსაბუთებელი თეორია მარმა შექმნა იმის მიუხედავად, რომ თავის ადრინდელ ნაშრომებში არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, მის გამომსახველობასა და მოქნილობას, რომ ქართულმა წარმატებით გაუძლო ისეთ ენებთან კონკურენციას, როგორიც იყო არაბული, ბერძნული და სპარსული.

ამ ორ აბზაცში გამოთქმულ მოსაზრებებზე - ანგლო-სანქსონელ იმპერიალისტებზე, ანტიპატრიოტთა გამოხტომებსა და მარის თეორიაში ქართულ ენის დამამცირებელ მდგომარეობაზე სტალინი ხარხარებს, რაც გამოიხატება მინაწერში: „ხა-ხა-ხა“ („Xa-Xa-Xa“) სამჯერ, ლამის მიჯრით და

იქვე აღნიშნავს: „არა“ (ასე არ არის) („Нето“) ვის დასცინის ამ შემთხვევაში სტალინი? უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დასცინის თავად თვალსაზრისს, რომ ევროპული ენების მეოთხე სტადიის ენებში შეყვანით ანგლო-საქსი იმერიალისტები თავს მოიწონებენ და იმაზეც ხარხარებს, რომ ზოგიერთ ქართველს, თუ ყველას არა, აწუხებს, რომ თურმე ქართულს არ ეკადრება ენათა ისეთ ჯგუფში მოხვედრა, რომელიც ვერ განვითარდა ისე, რომ ევროპული და სემიტური ენების დონისთვის მიეღწია.

3) შეცდომად არის მიჩნეული თეზა, რომ მსოფლიოს ყველა ენის ლექსიკური მასალა შედგება მხოლოდ ოთხი ელემენტისაგან. საილუსტრაციოდ მოტანილია ქართული (იაფეტური) სიტყვა „მორის“ ჩინური, ფინური და რუსული ცალების ანალიზი.

4) საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მარი სახავდა ერთიან საკაცობრიო ენას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია არა მხოლოდ ახლა, არამედ მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგაც კი დიდი ხნის განმავლობაში. ამას კ. ჩარკვიანი ურთავს სტალინის ცნობილ ციტატას ერთიანი საკაცობრიო ენის შექმნის პირობებისა და შედგენილობის შესახებ, რომელზეც უკვე ვიმსჯელეთ (იხ. ზემოთ). ორივეგან სტალინს მიუწერია: „ეს მარის სისულელეებია“ („Это глупости Марра“) როგორც ეს კომენტარი აჩვენებს, სტალინი ნამდვილად არ გრძნობდა სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ ერთ დროს თვითონაც იმავე აზრს ავითარებდა და საბჭოთა ხალხმა იცოდა ეს, როგორც აჩვენებს „პრავდაში“ გამოქვეყნებული მიმოწერა, განხილული ეთან პოლოკის მიერ (იხ. ზემოთ).

5) ნ. მარის ერთ-ერთი შეცდომა არის ის, რომ კულტურისა და ენის ჩასახვის ადგილად მიაჩნია დასავლეთ შუამდინარეთი, რითაც დამატებით არგუმენტს აძლევს ანგლო-ამერიკელ რასისტებს მათი კულტურული განსაკუთრებულობისა და „ატლანტიდელი“ ადამიანის გამორჩეულ კულტურულ

როლზე სხვა რასებთან შედარებით. სტალინი ამასთან დაკავშირებით წერს: „ანგლო-ამერიკელები აქ არაფერ შუაშია“ („Англо-американцы не при чём“) და კვლავ დასცინის თვალსაზრისს, რომ მარის მოსაზრება თითქოს ანგლო-ამერიკელ რასისტთა პოზიციებს ამაგრებს. იგი ამ აბზაცს აწერს: „ხა-ხა-ხა!“

6) კ. ჩარკვიანი მარს ბრალს სდებს კოსმოპოლიტიზმში, რადგან იგი საბჭოთა ხალხებისგან ითხოვდა მათი ნაციონალური ინტერესებისა და კულტურული ღირებულებების მსხვერპლად შეწირვას „საერთო საკაცობრიო“ კულტურისათვის. ამის მაგალითად იმოწმებს საბჭოთა კავშირის ბევრი ხალხისთვის ახალი ანბანების შექმნას ლათინურზე დაყრდნობით. სწორედ მისი მცდელობით შეიცვალა აფხაზური დამწერლობა და იგი აფხაზურისათვის სრულიად შეუფერებელ ლათინურ ანბანს დაეყრდნო. ეს საკითხი განსახილველ პრობლემად სულაც არ მიაჩნია სტალინს, რაც ჩანს მისი კომენტარიდან: „ეს წვრილმანია“ („Это мелочь“). კანდიდ ჩარკვიანს კი სერიოზულად აღელვებდა ის, რომ მარი ძველი დამწერლობის მქონე ხალხებისაგან – ქართველებისა და სომხებისაგანაც - კი მოითხოვდა ლათინურ ანბანზე გადასვლას. სტალინს არ მიაჩნია ეს ენის ბედის განმსაზღვრელად: „შრიფტ-გრაფიკა არ წყვეტს ენის ბედს. სისულელეა“ („Шрифт-графика не решает судьбу языка. Глупость“) ნიკო მარი სრულიად სერიოზულად აყენებდა საკითხს, რომ „საერთოკავკასიური კულტურული ერთიანობის მიზნით“ შექმნილიყო საერთო ლათინური ანბანი. ადრე თუ გვიან რუსებსაც მოუწევდათ გრაფიკის შეცვლა. „საბჭოთა კავშირში სოციალისტურმა მშენებლობამ აჩვენა ამ აზრის უსუსურობა,“ - წერს კ. ჩარკვიანი.

მიუხედავად მარის იაფეტური თეორიის დაუნდობელი კრიტიკისა, ნიკო მარს, როგორც კავკასიოლოგს დიდად აფასებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი კანდიდ ჩარკვიანი. იგი მიიჩნევდა, რომ მარმა პირველმა აჩვენა ერთმანეთის მონათესავე ხეთების, პელაზგების, ეტრუსკებისა და

იბერების (ე. წ. იაფეტი ხალხების) განსაკუთრებული წვლილი მსოფლიო კულტურის შექმნაში. მართალია, ბოლო პერიოდში მარმა უარყო ამ ხალხების ნათესაობის იდეა, მაგრამ მის ძველ ნაშრომებს არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, თუმცა სტალინი ფიქრობდა, რომ „მარის დამსახურება ამაში მთავარი არ არის“ („Заслуга Марра не главное в этом“)კანდიდ ჩარკვიანი და იოსებ სტალინი ერთნაირად მაღალ შეფასებას აძლევენ მარის დამსახურებას ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში: „მარს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული და სომხური წერილობითი წყაროების შესწავლასა და გამოცემაში, ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერების აღზრდაში.“ სტალინი ამ ნაწილს აწერს: „დიახ“ და ამ სიტყვას ქვეშ ორ ხაზს უსვამს, როგორც მნიშვნლოვან მინაწერს.

კანდიდ ჩარკვიანის წერილის ძირითადი იდეა ის არის, რომ მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელია სააშკარაოზე გამოვიტანოთ მარის ლინგვისტური თეორიის მიუღებელი მხარეები. „სამართლიანად უნდა შეფასდეს მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. რაც სასარგებლოა საბჭოთა ენათმეცნიერებისა და ისტორიისათვის, უნდა მივიღოთ და უარვყოთ ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, ხელს უშლის ჩვენს ხალხებს სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ეს უნდა გააკეთონ თვითონ მეცნიერებმა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები მარის მიმდევრები არიან და მის მოსაზრებებს დოგმად მიიჩნევენ. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. მისი დირექტორი, პროფ. სერდიუჩენკო ბურჟუაზიულ ენათმეცნიერად აცხადებს ყველას, ვინც მარის მოსაზრებებს არ იზიარებს“. ამ თვალსაზრისს ამყარებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 1949 წლის 22 ივლისის დადგენილება და 1949 წლის ნოემბრის სხდომა, როცა გიორგი ახვლედიანი ყოველნაირად ცდილობდა არნოლდ ჩიქობავას დაცვას, მაგრამ სერდიუჩენ-

კოს ვერ შეაცვლევინა აზრი მასზე, როგორც ნიკო მარის თეორიის დამწუნებელზე. კ. ჩარკვიანი განსაკუთრებულ აქტიურობას იაფეტური თეორიის კრიტიკის თვალსაზრისით ელის ქართველი პარტმუშაკებისა და მეცნიერებისაგან, რადგან მარი პირდაპირ ეხება საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს და მათ უფრო მეტი მასალა აქვთ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან მარის სამხილებლად.

არნოლდ ჩიქობავამ 1985 წელს გამოაქვეყნა წერილი „როდის იყო და როგორ“, რომელშიც ძალიან ფრაგმენტულად აღწერს ენობრივი დისკუსიის მზადების პერიოდს, ამის მიუხედავად, წერილში აღნიშნულია რამდენიმე ფაქტი, რომლებიც საშუალებას იძლევა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც აღვადგინოთ ამ ისტორიის ზოგიერთი მომენტი. არნოლდ ჩიქობავა ადასტურებს, რომ 1949 წელს „რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის, რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კურატორის – კანდიდ ჩარკვიანის წინადადებით“ (ჩიქობავა 1985:24). როგორც ამავე წერილიდან ირკვევა, 1985 წელს კანდიდ ჩარკვიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ყოფილა), დაწერა მოკლე მოხსენება ნ. მარის ენის განვითარების სტადიების შესახებ. თუმცა იქამდეც, 1949 წლამდეც, გამოთქვამდა არნ. ჩიქობავა თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ნიკო მარის თეორიის მიმართ (მაგალითისთვის იხ. ჩიქობავა 1941).

კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებიდან ვიგებთ, „ქართველ ლინგვისტთა უფროსი თაობის წარმომადგენლები კვლავ უჩიოდნენ მარისტების მოძალებას ენათმეცნიერებაში და კონკრეტულად მიუთითებდნენ მარის ახალი ენათმეცნიერული თეორიის გავრცელების მავნე შედეგებზე საბჭოთა მეცნიერებისათვის. ამ საკითხზე ჩვენთან სპეციალურად მოვიდა, მაგალითად, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და დაწვრილებით გამაცნო თავისი კრიტიკული მოსაზრებები ენების

სტადიური კლასიფიკაციის მიმართ. გარდა ამისა, ა. ჩიქობავამ გადმომცა თავისი ნაშრომები. უნდა ითქვას, რომ ბევრი ახალგაზრდა ქართველი ენათმეცნიერი მარის ან მისი მოწაფეების აღზრდილი იყო და ბრმად აღიარებდა იაფეტურ თეორიას. ისინიც ბლოდროინდელი მოდიფიკაციის იაფეტიდოლოგიას ერთადერთ მარქსისტულ თეორიად ასაღებდნენ და, რაც ძალი შესწევდათ, იცავდნენ მას „ინდოევროპესტების“, ე. ი. უფროსი თაობის ლინგვისტების თავდასხმებისაგან. ეს „ბრძოლა“ ხშირად საკმაოდ მწვავე ხასიათს იღებდა და ხელს უშლიდა ნორმალურ კვლევით მუშაობას ენათმეცნიერებაში და ენათმეცნიერული დისციპლინების სწავლებას უმაღლეს სკოლებში. მოგონებების ამ ნაწილში მოცემული ინფორმაცია, რომ „ლინგვისტები კვლავ უჭიოდნენ მარისტების მოძალებას“, ბუნებრივად ებმის ილიზაროვის ინფორმაციას, რომ „ჩარკვიანამდე ქართველი მეცნიერები, მათ შორის არნ. ჩიქობავა ესაუბრებოდნენ ლავრენტი ბერიას, რომელიც, თავის მხრივ, არწმუნებდა სტალინს, რომ მარის თეორია არა მხოლოდ უვარგისია მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ საზიანოა ქართული ნაციონალიზმისთვისო“ (ილიზაროვი 2012:187). ეს პირად საუბრებშიც გვსმენია უფროსი თაობის ლინგვიტებისაგან, მაგრამ საარქივო დოკუმენტებით ამის დადასტურება არ შეგვიძლია. თავად ილიზაროვი ყურადღებას ამახვილებს მის მიერ სტალინის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ არნ. ჩიქობავას წიგნზე „სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ ენებში“, თბილისი, 1942, რომელიც მას რუსული წარწერით უჩუქებია ბერიასთვის. „Глубокоуважаемому Лаврентию Павловичу Берия — одна из работ, выполненная в реорганизованном Вами Институте языка. С благодарностью от автора. 16.IV.1942“. ილიზაროვი ლავრენტი ბერიასთვის ნაჩუქარი წიგნის სტალინის ბიბლიოთეკაში პოვნას იმით ხსნის, რომ ლ. ბერიამ საენათმეცნიერო საკითხებით დაინტერესებულ სტალინს ყურადღება მიაქცევინა ამ მეცნიერისთვის, რომელიც არ იზიარებდა ნიკო მარის თეო-

რიას(ილიზაროვი 2012:187-190. მ ფქტზე ყურადღებას ამახვილებს პოლოკი 2006:113-114).

როგორც ვაჟა შენგელიას მოგონებიდან ირკვევა, ლავრენტი ბერია მაშინაც დახვედრია აეროპორტში ქართულ დელეგაციას, როცა ენობრივი დისკუსიისთვის ემზადებოდნენ: „1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიამდე ერთი თვით ადრე, 10 აპრილს სტალინის მიწვევით მოსკოვში ჩაფრინდნენ: არნ. ჩიქობავა, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი (ცკ-ის პირველი მდივანი) კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ორი მინისტრი... აეროპორტში მათ ლ. ბერია დახვდა და მანქანაში მიიპატიჟა. მძღოლის გვერდით თვითონ დაჯდა, უკანა სავარძელზე — კ. ჩარკვიანი და ბ-ნი არნოლდი, გადმოსაწევ სკამებზე, რომლებიც წინა სავარძლებზე იყო დამონტაჟებული, — დანარჩენი სამი პირი. ამ სკამებზე ჯდომა (ზურგშექცევით) საკმაოდ უხერხული იყო. ბ-ნი არნოლდი შეწუხდა (უკანა სავარძელზე სამი კაცი მაინც დაეტეოდა თავისუფლად) და თქვა: ხომ არ შეიძლება ისინი გადმოსხდნენ? ლ. ბერია: არა უშავს, ჩაიტკეპნებიან (საუბარი რუსულად იყო)“ (შენგელია 2014:71).

არნოლდ ჩიქობავას ხშირად უხდებოდა შეხვედრა კანდიდ ჩარკვიანთან ქართული ენის განმართებით ლექსიკონთან დაკავშირებით. ალბათ საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ შეხვედრებზე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გარდა სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც ეხებოდა, რომელთა შორის იაფეტური თეორია, ძნელი წარმოსადგენია, უკანასკნელ ადგილზე ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ძალიან გართულდა ვითარება არნ. ჩიქობავასათვის. მას მხოლოდ თბილისში კი არ აკრტიკებდნენ, არამედ უკვე მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც ძალიან ღელავდა, რომ არაერთგზის გაკრიტიკებული არნოლდ ჩიქობავა კვლავ ანგარიშგასაწევ ენათმეცნიერად ითვლებოდა. ამ საკითხზეც მოიძებნება კანდიდ ჩარკვიანის წიგნში ჩვენთვის საინტერესო თავი - „რო-

გორ დაიწყო დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე“[1] (ჩარკვინი 2004:395-408), რომელშიც დაწვრილებით არის მიმოხილული, როგორ მივიდა მასთან არნოლდ ჩიქობავა, აუხსნა

[1] საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მტკიცე წესად გვქონდა: სანამ საკავშირო ორგანიზაციებში რაიმე საკითხს დავაყენებდით, ის ყოველმხრივ და ღრმად უნდა შეგვესწავლა. ისეთ სპეციალურ დარგში შეჭრა, როგორიც ენათმეცნიერებაა, რესპუბლიკური პარტიული ორგანოებისათვის საკმაოდ უჩვეულო საქმე იყო. ამიტომ ამ შემთხვევაში მეტი სიფრთხილე გვმართებდა. საკითხი, ბუნებრივია, პირადად უნდა დამეყენებინა და მისი მომზადებაც მე მევალებოდა. საჭირო იყო მარის თეორიის საფუძვლიანი გაცნობა თვით მარის ნაშრომების მიხედვით, აგრეთვე ყოველივე იმის მოძებნა, გახსენება, შესწავლა, რაც მარქსიზმის კლასიკოსებს ენათა ბუნების, არსისა და მომავლის შესახებ დაუწერიათ... მარის იაფეტური თეორიის მცდარობის გამო სტალინთან პირველი საუბრის შემდეგ უკვე სამ-ნახევარი წელი იყო გასული, როცა შევძელი ამ საკითხს დავბრუნებოდი ყურადღებით წავიკითხე მარის „რჩეული ნაშრომების“ რამდენიმე ტომი, ხოლო ნაშრომები, რომელიც მარის ახალ ლინგვისტურ თეორიას შეეხებოდა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგად შევისწავლე. ამავე დროს მოვიძიე და გადავიკითხე ენის პრობლემასთან დაკავშირებული მარქსისტული ლიტერატურა. ყოველივე ამის შედეგად ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქართველი ენათმეცნიერები და ისტორიკოსები მართლები იყვნენ. არის თეორიას ენათა სტადიური განვითარების შესახებ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა ის ვულგარული მატერიალიზმის საწყისებზე იყო აგებული.

ეჭვი არ რჩებოდა, ამ თეორიის ფსევდომარქსისტული არსის გამოსავლენად მისი საჯარო განხილვა უნდა მოწყობილიყო, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მიძნელდებოდა. მე ხომ კარგად ვიცოდი მარის, ამ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერის დამსახურება ქართული ფილოლოგიის,ისტორიოგრაფიის წინაშე...

საბოლოოდ პლატონიც შესახებ ცნობილმა გამოთქმამ ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებას დასძლია ჩემში და გადავწყვიტე საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში შემეტანა ენათმეცნიერების საკითხებზე დისკუსიის მოწყობის წინადადება.

1949 წლის დეკემბერში, მე, როგორც. ი. ბ. სტალინის დაბადებიდან 70 წლისათვის ჩამტარებელი კომისიის წევრი, მოსკოვში მიმიწვიეს. დედაქალაქში ჩვეულებრივი საქმიანი გამგზავრებისგან განსხვავებით ამჯერად იქ ცარიელი პორტფელით უნდა წავსულიყავი. საიუბილეო ზეიმის დღეებში ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში ან სამინისტროებში საქმიანი საკითხებით მისვლა უხერხული იქნებოდა. ამიტომაც თან წავიღე მხოლოდ მხოლოდ მარის ბოლოდროინდელ ლინგვისტურ თეორიასთან დაკავშირებული ასლები და სხდომებისა და მიღებებისგან თავისუფალ დროს სტალინის სახელზე ბარათი დავწერე (კ. ჩარკიანი 2004: 395-397). ის ბარათი, რომელიც სტალინის საიუბილეოდ მოსკოვში ჩასულმა ჩარკვიანმა დაწერა სტალინის კომენტარებითურთ უკვე განვიხილეთ ზემოთ.

საბჭოთა ენათმეცნიერების არასახარბიელო ვითარება მარისა და მარქსიზმის ერთმანეთთან გატოლების გამო, რა არაჯანსაღ გარემოს ქმნიდა ეს ენათმეცნიერებისთვის, რომლის შეცვლა აუცილებელი იყო ვითარების გამოსასწორებლად. როგორცა ჩანს, ეს დიალოგი კანდიდ ჩარკვიანთან სწორედ 1946 წლის შუა თვეებში უნდა გამართულიყო და სტალინსაც ჩარკვიანი ამ საკითხზე 1946 წელს ესაუბრა, ხოლო 1949 წლის ბოლოს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე კანდიდ ჩარკვიანის ვაჟის, გელა ჩარკვიანის საკონფერენციო მოხსენება (გ. ჩარკვიანი 2017). სტალინთან მისი შეხვედრისას გამართული დიალოგსაც გადმოგვცემს კ. ჩარკვიანი თავის მოგონებებში: [1]

საქმე საქმემდე 1950 წლის აპრილში მივიდა, როცა არნოლდ ჩიქობავა კანდიდ ჩარკვიანის დახმარებით შეხვდა სტალინს (ამის შესახებ იხ. ზემოთ). 1985 წელს დაბეჭდილი წერილიდან და კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებიდან ზუსტად ვიცით, რომ 1950 წლის 10 აპრილს შეხვედრა გაიმართა მოსკოვში, სტალინის აგარაკზე, რომელსაც ესწრებოდნენ სტა-

[1] – რატომ აყენებთ საკითხს ისე, რომ მარის თეორიის კრიტიკით მარტო საქართველოს პრესა გამოვიდეს. ეს არ არის ადგილობრივი, ლოკალური საკითხი. ის ცენტრალური პრესის ფურცლებზე უნდა გამოვიტანოთ. ამასთან უნდა მოეწყოს არა ცალმხრივი კრიტიკული გამოსვლები მარის თეორიის წინააღმდეგ, არამედ დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე, რომელშიც ყველა მიმართულების ენათმეცნიერები მიიღებენ მონაწილეობენ.

– ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება, ამხანაგო სტალინ! - ვუპასუხე მე.

– მაგრამ ვინ დაიწყებს? – იკითხა ი. სტალინმა და ახლა პროფესორ ჩიქობავას მიუბრუნდა. – აი თქვენ უნდა გამოხვიდეთ პირველი. დაწერეთ სტატია მარის თეორიის შესახებ, ენათმეცნიერების მდგომარეობაზე და ჩვენ მას დავბეჭდათ „პრავდაში“ დისკუსიის წესით.

პროფესორი ჩიქობავა დიდი ხანია ისწრაფოდა საჯაროდ შერკინებოდა ენების სტადიური განვითარების თეორიის მიმდევრებს და დამცველებს და წინადადებაზე უარი არ უთქვამს, – პირიქით, მან ის სიამოვნებით მიიღო.

გადაწყდა, რომ სტატია დაიწერებოდა მოსკოვში, რათა დროზე ყოფილიყო შეთანხმებული და მომზადებული გამოსაქვეყნებლად (კ. ჩარკვიანი 2004:404-405).

ლინი, კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და არნოლდ ჩიქობავა. „ამჯერად განხილვის საგანი იყო მხოლოდ ენის საკითხები: სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ (რომლის პირველი ტომი ახალი გამოსული იყო) და ნ. მარის „ახალი მოძღვრება“. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა დისკუსიის მოწყობა და სადისკუსიო სტატიის დაწერა დაევალა არნოლდ ჩიქობავას, რომლისთვისაც სტალინს უთქვამს: „დაწერეთ, ვნახოთ. თუ გამოდგა, დავბეჭდავთ. თქვენს მოხსენებას გიბრუნებთ“, და სტალინმა საქაღალდე მაგიდაზე დადო (მასში იყო მოხსენება ენის სტადიების შესახებ), მაგრამ იქვე დასძინა: „თუმცა არა - ჯერ დავიტოვებ: ვნახოთ, ახლა როგორ დაწერთ ამ საკითხებზე, მოხსენებასაც მერე დაგიბრუნებთ“ (ჩიქობავა 1985:26). არნოლდ ჩიქობავა არ წერს, როგორ მოხვდა მისი მოხსენება ენის სტადიების შესახებ იოსებ სტალინთან. თუმცა ერთი რამ ცხადია, რა თქმა უნდა, განიხილავდნენ სტალინის მოსაზრებებს ჩიქობავას მოხსენებაზე. „პრავდისთვის“ დაწერილი სტატია „ი. სტალინმა ორჯერ წაიკითხა და შენიშვნებიც დაურთო. ამ შენიშვნების განსახილველად ორჯერ მომიხდა ი. სტალინის აგარაკზე მისვლა. თითოეული საუბარი 2-3 საათს გრძელდებოდა“. არნ. ჩიქობავა აქებს სტალინს: „სტალინი ბუნდოვანებას ვერ ითმენდა, ენის საკითხები მას არსებითად აინტერესებდა ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით. გავრცელებული აზრის საწიინააღმდეგოდ, მასთან კამათი შეიძლებოდა. ზოგჯერ ის გვეთანხმებოდა კიდეც („ამაში თქვენ მართალი უნდა იყოთ!“) (ჩიქობავა 1985:25-26).

ამერიკელი მეცნიერი, ეთან პოლოკი, ავტორი მეტად მნიშვნელოვანი წიგნისა „სტალინი და საბჭოთა სამეცნიერო ომები“, ზუსტი თანამიმდევრობით აღწერს, რომ არნოლდ ჩიქობავას სულ მცირე ორჯერ მაინც აქვს გადამუშავებული „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატია. პირველი ვარიანტი მან შექმნა სტალინთან 1950 წლის აპრილში შეხვედრის შემდეგ, რო-

მელიც სტალინის სარედაქციო კომენტარებით დაუბრუნდა ავტორს. არნ. ჩიქობავამ 1950 წლის 2 მაისს კვლავ გაუგზავნა სტალინს გასწორებული ვარიანტი, რომლის განხილვისა და რედაქტირების შემდეგ, 6 მაისს იგი სტალინმა დაუგზავნა პოლიტბიუროს წევრებს: ბერიას, ბულგანინს, კაგნოვიჩს, მალენკოვს, მოლოტოვსა და ხრუშჩოვს (პოლოკი 2006:113-114). სწორედ ამ წერილზე გვსურს მკითხველთა ყურადღების გამახვილება, რომელიც ალბათ 1950 წლის 2 მაისს წაიკითხა და კომენტარები დაურთო სტალინმა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილის ასლი გადმოგვცა ბატონმა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

არნოლდ ჩიქობავას სტატიაზე სტალინს გაკეთებული აქვს ათიოდე კომენტარი. როგორც კანდიდ ჩარკვიანის წერილში, აქაც, ნიკო მარის ამა თუ იმ ნაშრომიდან დამოწმებულ ნაწყვეტზე სტალინი აკეთებს ასეთ მინაწერებს: „Какая глупость!“, „Чипуха!“, „Глупость... “ („რა სისულელეა!“ „სისულელე!“). ასე აფასებს სტალინი ნიკო მარის მოსაზრებებს ენათა განვითარების სტადიებზე (მარი 1936:405), რომელიც მოცემულია ჩიქობავას მანქანაზე გადაბეჭდილი წერილის მე-4 გვერდზე („Какая глупость!“). ასევე ნ. მარის წარმოდგენას ყველა ენის ერთიანი გლოტოგონიური პროცესის პროდუქტად, რომელსაც მოჰყვება ენის სტადიების ცვლა (არნ. ჩიქობავას წერილის მე-6 გვერდი: „Чипуха!“). სტალინი მსგავს კომენტარს წერს არნოლდ ჩიქობავას წერილის მე-13 გვერდზე („Глупость... “), სადაც ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ თურქმა რასისტებმა გამოიყენეს ენათა ელემენტებით ანალიზის მარისეული პრინციპი. იგი ერთ ელემენტამდე დაიყვანეს და დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვის საფუძვლად აღიარეს თურქული „გიუნ“ (მზე). ამით კი ამტკიცებდნენ, რომ ყველა ენა თურქულიდან მომდინარეობს.

სტალინი რამდენიმე ადგილას სვამს კითხვას. როცა არნოლდ ჩიქობავა ჩამოთვლის ენათა ოჯახებს, მაგალითის-

თვის იმოწმებს: „ხეთურ-იბერიულ ოჯახს (ცოცხალი იბერიულ-კავკასიური ენებითურთ), ინდოევროპულ ოჯახს, სემიტურ ოჯახს, უგრო-ფინურ ოჯახს“. სტალინი სვამს კითხავს: „А Китайцы?“ (ჩინელები?- გვ.10) რატომ შეიძლებოდა დაინტერესებულიყო სტალინი ჩინელების ადგილით ენათა ოჯახებს შორის, ამაზე ვიმსჯელებთ შემდეგ პარაგრაფებში. ამავე ნაწილში არნ. ჩიქობავა მსჯელობს გენეალოგიური კლასიფიკაციის შედეგად ერთი ოჯახისთვის მიკუთვნებული ენების დამოუკიდებლობაზე. „მართალია, ეს არ გამორიცხავს, - წერს არნ. ჩიქობავა, - მათი განვითარების ერთგვაროვნებას, რაც გამოწვეულია ხალხთა საერთო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრებით. მაგრამ ეს ერთგაროვნებაა და არა ერთიანობა, რადგან განვითარების ამოსავალი მასალა განსხვავებულია“. ამ ნაწილთან დაკავშირებით სტალინი სვამს კითხვას: რა არის ეს? (მსგავსება?) („Это что? (Сходство?“) ეს შეკითხვა აჩვენებს, რომ სტალინს უფრო მეტის გაგება სურდა ამ საკითხზე.

არნოლდ ჩიქობავა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდის მნიშვნელობის სამტკიცებლად იმოწმებს ენგელსის „ანტი-დიურინგს“ და აღნიშნავს, რომ ენგელსი თვითონაც იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს (მარქსი ენგელსს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალსტს უწოდებდა)“. არნოლდ ჩიქობავას ამ საკითხზე სპეციალური მოხსნებაცა აქვს წაკითხული, რომელსაც კიდევ ვახსენებთ წიგნის მომდევნო ნაწილებში. ხსნებული აბზაცი სტალინს არ მიაჩნია საკმარის არგუმენტად და კომენტარში წერს: „Недостаточный аргумент“.

არნ. ჩიქობავა ვერ მალავს აღშფოთებას, რომ ნიკო მარს მხოლოდ ინდო-ევროპული ენები მიაჩნია განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ენობრივ ჯგუფად, სხვები კი ამ ეტაპამდე ვერ მაღლდებიან. ასეთია, მაგალითად, იაფეტური ენები, რომლებსაც ნ. მარი „მსოფლიო წინსვლას ჩამორჩენილ ენებად“ მოიხსენიებს. „თურმე ქართული ენა ვერ ამაღ-

ლებულა ლათინურამდე: განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე შეჩერებულა. მარის სტადიალური სქემის მიხედვით, იგი საბოლოოდ მილურსმნულია ამ საფეხურზე“. ასეთი შეფასება არ აკმაყოფილებს სტალინს. მას ჰგონია, რომ არნ. ჩიქობავას იაფეტური ენების და მათ შორის, ქართულის მოხსენიება „მსოფლიო წინსვლას ჩამორჩენილ ენად“ სწყინს როგორც ქართველს: „Вы обижены, но обида не довод“ („თქვენ ნაწყენი ხართ. წყენა კი არგუმენტი არ არის“). ამავე აზრს გამოთქვამს სტალინი კანდიდ ჩარკვიანის 1949 წლის დეკემბრის წერილზე დართულ შენიშვნაში. არნ. ჩიქობავა აკრიტიკებს მარის მოსაზრებას: „განვითარების უნარის არმქონე ხალხებს მატერიალისტური მეცნიერება არ იცნობს“. სტალინი ხსნის, რას გულისხმობს მარი: „არსებობს ჩამორჩენილი ერების შთანთქმის პროცესი. ქედან ვიღებთ მკვდარ ენებს“ („Бывает процесс поглощения отсталых нации. Отсюда мертвые языки“) .

ერთადერთი შეფასება, რომელსაც უეჭველად ეთანხმება სტალინი არის ის, რომ ნ. მარის თეორია სახელს უტეხს საბჭოთა ენათმეცნიერებას. „მხოლოდ საქმეში ჩაუხედაობა და სრული უპასუხისმგებლობა თუ ათქმევინებს ადამიანს, რომ პალეონტოლოგიური ანალიზი (ელემენტებით), ენათა ერთიანი გლოტოგონიური პროცესი და სტადიური კლასიფიკაცია იაფეტურ თეორიაში საბჭოთა მატერიალისტური ენათმეცნიერების მონაპოვრებია. ეს „მონაპოვრები“ რეალურად ენის მატერიალისტური მოძღვრების, საბჭოთა ენათმეცნიერების დისკრედიტაციას გამოიწვევს მხოლოდ“. სტალინი ადასტურებს ამ აზრს: Пожалуй! – წერს იგი. არნ. ჩიქობავა სწორედ ამ კომენტარს გულისხმობს, როცა წერს, რომ სტალინი ზოგჯერ ეთანხმებოდა მის მოსაზრებებს (იხ. ზემოთ. ჩიქობავა 1985).

კანდიდ ჩარკვიანის წერილი იოსებ სტალინისადმი საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის შესახებ,1949 წლის 27 დეკემბერი. წერილს ახლავს სტალინის კომენტარები და შენიშვნები



Ц К В К П (б)

товарищу СТАЛИНУ

О положении в области советского языкознания.

В текущем году в "Правде" и ряде других газет появились статьи, посвященные вопросам состояния советского языкознания. Содержание этих статей свидетельствует о неблагополучии в научно-исследовательских учреждениях, занимающихся разработкой вопросов теории об языке. Наиболее активная часть языковедов вместо того, чтобы разрабатывать и развивать на конкретном материале основополагающие указания Маркса-Энгельса-Ленина-Сталина о происхождении, природе и дальнейшем развитии языка, слепо исповедует лингвистическую теорию Марра, выдавая ее за марксистское учение об языке.

В появившихся в печати статьях красной нитью проходит требование о восстановлении в своих правах именно этой теории. Между тем знакомство с работами Марра по так называемой яфетидологии, написанными в последние годы жизни ученого, не оставляет сомнений в том, что, несмотря на все свои старания, Марр не смог по-настоящему усвоить теорию марксизма-ленинизма и применить метод диалектического материализма в лингвистике. Это и обусловило скороспелость выводов Марра по основным вопросам языковедческой науки,

его механистические ошибки, его подход к языку с позиций вульгарного материализма.

В чем же состоят, по нашему мнению, основные ошибки Марра?

1. Марр расходится с классиками марксизма-ленинизма по таким коренным вопросам, как происхождение классов, происхождение языка, судьба национальных языков и национальных культур при социализме.

Исходной точкой теории Марра является безусловная классовость языка. Марр считает язык классовым не только при капитализме, при феодализме, рабовладельческом строе, но и самого момента зарождения языка.

"Яфитидология отвергает существование неклассовых языков, - говорит Марр, - все языки, в их числе и национальные языки Европы и Кавказа, - еще раз повторяем, - классовые, при том классовые не в последнюю очередь, а прежде всего. Яфетидология иной подход к изучению языка, как к речи классовой, в исследовании считает неприемлемым."

В другом месте Марр подчеркивает этот момент с еще большей категоричностью:

"Повторяю, - пишет он, - внеклассового языка не было доселе, это дело будущего внеклассового общества... Внеклассового языка также не было никогда, как не было никогда индивидуально созидаемого языка или звукового языка, выработавшегося из языка животных, и говорить при таких фактически бесспорных предпосылках о внеклассовом языке на начальных этапах сложения человечества... это значит возвращаться

в первобытное состояние лингвистического научного мышления - в индоевропеистику с ее пра-языком и с ее формальным учением."

Для обоснования этого положения в арсенале языковедческой теории Марра, кроме голых утверждений, нет каких-либо доказательств. Их и не может быть, если учесть ту истину, что разделение людей на классы произошло гораздо позднее, чем зарождение языков. Бесспорно, что люди общались друг с другом посредством языка и при "первобытном коммунизме" - при родовом строе, хотя тогда не было эксплоатации человека человеком, не было классов.

Здесь же следует отметить, что Марр, хотя и говорит о том, что происхождение языка связано с производственными процессами, но к производству он относит магию и изобретает для этого специальные термины -"трудмагический процесс", "трудмагическое производство." Отсюда - утверждение Марра о том, что маги представляли особый класс. Они изобрели язык для своей трудмагической деятельности, при чем другие члены общества тогда звукового языка не понимали и довольствовались одной кинетической речью.

"Товарищи! - восклицает Марр. - Нельзя же в эту пропасть тянуть марксизм против его общественной природы, против его логики и нельзя не только молчать, но нерешительно говорить о том, что внеклассового языка доселе не было. Язык был классовый с момента возникновения звукового языка, это был язык класса, завладевшего всеми орудиями производства той эпохи, в том числе и магией - производством, и отрицать

руководящую роль мастеров - магов в этом деле можно лишь переносом в те эпохи современных нам представлений и взглядов."

Нельзя сказать, чтобы Марр не чувствовал своего расхождения в этом вопросе с мнением классиков марксизма-ленинизма. Однако он настолько уверен в своей правоте, что в одном месте требует внесения поправок в "марксистскую гипотезу" о происхождении классов. Он так и пишет:

"Лингвистические выводы, которые делает яфетидология, заставляют ее самым решительным образом сказать, что гипотеза Энгельса о возникновении классов в результате разложения родового строя нуждается в серьезных поправках."

Несостоятельность утверждения Марра о классовости языка бросается в глаза не только в отношении первобытно-общинного строя, но и в отношении последующих ступеней развития человеческого общества, достигшего предельной классовой дифференциации при капитализме. Нигде и никогда классики марксизма-ленинизма не говорили, что современные им языки - немецкий, русский или английский - являются буржуазными языками. В классическом определении нации у товарища Сталина мы читаем:

"Нация есть исторически сложившаяся устойчивая общность людей, возникшая на базе общности языка, территории, экономической жизни и психического склада, проявляющегося в общности культуры."

Таким образом, вопреки Марру получается, что вся нация, состоящая при капитализме из различных классов, имеет один общий язык.

Как же после этого можно отстаивать псевдонаучный тезис Марра о бесспорной классовости языка, как это делают некоторые его последователи? Можно говорить о классовых оттенках стиля, но нельзя утверждать, что национальный язык в целом принадлежит тому или иному классу.

В качестве иллюстрации к этому положению можно привести характерное высказывание одного из сподвижников товарища Сталина на ранних этапах его революционной деятельности – Александра Цулукидзе. Полемизируя с буржуазным националистом Арчилом Джорджадзе, доказывавшим, что язык является общей почвой для всего народа, Александр Цулукидзе писал:

"С развитием интересов противников (имеются в виду общественные классы) развивается и язык, и в его развитии принимают участие все элементы общества, точно также как все воюющие одинаково стараются улучшить военное оружие. Поэтому язык легко принять за "общую почву." Поскольку он употребляется всеми, он представляет общую почву, также как арена борьбы; но поскольку этим духовным оружием выражаются скрытые социальные противоречия, постолько оно является оружием для взаимного поражения. Нечего и говорить, что для всех желательно заострить это оружие, развить его, но это развитие становится не "почвой для совместного действия", а оружием для уничтожения этой почвы."

Язык для антагонистических классов в пределах одной нации является общим подобно тому, как общей является арена борьбы для противников – таков вывод.

2. Марр своей теорией о стадиальном развитии языков и об едином глоттогоническом процессе, сам того не подозревая,

льет воду на мельницу расистов, в том числе и современных англо-американских империалистов.

Согласно учению Марра на всем земном шаре с незапамятных времен происходит единый процесс языкотворчества. Не самостоятельное развитие языковых семей, а трансформация одних языковых систем в другие, смена одних языковых систем другими, более совершенными системами, в зависимости от развития производительных сил – такова картина развития языка по Марру. Исходя из этого положения, Марр различает четыре стадии развития языка:

I стадия – языки системы первичного периода – китайский и примыкающие к нему другие моносиллабические языки

II стадия – языки системы вторичного периода – угрофинские, тюркские, монгольские;

III стадия – языки системы третичного периода – яфетические языки Кавказа и Европы (баскский язык);

IV стадия – языки системы четвертичного периода – семитические языки и современные европейские языки.

Таким образом, Марр об"являет высшим продуктом общечеловеческого языкового творчества современные европейские и семитические языки, которые, по его мнению, являются трансформацией яфетических языков, бытовавших ранее в Европе и во всех других частях земного шара. Это "превращение" яфетических языков в европейские (в "прометеидские" по терминологии Марра) и семитические связано будто бы с открытием

металлов и широким их использованием в хозяйстве. Все остальные языки мира Марром об"являются окаменевшими, пережиточными, застрявшими на прежних ступенях развития человеческой культуры.

Схема стадиального развития языков исключает культурное и кровное родство народов, имеющих по сей день родственные языки. Она ликвидирует всякую историческую преемственность национальной культуры каждого отдельного народа. В этом отношении характерно, что Марр об"являет более близкими друг другу древние письменные языки Армении и Грузии, чем древнегрузинский язык с современным грузинским языком.

Таким образом, эта схема Марра дает теоретическое оружие в руки англо-саксонских империалистов, об"являющих свой язык самым передовым языком в мире. Кроме того, эта же схема может служить обоснованием антипатриотических и антинациональных вылазок всех и всяческих космополитов, отрицающих самобытность культуры советских народов и их исторические связи между собой.

Своей схемой Марр относит грузинский язык к группе языков, чуть-ли не окаменевших, лишенных способности развития. Эту унизительную для грузинской советской культуры, ничем необоснованную "теорию" Марр сочинил несмотря на то, что в ранних своих работах он неоднократно подчеркивал лексическое богатство, выразительность и гибкость грузинского языка, который, по словам самого Марра, на протяжении своей истории успешно выдерживал соревнование с такими мировыми языками как арабский, греческий, персидский.

3. Утверждение Марра о том, что словесный материал всех языков мира состоит только из четырех простейших элементов и отдельные слова представляют скрещения этих элементов, – ни чем не обосновано и не выдерживает критики.



Отвергнув сравнительно-исторический метод в исследовании как "формальный", Марр вместо него выдвинул метод палеонтологического анализа, основанный на выявлении указанных выше четырех элементов и их скрещений в любом языке мира. Этим методом можно доказать, что угодно. Например, Марр считает, что грузинское (яфетическое) слово мори (древно) бытует в китайском языке в виде слова мо (дуб), в финском – пу (дуб), в русском – бор и т.д.

Не подлежит сомнению, что именно палеонтологический метод Марра является чисто формальным, схоластическим методом и применение его в науке не может дать положительных результатов.

4. Одной из непосредственных задач советского языкознания Марр считает содействие образованию единого мирового языка. Между тем, как известно, эта задача не может встать практически не только сейчас, но и в течение долгого времени после победы социализма в мировом масштабе.



"Было бы ошибочно думать, – говорит товарищ Сталин, – что первый этап периода всемирной диктатуры пролетариата будет началом отмирания наций и национальных языков, началом складывания единого общего языка. Наоборот, первый этап, в течение которого будет окончательно ликвидирован национальный гнет, – будет этапом роста и расцвета ранее

угнетенных наций и национальных языков, этапом утверждения равноправия наций, этапом ликвидации взаимного национального недоверия, этапом налаживания и укрепления интернациональных связей между нациями."

5. В своих работах Марр выдвигает теорию о зарождении и развитии культуры, в том числе и языка, в районе западного средиземноморья, западной Европы. Этим своим утверждением Марр дает еще один лишний аргумент англо-американским расистам в их попытках доказать превосходство и исключительную культурную роль "атлантического" человека над остальными расами.

6. В практической работе по разрешению некоторых важных вопросов культурного строительства Марр неоднократно выступал с позиций космополитизма, требуя, чтобы народы СССР жертвовали своими национальными интересами и культурными ценностями во имя "общечеловеческой" культуры. Так было, например, в вопросе о введении нового алфавита для многих национальностей Советского Союза. Известно, что Марр обосновывал необходимость введения латинского алфавита для всех советских народов, не имевших письменности или же пользовавшихся арабским алфавитом. Благодаря его стараниям абхазская письменность была переведена на чуждый для абхазского языка латинский алфавит.

Однако Марр не останавливался на этом. Он требовал перехода на латинский алфавит и для армян и грузин, имеющих древнюю письменность. Марр сам сознавал, что эти его предложения, например, в отношении грузинской письменности, не вызывались необходимостью. Он писал:

"Кажется, ни в какой реформе не нуждается грузинское письмо, да и язык, демократизовавшийся так, как нигде никакой язык, более того - стоящий на рубеже пролетаризации. Но, хотя это так кажется в смысле натуральности, на самом деле корни такого счастливого положения вещей не магия, конечно, но и не таланты академических языковедов (слава небу, их вовсе не существовало у грузин даже в той мере, как у армян), а в том, что бюджет грузинского царства превосходил бюджет французских королей в средние века и тогда и позже жестокая классовая борьба за овладение источником этого богатства вела к тому, что неудовольствовавшись торжеством светских феодалов над феодализованной церковью, выразившимся не в реформе орфографии, а в создании нового литературного языка и нового письма вместо церковного, христианского письма - языка, стали напирать на примиренный друг с другом единый фронт феодалов и духовенства другие социальные слои, в числе их буржуазия."

Однако, несмотря на это высказывание, Марр все же требовал "в интересах общекавказской культурной общности" и грузинскую письменность перевести на латинский алфавит. Более того, Марр высказывался даже за то, чтобы и русскую письменность перевести на латинскую графику, утверждая, что "все равно, рано или поздно, русскому народу придется сделать этот шаг."

Этот низкопоклоннический взгляд на роль латинского алфавита был целиком опрокинут последующим развитием культурного строительства в Советском Союзе. Грузины сохранили свой, кстати сказать, весьма точно выражающий все звуки их

языка, алфавит. Большинство же народов, употреблявших ранее арабское письмо, отвергло латинский алфавит и выработало для себя новую азбуку на основе русской графики.

Таковы вкратце основные положения учения Марра, которое никак нельзя изобразить как марксистскую теорию об языке.

Несмотря на необоснованность и неприемлемость языковедной теории Марра, мы далеки от того, чтобы отвергать все его научное наследие. Академик Марр вошел в историю, как крупнейший ученый - кавказовед. Он выполнил огромную работу по выявлению и изучению письменных документов и памятников материальной культуры, легших в основу работы для построения научной истории грузинского, армянского и других народов Кавказа. Его большая заслуга заключается в том, что он первый обосновал теорию о том, что так называемые, яфетические народы: родственные друг другу хетты, пелазги, этруски, иберы, - внесли огромный вклад в созидание мировой культуры. Хотя Марр в последние годы жизни, в соответствии со своей языковедной теорией, стал отрицать этническое родство этих народов, тем не менее его прежние работы по этим вопросам не утратили своего значения.

Особенно велика роль Марра в изучении и издании грузинских и армянских письменных памятников, в воспитании кадров историков и лингвистов.

В интересах развития подлинно марксистско-ленинского языкознания необходимо вскрыть неприемлемые стороны лингвистической теории Марра. Необходимо по справедливости оценить

научное наследие Марра, взять оттуда все, что пригодно для советской исторической и языковедной науки и отбросить все, что противоречит марксизму-ленинизму и мешает нашим народам в развитии их социалистической культуры.

Эту работу должны были бы провести научно-исследовательские учреждения, специально занимающиеся вопросами языкознания. Однако руководители их в большинстве случаев сами являются последователями Марра и принимают все его положения как догму. Так обстоит дело, например, в Институте языка и мышления им.Марра Академии Наук СССР. Руководящий работник института проф. Сердюченко, проявляющий наибольшую активность в этом учреждении, в своих многочисленных статьях об"являет буржуазными учеными всех, кто не согласен с Марром. При этом он не приводит каких либо доказательств в подтверждение правильности теории Марра и в обоснование тяжких обвинений, пред"являемых языковедам.

Поскольку теория Марра непосредственно задевает вопросы истории и культурного строительства Грузии, полагаю, что грузинской партийной печати и научным учреждениям следовало бы выступить с критикой этой теории с марксистско-ленинских позиций.

Докладывая об изложенном, прошу Ваших указаний.

При этом представляю Вам работы языковеда А.Чикобава:

а) Стадиальная классификация языков академика Марра;

б) Турецкая лингвистическая "теория" - "Тюнеш дил" в связи с проблемой историзма в современной лингвистике.

В последней работе автор показывает, как турецкие лингвисты, опираясь на Марра, создали свое расистское языковедческое "учение."

СЕКРЕТАРЬ ЦК КП(б)ГРУЗИИ К. Чарквиани,

(К.ЧАРКВИАНИ)

"27" декабря 1949г.
г.Москва

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი № 476, საქმე № 23, ყუთი № 38

ПАРТАРХИВ
Грузинского филиала ИМЛ
при ЦК КПСС
Фонд № 14 Дело № 476
Опись № 23 Коробка № 38

Центральный Комитет КП Грузии

Отдел АГИТАЦИИ И ПРОПАГАНДЫ

Сектор

Статьи академика А.Чикобава по вопросу турецкой лингвистики "Теория" и "Тюнеш Дил" в связи с проблемой историзма в современной лингвистике и стадиальной классификации языков акад.Н.Марра

Начато: „21" 04 1949 г.

Окончено: „21" 04 1949 г.

На 61 **листах**

ПАРТАРХИВ
Грузинского филиала ИМЛ
при ЦК КПСС
Фонд № 14 Дело № 476
Опись № 23 Коробка № 38

ი. სტალინის მინაწერები არნოლდ ჩიქობავას „პრავდაში“ გამოსაქვეყნებელ წერილზე

4.

Чем обусловлены разные стадии? Они выражают "сдвиги в языке и мышлении", обусловленные "сдвигами в технике производства"- таков общий ответ.

Каковы должны быть эти "сдвиги в языке", чтобы можно было говорить о новой стадии? Иными словами: по каким признакам выделяется "стадия языка"? Неизвестно: ответа на этот вопрос не найти ни у Н.Марра, ни у его последователей.1/

Сколько лингвистических стадий имеется в наличных языках? Точно не известно. Ориентировочно языки Н.Марр распределяет по стадиям развития в виде следующей схемы:

I. Языки...первичного периода: I.Китайский, 2.Языки средне- и дальнеафриканские

II. Языки...вторичного периода: I.Угро-финские, 2.Турецкие, 3.Монгольские.

III. Языки...третичного периода: I.Яфетические языки, 2.Хамитические языки /ближне- и дальнеафриканские/.

IV. Языки...четвертичного периода: I.Семитические языки /араб., евр.../ 2.Индоевропейские языки (классические письменные: индийский, греческий, латинский /Н.Марр:

"Почему так трудно стать лингвистом-теоретиком?" Избр.раб.т.II, стр.405/.

Самая лучшая

В этой схеме языки расположены в четыре хронологических яруса сообразно с тем- "когда они возникли", "какую ступень развития представляют".

Как видно из схемы, китайским языком начинается развитие, индоевропейскими же языками [illegible] стадиальное развитие. Какое же место занимают наши языки, иберийско-кавказские языки, /яфетические языки- по терминологии Н.Марра/? Наши языки в схеме Н.Марра стоят ступенью ниже, чем индоевропейские языки, [illegible]

1/"Вопрос о стадиях и системах был выдвинут на основе общих построений без конкретного распределения языков по вновь установленному признаку. Число стадий не уточнено, также не выявлены различительные стадиальные признаки, системы же (т.е. группировки языков-А.Ч.) вовсе не проработаны в деталях отдельных языков" (Акад. Марр и наше языкознание, Проблема классификации языков в свете нового учения о языке", 1935, стр.31).

Судя по отдельным высказываниям Н.Марра, картина развития представлялась ему примерно так: язык = "родитель" застревает на своей ступени /стадии/, "рождённый же язык" двигается дальше.

Вот как высказывается Н.Марр: "Языки всего мира представляют продукты одного глоттогонического процесса, в зависимости от времени возникновения принадлежа к той или иной системе, сменявшей одна другую, причем языки смененных систем отличают народы, отпавшие от общего мирового движения - независимо от того, вовлечены ли они снова мировым хозяйством и мировой общественностью в круговорот мировой жизни - прошли новый исторический путь своего высокого культурного развития с языком оторванной от общего развития системы или с языком отжившей системы - или те или другие народы застряли и хозяйством и общественностью целиком на соответственных ступенях развития человечества" /Н.Марр: "Язык"- Избр.раб.II, стр.135/.

Смысл этой фразы, сводится вот к чему: в процессе единого языкотворчества одни системы /группы, семьи языков/ сменяются другими; смененные системы это - отжившие системы; такие отжившие языки характерны для народов, "отпавших от общего мирового движения".

Такие языки /т.е. смененные языки/ застревают на определенной стадии: дальше уж им не двинуться, даже если говорящие на таких языках народы снова будут "вовлечены в круговорот мировой жизни - мировым хозяйством и мировой общественностью": придется довольствоваться языком отжившей системы, придется с таким языком проходить "новый исторический путь высокого культурного развития".

Яфетические языки не достигли четвертичного периода, они- если верить яфетической теории Н.Марра - его никогда не достигнут: яфетические языки "смененная система", отставшая от "мирового движения".

Стало быть, грузинский язык не дорос до латинского: застрял на более ранней ступени развития; ранняя ступень равнозначна низшей ступени - и к этой ступени они приговорены согласно стадиальной схеме Н.Марра.

Таков приговор истории, если верить яфетической теории. Этот приговор, впрочем, вряд ли кого смутит: народов, выбывших из потока исторического развития и неспособных к развитию, материалистическая наука не знает; неизвестны и такие языки.

Яфетические языки /т.е. иберийско-кавказские языки/ не какая то мифическая стадия развития, к тому же еще застывшая в своем развитии в угоду надуманной схеме яфетической теории.

Яфетические языки - живые представители древней многочисленной группы языков, носители которых выступают в истории человечества создателями древней цивилизации Передней Азии, цивилизации вскормившей греко-римскую древнюю цивилизацию и, следовательно, всю культуру Западной Европы.

Мертвые языки этой древней цивилизации - хеттские языки, хурийский, урартский /или халдский/ не являются ни индоевропейскими, ни семитическими, ни урало-алтайскими /по мнению наиболее авторитетных специалистов данных языков.[1]/

1/ О индоевропеизме некоторых хеттских языков говорит Б.Грозный. Имея в основе морфологию лексика этих языков далеко по мнению Б. Гроэного, не является в своей основе индоевропейской; но и в части морфологии индоевропеизм хеттских языков оспаривается другими зарубежными учеными /напр.Бюрером/.

Н.Бердзенишвили, С.Думанадзе: "История Грузии" рус.текст,изд. 1946г.,стр.17/. Автор в том числе и видит заблуждение Н.Марра,что яфетические языки были объявлены стадией развития.

Судьба яфетических языков в стадиальной схеме Н.Марра показательна. Не в лучшем положении оказываются и другие языки /кроме индоевропейских и семитических языков, конечно/.

Как решался вопрос об этих языках в "старой лингвистике"? В виду имеется сравнительно-историческая лингвистика, возникшая, как видно из названия- в результате применения исторической точки зрения на язык.

Сравнительно-историческая лингвистика группирует языки по происхождению /по генеалогическому принципу/, предполагая разный исходный языковый материал. Так, напр.,название числа "три" звучит по латински tres /"трес"/, на древ.-индийском языке trayas /"траяс"/: у русского, латинского, индийского в данном случае общий исходный материал, общий корень. На грузинском языке "три" звучит "сами", на турецком - "уч": груз."сами" нельзя свести ни к турецкому "уч", ни к латинскому "трес": это разные корни. Их нельзя сравнивать: грузинский яз. не родственен, ни с индоевропейскими языками, ни- с турецким языком.

Родственные языки образуют группу, - т.н. "семью языков". Таковы, к примеру: хеттско-иберийская семья /с живыми иберийско-кавказскими языками/, индо-европейская семья, семитическая семья угро-финская семья.

Такова генеалогическая классификация языков по семьям /т.е. по происхождению, по исходному материалу/.

В генеалогической классификации семьи языков располагаются,

если можно так выразиться – "в плоскости горизонтальной","рядом друг с другом"- имея самостоятельное происхождение, конкретную языковую индивидуальность и самостоятельные исторические пути развития (что, конечно, не исключает единообразия определенных моментов в развитии, обусловленного общими моментами в развитии общественно-экономической жизни народов; но это единообразие, а не единство, поскольку исходный материал развития различный).

Сравнительно-исторический метод призван осветить исторические пути развития языков в пределах отдельных семей и лишь затем заняться вопросом об историческом взаимоотношении различных семей, насколько то позволяют конкретные материалы.

Сравнительно-историческому языковедению лестную характеристику дал Энгельс /см.Анти Дюринг, изд.VI,стр.23?/; сравнительно-исторический метод применялся Энгельсом в его лингвистических исследованиях /Маркс называл Энгельса специалистом сравнительного языкознания/.

На точке зрения генеалогической классификации стоит Энгельс в своих работах /Анти Дюринг, "Происхождение семьи, частной собственности и государства", в исследовании о германских диалектах/. Отсюда, между прочим, видно, насколько несостоятельно утверждение Н.Марра, будто генеалогическая классификация является расистским понятием.

Яфетическая теория Н.Марра отбросила сравнительно-исторический метод: его заменил палеонтологический метод /анализа по элементам/. Яфетическая теория Н.Марра отрицает различное по материалу происхождение языков. Генеалогическую классификацию заменила стадиальная классификация: горизонтальное распо-

ложение сменилось вертикальным - по месту, занимаемому в едином глоттогоническом процессе.

Сведя все языки к четырем элементам, Н.Марр обезличил языки, приравняв все богатство человеческой речи к производным мистических четырех элементов.

Расположивши же эти обезличенные языки по ступеням развития, утверждает исключительное превосходство индоевропейских /и семитических/ языков: никакие языки не достигли той ступени, на которой оказались индоевропейские языки,- все другие застыли на более или менее ранних, архаических, ступенях.[1]

И все это под видом борьбы с расизмом. Но до такого утверждения ведь ни один расист не доходил!

Основное зло в яфетической теории Н.Марра- "учение об элементах" - палеонтологический анализ по элементам. Мы видели, к чему он ведет. Откуда же он взялся? Как и где удалось все-таки доказать, что все языки идут от четырех элементов /Сал, Бер, Йон, Рош/? Нигде никто этого не доказывал: такое вообще недоказуемо. Более странно другое: у Н.Марра нигде и не дана попытка доказать основное свое положение; невероятно, но факт! (эти элементы- названия племен- произвольно были подобраны Н.Марром- племенные названия, мол, самые древние слова!).

На докучливые вопросы- почему именно четыре элемента, Н.Марр давал фантастические раз"яснения /в роде: четыре части света - четыре элемента!/, договорившись, наконец, до того, что "некоторые вещи доказывать нет надобности, их можно показывать /Н.Марр: "К бакин-

Это не серьезно!

1/ Сравнительно-историческая лингвистика не отрицает наличия архаических черт в тех или иных языках, наличия более архаичных или менее архаических языков, но это не ведет к дискриминации; архаичность баскского языка не таила опасности, что он будет об"явлен недоразвитым латинской речи; баскский и латинский языки разного по корню, разного происхождения. Кроме того, архаичность баскского языка не лишает его способности развиваться.

ской дискуссии об яфетидологии и марксизме" 1932, стр.44/.

Таким образом недоказуемая теорема была об"явлена аксиомой.

Вообразим, что вначале /т.е. много десятков тысяч лет назад-/ было четыре элемента. Отсюда образовалось несколько сот языков и по меньшей мере несколько тысяч корней. Можно ли теперь докопаться до этих корней, установить какой элемент лежит в основе слова /по Н.Марру "без этого сравнительный анализ недействителен"/?

Искать такие изначальные элементы в словах современных языков, значит упразднить историю, породившую множество разнообразнейших языков, это значит низвести науку /о языке/ до уровня знахарства.

Учение об элементах Н.Марра, выражение чудовищного антиисторизма, это отказ от элементарных научных способов мышления.

Характерно, что турецкие расисты ухватились за принцип элементного анализа Н.Марра; только нашли более удобным "все слова всех языков земного шара сводить не к четырем, а "к одному элементу-турец.- "гюн" - "солнце": таким нехитрым способом "было доказано", что все языки произошли от турецкого языка!

Каковы выводы?

1. Стадиальная классификация языков /учение о стадиях/ Н.Марра тесно связана с палеонтологическим методом /анализ по элементам!/ и с положением об единстве глоттогонического /языкотворческого/ процесса яфетической теории.

2. Стадиальная классификация языков Н.Марра, вытекающая из учения об элементах, научно несостоятельна, общественно-неприемлема.

Вопреки голословным заявлениям Н.Марра стадиальная классификация не только не подрывает буржуазных основ лингвистического расизма, но с внутренней необходимостью сама ведет к антимарксистским,

антинаучным расистским утверждениям.

3. Только при незнакомстве с реальным положением вещей или же при полном отсутствии чувства ответственности можно утверждать, что палеонтологический анализ /по элементам/, положения об едином глоттогоническом процессе и стадиальной классификации языков в яфетической теории Н.Марра являются достижениями советской материалистической лингвистики; эти „достижения" могут лишь дискредитировать материалистическую науку о языке, советскую лингвистику.

4. Корень злоключений яфетической теории Н.Марра – чудовищный антиисторизм. Воплощение этого антиисторизма анализ по элементам: он определяет собою основные моменты яфетической теории Н.Марра, как в позитивной, так и в негативной части /критика буржуазной лингвистики/.

От элементного анализа последователи Н.Марра отказались в 1940г. Положения же, порожденные этим анализом, до сих пор преподносятся, как достижения материалистического языкознания.

5. Это наблюдается не только в малоответственных выступлениях некоторых "лингвистов без языка" /напр. Г.П.Сердюченко в "Литературной газете"/.

Управление педагогическими вузами Министерства Высшей Школы обязывает подведомственные учреждения включать в программу по "Введению в языкознание" учение о стадиях, учение об единстве глоттогонического процесса Н.Марра в качестве необходимого учебного материала.

21.IV.1949 Арн.Чикобава

Помощь!

1) Можно ли ставить вопрос о стадиальности языка независимо от палеонтологического анализа по элементам Н.Марра, не имея на основе теории языка. Ясно было, что лингвистический анализ не может заменить теоретического подхода, но должен базироваться на нем; следовательно, характеристика и [illegible] в терминах [illegible] теоретически обоснованных (реальных) [illegible] языков.

2) Должны ли [illegible] (как, в частности, [illegible]) [illegible]

§3. იაფეტურ თეორიაზე სტალინის აზრის შეცვლის შესაძლო მიზეზები

ბევრ ენათმეცნიერს თავიდანვე არ სჯეროდა, რომ სტალინმა იაფეტური თეორია მარქსიზმ-ლენინიზმის ვულგარიზაციის გამო დაიწუნა. ეჭვის მიზეზი იყო ის, რომ სტალინს ადრევე შეეძლო ფრთები შეეკვეცა მარქსიზმის ვულგარიზატორისთვის, თუნდაც პარტიის XVI ყრილობამდე. ამ ყრილობაზე ნ. მარი განსაკუთრებით დაუახლოვდა კომუნისტურ პარტიას.

როცა 1950 წლის 9 მაისს გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას წერილი გაზეთ „პრავდაში“, ყველა მაშინვე ვერ მიხვდა, რა მიზანი ჰქონდა ამ წამოწყებას. როგორც ბ. ილიზაროვი წერს, თავიდან რედაქციამ მიიღო 190 სტატია, რომელთაგან 70 იცავდა ნიკო მარის თეორიას, 100 წერილში კი გაკრიტიკებული იყო ნიკო მარის თეორიის მხოლოდ რამდენიმე ასპექტი, თუმცა იაფეტური მოძღვრება მთლიანობაშია ასივე ავტორს მოსწონდა, მხოლოდ 20 სტატიის ავტორი გამოდიოდა ამ თეორიის წინააღმდეგ. დისკუსიაში ჩართულმა ავტორებმა და, როგორც ბორის ილიზაროვი წერს, თვით „პრავდის“ რედაქციამაც კარგად არ იცოდა, რა მიზნით იყო წამოწყებული ეს დისკუსია. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ სტალინის ჩარევის გარეშე, არნ. ჩიქობავას კრიტიკულ სტატიას ადვილად ჩაახშობდნენ ნიკო მარის თეორიის მომხრე ენათმეცნიერები. თავის მხრივ, სტალინს ნამდვილად ჰქონდა მიზნად კვალი დაეტოვებინა საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიაში. როგორც ბ. ილიზაროვი წერს, სტალინს დაურეკავს „პრავდის“ ერთ-ერთი რედაქტორისთვის, ილიჩევისთვის და შეუქია მასთან საუბარში ახალგაზრდა, პროვინციაში მცხოვრები უცნობი გენიოსი და მისი ნაწერის გასაცნობად დაუბარებია. ამ პროვინციელი ახალგაზრდა გენიოსის სახელის უკან თვითონ სტალინი იმალებოდა. ასე გადასცა „პრავდის“ რედაქციას მან დასაბეჭდად წერილი, რომლის ბოლოს იკითხებოდა ხელმოწერა: სტალინი. „პრავდის“ რე-

დაქტორმა, ილიჩევმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა გაზეთის აწყობა, რომ სასწრაფოდ დაებეჭდათ სტალინის წერილი (ილიზაროვი.) აქ მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბ. ილიზაროვს, მაგრამ სტალინის ლინგვისტური ინტერესების უარყოფა შეუძლებელია.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო სტალინის შეხედულების ცვლილების მიზეზი. ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზი იმდროინდელი საბჭოური გაკიცხვისა იყო ხალხის მტრების გამოვლენა. თვითონ ფორმა, როგორც მიაწოდეს საზოგადოებას სტალინის „პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილი, მთლიანად თავსდებოდა ომის და ომისშემდგომ პერიოდში სტალინის გამოსვლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების ტრადიციაში. ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ენათმეცნიერ მედვედევის მოგონება, როგორ გააცნეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესურას სტალინის შეცვლილი მოსაზრება ნიკო მარზე. სტალინის სტატია 1950 წლის 20 ივნისს გამოქვეყნდა „პრავდაში“. მედვედევი იხსენებს: იმ დღეს ლენინგრადის უნივერსიტეტში შეწყვიტეს ყველა გამოცდა. პროფესორები და სტუდენტები ვესტიბიულში შეიკრიბნენ. სტალინის სტატიას რადიოთი ქვეყნის ყველაზე ცნობილი დიქტორი იური ლევიტანი კითხულობდა. ყველა სულგანაბული უსმენდა სტალინის წერილს. ჩაიცინეს, როცა სტალინი ენის კლასობრიობის იდეას აკრიტიკებდა: ნუთუ ის ამხანაგები ფიქრობენ, რომ ინგლისელი ფეოდალები ინგლისელ ხალხს თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრებოდნენ? განა ისინი ინგლისურ ენაზე არ მეტყველებდნენ? მსმენელი საზოგადოება შეირხა, როცა სტალინმა მეშჩანინოვი ახსენა, რომელიც „ხელმძღვანელთა კასტას მარის მოწაფეებს უწოდებს“. **დარწმუნებული რომ არ ვიყო, მეშჩანინოვისა და ენათმეცნიერების სხვა მოღვაწეების პატიოსნებაში, ვიტყოდი, რომ ასეთი ქცევა მტრობის ტოლფასია“**. სტუდენტებმა და პროფესორებმა კარგად დაიმახსოვრეს სტალინის სიტყვები: მარი ვერ გახდა მარქსისტი ან მხოლოდ მარქსის ვულგარიზაცია შეძლო“. ჩვენ სიხარულით გადავხედეთ ერთმანეთს, როცა სტალინმა

თქვა, რომ „მეცნიერება ვერ იარსებებს დისკუსიის გარეშე. ენათმეცნიერებაში გავრცელებული იყო არაკჩეევის რეჟიმი, რომელიც უპასუხისმგებლობას აღვივებდა. ამ რეჟიმის ლიკვიდაცია აუცილებელია! ამით დისკუსია დასრულდა, თუმცა სტალინმა კიდევ ოთხჯერ გამოაქვეყნა პასუხები მკითხველთა წერილებზე „პრავდაში“.

მეშჩანინოვმა ყველა თანამდებობდა დაკარგა, მისმა მოწაფეებმა კი მოინანიეს მარის ცოდვები და სწრაფი ტემპით გადაეწყვნენ „ამხანაგი სტალინის ნაშრომების შუქზე“. მასობრივი რეპრესიები არ ყოფილა, მაგრამ ერთმანეთისთვის ანგარიშის გასწორება კიდევ დიდხანს გაგრძელდა. ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორი გახდა აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი. იგი ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას და ჟურნალ „ენათმეცნიერების საკითხებს“. ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და პარტიულ სკოლაში შემოიღეს სალექციო კურსი „ენის სტალინური მოძღვრება“, რომელიც მიყრუებული სოფლების რაიკომშიც კი ისწავლებოდა. ენათმეცნიერების საკითხები კოლმეურნეებმაც „გაიგეს“. სტალინური მოძღვრების გავრცელების ამბავი ბევრ ნაწარმოებში აისახა. ერთ-ერთი მათგანია თეოდორ აბრამოვის რომანი „გზები – გზაჯვარედინები“. როგორ აღიქვამდა ენობრივ დისკუსიას და მის შედეგებს კოლმეურნე გლეხობა, კარგად ჩანს ამ ნაწყვეტიდან (ვიმოწმებთ შერჩევით): **„თურმე ისევ გამოჩნდნენ ხალხის მტრები** ... ვიღაც აკადემიკოსები. ამბობენ, რუსული ენის განადგურება უნდოდათ თურმე... თურმე თვით იოსებ ბესარიონის ძემ გაუსწორა მათ ტვინები გაზეთ „პრავდაში“ ... ამასაც მოვესწარით! შარშან ვიღაც კოსმოპოლიტები უცხოელ კაპიტალისტებს მიეყიდნენ, წელს კი – აკადემიკოსები. გაუგებარია, ჩვენები საით იყურებიან?! არამზადებს ვერ ანადგურებენ!“ (მედვედევი 1997:1037-1038).

ვ. ვინოგრადოვის დანიშვნასთან დაკავშირებით ვაჟა შენგელია, არნოლდ ჩიქობავას მოწაფე და მისი ნდობით აღჭურვილი პირი, იხსენებს: „ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის წინა პერიოდში ერთ-ერთი შეხვედრისას სტალინს უკით-

ხავს: მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ვინ არისო? არნ. ჩიქობავა: პროფესორი ჩემოდანოვი. სტალინი: რა კაცია ეს ჩემოდანოვი? არნ. ჩიქობავა: პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ერთი წიგნი აქვს ენათმეცნიერებაში სხვასთან თანაავტორობით... შემდეგ, პოლიტბიუროს წევრების შეკრებაზე სტალინს განუცხადებია: ჩემოდანოვი მოსკოვის უნივერსიტეტში დეკანად მუშაობს, ვინოგრადოვი კი ზის (გადასახლებულია), ეს როგორ შეიძლებაო... რამდენიმე დღეში ვ. ვინოგრადოვი მოსკოვში დააბრუნეს და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანიც გახდა... აკად. ვ. ვინოგრადოვი ხშირად უმეორებდა ბ-ნ არნოლდს: თქვენ გადამარჩინეთ, კაცად მაქციეთო... მოსკოვში ჩასვლისას სადგურში ხვდებოდა, შინაც ეპატიჟებოდა, გამომგზავრებისას აცილებდა... ეუბნებოდა: აკადემიკოსად უნდა წარგადგინოთო... იმდენჯერ გაუმეორებია, რომ ბ-ნ არნოლდს ერთხელაც ირონიით მიუგია: მე ერთი უბრალო გლეხის შვილი ვარ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად რომ ვითვლები, ჩემთვის ესეც ზედმეტიაო... ბ-ნ არნოლდის კომენტარი: ეტყობა, ელოდა ჩემგან, რომ ვეტყოდი, ოღონდ თქვენ ეს გააკეთეთ და თქვენი სურვილის ამსრულებელი ვიქნებიო“ (შენგელია 2009:79-80). ამ მოგონების მიხედვით, არნოლდ ჩიქობავას წვლილი მიუძღვის ვ. ვინოგრადოვის გათავისუფლებასა და დაწინაურებაში, რასაც თურმე ცნობილი მეცნიერი ვინოგრადოვი ყოველთვის დიდი მოწიწებით აღნიშნავდა.

ქვეყნის მტრების ცნობილი საბჭოთა თეორიის გარდა არსებობს სტალინის შეხედულების ცვლილების სხვა ახსნაც. როცა 1949 წელს, სტალინის სამოცდაათი წლის იუბილეს მოსამზადებლად ჩასული კანდიდ ჩარკვიანი თავისუფალ დროს წერდა სტალინისთვის წარსადგენ წერილს საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობაზე, როგორც ირკვევა, იუბილეზე შეკრებილ სტუმრებს შორის მხოლოდ მას როდი აწუხებდა ეს საკითხი. სტალინის იუბილეს ესწრებოდა მაო ძედუნი, რომე-

ლიც მოწვეული იყო როგორც განსაკუთრებული სტუმარი და მოსკოვის დიდ თეატრში ძალიან საპატიო ადგილას იჯდა - პრეზიდიუმში „თანამედროვეობის უდიდესი გენიის“ გვერდით. ეს არ იყო შემხვევითი სტუმრობა, რადგან სწორედ 1949 წელს დაიწყო ჩინეთში კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობა და მისი დაკავშირება სსრკ-სთან. 1950 წელს მოეწერა ხელი სსრკ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლის მომზადებას საბჭოეთისა და ჩინეთის ლიდერთა ხშირი შეხვედრები სჭირდებოდა და ამის გამო სტალინი და მაო ძედუნი ხშირად ჩნდებოდნენ ერთად. როგორცა ჩანს, სხვა საკითხებთან ერთად ისინი ლინგვისტურ საკითხებზეც მსჯელობდნენ (გორბანევსკი 1991:147-152).

ალბათ სტალინი გრძნოდა უხერხულობას, რომ საბჭოეთში აღიარებული ერთადერთი ლინგვისტური თეორია ჩინურს პრიმიტიულ ენად განიხილავდა, მაშინ როცა პოლიტიკური კონიექტურა დღის წესრიგში აყენებდა მოხსნილიყო ყველა ის დაბრკოლება, რომელსაც თუნდაც იოტისოდენად შეეძლო შეეშალა ხელი საბჭოეთისა და კომუნისტური ჩინეთის დაახლოებისათვის. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მარის იაფეტური თეორიის საბოლოო ლიკვიდაციის თაობაზე სტალინის ურყევი გადაწყვეტილების მიზეზი, რამაც, თავის მხრივ, სათავე დაუდო იაფეტური თეორიის დაწუნების, აბუჩად აგდებისა და დაცინვის უკიდეგანო მასშტაბებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა ენათმეცნიერებმა ჩინეთში ჩინურის მეცნიერულ კვლევასაც შეუწყვეს ხელი და სინოლოგია გაათავისუფლეს „ბურჟუაზიული ენათმეცნიერების“ გავლენისაგან. ჩინურად ითარგმნა სტალინის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და არნოლდ ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“, რომლის შინაარსი განაპირობა სწორედ 1950 წლის ენობრივმა დისკუსიამ. ერთ-ერთ დამაჯერებელ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკურმა ურთიერთობებმა შეცვალა სტალინის დამოკიდებულიება იაფეტური თეორიისადმი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ძირითადად განა-

პირობა ნ. მარის აზრმა, რომ ჩინური და შესაბამისად, ჩინელი ხალხი განვითარების თვალსაზრისით გაიყინა უძველეს ეტაპზე. დისკუსიის „ჩინური ფაქტორი“ აისახა სოლჟენიცინის რომანში „პირველ წრეში“.

ე. ველმეზოვა, რომელიც დაინტერესდა მხატვრულ ლიტერატურაში ლინგვისტური თეორიების ასახვის საკითხით, განიხილავს ალექსანდრე სოლჟენიცინის რომანის ერთ ნაწყვეტს, რომელშიც 1950 წლის „ენობრივი დისკუსიის“ წინა პერიოდია აღწერილი (ველმეზოვა 2014; ველმეზოვა 2015:275-283). რომანის მთავარ გმირს ღრმად სწამს, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს მთელ დედამიწაზე და ამ დიდი საქმისთვის ჩინელები ცოტას ნამდვილად არ აკეთებენ საბჭოთა ხალხთან ერთად. საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მეგობრობს. მეგობრობენ ყველა ხალხის დიადი მამა, სტალინი და მაო ძედუნი, მაგრამ არსებობს ერთი „უხერხული დეტალი“, რომელიც ამ მეგობრობას ჩრდილს აყენებს, ხოლო კომუნიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების საქმეს საფრთხეს უქმნის. ამ „უხერხულობას“ოფიციალურ საბჭოთა ენათმეცნიერულ თეორიად აღიარებული ნიკო მარის „ახალი ენობრივი თეორია“ ანუ იაფეტური თეორია ქმნის, რომლის მიხედვითაც ჩინური, როგორც ძირეული ენა, განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას და ჩინელები, როგორც ძირეულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი, გაყინული არიან განვითარების ერთ სტადიაზე და წინსვლა არ უწერიათ. თავისთავად ეს იდეა, ენათა მორფოლოგიური ტიპების დაკავშირება ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების განვითარების დონესთან, უშუალოდ ნიკო მარს არ ეკუთვნის. იგი მეცხრამეტე საუკუნეში იღებს სათავეს, მაგრამ ეს ვერ შველის ჩინელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობაში შექმნილ „უხერხულ ვითარებას“ (ბოლქვაძე 2015:271-275).

ალექსანდრე სოლჟენიცინის ნაწარმოებს თუ დავეყრდნობით, სწორედ „ჩინეთის საკითხმა“ გამოიწვია ნიკო მარის თეორიის დასამარება საბჭოთა კავშირში. 1950 წელს გამართული „ენობრივი დისკუსია“ გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე სწორედ ამის გამო დაწყებულა. აქვე უნდა აღვნიშ-

ნოთ, რომ ძნელი დასაჯერებელია სოლჟენიცინს ობიექტურობა აინტერესებდეს. აი რას წერს იგი: ჩიქობავას გაუბედავს და დაუწერია ანტიმარქსისტული ერესი, რომ ენა არ არის ზედნაშენი, რომ არსებობს მხოლოდ ნაციონალური ენები და არა ბურჟუაზიული და პროლეტარული ენები. მოკლედ, არნ. ჩიქობავა ღიად დაუპირისპირდა მარის მოსაზრებებს. მიუხედავად იმისა, რომ მარიც და ჩიქობავაც ქართველები იყვნენ, სწორედ რამდენიმე მარქსისტ-მარისტი ქართველი ენათმეცნიერი აღაშფოთა ჩიქობავას თავხედობამ და ისეთი ბრალდებები წაუყენეს, რომ ღამით უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა კაკუნს უნდა დალოდებოდა. რადგან ჩიქობავას მიაკერეს ამერიკული იმპერიალიზმის აგენტის იარლიყი, მას ვეღარაფერი იხსნიდა სტალინის სატელეფონო ზარის გარდა. სტალინმა ჩიქობავას სიცოცხლე აჩუქა, ხოლო ჩიქობავას მარტივ, პროვინციულ ფიქრებს გენიალური განვითარება მისცა და უკვდავება მიანიჭა (სოლჟენიცინი:171–172).

აშკარაა, რომ ამ სიტყვების ავტორს ერთნაირად სძულს ნიკო მარი, არნოლდ ჩიქობავა და იოსებ სტალინი. სიძულვილის მთავარი მიზეზი მათი ქართველობაა, შემდეგ კი სხვა მიზეზები ემატება. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა დავიმოწმოთ ილიზაროვი, რომელიც ხაზგასმით წერს, რომ ჩიქობავას უკან იდგა ბერია, ამიტომ სოლჟენიცინის ფიქრი, თითქოს ამერიკული იმპერიალიზმის აგენტად მონათლულ ჩიქობავას უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა დევნა მოჰყვებოდა, გადაჭარბებულია, რადგან ჩიქობავას ლ. ბერია იცავდა და ასე ადვილად ვერაფერს დააკლებდნენ (ილიზაროვი 2012:187-190). ბერიას „დამსახურებათა“ შორის მხოლოდ გულაგის სრულყოფასთან, ზოგიერთი კავკასიელი ხალხის გადასახლებასა და „ატომური პროექტის“ წარმატებასთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ მისი წვლილი ნ. მარის მითის დარღვევაში. ბერია და ჩიქობავა იხრებოდნენ ქართული ნაციონალიზმისკენ, სტალინი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან ხელოვნურად ახდენდა ველიკორუსული შოვინიზმის კულტივირებას (ამ თვალსაზრი-

შით შდრ. თეოდორ აბრამოვის რომანის „გზები – გზაჯვარედინების“ - ზემოთ დამოწმებული ნაწყვეტი: ვიღაც აკადემიკოსები რუსული ენის წართმევას ცდილობდნენ. – თ. ბ.). არნ. ჩიქობავა ავითარებდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიას, რომელიც ილიზაროვს ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩნია. ქართველ ინტელექტუალთა ერთ ნაწილში არსებობდა აზრი, რომ არნ. ჩიქობავამ აღადგინა ქართველი ხალხის ჰეგემონია კავკასიაში. ვითომ სწორედ ნაციონალიზმის ამოსაძირკვად დაიწყო ილიზაროვის აზრით, სტალინმა „მეგრელთა საქმე“, რომლითაც ბერიას უქმნიდა საფრთხეს, მაგრამ ამ მიზეზით ლამის ყველა მეგრული გვარის მქონე თანამდებობის პირი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მათ შორის, არნოლდ ჩიქობავა, რომელიც მხოლოდ 1950-1952 წლებში იყო. კ. ჩარკვიანი კი გაათავისუფლეს თანამდებობიდან იმ მიზეზით, რომ მას გამოეპარა „მეგრელთა საქმე“ (კ. ჩარკვიანი 2004).

ნიკო მარის იაფეტური თეორიის მიმართ სტალინის დამოკიდებულების შეცვლის ერთ-ერთ მიზეზად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასახელებენ ნაციონალიზმს. მაგალითად, ა. არაბული ფიქრობს, რომ ენობრივი დისკუსია მოტივირებული არ იყო საკუთრივ ლინგვისტური ინტერესებით, რომ ამ კამპანიას ხილული და დეკლარირებული მოტივაციის გარდა ჰქონდა ღრმა, შეფარული და შორს გამიზნული მოტივი და ეს უნდა ყოფილიყო ეროვნული ენების დაცვისა და განვითარების სურვილი. სავარაუდოა, - წერს ა. არაბული, - რომ სწორედ ეროვნული ენების საარსებო ინტერესი ედო საფუძვლად საბჭოთა იმპერიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „საენათმეცნიერო დისკუსიის“ წარმართვას, ხოლო ამისი იდეოლოგიური საფუძველი შექმნა მიზანმიმართულმა გამოყვანამ „ბაზისი-ზედნაშენის“ კატეგორიების ყოვლისმომცველი დიქოტომიიდან. ენისთვის განსაკუთრებული მოვლენის სტატუსის მინიჭებამ, რომელიც არც ბაზისს ეკუთვნის და არც ზედნაშენს, შექმნა საშუალება ღიად გამოცხადებულიყო, რომ „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა“, რაც ცვლიდა ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას,

რადგან უშვებდა ეროვნული ენების „აყვავების“ შესაძლებლობას სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემთხვევაში. ა. არაბული ფიქრობს, რომ მარის ოთხელემენტოვანი თეორია თურქულ ერთელემენტოვან აბსურდს იმიტომ დაუკავშირა არნ. ჩიქობავამ, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო საკმაოდ ინტენსიური და, რაც მთავარია, საფუძვლიანი სამეცნიერო-იდეოლოგიური შეტევა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შესახებ და „გიუნეშ დილის“ გაცამტვერებაც ამ კონტექსტში უნდა წავიკითხოთ 1945 წლის 20 დეკემბრის „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულ წერილთან ერთად „რამდენიმე შენიშვნა ლაზების შესახებ“ (არაბული 2014:9,17,18-19).

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ არნოლდ ჩიქობავა მხოლოდ ოთხელემენტოვანი ანალიზის ერთ ელემენტამდე ჩამოყვანის გამო არ აკრიტიკებდა თურქულ ენობრივ თეორიას, რომ ამ კრიტიკაში აისახება მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ საქართველოში გაჩენილი რეალური მოლოდინი დაკარგული ტერიტორიების აღდგენისა, რასაც საფუძველს უმაგრებდა, სწორედ ქართველ მეცნიერთა ჩართულობა ამ საქმეში. მაგრამ სტალინის შენიშვნები და კომენტარები, რომლებსაც იგი აწერს კანდიდ ჩარკვიანისა და არნოლდ ჩიქობავას წერილებს, არ გავძლევს ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. ამ მხრივ საინტერესოა, როგორ აღაშფოთა კანდიდ ჩარკვიანი ნიკო მარის სტადიალურ თეორიაში ქართულის მესამე სტადიის ენებში მოქცევამ, რაც მან (ალბათ) არნოლდ ჩიქობავასაგან შეიტყო: „კანდიდი, ბუნებრივია, აღშფოთდა, და ეს აშკარად ჩანს მის მიერ სტალინის სახელზე გაგზავნილ დოკუმენტში. ბელადის წასაქეზებლად მან ისიც კი დაწერა, რომ ეს თეორია ამართლებს ანგლო-ამერიკელი რასისტების პრეტენზიებს მათი კულტურული როლის განსაკუთრებულობაზე, მაგრამ სოსომ, როგორც იტყვიან, ეს არ „ჭამა“ და კიდეზე თავისი ცნობილი ყავისფერი ფანქრით ასეთი რამ მიაწერა: Ха-Ха-Ха. Англо-американцы не при чём. დღეს ჩემთან სტუმრად იყვნენ

ლორენსი და ლინდა. თავის დროზე ლორენსის მამა დევიდ კელი ბრიტანეთის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში და მის მემუარებში მარის სტალინისეულ კრიტიკასთან დაკავშირებით ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „მარის ენის წარმოშობის თეორია ჭეშმარიტად მარქსისტულია. 30 წლის მანძილზე ამ თეორიას იღებდნენ. ახლა კი სტალინმა მისი ყველა პუნქტი უარყო. სტალინის კომენტარი სავსებით გონივრულია“. როცა ლორენსს ჩემი მოსაზრება გავუზიარე და კანდიდის წერილის ასლი ვაჩვენე, კარგა ხანს ჩუმად იყო, მერე ერთი ამოიოხრა და თქვა: „საელჩოში მაშინ დიდი აკადემიური განათლების დიპლომატები მუშაობდნენ, მათ შორის იყო ისაია ბერლინიც. შენ რომ იცოდე, როგორ იმტვრევდნენ თავს იმაზე, თუ რატომ გადაწყვიტა სტალინმა ენის კლასობრივი თეორიის მქადაგებლის, მარის განადგურება. ახლა ყველაფერი ცხადი გახდა. მარქსისტ სტალინს ქართველმა სტალინმა სძლია“ (გ. ჩარკვიანი 2015:7-8).

კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ, როგორ რეაგირებს სტალინი კანდიდ ჩარკვიანის მოსაზრებაზე, რომ ნ. მარმა „ქართული საბჭოთა კულტურა დაამცირა ლამის გაქვავებულ, განვითარების უნარის არმქონე ენათა ჯგუფში“ შეტანით. ასეთ შეფასებაზე სტალინი გულიანად ხარხარებს და რამოდენიმე ადგილას აწერს: „ Ха-Ха-Ха“ (ხა-ხა-ხა). ნ. მარის ეს თეზა ძალიან არ მოსწონს არნოლდ ჩიქობავასაც: „თურმე ქართული ენა ვერ ამაღლებულა ლათინურამდე: განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე შეჩერებულა. მარის სტადიალური სქემის მიხედვით, იგი საბოლოოდ მილურსმნულია ამ საფეხურზე“. მაგრამ სტალინი ამას არგუმენტად კი არა, ჩიქობავას წყენად უთვლის. სტალინის აზრით, ქართველ მეცნიერს ეწყინა მარის მიერ ქართულის „მსოფლიო წინსვლას ჩამორჩენილ ენად“ მოხსენიება. სტალინის კომენტარი ასეთია: „Вы обижены, но обида не довод“ („თქვენ ნაწყენი ხართ. წყენა კი არგუმენტი არ არის“). კ. ჩარკვიანი იწუნებს ნ. მარის გადაწყვეტილებას, რომ ყველა ხალხმა, მათ შორის უძველესი დამწერლობის მქონე ხალხებმა კავკასიაში – ქარ-

თველებმა და სომხებმა - ლათინური ანბანი უნდა აირჩიონ, მაგრამ სტალინი ამას არ მიიჩნევს პრობლემატურ საკითხად. „შრიფტ-გრაფიკა არ წყვეტს ენის ბედს. სისულელეა“ („Шрифт-графика не решает судьбу языка. Глупость“). ასევე წვრილმან საკითხად („Это мелочь“) მიაჩნია აფხაზურისთვის ლათინურზე დაფუძნებული ანბანის შექმნა. სტალინის ასეთი კომენტარები კანდიდ ჩარკვიანისა და არნოლდ ჩიქობავას წერილებზე, გვაფიქრებინეს, რომ ქართული ნაციონალიზმით ვერ აიხსნება სტალინის გადაწყვეტილება, ემხილებინა ნიკო მარის იაფეტური თეორია, როგორც მარქსიზმის ვულგარიზაცია.

უფრო დამაჯერებელი ჩანს ენათა სტადიური კლასიფიკაციის მარისეული სქემის დაწუნება ჩინეთთან მეგობრული ურთოერთობის აუცილებლობის გამო. ჩინური ენის პრიმიტიულ ენათა რიგში ჩაყენება იყო ის „უხერხული დეტალი“, რომელიც საბჭოეთისა და ჩინეთის მეგობრობას ჩრდილს აყენებდა და უფრო მეტიც, კომუნიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების საქმეს საფრთხეს უქმნიდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიკო მარის მოსაზრება ჩინური ენისა და ჩინელი ხალხის შესახებ. ეს უნდა იყოს ერთი მთავარი მიზეზი ნიკო მარის იაფეტური თეორიის დაგმობისა, რომელსაც შეიძლება ემატებოდეს ე. წ. ნაციონალური შეხედულებები, მაგრამ ეს უფრო გვერდით მოვლენად უნდა განვიხილოთ, ვიდრე მთავარ მიზეზად. ნ. მარის მიმართ სტალინი, როგორცა ჩანს, თანდათანობით იცვლიდა შეხედულებას. როგორც ილიზაროვი აღწერს, მიუხედავად ნ. მარის სურვილისა, სტალინი სხვადასხვა მიზეზით არ შეხვდა მარს (ილიზაროვი 2012). ვაჟა შენგელიას მოგონებებიდან ჩანს, რომ არც მარის ხუმრობა ახარებდა სტალინს: „ნ. მარი 1930-34 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო და შესაძლებლობა ჰქონდა პირდაპირ დაერეკა სტალინთან. დაურეკავს კიდეც არაერთხელ და მიღება უთხოვია. სტალინი: მე რამდენჯერმე მთხოვა ნ. მარმა მიღება, მაგრამ ის მე არ მივიღე... ერთხელაც ნ. მარი ურეკავს სტალინს და ეუბნე-

ბა: თქვენ პოლიტიკაში ხართ ბელადი, მე — მეცნიერებაში... სტალინი: რა სისულელეა! [სტალინი ნაწყენიც ყოფილა ნ. მარზე, თუმცა მისი კარიერული წინსვლისათვის ხელი არ შეუშლია. წყენის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ერთ-ერთი დაპატიმრების დროს დაკითხვა სანკტ-პეტერბურგის ჟანდარმერიაში მოუწყვიათ. სტალინს უარი უთქვამს პასუხი გაეცა შეკითხვებზე — რუსული კარგად არ მესმისო. თარჯიმნად მოუყვანიათ ნ. მარი. სტალინს გაჰკვირვებია: ბატონო ნიკო, თქვენ აქ რა გინდათო?] (შენგელია 2014:72). სამაგიეროს გადახდა და ანგარიშის გასწორება სტალინის ერთ-ერთი მთავარი თვისება იყო. ასე რომ, აქ შეიძლება მრავალი მიზეზი იყრიდეს თავს, მაგრამ ჩინეთთან მეგობრობა და სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების იდეა მაინც წარმმართველი უნდა იყოს. სტალინის თვისებას უნდა ავლენდეს ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმეც“, რომლის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან ძალიან მალე გაათავისუფლეს არნოლდ ჩიქობავა, რომელიც სულ რაღაც ორი წლის წინ საბჭოთა ენათმეცნიერების გმირი იყო. კანდიდ ჩარკვიანიც ჩამოაშორეს თანამდებობას იმისთვის, რომ „მეგრელთა საქმე“ ვერ შეამჩნია.

მხოლოდ სტალინი და მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების იდეა კი არ ხდებოდა მწერალთა შთაგონების წყარო, არამედ არნოლდ ჩიქობავას გამბედაობისთვისაც შეუსხამს მწერალს ხოტბა. როგორც ვაჟა შენგელია წერს: „ 1950 წლის თავისუფალმა საენათმეცნიერო დისკუსიამ, რომელშიც ენათმეცნიერებს შორის გადამწყვეტი როლი არნ. ჩიქობავამ შეასრულა, მაღალი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, ისე — უცხოეთში (ვ. გეორგიევი, გ. მაიერი, რ. იაკობსონი...). არნ. ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობასა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლას მაღალი შეფასება მისცეს არა მხოლოდ მეცნიერებმა. რუსმა მწერალმა გრ. სვირსკიმ თავისი რომანი „გამარჯობა, უნივერსიტეტო!“, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ოქტიაბრში“, მიუძღვნა მეცნიერის პრინციპულობასა და სიმართლისათვის ბრძოლას. როცა წიგნი არნოლდ ჩიქობავასთვის უჩუქებია, ასეთი წარწერა გაუკეთე-

ბია: „დიდად პატივცემულ არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავას. როცა მე ვქმნიდი პროფესორ გორდეევის სახეს, თვალწინ მედგა თქვენი ჭეშმარიტად გმირული ბრძოლა და გამარჯვება მარიზმზე. გულწრფელი პატივისცემით გრიგორი სვირსკი. 2.II.62“ (Глубокоуважаемому Арнольду Степановичу Чикобава. Когда я создавал образ профессора Гордеева, перед моими галзами были Ваша поистине героическая борьба и Ваша победа над марризмом. С искренным восхищением 20/II-52г.) ამრიგად, როგორც ირკვევა, მწერალს თავისი რომანის მთავარი პერსონაჟის — პროფესორ სერგეი გორდეევის პროტოტიპად არნ. ჩიქობავა მიაჩნდა (შენგელია 2015: 104-105). შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ ნაწარმოების მოქმედი პირის გვარი – გორდეევი – შორს არ არის მზამეტყველებისაგან, როცა პერსონაჟის სახელწოდებაში აისახება მისი თვისება, ამ შემთხვევაში – სიამაყე.

ბევრს ეგონა და დღესაც ბევრს ჰგონია, რომ სტალინის „პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილი ენათმეცნიერების საკითხებზე არნოლდ ჩიქობავას დაწერილი იყო, მაგრამ თვით არნოლდ ჩიქობავა ყოველთვის უარყოფდა მის ავტორობას. ამ საკითხზე ბევრს დაუწერია, მაგრამ აქ ისევ ვაჟა შენგელიას მოგონებებიდან დავიმოწმებთ ერთ ნაწყვეტს: „ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც სტალინის მხილება და კრიტიკა დაიწყო, არნ. ჩიქობავას აძალებდნენ, რომ ეთქვა — საენათმეცნიერო დისკუსიის შემაჯამებელი წერილი სტალინს მე დავუწერეო (მით უმეტეს — სტალინის ამ წერილში ფაქტობრივ არნ. ჩიქობავას დებულებათა მხარდაჭერა იყო გამჟღავნებული)... ბ-მა არნოლდმა კატეგორიული უარი განაცხადა: სტალინთან რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და მათ მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი ჰქონდა და, რაც გამოქვეყნდა, თავად მას ეკუთვნისო“ (შენგელია 2010:79).

თავი IV.
ენობრივი დისკუსიის შემდეგ

§1. არნოლდ ჩიქობავას 1952 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების შესავალი“

ყველა ის საკითხი, რომელიც ნაკლად ეთვლებოდა 1935 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალს“, ავტორმა სპეციალურად განიხილა ენობრივი დისკუსიის შემდეგ, 1952 წელს გამოსულ „ენათმეცნიერების შესავალში“. ეს სახელმძღვანელო რუსულად დაიბეჭდა ორჯერ: 1952 და 1953 წლებში და ისწავლებოდა საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. ამას გარდა, იგი ითარგმნა მრავალ ენაზე, მათ შორის, ჩინურად.

არნოლდ ჩიქობავას, რომლის სტატიითაც დაიწყო ენობრივი დისკუსია „პრავდის“ ფურცლებზე, უფლება ჰქონდა ამ წიგნში ემსჯელა საბჭოთა ენათმეცნიერების პრობლემებზე. სახელმძღვანელოს შესავალსა და II თავში არის პარაგრაფები, რომლებიც ასახავენ 1950 წლის ენობრივი დისკუსიის შედეგებს. სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილის 4-ე პარაგრაფში - „საბჭოთა ენათმეცნიერება, როგორც ახალი ეტაპი ენთამეცნიერების განვითარებაში“ - მოცემულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია, დახასიათებულია ფილოლოგიური და რაციონალური გრამატიკები, ბოლო ნაწილში კი შეჯამებულია სტალინის ნაშრომის, „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხის“ - მნიშვნელობა, რომელმაც დასახა სამი ამოცანა: ენათმეცნიერებაში არაკრიტიკის რეჟიმის ლიკვიდაცია, ნიკო მარის შეცდომების უკუგდება და ლინგვისტურ კვლევებში მარქსიზმის დანერგვა.

სწორედ ამ ამოცანების გადაჭრას ემსახურება სახელმძღვანელო, განსაკუთრებით მისი II თავი. მარის შეცდომების უკუგდება ჩანს წიგნის შემდეგ ნაწილებში: §12. ენა არ

არის ბაზისის ზედნაშენი, §13. მცდარობა ნ. მარის მტკიცებისა, თითქოს ენა წარმოადგენდეს ბაზისის ზედნაშენს, §14. ენა არ შეიძლება იყოს კლასობრივი, §15. ნ. მარის არამეცნიერული ვულგარულ-მატერიალისტური შეხედულება, თითქოს ყველა ენა კლასობრივი იყოს, §28. ბურჟუაზიული და სოციალისტური ერები და მათი ენები.

მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების ფონზეა გაშლილი ენის წარმოშობის საკითხი არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოში: §32. ენის წარმოშობა. საკითხის დასმა, §33. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური თეორიების შესახებ, §34. ენგელსის მოძღვრება ენის წარმოშობის შესახებ, §35. არაბგერითი ენის პირველადობის საკითხის შესახებ, §36. ნ. მარი ენის წარმოშობის შესახებ. ამ პარაგრაფებში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებიდან ჩვენთვის საინტერესოა სტალინის დაწვრილებით განხილული ნაშრომი „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ და ნიკო მარის სტატია „ერთიანი ენის საკითხისათვის“, რომელიც წინასიტყვაობად აქვს წამძღვარებული ე. დრეზენის წიგნს „საერთო ენისათვის“. 28-ე და 29-ე ეს პარაგრაფები სახელმძღვანელოში ხვდება ორი მთავარი მიზეზით: სტალინს ამ საკითხზე გამოთქმული აქვს მოსაზრებები, რომელთა შესწავლა აუცილებელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის და განსაუთრებით კი სტუდენტებისათვის. თან ამ საკითხში სტალინი ნიკო მარს აღარ ეთანხმება. პარტიის XVI ყრილობაზე ნიკო მარსა და საბჭოეთის ბელადს ერთნაირი შეხედულებები ჰქონდათ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ზემოთ). როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1950 წელს იოსებ სტალინს შეეცვალა აზრი ერთიან საკაცობრიო ენაზე. იგი წერდა, რომ ენათა დაახლოება და, მით უმეტეს, შერწყმა ვერ იქნებოდა ხანმოკლე პროცესი, რადგან ერები და ეროვნული ენები გასაოცარი სიმყარითა და წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით გამოირჩევიან. ამას გარდა, ი. სტალინი დიდ შეცდომად თვლიდა ერთა შერწყმის განხორციელებას ზევიდან, დეკრეტირების გზით, ე.ი. იძულებით. ეს ნიშნავს, - წერდა იგი, - ხელი შევუწყოთ იმპე-

რიალისტებს, ჩავშალოთ ერთა განთავისუფლების პროცესი, დავღუპოთ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის საქმე (სტალინი 1954:13). სტალინს განსხვავებული შეხედულება ექმნება ენათა შერწყმაზეც და ამ ცნებას უპირისპირებს მარისეულ ენათა შეჯვარების ცნებას, რომელიც იაფეტური თეორიის ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა. ი. სტალინი ერთმანეთისაგან განარჩევდა შეჯვარებასა (скрещение) და შერწყმას (слияние). შეჯვარების დროს ერთ-ერთი ენა გამარჯვებული გამოდის, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ძირითად ლექსიკურ ფონდს და აგრძელებს განვითარებას (სტალინი 1950:60). ენათა შეჯვარება იმ პერიოდს ახასიათებს, როცა ერები მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვიან, როცა მიზანი ურთიერთგამდიდრება კი არ არის, არამედ ასიმილაცია. ასეთ ვითარებაში მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები არსებობენ (სტალინი 1950:109). რაც შეეხება ენათა შერწყმას (слияние), ი. სტალინის მიხედვით, ეს მოსალოდნელია „სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ, როცა ლიკვიდირებული იქნება ეროვნული ჩაგვრა, ნაციონალიზმი და კოლონიალიზმი; გათიშულობა და უნდობლობა შეიცვლება ნდობით. პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის პირობებში ასობით ენიდან შეიქმნება გამდიდრებული ერთეული ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეირწყმება ერთ საერთაშორისო ენად, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იქნება არც რუსული, არც ინგლისური, არამედ ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტების შემცველი ახალი ენა" (სტალინი 1950:111-112).

ენობრივი დისკუსიის დროს სტალინის წერილმა „პრავდის" მკითხველებში მრავალი შეკითხვა გააჩინა. როგორც ამერიკელ მეცნიერს, ეთან პოლოკს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის რუსეთის სახელმწიფო არქივში მუშაობამ აჩვენა, „პრავდამ" და ცენტრალურმა კომიტეტმა უამრავი წერილი მიიღო, რომლებშიც მკითხველები ითხოვდნენ წერი-

ლის სხვადასხვა პუნქტების განმარტებას. ზოგიერთი მკითხველი არ მოერიდა სტალინის გამოწვევას. ერთმა მასწავლებელმა სტალინს მისწერა: „თქვენ წერთ, რომ ვერც ერთი მეცნიერება ვერ განვითარდება თავისუფალი კრიტიკის ან აზრთა ღია ჭიდილის გარეშე. დარწმუნებული ვარ, თქვენ დართავთ ნებას, გააკრიტიკონ თქვენი ნაშრომიც.“[1] აშკარაა, რომ ბევრმა საბჭოთა მოქალაქემ დაიჯერა დისკუსიის რეალურობა და საკუთარ შეკითხვებზე პასუხს ელოდა. რამდენიმე შეკითხვას სტალინის პასუხებიც მოჰყვა, რომლებიც გამოქვეყნდა 1950 წლის 2 აგვისტოს „პრავდის“ ნომერში. ერთ-ერთ წერილში მურმანსკელი სტუდენტი მეცნიერების კორიფეს, დიდი ბელადს, იოსებ სტალინს ერთ წინააღმდეგობრივ საკითხში გარკვევას სთხოვდა. სტალინის პირველ სტატიაში ეწერა, რომ ახალი ენა ვერ შეიქმნება ენების ჰიბრიდიზაციით. მაგრამ 1930 წელს პარტიის XVI ყრილობაზე სტალინმა გამოთქვა შეხედულება, რომ კომუნიზმის დროს ყველა ენა შეირწყმებოდა და ერთ ენად იქცეოდა (გაზეთი პრავდა, 2 აგვისტო, 1950 წელი). როგორც ეთან პოლოკი წერს, სტალინმა თავი დაიძვრინა ამ აშკარა წინააღმდეგობისაგან და განაცხადა, რომ წერილის ავტორი ეყრდნობოდა მცდარ მოსაზრებას: „მარქსიზმის დასკვნები ან ფორმულები, რომლებიც მიღებულია ისტორიული განვითარების ყველა ეტაპისათვის“. სტალინი აცხადებდა, რომ მარქსიზმი არ უნდა ყოფილიყო დოგმატური და ენათმეცნიერების შესახებ მისი წერილებიც ამას ადასტურებდნენ. მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, ვერ დადგება ერთ ადგილზე, იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება. განვითარების გზაზე იგი შეიძენს გამოცდილებას, ახალ ცოდნას – შესაბამისად, მისი ცალკეული ფორმულები და დასკვნები ვერ დარჩება უცვლელი დროის მანძილზე. მარქსიზმი არ აღიარებს უცვლელ დასკვნებს და ფორმულებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა ეპოქისა და

[1] სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის რუსეთის სახელმწიფო არქივი, ფონდი №17, ნაწერი №132, საქმე №336, 1. 150

პერიოდისათვის. მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატურობის მტერია (პოლოკი 2013: 514-515).

ეს წინააღმდეგობები არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელოში არ ასახულა. ავტორი მხარს უჭერდა სტალინის მოსაზრებას. ნ. მარის შეცდომათა უკუგდება ენათმეცნიერებაში არაკჩეევის რეჟიმის ლიკვიდაციას ემსახურებოდა, ხოლო მარქსიზმის დანერგვა ამ დარგში, რა თქმა უნდა, იოსებ სტალინის შრომებს უნდა დაფუძნებოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ არნოლდ ჩიქობავას სახელმძღვანელოს II თავის ზემოთ ჩამოთვლილი პარაგრაფებისათვის ამოსავალია სტალინის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, ხოლო §29-ე პარაგრაფი - „ერებისა და ენების მომავალი“ - ეფუძნება სტალინის ნაშრომს „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი.“ ამ პარაგრაფში განხილული საკითხი ოდნავ სახეცვლილად წარმოდგენილია გიორგი ახვლედიანის რედაქტორობით გამოსულ არნოლდ ჩიქობავას სახელმძღვანელოში „ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული ნაწილი“. §9-ე პარაგრაფი „ერთიანი ენის საკითხი მომავალ უკლასო საზოგადოებაში“(ჩიქობავა1946:20-21) მთლიანად ეყრდნობა სტალინის მოსაზრებას ამ საკითხზე, კერძოდ, მისი სტატიების კრებულს მარქსიზმისა და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხის მიმართების თაობაზე (სტალინი 1935). პარაგრაფის ბოლოს არნ. ჩიქობავა იმოწმებს სტალინის სტატიიდან მნიშვნელოვან ნაწილს, საიდანაც ჩანს, რომ ნაციონალურ ენათა აყვავება სტალინს წარმოუდგენია ერთი კულტურისა და ერთი ენის შექმნის წინაპირობად მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ: „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთს ქვეყანაში მათი შედუღებისათვის ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში, ერთი საერთო ენით, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფა-ცხოვრებაში, - სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური და-

ყენების დიალექტიკურობა“ (სტალინი 1935:195; ჩიქობავა 1946:21). მაგრამ ძნელია ფეხი აუწყო სტალინის ცვალებად მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ სტატიაში არნ. ჩიქობავა წერდა: „მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მხოლოდ მეორე ეტაპზე დაიწყება საერთო ენის შექმნა, თავიდან კი იქნება საერთო ზონალური ენები ნაციონალურ ენებთან ერთად, რასაც მოჰყვება ერთიანი საკაცობრიო ენის შექმნა“ (ჩიქობავა 1951). „ენათმეცნიერების შესავლის“ 1953 წლის რუსულ გამოცემაში ეს გაგება უკვე სახეცვლილად არის მოწოდებული: „შესაძლებელია, რომ თავიდან შეიქმნება რამდენიმე ზონალური ენა, რომლებიც იარსებებენ ნაციონალურ ენებთან ერთად“ (ჩიქობავა 1953:11). ამიტომ დაისმის კითხვა, თუ იქნება ისეთი საერთაშორისო ენები, რომლებიც გამოიყენება გარკვეულ ზონებში, მაშინ რატომ არის შეუძლებელი ერთიანი საერთაშორისო ენის შექმნა? ამ მხრივ საინტერესოა 1950 წელს არნ. ჩიქობავას „პრავდაში“ დაბეჭდილი სადისკუსიო წერილის ერთი მომენტი: აკად. ნ. ი. მარი გამოთქვამს მოსაზრებას მომავალი კაცობრიობის საერთო ენის შესახებ. მარის ნააზრევში ეს ერთადერთი პრინციპული საკითხია, რომელიც თითქოს ეთანხმება მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებს. თუმცა შემდეგ ედავება მარს ამ იდეის განხორციელების გზებზე. მთავარი სხვაობა ის არის, რომ მარს ეს პროცესი კომპეტენტური ენათმეცნიერების პრაქტიკული ჩარევის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ჩიქობავა კი მარქსისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით თვლიდა, რომ ეს მოხდება ევოლუციის გზით, სტიქიურად და მისი რაიმენაირი დაჩქარება მხოლოდ ხელოვნური იქნება, რაც დაუშვებელია (ჩიქობავა 1950). აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო საკაცობრიო ენაზე გადასვლა ვერაფრით ვერ დაემთხვევა ცალკეული ეროვნული ენების კვდომას. საერთო ენის ცხოვრებაში დანერგვა მოხდება ეროვნული ენების გვერდით, რაც ხდება კიდეც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითისთვის შეიძლება დავი-

მოწმოთ ინგლისურის მდგომარეობა დღევანდელ მსოფლიოში.

1950 წლის დისკუსიის დროს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ლ. ა. ბულახოვსკი შეეკამათა ჩიქობავას: „მე ვერ ვხედავ იმ კრიტიკული შენიშვნების საფუძველს, რომელსაც არნ. ჩიქობავა გამოთქვამს მარის თეზასთან დაკავშირებით, რომ „კაცობრიობა, რომელიც მიდის ერთიანი მეურნეობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ, ვერ ასცდება ხელოვნურ, მეცნიერულად შემუშავებულ ღონისძიებებს ამ ფართო პროცესის დასაჩქარებლად.“ ლ. ბულახოვსკის აზრით, „ხელოვნური ღონისძიებები“ არ არის მაინცა და მაინც „იძულებითი“, როგორც ეს არნ. ჩიქობავას წარმოუდგენია. ამის ნათელსაყოფად ბულახოვსკი იმოწმებს სალიტერატურო ენებს. მათი ჩამოყალიბება ყოველთვის ხდებოდა და ხდება გაცნობიერებული ჩარევით. ამიტომ საფიქრებელია, რომ ასე იქნება იმ მაღალი კულტურის საზოგადოებაშიც..., სადაც საზოგადოებრივი პროცესების შეგნებული მართვა კიდევ უფრო გაიზრდება, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია (ბულახოვსი 1950).

მომავალი უკლასო საზოგადოების ერთიან ენაზე მსჯელობა არ ცხრებოდა ენობრივი დისკუსიის შემდეგაც. ამ მხრივ საინტერესოა თინათინ შარაძენიძის სტატია, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა „ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები ი. ბ. სტალინის სწავლების შუქზე“ (შარაძენიძე 1951). ეს არის უფრო ადრე წაკითხული მოხსენების გამოქვეყნებული ვარიანტი, რომელშიც იგი იმეორებს სტალინის თვალსაზრისს, რომ ენათა შერწყმა მოხდება მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების მეორე ეტაპზე. აქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანასწორუფლებიანი ენები გაამდიდრებენ ერთმანეთს და შეირწყმებიან, რაც წარმოშობს ხარისხობრივად განსხვავებულ ახალ ენას. როგორ იმარჯვებს სოციალიზმი მთელ მსოფლიოში ან რა ნიადაგზე ხდება მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგი პერიოდების გამოყოფა სტალინსაც კი არ უჩვენებია და თინა-

თინ შარაძენიძის სტატიაში ეს მოსალოდნელი არ იყო. მაგრამ ის კი იყო მოსალოდნელი, რომ ცნობილი ენათმეცნიერი, რომელსაც ენათა კონტაქტებზე ბევრი საინტერესო ნაშრომი დაუწერია, ახსნიდა, რა განსხვავებაა შერწყმის გზით მიღებულ ენასა და შეჯვარების გზით მიღებულ ენას შორის. ასეთ ახსნას ვერ ვხვდებით ვერც მოხსენებაში ალბათ სტალინის განსაკუთრებული ავტორიტეტის გამო (შარაძენიძე 1951) და ვერც სტატიაში (შარაძენიძე 1952). საერთოდ, ამ სხვაობის დადგენა და ახსნა ფაქტობრივად შეუძლებელია. ასევე სადავოა, რამდენი დრო სჭირდება ენათა ბუნებრივ შერწყმას, ან რამდენი ხანი გაგრძელდება სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების პირველი და მეორე ეტაპები – ასწლეული თუ ათასწლეული? დაუჯერებელია ერთი თაობის ფარგლებში ასეთი კოლოსალური ცვლილებების დაწყება და დასრულება. მსოფლიოს ენობრივი მომავლის ამგვარად წარმოდგენა უტოპიურია. რაც შეეხება ტერმინებს: „ენათა ინტეგრაცია“, „შერწყმა“ და „შეჯვარება“, ისინი სინონიმებია. როგორცა ჩანს, თვითონ მარიც ერთმანეთის სინონიმებად იყენებდა ენათა შერწყმასა და ენათა შეჯვარებას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მარის მოწაფე და მიმდევარი აკად. ი. ი. მეშჩანინოვი მისი მასწავლებლის თეორიის გადმოცემისას სწორედ ტერმინ „შერწყმას“ იყენებს (მეშჩანინოვი 1949:45).[1]

2008 წელს გუჩა კვარაცხელიას რედაქტორობითა და წინასიტყვაობით გამოიცა არნოლდ ჩიქობავას 1952 წელს დაბეჭდილი „ენათმეცნიერების შესავალი“ შეცვლილი სახით. ამოღებულია ზოგიერთი პარაგრაფი, განსაკუთრებით წიგნის II თავიდან, და ყველა ციტატა, რომელსაც ავტორი იმოწმებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწერებიდან. რედაქტორი ამ გადაწყვეტილებას ასე ხსნის: წინამდებარე გამოცემის მომზადებისას დიალექტიკურ-მატერიალისტური

[1] „На основе слияния национальных языков образуется в будущем новый по своему качеству единый язык"*.

ციტატების ამოღებას არათუ აზრის, ერთი სიტყვის შეცვლაც არ გამოუწვევია ძირითად ტექსტში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ „იდეოლოგიზაცია" აქ „რიტუალური" იყო. იგი ენობრივი ქსოვილის ინკრუსტაციებით შემკობას უფრო ჰგავდა. არნ. ჩიქობავას — ენათმეცნიერების თეორეტიკოსს — თავისი ფუძემდებლური დებულებანი არასოდეს შეუცვლია კონიუნქტურის გამო, კონიუნქტურული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მეცნიერული აზრისათვის უმნიშვნელო აქსესუარი, როგორც ჯავშანი, მეცნიერისა და მისი ნააზრევის გადასარჩენად" (კვარაცხელია 2008:XVII). წინასიტყვაობაში ჩამოთვლილია ყველა ამოღებული პარაგრაფი:

„§ 4. საბჭოთა ენათმეცნიერება, როგორც ახალი ეტაპი ენთამეცნიერების განვითარებაში;

§ 12. ენა არ არის ბაზისის ზედნაშენი;

§ 13. მცდარობა ნ. მარის მტკიცებისა, თითქოს ენა წარმოადგენდეს ბაზისის ზედნაშენს;

§ 14. ენა არ შეიძლება იყოს კლასობრივი;

§ 15. ნ. მარის არამეცნიერული ვულგარულ-მატერიალისტური შეხედულება, თითქოს ყოველი ენა კლასობრივი იყოს;

§ 28. ბურჟუაზიული და სოციალისტური ერები და მათი ენები;

§ 36. ნ. მარი ენის წარმოშობის შესახებ;

§122. ნიჰილისტური დამოკიდებულება გრამატიკისადმი ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში" და ამგვარი დამოკიდებულების მეცნიერული უსაფუძვლობა;

§146. საბჭოთა კავშირის ენები გენეალოგიური თვალსაზრისით.

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ სათანადო რედაქციით გაგვეერთიანებინა ორი პარაგრაფი: § 33. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური თეორიების შესახებ და §34. ენგელსის მოძღვრება ენის წარმოშობის შესახებ (იხ. ახალი გამოცემის §25. ენის წარმოშობის ინდივიდუალისტური და სოციალური თეორიების შესახებ) (კვარაცხელია 2008:XXI). ეს გადაწყვე-

ტილება ახსნილია იმ გარემოებით, რომ „მათში სპეციალურად განხილულმა საკითხებმა, საზოგადოებრივი თუ მეცნიერული თვალსაზრისით, დაკარგეს მაშინდელი სიმწვავე და აქტუალურობა“ (კვარაცხელია 2008:XXI).

რა თქმა უნდა, დღეს ამ საკითხებზე აღარ მსჯელობენ, მაგრამ სწორედ ეს თემატიკა გახდა 1950 წლის ენობრივი დისკუსიის საფუძველი. ამ საკითხების განხილვის გამო იქცა არნ. ჩიქობავა იმ ენათმეცნიერად, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საბჭოთა ენათმეცნიერებაში და ამ პარაგრაფების გამო გამოცხადდა ეს წიგნი აუცილებელ სასწავლო სახელმძღვანელოდ საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში. მისი მრავალ ენაზე თარგმნის მიზეზიც ეს იყო. სწორედ 2008 წლის გამოცემული „ენათმეცნიერების შესავლიდან“ ამოღებული პარაგრაფები სძენდა ამ წიგნს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენობრივი დისკუსიის შემდეგ და ენათმეცნიერების ისტორიაში ამ მონაკვეთების გამო აქვს ამ სახელმძღვანელოს გამორჩეული ადგილი. იმის მტკიცება, რომ ზევით მითითებული პარაგრაფების ამოღება ბოლო გამოცემაში არ ცვლის ძირითად შინაარსს და პირიქით, თითქოს აჩვენებს, რომ ეს იყო მხოლოდ „ენობრივი ქსოვილის ინკრუსტაციებით შემკობა“, ძალიან საკამათოა. ამ პარაგრაფების გარეშე წიგნს ეკარგება ისტორიული კონტექსტი, რომელშიც იგი შეიქმნა. რა თქმა უნდა, „მათში სპეციალურად განხილულმა საკითხებმა, საზოგადოებრივი თუ მეცნიერული თვალსაზრისით, დაკარგეს მაშინდელი სიმწვავე და აქტუალურობა“, როგორც წერს გ. კვარაცხელია, მაგრამ სასურველია, წიგნი იმ სახით იქნეს შენარჩუნებული, რა სახითაც იგი შეიქმნა, რადგან სწორედ ეს სახე განაპირობებს მის განსაკუთრებულობას. ამიტომ მისასალმებელია, რომ არნ. ჩიქობავას შრომების ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივ გამოცემის X ტომში შეტანილია „ენათმეცნიერების შესავლის“ ავთენტური ტექსტი, მის რუსულ თარგმანთან ერთად, რომე-

ლიც ისწავლებოდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

მტკიცებას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დამოწმებულ ციტატებს „არავითარი კავშირი არ ჰქონდა სახელმძღვანელოს ძირითადი ტექსტის შინაარსთან, მაგრამ გარეგნულად აკმაყოფილებდა მისი დაბეჭდვისათვის სავალდებულო პირობას“, ბევრი წინააღმდეგობა ხვდება. პირიქით, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწერებიდან დამოწმებული ციტატები ქმნის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის შინაარსს. ამ წიგნს არნ. ჩიქობავა დიდ ხანს ამზადებდა. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ერთ საარქივო დოკუმენტს. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი კათედრის გაერთიანებული სხდომის ოქმი. როგორც საარქივო დოკუმენტი მოწმობს, სამი კათედრის გაერთიანებულ სხდომას ნორვეგიელი ქართველოლოგი ჰანს ფოგტიც ესწრებოდა.

ოქმი 4[1]

ქართული ენის კათედრის სხდომისა 1 აპრილს 1933 წლის /შეერთებულად სამ სხვა კათედრებთან: მარქსისტულ ენათმეცნიერებისა და კავკასიურ ენების, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის კათედრასთან/

დაესწრნენ: პროფ. ვაშაყმაძე, პროფ. ჩიქობავა, დოცენტი ვ. თოფურია, დოც. ს. ჯანაშია, ი. აბულაძე, დ. კარბელაშვილი, ღლონტი, მ. ჩიქოვანი და სხვა.

სხვათა შორის სტუმრად იყო ჰ.ფოგტი, ნორვეგიელი ენათმეცნიერი

თავჯდომარეობდა პროფ. შანიძე

კარლ მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით პროფ. ა. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება „ენათმეცნიერება და მარქსიზმი“, რომელშიაც მოიყვანა სისტემა-

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №47, საქმე №2, ფურც 5).

ტიური სახით მარქსიზმის ფუძემდებელთა აზრები; /მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინისა/ ენობრივი საკითხების შესახებ. მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ჩხენკელმა, ღლონტმა, კარბელაშვილმა, თოფურიამ, ი. ვაშაყმაძემ.

თავმჯდომარის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრება დამთავრდა.

კათედრის გამგე პროფ. შანიძე (ხელმოწერილია)“

როგორც დოკუმენტი აჩვენებს, არსებობდა მარქსისტული ენათმეცნიერებისა და კავკასიურ ენების კათედრა, რომლის სხდომებზე ხშირად განიხილებოდა მარქსიზმისა და ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხები. სხდომას ესწრებოდნენ და განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ ნიკო მარის ცნობილი მიმდევრები: დ. კარბელაშვილი, ალ. ღლონტი და მ. ჩიქოვანი. ოქმი არ ასახავს კამათის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს, მაგრამ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქნებოდა აზრთა სხვადასხვაობა არნ. ჩიქობავასა და ნ. მარის მიმდევრებს შორის. ასეთ ფონზე ძნელი სამტკიცებელია, რომ ეს არის მხოლოდ „რიტუალური იდეოლოგიზაცია“. პირიქით, ეს არის ქართველ საბჭოთა ენათმეცნიერთა მწარე ყოველდღიურობა, მათი ცხოვრება.

არნოლდ ჩიქობავას ამ სახელმძღვანელოს ანალიზისას გ. კვარაცხელია წერს: მართალია, 1950 წლის ცნობილმა დისკუსიამ საბჭოთა ენათმეცნიერება სულის შემხუთავი ატმოსფეროსგან გაათავისუფლა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით 70-იან წლებამდე და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სახელმძღვანელოებს ეხებოდა, მათი დაბეჭდვისთვის აუცილებელი წინაპირობა იყო „იდეოლოგიური სიმტკიცე“, რომელიც ავტორებს უნდა გამოეჩინათ. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებს, იდეოლოგიზებულ პასაჟებს, პოლიტიკურ-ნომენკლატურულ ტრაფარეტებსა და სხვა. ეს იყო ერთგვარი რიტუალური იდეოლოგიზაცია, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში არავითარი კავშირი არ ჰქონდა სახელმძღვანელოს ძირითადი ტექსტის შინაარსთან,

მაგრამ გარეგნულად აკმაყოფილებდა მისი დაბეჭდვისათვის სავალდებულო პირობას. ეს, უწინარეს ყოვლისა, თეორიულ სახელმძღვანელოებს ეხებოდა, მათ შორის არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალსაც“, რომელიც უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი პროგრამით უნდა დამუშავებულიყო. ამით აიხსნება სტალინის ნაშრომების ხშირი ციტირება წიგნის მეორე თავში, რომელშიც განხილულია ენის საზოგადოებრივი არსის, მისი განვითარებისა და წარმოშობის საკითხები და მოცემულია ნიკო მარის მცდარი შეხედულებების კრიტიკა. ამის გარეშე სახელმძღვანელო ვერ გამოვიდოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ავტორს ჭეშმარიტებისათვის მაინც არ უღალატია. სტალინის პოზიცია მარის წინააღმდეგ მეცნიერულად დასაბუთებული და ეთიკურად გამართლებული იყო. კონიუქტურა ამ შემთხვევაში სიყალბეს არ მოითხოვდა“ (კვარაცხელია 2015:582-583). არნოლდ ჩიქობავას ამ სახელმძღვანელოში განსაკუთრებით კი განხილულ პარაგრაფებში დამოწმებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატები, ნამდვილად ვერ ჩაითვლება „პოლიტიკურ-ნომენკლატურულ ტრაფარეტებად“, რადგან ეს სახელმძღვანელო შექმნა იმ ავტორმა, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ნიკო მარის თეორიის საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიიდან ამოშლაში, სწორედ მის მოსაზრებებს დაუჭირა მხარი იოსებ სტალინმა. ასე რომ, 1951 წელს გამოსული „ენათმეცნიერების შესავალი“ მოჩვენებითი იდეოლოგიზაცია კი არა, ნამდვილი იდეოლოგიზაციაა. არნოლდ ჩიქობავა არსად არ მსჯელობს თვით ენობრივ დისკუსიაზე, მის წამოწყებაზე, განვითარებასა და შედეგებზე. დისკუსია ნახსნებიც კი არ არის, მაგრამ წიგნი მთლიანად მის შედეგებს ეფუძნება.

§2. 1950 წლის ენობრივი დისკუსიის შედეგები

1949 წელს, როცა გიორგი ახვლედიანმა ე. წ „თეზისები“ წარმოადგინა და ნიკო მარის სამეცნიერო მემკვიდრეობის ახლებურად ათვისება გადაწყვიტა, არნოლდ ჩიქობავას უკვე დაწერილი და ჩაბარებული ჰქონდა 1949 წლის აპრილში საქართველოს კომუნისტური პარტიის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებისთვის ორი წერილი: ნიკო მარის თეორიისა და თურქული ენობრივი თეორიის „გიუნეშ დილის“ შესახებ. ამას მოჰყვა კანდიდ ჩარკვიანის წერილი იოსებ სტალინისადმი. მართალია, 1946 წლიდან უკვე გააქტიურებულია სტალინთან ნიკო მარის თეორიის კრიტიკა, მაგრამ ეს ძალიან საიდუმლოდ ხდებოდა და ამის შესახებ გიორგი ახვლედიანმა არაფერი იცოდა. თეზისები, რომლებშიც იგი მსჯელობს მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების დამკვიდრებაზე, ნ. მარის ნაშრომთა ხელახალი ათვისება დასახელებულია, როგორც მარქსისტული ენათმეცნიერების დამკვიდრებისათვის ერთ-ერთი შესასრულებელი ამოცანა. „თეზისები“ არნოლდ ჩიქობავამ გააკრიტიკა და პირადად მის წინააღმდეგ მიმართულ დოკუმენტად ჩათვალა. თუმცა მიუხედავად კრიტიკისა, მარის შესწავლის საქმე, რომელიც ამ თეზისებით იყო გათვალისწინებული, მოწონებულია. გიორგი ახვლედიანი ამის საილუსტრაციოდ იმოწმებს ნაწყვეტს არნ. ჩიქობავას წერილიდან: „თეზისებს დართული აქვს ნ. მარის მემკვიდრეობის ათვისების კონკრეტული გეგმა 1950 წლისა; ეს გეგმა მიუთითებს ხუთ სამუშაოზე. მე სასურველად ვთვლი ეს სამუშაოები შესრულდეს.“[1]

1949 წელი ყველაზე მძიმე წელია ნიკო მარის თეორიის მიმდევრებსა და მის მოწინააღდეგეებს შორის ბრძოლის თვალსაზრისით. როგორც გიორგი ახვლედიანი წერს, ბევრს მარის თეორიის ნაკლოვანებებზე მსჯელობა მონანიებად დაუჯდა. „მე დავთანხმდი წამეკითხა ასეთი საზეიმო მოხსნე-


[1] თსუმ 9920:5

ბა მარის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე იმიტომ, რომ ასეთი მოხსენებით შემეძლო ამეცდინა ჩემი კოლექტივისა და ინსტიტუტისათვის ხიფათი, რომელიც მაშინ მარის ზეიმს მსხვერპლად სჭირდებოდა. უეჭველად მსხვერპლს ეძებდნენ მარისტები. ამას მოწმობდა, მაგალითად, აკად. ვინოგრადოვისა და სხვათა გამოსვლა „მონანიება“ Правда=სა და Культура и жизнь=ში მოცემული ხაზისა და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ცნობილი დადგენილების (1949წ. 21 ივლისი) მიხედვით.“ [1]


როგორც უკვე აღვნიშნეთ, არნოლდ ჩიქობავამ გიორგი ახვლედიანის თეზისებში დასახული მიზანი – ნიკო მარის ნაშრომები ათვისებულიყო მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით – ჩათვალა მისი სახელმძღვანელოების კრიტიკად და დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ აკად. ნ. მარის სახელობის ენის სამეცნიერო საბჭოს 1950 წლის 3 იანვრის სხდომაზე შეიქმნა სპეციალური სარეზოლუციო კომისია, რომელმაც მეორე დღესვე, 1950 წლის 4 იანვარს გამართა სხდომა გიორგი ახვლედიანის თეზისებსა და ჩიქობავას შენიშვნებს შორის მიმართების თაობაზე. თუ გავითვალისწინებთ გიორგი ახვლედიანს, როგორც მოძღვარსა და არნოლდ ჩიქობავას, როგორც დასამოძღვრს შორის ურთიერთობებს, არნოლდ ჩიქობავას ეჭვი არ უნდა შეჰპარვოდა მის მასწავლებელში, რომელმაც ჯერ, 1932 წელს ენათმეცნიერების სახელმძღვანელოს თანაავტორობის პატივი დასდო, შემდეგ კი მისი ყველა სახელმძღვანელოს უცვლელი რედაქტორი იყო. არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი ახვლედიანს შორის ურთიერთობებს 1949-1950 წლების მიჯნამდე კარგად გადმოსცემს არნოლდ ჩიქობავას წერილი მასწავლებლისადმი, რომელიც ახვლედიანის პირად არქივში ინახება: „ახლა ერთი რამ ბ. გიორგი. მე მაქვს სრულიად ნათელი განცდა, რომ არა მარტო ვარლამი, არამედ თქვენც

[1] თსუმ, 9916:2

არნოლდ ჩიქობავას პირადი წერილი გიორგი ახვლედიანს (ნაწყვეტი), გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი, თსუმ 1590/7:13



არნოლდ ჩიქობავას ღია წერილი,
გიორგი ახვლედიანის პირადი არქივიდან, თსუ მუზეუმი,
თსუმ 9917



1 (1)

ღია წერილი

ენის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ენ. ყაზ. ნ. ჩუბის. ორიოქ. ვ. ახვლედიანის.

ასი – ენის ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივან ამხ. ივ. ჯაფიაშვილის.

ქუთაისი, 29.XII.1949, სრიგან ამხ. ვ. ყაყოვა საყოველთაოთო წიგნში ხელის მოწერით ჩაბეჭდა თქვენი წერილი (მანანაძე ვალენტინ, N/10) შეთი შინაარსის:

„ა.წ. 28.XII დროს 12 საათზე დავიწყე მოსაუბრება თქვენი მოსწავლეების ზედ ჩემ მოსწრების „თემისთვის შესწავლა. ვთხოვდი დაესწროთ მოსაუბრებას. თქვენ ვერცა მოსაუბრებას დაესწრნენ „ვ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ვ. წერეთელი, ვალ. ფანიაძე, ივ. ჯაფიაშვილი, ივ. ქავთარაძე, ქ. ლომ— „თათიძე და ვ. ჩიქობავა.

„ასიან ძალიან ისინი, ვინც იცის ჩვენი „სიცრუეები"

„ლიტერატურა ვ. ახვლედიანი.

თქვენი წერილის ასასლებე მოვსწერე შემდეგ:

მე ვფიქრობდი ვით ჯ ვიმხედრის შესაძლებლობა რომ მქონდა, ვცდილ ყურადღებით ვიყო, ამეცვა თავებისთვის რომ მოვიდოდი: ჩემ ვიწყალებით თქვენი თხზულების შესწავლა ვ ვითხელით ჩემი მასწავლების, წერილობითი წარმენილი თქვენთვის, მოვსწავლებინათ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთვის (ჯ თანდართულ ვიწერილით, სადც თქვენი თხზულები იყო წარდგენილი).

თქვენ კი აწყობთ თათბირს, რომელზედაც რა რიგად მიწვეული სამეცნიერო საბჭოს წევრები: პროფ. ვ. ფუთაგ, პროფ. ს. ცოცხალ, პროფ. ილ. ჭყონიაძ, პროფ. ქ. ყაბაძე; რიგად მიწვეული თქვენ წერთ, „ძალიან ისინი, ვინც იცის ჩვენი „სიცრუეები".

სამწუხარო რიგითია სიცრუეები (რომ წიწერებში ჯ რომ წიწერების ვერის) ვ რომ ჭეშმარიტ მეცნიერ ვერც ერთვის საჭირო ჯ დასაწყები მეცნიერ „ენების მაშენ" (проблема языка, как предмет лингвистики 1941წ.) ჯ „ბოცვრ ენათმეცნიერებაში" (ტ. I ნ II).

ამ ჩემ შენიშვნებს ვ რიგის თავს რა ვიწყები ჯ რა ვიწყვ. ამ შენიშვნებისთვის ნარჩენად ვ ვრ ასახსნელებელი. ამ შენიშვნებს ვ ვიცავი ჯ ვიწყ. თუ ეიმიყარი შენიშვნები დავიცავ მათავარში.

ახალი რ რიგის ვრ ვიწყ, რომ წინათ ვ ვიწყი ამ შენიშვნებს ცალკეულ ყურადღებით ვ ნიშნავდი, ვწყ მაგრამ მაინ ვიწყვ თქვენგან, ასასლებელი წინასწარ.

ს/კ. ნიკეფორ მისაყვანში ყოფილან თქვენ გაყოლილები 1111 ჯვაშისა შვილ. ამდენად ჩვენც ასე. ცნობილ, რომ ჩვენში „Министерство иностранных дел“ ჯ ვინაცვალეთ. „будет выправлено“ (ეს გადმოგცათ ეს თქვენ თვითონ).[1]

ს/კ. 20 დეკემბერს ბათუმში თქვენ გაბარებდით ეს, რომ თქვენ ჭეშმარიტად ~~[illegible]~~ ის გასულიყვნენ, რომ ნ. ბარათ ხელოვანთან ერთ ინსტიტუტში მეუღლე ნინო (ვიდრე ლანდონში სამუშაოდ ჯერ გაგზავნილად ყუყუნელ ნ. ბარათ იყოველთვის თოხით.

ს/კ. 11 დეკემბერს გაეცანით ბიოგრაფიის ბერიაზე თქვენ ვინაცხადეთ ჩემი შეხვედრა წერილით შესახებ „ჩვენც თქვენ ამბობთ იყოველთვის თოხით შესახებ ~~[illegible]~~ ბერიაზე ლტოლვილად ჭეშმარიტად, მაგრამ ამაზე გაიარებდა ამაყობდა ან შეიძლება, ეს ან შეიძლება ვინმეთან ხანმოკლე „ჩვენ ბერიაზე“ ჯ ბიოგრაფიები ხელოვანის წერილი „ჩვენ ბერიაზე“

მოკლე ტელ; 12 დეკემბერს ერთ ინსტიტუტში თანამშრომელთა სამოგზაურო ვიზების თქვენ წერილებით თქვენი თეზისები, საკრავ წერია. ძირითადად ინფორმაციის ყველა გაეცანით იყოველთვის თოხით (ეს თეზისები თქვენ გვქონდა იყოლია ძირითადად ბიბლიოთეკა ძირითად ლეპიდარებს, კერძო ეროვნულ). თქვენ თეზისებში თქვენ არაფერია თქვით იმის შესახებ, თუ როგორ ყველა გაეცანით იყოველთვის თოხით ძირითად ინფორმაციის, რომელი იყოველთვის ხიდი ძირითადი ლეპიდარებ შეიძლება ~~[illegible]~~ ძირითად ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიებთან

თქვენ ბრძანეთ ის, რასაც ცენზურისგან- იყოველთვის ამბობენ.

თქვენ ასევე მიუხედავად, რომ თქვენი თეზისები შემოტანილია ჩემ წინააღმდეგ მეგობრ ამ ან მოსწრება სწავლობა — ფიზიკაც თუ წერილობით — ჩემი ფრთა ვერაფერია ერთ ინსტიტუტის თანამშრომელთა სამოგზაურო ვიზებზე, სადაც თქვენი თეზისები იყო ვინმეთანაც. თქვენ ან მოგვიანეთ სწავლობა წინააღმდეგ ვერ ეთეზისებ; ეჭვი ვიდრე: თქვენ ამაც გაგიმეორებთ ჩემთვის, რომ ასეთ თეზისებ ვერავი ჯ მისი ვინმეთანაც დანიშნული 12 დეკემბერს (თეზისები ~~[illegible]~~ ჩვენ ისიც ვიყავით სხდომაზე).

ამაც ერთ ინსტიტუტის ხელოვანთა სამეცნიერო უთანხმოება (თქვენი თეზისები — ინტერვიუ თანამშრომელთა სამოგზაურო ვიზებზე გაიარებდნენ ჯ მიეკუთვნებით ეს თეზისები, რომელიც ნაწილ ჩვენი შეხვედრებით — მეცნიერული- ტექნიკური ინფორმაციის თვალსაზრისით, — ასევე მიუხედავად სამოგზაურო- ჭიატრიული თვალსაზრისითაც.

12 დეკემბერს შეხვედრ თქვენ ან დაინახეთ სამსახურ ეს თეზისები ვინმეთან ჩემთან.

ჟიტომირ 20 დეკემბერს, რადგან ც.კ.კ.-ის პლენუმი ხვდ. ს. ჭიაურელი, რომელიც ატარებ ეს თეზისები გაიაზრებული, ან ვინმეთანხმებული იყო, თქვენ დამაბარეთ თქვენ ყანონების ჯ ვინმეთანაც ატარებ თეზისები. ამ ვინმეთან ეს თეზისების ვინმეთან ჩემ ჩემ ამისაგზავნად ჯ ვინმეთან ეს ჩემ მე- (24.XII.1949)

ეს ჩვენი ბიბლიოგრაფიული ბერიაზე ან დაინახეთ ერთ ინსტიტუტის მეგობრ ჯ ერთ- ჩვენ ბერიაზე მიუხედავად იყო, რომ ატარებ ვინმეთანხმებული ინფორმაციის ~~[illegible]~~ ს. ჭიაურელი ეს ჩემ ბიბლიოგრაფიული

3

სწორედ ამიტომაა [ასეთი] საჭირო, რომელიც ჩვენთვის ძვირად ღირს და რომელიც ჩინებულ ვარაუდებს ბადებს.

ამის ნათელყოფა ერთადერთი გზა საჭირო ცდების ჩატარებაა, რაც ჩვენ არ შეგვიძლია.

ჩვენ მიერ [ასეთი] საჭირო ცდების ჩატარების [შესაძლებლობა] ორ ფაქტორზეა დამოკიდებული:

1. ჩვენ მიერ [ასეთი] ცდების [ჩატარების] [შესაძლებლობა] დამოკიდებულია [ასეთი] საჭირო ნივთიერების [ხელმისაწვდომობაზე] (და ამჟამად [ასეთი] ნივთიერებების [ხელმისაწვდომობა] ძალიან შეზღუდულია, ვინაიდან ეს ნივთიერებები ძალიან ძვირადღირებულია).

2. [ასეთი] საჭირო ცდების ~~ჩატარების შესაძლებლობა~~ [ჩატარება] ჩვენ [ასევე] ძვირადღირებულ [ტექნიკაზე] - (ტექნიკაზე) [დამოკიდებული].

[ასეთი] საჭირო ცდების ჩატარება

28.XII.1949

სარეზოლუციო კომისიის სხდომის ოქმი, 1950 წლის 4 იანვარი, გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი, თსუმ 9914

აკად.ნ.მარის სახელობის ენის სამეცნიერო საბჭოს მიერ 1950 წლის 3 იანვრის სხდომაზე გამოყოფილი სარეზოლუციო კომისიის 1950 წლის 4 იანვრის სხდომის ოქმი.

დაესწრნენ: ე. უგნაძე, გ. ახვლედიანი, გ.წერეთელი, ს.ჯენჩი, ივ.გიგინეიშვილი

თავმჯდომარეობდა ე. უგნაძე
მდივნობდა ივ.გიგინეიშვილი

თავმჯდომარე საკითხს სვამს: საჭირო იქნება არნ.ჩიქობავას მოხსენება სხდომაზე თაკიდანვე, თუ კომისიამ დაიწყოს განხილვა და ა.ჩიქობავა საჭიროების შემთხვევაში იქნეს მოწვეული.

ს. ჯენჩი აცხადებს, რომ შეიძლებოდა გვემსჯელა ზოგიერთ საკითხზე წინასწარ, ხოლო არნ. ჩიქობავა შემდეგ მოწვეულიყო.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა განისაზღვროს, თუ რაზე ექნება კომისიას მსჯელობა, ხოლო არნ. ჩიქობავას მოწვევის საკითხი შემდგომ ამასთან იქნეს დაკავშირებული.

გ.წერეთელი: უნდა გაირკვეს მიზანი კომისიის მუშაობისა. კომისიას მასალა აქვს: არის გ. ახვლედიანის ნაშრომები, არნ. ჩიქობავას შენიშვნები ამ ნაშრომებზე და მისივე მეორე წერილი. მაგრამ, რადგანაც კომისია ოფიციალურად არის გამოყოფილი, საჭირო იქნებოდა კომისიისადმი ოფიციალური განცხადება ან მოხსენება, რომელსაც ის შეისწავლიდა, ანდა ამოწერილი. ეს საკითხი მეტად ნაადრევი არაა.

გ.ახვლედიანი: საქმის ვითარება ცნობილია. კომისიას დაევალა, შეისწავლოს დოკუმენტები და რეზოლუცია დაწეროს. ეს რეზოლუცია წარედგინება საბჭოს.

ს. ჯენჩი: საკითხი რამდენიმე დაისმის. არის დირექტორის ნაშრომები სწორი თუ არა, ან ვიღაცამ თუ არა ჩვენ მას. ამას მოჰყვება შენიშვნების განხილვა, სწორია ეს შენიშვნები თუ არა. ამის საფუძველზე

კომისია მიიღებს საბოლოო დასკვნებს.

გ. ახვლედიანი: კომისიის მიზანი უნდა იყოს რეზოლუციის გამოტანა.

ს. ჟღენტი: ჩვენ უნდა შევაჯამოთ საბჭოს სხდომის მუშაობა და სამეცნიერო საბჭოს რეზოლუციის პროექტი უნდა წარვუდგინოთ.

გ. წერეთელი: რეზოლუცია რის შესახებ გამოგვაქვს? რისთვისაა კომისია გამოყოფილი: კონფლიქტია ორ პიროვნებას შორის და ამ კონფლიქტის შესახებ ჩვენი აზრი უნდა შევიმუშავოთ, თუ უნდა წარვადგინოთ ჩვენი პრინციპული შეხედულებანი ენათმეცნიერების საკითხებზე.

გ.ახვლედიანი: აქ არავითარი კონფლიქტი არ არის. შემოსულია შენიშვნები. კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, სწორია თუ არა ეს. ენათმეცნიერულ საკითხებზე პრინციპულ კამათს ვერ გავმართავთ.

გ.წერეთელი: აქაც ორი საკითხი მეჩვენება: ერთია რეზოლუციის გამოტანა საბჭოს სხდომის შედეგების გარშემო, მეორეა დასკვნა იმის შესახებ, რამდენად სწორად ასახავს არნ. ჩიქობავას შენიშვნები გ.ახვლედიანის თეზისების შინაარსს. თუ უკანასკნელ საკითხს ვარჩევთ, არნ. ჩიქობავას შეუძლია პრეტენზია განაცხადოს: მოისმინეთ თეზისები, მისი კომენტარიებიც, ჩემგან კი მოისმინეთ მხოლოდ შენიშვნები, განმარტება კი არ მოგისმენიათ, რა უფლება გაქვთ დასკვნები გამოიტანოთ. ჩვენ ჯერ სხელობა არ გაგვემართა და მხოლოდ ორი დოკუმენტი გვქონდა, მაშინ ხანაბარი პირობები იქნებოდა.

გ. ახვლედიანი: ჩვენ დაგვაკისრეს მხოლოდ რეზოლუციის პროექტის შედგენა.

დ. უზნაძე: აქ რეზოლუციის დაწერა ძნელია. ეგების ვისმე დავავალოთ პროექტის შედგენა.

გ. ახვლედიანი: რეზოლუციის პროექტი კომისიამ უნდა შეადგინოს.

ს. ჟღენტი: დავიწყოთ საკითხების განხილვიდან. რამდენად არის გ.ახვლედიანის თეზისები მისაღები.

გ. ჩერეთელი: ეს ნიშნავს, რომ პრინციპული საკითხები გადავწყვიტოთ. ხომ შეიძლება ეს დეგისები აბსოლუტურად მიუღებელი იყოს ჩემთვის, მაგრამ კრიტიკა არ ნ. ჩვეულებისამებრ მიუღებელი იყოს ჩემთვის.

ს. ჟღენტი: ამის შესახებ საბჭომ უნდა იმსჯელოს, ენის ინსტიტუტის მიმართულებაგეა აქ ლაპარაკი. თუ დეგისები არ ვარგა, ამით საკითხები გადაწყდება. მე, მაგალითად, რამდენიმე საკითხში არ ვეთანხმები დეგისების ავტორს.

გ. ჩერეთელი: ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ ეს დეგისები. დეგისების შეფასება საჭიროა, მაგრამ სხვა ვითარებაში. ჩვენ ჩვენი შეხედულებები ამ პრობლემებზე შეიძლება გამოვაქვეყნოთ სულ სხვაგვარად.

ს. ჟღენტი: თუ არის საჭიროება დეგისებში, ეს ჩაჭერილი რეზოლუციაში. ჩვენ უნდა შევიტანოთ საბჭოში ჩვენი პროექტი, ვიბრძოლოთ თუ არა გ.ახვლედიანის დეგისებს.

გ. ჩერეთელი: ამ შემთხვევაში ითხოვდა ჩვენთანმა უნდა შეისწავლოს ეს დეგისები და ითხოვდეს შესახებ ჩვენი შეხედულებანი გამოვიქვეყნოთ წერილობით და შემდეგ ესენი შევუდარდოთ ერთმანეთს.

დ. უგნაძე: საბჭოს სხდომამდე ჩვენ დაგვჭირდა ამ საკითხის გადაწყვეტა. გამოდის, რომ კომისიაში ერთი აზრი არ იქნება, მაგრამ მაინც უნდა შევასრულოთ, რაც დაგვავალა საბჭომ.

გ. ახვლედიანი: კომისიამ რეზოლუცია უნდა შეადგინოს.

ს. ჟღენტი: როგორ გესმით თქვენ რეზოლუცია?

გ. ახვლედიანი: შევისწავლოთ სამივე დოკუმენტი და გამოვიტანოთ რეზოლუცია.

დ. უგნაძე: დავეყრდნოთ სხდომის მსჯელობას და აქ წარმოდგენილ დოკუმენტებს. მსჯელობა ხელახლა არ უნდა დავიწყოთ. უნდა დავემყაროთ არსებულ მასალას. დაგვჭირდება დოკუმენტების ხელახლა წაკითხვა.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა გ.ახვლედიანის ოქმისების I მუხლი და არნ.ჩიქობავას შენიშვნა.

გ.ახვლედიანი: არნ. ჩიქობავას შენიშვნა სრულიად მართებულია, მაგრამ ეს არ ეხება ჩემს ოქმისებს. ეს იგივეა, რაც არის ჩემთან, მაგრამ აქ დეტალიზებულია.

გ.ჩერქეზი: არნ. ჩიქობავას შენიშვნების II პუნქტის შესახებ გვარკვიოთ: ფაქტი მართალია თუ არა და მეორე, ახსნას რომ იძლევა, ჰქონდა ასეთი ახსნის საფუძველი მას თუ არა.

გ. ახვლედიანი: შენიშვნების II პუნქტი მესმის მე ასე: მე გამოვდიკარ მარქსიზმიდან, გადავდივარ ლენინ-სტალინის ეტაპზე და შემდეგ მასალაზე- მარზე. ნაციონალური ენების საკითხი და ზოგადი მსოფლიო ენის საკითხი -- ორი სხვადასხვა საკითხია, არაა მართალი, რომ ერთი საკითხი იყოს.

გ. ჩერქეზი: რატომ არ არის ენაზე დაპარაკი და ნაციონალურ ენებზე დაპარაკი?

გ.ახვლედიანი: იმიტომ, რომ ენა არის მხოლოდ ნაციონალური. ჩემს ოქმისებში დაპარაკია მეთოდოლოგიურ საკითხებზე და არა კონკრეტულ საკითხებზე.

გ.ჩერქეზი: შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ოქმისებში დაპარაკი ნაციონალურ ენების შესახებ და საერთო ენის შესახებ, რამდენადაც ეს საკითხები გვის მაჩვენებელი საკითხებია. გ. ახვლედიანის მეორე ოქმისში არსებითად იგივე საკითხია. მე მგონია, რომ არნ. ჩიქობავას პუნქტი არსებითად არ ეწინააღმდეგება ამას.

გ. ახვლედიანი: ზოგადად ჩემი აზრი წარმოდგენილი ?

გ.ჩერქეზი: ზოგადი რა ოქმა უნდა არაა, მაგრამ აქ დაპარაკია ზოგად პრინციპებზე, ხოლო როცა კონკრეტულ საკითხებზე გადადიხართ, მაშინ ნ.მარზეა დაპარაკი. ზოგადად სიტყვა შეიძლება არ შეეფერებოდეს ამ ოქმისებს. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთ საკითხზე რომ დაპარა-

კოვს გ.ახვლედიანი, ეს ფაქტია. სხვა საკითხია, როგორ ესმის ეს ავტორს და რით ხსნის ამას ჩიქობავა. აქვს თუ არა საფუძველი მას ახსნას. ამ ახსნას არ ვეთანხმები. ფაქტი სწორად აქვს ასახული მაგრამ ასეთი ახსნის საფუძველი მას არ ჰქონდა.

ს. ჯიქია: ახვლედიანის ნაშრომებში მართლაც ბევრადაა ნათქვამი მაგრამ ცუდს ამაში არაფერს ვხედავ. გამოუყენებია ერთი საკითხი. ორჯერ რომაა განმეორებული ეს გეცნობათ თვალში და ამის მიხედვით ა.ჩიქობავას ასეთი დასკვნის გამოტანა შეეძლო. რაც შეეხება ჩიქობავას მიერ მიცემის ახსნას, შეიძლება გ.ახვლედიანი არ ფიქრობდა ამას, მაგრამ ა. ჩიქობავას შეეძლო, ვფიქრობ, ასეთი დასკვნა გამოეტანა.

გ.ახვლედიანი – მე ნ.მარს სრულიად არ ვკუდისხმობდი.

ს.ჯიქია: მაშ თქვენ იმავე თვალსაზრისზე დგახართ, როგორზეც ა. ჩიქობავა.

გ. ახვლედიანი: თუ არ ნ.ჩიქობავას ეგონა, რომ მე მასთან ერთად მარის წინააღმდეგ ვიყვედი, ისევე ცდებოდა, როგორც ს.ჯიქია ცდება, როცა ამას ირწმუნებს.

გ. წერეთელმა ჩამოაყალიბა ასეთი წინადადება: ფაქტია, რომ გ.ახვლედიანის ნაშრომებში ირწმუნება ნაციონალური ენებისა და სავრცენების შესახებ. არნ. ჩიქობავას ჰქონდა ამისი ამოწმების საფუძველი. მაგრამ არნ. ჩიქობავას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი ეთქვა, რომ გ.ახვლედიანი მხოლოდ იმიტომ მიუთითებს ენინ-სტალინის მოსაზრებაზე, რომ ამ პუნქტში ნ.მარის დებულებები ხვდება ენინ-სტალინის დებულებებს. მით უმეტეს, რომ გ. ახვლედიანმა გაანალიზა და მისი მოხსენებიდანაც ირწმუნება, თუ რას გულისხმობდა ამ ნაშრომში.

გ.ახვლედიანი: ნაციონალური ენებისა და მსოფლიო ენების შესახებ ენინ-სტალინის მოსაზრებები მეორეს წარმოადგენს და არა საკითხს.

გ.წერეთლის წინადადებას დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი, გარდა გ.ახვლედიანისა. გ.ახვლედიანი: არნ.ჩიქობავას არ ჰქონდა უფლება ეთქვა, რომ მე დამავიწყდა ეს საკითხები. ეს ცილისწამებაა. მე

ცალკეულ საკითხებზე არ ვლაპარაკობდი, მე მეთოდზე მინდოდა მხოლოდ მიმეთითებინა.

ს. ჯუღელი: მე მოვითხოვ, რომ შევიდეს ოქმში: არნ. ჩიქობავას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ნ.მარის შეხედულებათა შესახებ განეცხადებინა, რომ მარის შეხედულებები კონტექსტის გარეშე ამოგდებულად ატეხული ხვედება ლენინ-სტალინის დებულებას.

ამის შემდეგ მსჯელობა გაიმართა არნ.ჩიქობავას შენიშვნების III პუნქტზე გ.ახვლედიანის I თეზისის შესახებ.

გ.წერეთელი: I თეზისი გ.ახვლედიანისა გულისხმობს ყველა იმ საკითხს, როგორიცაა ენის წარმოშობა, კლასობრივობა და სხვ., რამდენადაც ენის პრობლემებზე საერთოდ და იმაზე, რომ ეს საკითხები უნდა დამუშავდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. შეიძლებოდა გვთქვა, რომ ეს საკითხები არაა გამოყოფილი ცალკე, როგორც ნაციონალური ენებისა და მსოფლიო ენის საკითხია გამოყოფილი ცალკე. არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოთვლილი საკითხები შედის ამ მუხლში, მაგრამ მხოლოდ ერთია გამოყოფილი. ეს არ იძლეოდა საბაბს იმის თქმისას, რომ ახვლედიანის თეზისებში ეს საკითხები უგულვებელყოფილია.

გ. ახვლედიანი: მე არც ერთი საკითხი არა მაქვს გამოყოფილი, ლაპარაკი მაქვს მეთოდზე.

ს. ჯუღელი: სწორია.

გ. წერეთელი: ყველა ეს საკითხი იგულისხმება I თეზისში. არნ. ჩიქობავას დასკვნა არაა მართებული, რამდენადაც საქმე ეხება უგულვებელყოფას. მაგრამ არის მეორე მომენტი /.მითითება გ. ახვლედიანის IV თეზისებზე და შენიშვნა /.გ.ახვლედიანის თეზისების III პუნქტში გარკვევითაა ნათქვამი: მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა შესწავლაზე უნდა იყოს დაფუძნებული ნ.მარის შეხედულებათა გამოყენება. ამდენად, აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ გ.ახვლედიანი იაფეტური თეორიით მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის გაგრძელებას ენის შესახებ და არა პირუკუ.

გ. ახვლედიანი მოითხოვს შეტანილ იქნეს ოქმში, რომ არნ. ჩიქობავა არ არჩევს იაფეტურ თეორიას, ახალ მოძღვრებას ენის შესახებ და საჭიროა ენათმეცნიერებას.

შემდეგ გამოსარჩლა მსჯელობა არნ. ჩიქობავას შენიშვნების იმ მუხლის შესახებ, რომელშიც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ გ. ახვლედიანის შეხედულებანი არ განსხვავებულა სერიოზნისა და იაკოვლევის შეხედულებისაგან.

გ.ახვლედიანი: დებისებში არსად არაა ლაპარაკი სერიოზნკო-იაკოვლევის მოსაზრებათა შესახებ. არნ. ჩიქობავას აზრით, სერიოზნკო და იაკოვლევი ამბობენ, რომ მარის დებულებები უკრიტიკოდ უნდა მივიღოთ. მეც ამაში მდებს ბრალს. ეს არაა სწორი, რადგან მე არ ვიღებ უკრიტიკოდ ნ.მარის დებულებებს.

გ. წერეთელი: ჩვენ ვწყვეტთ მხოლოდ ერთ საკითხს: რამდენად გადმოსცემს არნ. ჩიქობავას შენიშვნები გ. ახვლედიანის აზრს. ეს უნდა აღვნიშნოთ ჩვენ. სერიოზნკო-იაკოვლევის საკითხი სხვა საკითხია. ამ თვალსაზრისით ამ პუნქტის შესახებ აღვნიშნოთ: სერიოზნკო-იაკოვლევის შეხედულებათა შესახებ და მათ შეხედულებებთან შეხამების შესახებ დებისებში ლაპარაკი არაა.

არნ. ჩიქობავას III შენიშვნაში აღნიშნულია, რომ გ.ახვლედიანის დებისებში მარქსიზმის ადგილს იჭერს იაფეტური თეორია. მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებები იზოლებულია მარის შეხედულებებით და ასე პირუკუ და რომ ამას პირდაპირ ამბობს მეხუთე დებისი. ამაზე კომისიის შეხედულება იხ. გემოთ. მაგრამ არნ. ჩიქობავას შენიშვნით, V დებისი მოითხოვს ამავე საფუძველზე შეიგნეს ენათმეცნიერების სახელმძღვანელო. კომისია საჭიროდ თვლის, აღინიშნოს, რომ გ. ახვლედიანის V დებისში ლაპარაკია მხოლოდ ზოგადად იმის შესახებ, რომ საჭიროა ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა, შეიგნეს ენათმეცნიერების საფუძვლების სახელმძღვანელოსი, რომელიც უპასუხებს საჭიროა ენათმეცნიერების მოთხოვნილებებს და არა იმის შესახებ, რომ იაფეტური თეორიის საფუძველზე შეიგნეს ასეთი

სახელმძღვანელო.

გ.ახვლედიანი : V დეზისი სხვა ჩემს დეზისებთან არავითარ კავშირში არაა.

გ.წერეთელი: თუ არწ. ჩიქობავას გაკვეთა IV დეზისისა სწორია, მაშინ სწორია V დეზისიც. ამდენად ამ პუნქტის შესახებ შეიძლებოდა არ ვიმსჯელოთ.

ს. ჟღენტი: მეც ასე მესმის. გ. წერეთლის შეხედულება სწორია. ამაზე სხდომა შეწყდა.

თავმჯდომარე / ე.უგნაძე /

მდივანი / ივ.გიგინეიშვილი /

სარეზოლუციო კომისიის სხდომის ოქმი, 1950 წლის 23 იანვარი, გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი, თსუმ 9915

აკად.ნ.მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 17 იანვრის სხდომაზე გამოყოფილი კომისიის 1950 წლის 23 იანვრის სხდომის ოქმი.

დაესწრნენ: ე. უგნაძე, ს. ჯენტი, ივ. გიგინეიშვილი

თავმჯდომარეობდა – ე. უგნაძე
მდივნობდა – ივ. გიგინეიშვილი

თავმჯდომარემ მოახსენა სხდომას, რომ აკად. ნ.მარის სახ. ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაავალა კომისიას, რომ მოეწვია არნ. ჩიქობავა, გაეცო მისი შენიშვნების კომისიისათვის გამოსაკვლევად დავალებული საკითხების და წარედგინა სამეცნიერო საბჭოსათვის რეზოლუციის საბოლოო პროექტი. ამ მიზნით ის დაელაპარაკა არნ. ჩიქობავას, მაგრამ გამოირკვა, რომ სხვა გადაუდებელი საქმეების გამო არნ. ჩიქობავას არ შეუძლია კომისიის სხდომაზე დასწრება ამჟამად. თავმჯდომარე საკითხს სვამს: კომისიამ ახლავე გამოიტანოს საბოლოო დასკვნა, თუ გადადებული იქნეს დასკვნის გამოტანა კიდევ.

კომისიამ ამ საკითხზე მსჯელობის შეჯამება დაადგინა: ალარ იქნეს განგრძობილი შემდგომი მსჯელობა ამ საკითხზე და წარედგინოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელისმოწერით აკად.ნ.მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინა კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი რეზოლუციისა.

თავმჯდომარე [illegible] / ე. უგნაძე/

მდივანი [illegible] / ივ.გიგინეიშვილი/

სარეზოლუციო კომისიის სხდომის ოქმი, 1950 წლის 17 იანვარი,
გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი,
თსუმ 9915 ხი-1397

აკად.ნ.მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 1950 წლის 3 იანვრის სხდომაზე გამოყოფილი სარეზოლუციო კომისიის 1950 წლის 17 იანვრის სხდომის ოქმი

დაესწრნენ: დ. უგნაძე, გ.ახვლედიანი, გ.წერეთელი, ს.ჟღენტი, ივ. გიგინეიშვილი


თავმჯდომარეობდა დ. უგნაძე
მდივნობდა ივ.გიგინეიშვილი

სხდომაზე მოსმენილ იქნა რეზოლუციის პროექტი.
პროექტის მუხლობრივ განხილვის შემდეგ კომისიამ დაადგინა პროექტი მიღებულ იქნეს და წარედგინოს აკად.ნ.მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

თავმჯდომარე / დ.უგნაძე/

მდივანი / ივ.გიგინეიშვილი/

სარეზოლუციო კომისიის დასკვნა, 1950 წლის 17 იანვარი, გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი, თსუმ 9915 ხი-1397




კომისიის დასკვნა.

4

[illegible] [illegible] [illegible] [

ნაწყვეტი გიორგი ახვლედიანის ახსნა-განმარტებიდან მის „თეზისებთან“ დაკავშირებით, 1950 წლის 9 ივლისი, გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი, თსუმ 9916



Дорогой Александр Александрович!

Спасибо за Ваше письмо. Очень рад, что Вы нашли время и желание ответить мне. Ваше письмо меня очень обрадовало, и я с нетерпением жду Вашего ответа на мое письмо, которое я послал Вам в начале июня. Надеюсь, что Вы получили его.

Я

გიორგი ახვლედიანის წერილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას, გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი

В ОТДЕЛ ПРОПАГАНДЫ И АГИТАЦИИ ЦК ВКП/б/.

Как известно, новые работы И.В.Сталина по вопросам языкознания создали новую эру в науке о языке и подняли марксистскую теорию на более высокую ступень. Одновременно в этих работах И.В.Сталина вскрыт недопустимый в науке зажим критики последователями "ученИя" Марра и тем созданы нормальные условия для дальнейшего подъема советского языковедения.

Однако на местах, во всяком случае в Грузии, это величайшее в науке событие обратили в источник серьёзных неприятностей и большой помехи работе [illegible] не только для бывших последователей учения Марра, но и для некоторых явных противников его.

В Тбилиси /пока что в Груз.АН и Госуд. ун-те имени Сталина/ идет жестокая публичная проработка не только бывших приверженцев акад. Марра, но и противников его, принявших те или иные меры предосторожности в период самого свирепого наступления "марровцев"в 1948-49 гг. /на страницах газ. "Правда" и "Культура и жизнь",в постановлениях АН СССР, в приказах Министерства высшего образования и т.д./.

И печально, но совершенно естественно, что страдают только члены партии, поскольку они, как и все советские граждане, имели основание, до появления работ И.В.Сталина, считать учение Марра приемлемым, но коммунисты имели основание считать для себя обязательным то, что писалось в партийной прессе и что вменялось в обязанность Министерством высшего образования и АН СССР.

Проработка бывших "марровцев" и лиц, "запятнавших" себя упомянутыми выше мерами предосторожности, превращается в публичную расправу с коммунистами со стороны беспартийных, в ряде случаев не отли-

чающихся своей честностью и сводящих личные счеты с ними. Такие собрания, естественно, привлекают громадную аудиторию. Имеем, конечно, удручающее зрелище и весьма напряженные настроения не только среди языковедов, но и широких масс интеллигенции, ибо создается впечатление, что ошибались только партийные, и ошибались только в отношении учения Марра, а не ошибались беспартийные.

Марр при жизни был в большем почете; после смерти память о нем чтилась тоже высоко; его "учение" внедрялось в школы всех ступеней около трёх десятилетий. Вся партийная наша пресса /даже в Грузии/, Министерство высшего образования, АН СССР идр. неизменно прпаганди-ровали его учение.

К нашему счастью, с выступлением товарища Сталина выяснилось все. И.В.Сталин вскрыл в "учении" Марра грубейшие ошибки, которые, вместе с зажимом критики, имели последствием застой в нашей науке.

Следует ли из этого, что должны пострадать довольно многочисленные кадры коммунистов языковедов, придерживавшихся указаний партийной прессы и правительства ?

Ни в какой степени этого не требует торжество замечательных языковедческих идей товарища Сталина.

Не было случая, чтобы партийная пресса отрицательно отнеслась к учению Марра. Наоборот: она поддерживала его всегда. /Вспомнить разгром антимарровской почти всецело партийной группировки "Языкофронт" в 30-х годах/.

Следовательно, поддерживалось учение Марра /или мы мирились с ним/ за неимением лучшего. Поэтому эпохальные работы товарища Сталина, указавшие советскому языковеду единственно правильный путь, одновременно изменили взгляд партийной прессы на "учение" Марра. Во всяком случае, вряд ли можно расценивать даже приверженность к учению Марра до появления работ И.В.Сталина, как провинность с какой бы то ни

было точки зрения.

Мне кажется, что даже в Грузии, откуда и пошло антимарровское движение и где руководящие органы неофициально более **или** менее поддерживали его еще до выступления И.В.Сталина, - даже здесь нельзя наказывать сегодня бывших последователей марровского учения только за то, что они были таковыми, не говоря уже о явных противниках учения Марра, осторожность которых демагогически расценивается, как приверженность к учению Марра.

А между тем я указал выше, что делается в Тбилиси, а может быть, и в других местах. ~~Непростительно думать, что данный момент требует~~ Недопустимо, чтобы в настоящее время применялись к ~~таким~~ каким-либо делам форм репрессий, ~~которые~~ применялись последователями "учения" Марра.

Далеко не полный и местами не точный отчет одной из таких кампаний дан в газ. "Заря востока" и "Комунисти" от 3-го октября 1950г.

Поэтому я полагаю, что, во избежание кривотолков в отношении линии партийной прессы и распоряжений правительства, желательно разъяснение ЦКВКП/б/.

Член ВКП/б/ с 1942г.
Д.чл. Груз.АН
Чл.-корресп. АН СССР
/Участник языковедческой дискуссии/
проф. Г.С.Ахвледиани

Т. Ахвледиани

6-X-50г.
Тбилиси

რძნობთ ჩემდა მომართ რაღაც უხერხულობას (თეორიული ბუნება). ეს თქვენებური სისათუთეა. ბ. გიორგი, არ დავმალავ, ძალიან საყვარელი საერთოდ, მაგრამ აქ – ზედმეტი სავსებით. თქვენში ეს მიყვარს, ბ. გიორგი, ძალიან მიყვარს, მაგრამ ახლა, ამ შემთხვევაში ოდნავ მწყინს: თქვენ მე არ მიცნობთ. მე ზოგიერთი ადამიანური ცოდვებისაგან სრულებით თავისუფალი ვარ (ამაოდიდების მოყვარულობისგან პირველ ყოვლისა: - მისგან გათავისუფლების გარეშე შინაგანი დამოუკიდებლობა ადამიანისა, - ის, რაც ყველაზე ძვირფასია – შეუძლებელი რამ არის, აკი ...)."[1] იმავე წერილში არნოლდ ჩიქობავა მადლობას უხდის თავის მასწავლებელს ფულის გაგზავნისთვის: „ფულისთვის ბ. გიორგი უზომო მადლობა, შეწუხებისათვის კი ბევრი ბოდიში. (ეს გაკლდათ და შეგემატათ საზრუნავი. სხვა გზა რომ ყოფილიყო, არ აგკიდებდით ამ ბარგს)."[2] ეს წერილი აჩვენებს, როგორი სიყვარული სუფევდა მოძღვარსა და დასამოძღვრს შორის. თუ ამას დავუმატებთ გიორგი ახვლედიანის გამოსვლას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების 1949 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე, რომლის სტენოგრამული ჩანაწერი გვარწმუნებს, რა დაუნდობლად მოითხოვდნენ პასუხს ენის ინსტიტუტის დირექტორისაგან არნოლდ ჩიქობავას შესახებ და როგორ ვერ ეგუებოდნენ იმ ფაქტს, რომ ნიკო მარის თეორიის მოწინააღმდეგე კვლავ მუშაობდა ამ ინსტიტუტში, ჰყავდა მოწაფეები და მიმდევრები, ხოლო გიორგი ახვლედიანი თავგამოდებით იცავდა მის ნასტუდენტარსა და თანაავტორს. ამ ფონზე არნოლდ ჩიქობავას არ უნდა ეეჭვიანა გიორგი ახვლედიანზე, მაგრამ იგი იცავდა იმ პოზიციას, რომელიც უკვე გამჟღვანებული ჰქონდა კომუნისტური პარტიის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში ჩაბარებულ წერილებში. არნ. ჩიქობავა ალბათ დარწმუნებული იყო, რომ ამ წერილებზე სტალინს ექნებოდა ისეთი რეაქცია,

[1] თსუმ 1590/7:1,3
[2] თსუმ 1590/7:3

როგორიც გამოხატა მან გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე. ამიტომ კანდიდ ჩარკვიანის სახელზე გაგზავნილი ფარული წერილები მან ღიად გაამაგრა გიორგი ახვლედიანის, როგორც „მარის თეორიის მომხრის“ წინააღმდეგ წერილობითი თუ ზეპირი გამოსვლებით. ქვემოთ დამოწმებული საარქივო მასალებიდან მკითხველი მიხვდება, რომ ლექტორისა და სტუდენტის ძველი სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემისაგან არაფერი არ დარჩენილა. ჩვენ ვიმოწმებთ მხოლოდ იმ საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც ინახება გიორგი ახვლედიანის პირად არქივში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში. ხელი არ მიგვიწვდება არნოლდ ჩიქობავას პირად ან სხვა რომელიმე არქივში დაცულ დოკუმენტებზე. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, სურათი ვერ აღვადგინოთ მთელი სიზუსტით, მაგრამ ტენდენცია და მოქმედების განვითარება აშკარად ჩანს. მაგალითად, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა არნოლდ ჩიქობავას შენიშვნებზე, რომლებიც მან წერილობითი სახით გამოხატა გიორგი ახვლედიანის „თეზისებზე“, მაგრამ რადგან კონკრეტულად ამ საკითხის გასარკვევად შექმნილი კომისია დასკვნაში იმოწმებს ციტატებს არნოლდ ჩიქობავას შენიშვნებიდან, წარმოდგენა გვექმნება, რა არ მოსწონდა გიორგი ახვლედიანის ნასტუდენტარსა და ყოფილ თანაავტორს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკად. ნ. მარის სახელობის ენის სამეცნიერო საბჭოს 1950 წლის 3 იანვრის სხდომაზე შეიქმნა სპეციალური სარეზოლუციო კომისია, რომელმაც მეორე დღესვე, 1950 წლის 4 იანვარს გამართა სხდომა გიორგი ახვლედიანის თეზისებსა და ჩიქობავას შენიშვნებს შორის მიმართების თაობაზე. ვიმოწმებთ სხდომის მონაკვეთებს შერჩევით.

აკად. ნ. მარის სახელობის ენის სამეცნიერო საბჭოს მიერ 1950 წლის 3 იანვარის სხდომაზე გამოყოფილი სარეზოლუციო კომისიის 1950 წლის 4 იანვრის სხდომის ოქმი

დაესწრნენ: დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი, ს. ჟღენტი, ივ. გიგინეიშვილი

თავმჯდომარეობდა დ. უზნაძე

მდივნობდა ივ. გიგინეიშვილი

გ. წერეთელი: უნდა გაირკვეს მიზანი კომისიის მუშაობისა. კომისიას მასალა აქვს: არის გ. ახვლედიანის თეზისები, არნ. ჩიქობავას შენიშვნები ამ თემაზე და მისივე მეორე წერილი. მაგრამ, რადგანაც კომისია ოფიციალურად არის გამოყოფილი, საჭირო იქნებოდა კომისიისათვის ოფიციალური განცხადება ან მოხსენება, რომელსაც ის შეისწავლიდა, ან ოქმის ამონაწერი. ეს საკითხი ნათელი არაა.

ს. ჟღენტი: საკითხი დაისმის. არის დირექტორის თეზისები სწორი თუ არა, ან ვიღებთ თუ არა ჩვენ მას. ამას მოჰყვება შენიშვნების განხილვა, სწორია ეს შენიშვნები თუ არა. ამის საფუძველზე კომისია მიიღებს სათანადო დასკვნებს.

გ. ახვლედიანი: კომისიის მიზანი უნდა იყოს რეზოლუციის გამოტანა.

გ. წერეთელი: რეზოლუცია რის შესახებ გამოგვაქვს? რისთვისაა კომისია გამოყოფილი: კონფლიქტია ორ პიროვნებას შორის და ამ კონფლიქტის შესახებ ჩვენი აზრი უნდა შევიმუშაოთ, თუ უნდა წარვადგინოთ ჩვენი პრინციპული შეხედულებანი ენათმეცნიერების საკითხებზე.

გ. ახვლედიანი: აქ არავითარი კონფლიქტი არ არის. შემოსულია შენიშვნები. კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, სწორია თუ არა ეს. ენათმეცნიერულ საკითხებზე პრინციპულ კამათს ვერ გავმართავთ.

ს. ჟღენტი: დავიწყოთ საკითხების განხილვიდან. რამდენად არის გ. ახვლედიანის თეზისები მისაღები.

გ. წერეთელი: ეს ნიშნავს, რომ პრინციპული საკითხები გადავწყვიტოთ. ხომ შეიძლება ეს თეზისები აბსოლუტურად მიუღებელი იყოს ჩემთვის, მაგრამ კრიტიკა არნ. ჩიქობავასი აგრეთვე მიუღებელი იყო ჩემთვის.

ს. ჟღენტი: ამის შესახებ საბჭომ უნდა იმსჯელოს, ენის ინსტიტუტის მიმართულებაზეა აქ ლაპარაკი. თუ თეზისები არ ვარგა, ამით საკითხები გადაწყდება. მე, მაგალითად, რამდენიმე საკითხში არ ვეთანხმები თეზისების ავტორს.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა გ. ახვლედიანის თეზისების I მუხლი და არნ. ჩიქობავას შენიშვნა.

გ. ახვლედიანი: არნ. ჩიქობავას შენიშვნა სრულიად მართებულია, მაგრამ ეს არ ეხება ჩემს თეზისებს. ეს იგივეა რაც არის ჩემთან, მაგრამ აქ დეტალიზებულია.

გ. წერეთელი: არნ. ჩიქობავას შენიშვნების II პუნქტის შესახებ გავარკვიოთ: ფაქტი მართლია თუ არა და მეორე, ახსნას რომ იძლევა, ჰქონდა ასეთი ახსნის საფუძველი მას თუ არა.

გ. ახვლედიანი: შენიშვნების II პუნქტი მესმის მე ასე: მე გამოვდივარ მარქსიზმიდან, გადავდივარ ლენინ-სტალინის ეტაპზე და შემდეგ მასალაზე - მარზე. ნაციონალური ენების საკითხი და ზოგადი მოფლიო ენის საკითხი - ორი სხვადასხვა საკითხია, არაა მართალი, რომ ერთი საკითხი იყოს.

გ. წერეთელი: რატომ არ არის ენაზე ლაპარაკი და ნაციონალურ ენებზეა ლაპარაკი?

გ. ახვლედიანი: იმიტომ, რომ ენა არის მხოლოდ ნაციონალური. ჩემს თეზისებში ლაპარაკია მეთოდოლოგიურ საკითხებზე და არა კონკრეტულ საკითხებზე.

გ. წერეთელი: შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თეზისებში ლაპარაკი ნაციონალურ ენების შესახებ და საერთო ენის შესახებ, რამდენადაც ეს საკითხები გზის მაჩვენებელი საკითხებია. გ. ახვლედიანის მერე თეზისში არსებითად იგივე საკითხია. მე მგონია, რომ არან. ჩიქობავას პუნქტი არსებითად არ ეწინააღმდეგება ამას.

გ. ახვლედიანი: ზოგადადაა ჩემი აზრი წარმოდგენილი?

გ. წერეთელი: ზოგადი რა თქმა უნდა არაა, მაგრამ აქ ლაპარაკია ზოგად პრინციპებზე, ხოლო როცა კონკრეტულ საკითხებზე გადადიხართ, მაშინ ნ. მარზეა ლაპარაკი. ზოგადად სიტყვა შეიძლება არ შეეფერებოდეს ამ თეზისებს. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთ საკითხზე რომ ლაპარაკობს გ. ახვლედიანი, ეს ფაქტია, როგორ ესმის ეს ავტორს და რით ხსნის ამას ჩიქობავა, აქვს თუ არა საფუძველი მის ახსნას. ამ ახსნას არ

ვეთანხმები. ფაქტი სწორად აქვს აღნიშნული მაგრამ ასეთი ახსნის საფუძველი მას არ ჰქონდა.

ს. ჟღენტი: ახვლედიანის თეზისებში მართლაც ზოგადადაა ნათქვამი, მაგრამ ცუდს ამაში არაფერს ვხედავ. გამოყოფილია ერთი საკითხი. ორჯერ რომაა განმეორებული ეს გეცემათ თვალში და ამის მიხედვით ა. ჩიქობავას ასეთი დასკვნის გამოტანა შეეძლო. რაც შეეხება ჩიქობავას მიერ მიზეზის ახსნას, შეიძლება გ. ახვლედიანი არ ფიქრობდა ამას, მაგრამ ა. ჩიქობავას შეეძლო, ვფიქრობ, ასეთი დასკვნა გამოეტანა.

გ. ახვლედიანი - მე ნ. მარს სრულიად არ ვგულისხმობდი.

ს. ჟღენტი: მაშ თქვენ იმავე თვალსაზრისზე დგახართ, როგორზედაც ა. ჩიქობავა.

გ. ახვლედიანი: თუ არნ. ჩიქობავას ეგონა, რომ მე მასთან ერთად მარის წინააღმდეგ წავიდოდი, ისევე ცდებოდა, როგორც ს. ჟღენტი ცდება, როცა ამას ლაპარაკობს.

გ. წერეთელმა ჩამოაყალიბა ასეთი წინადადება: ფაქტია, რომ გ. ახვლედიანის თეზისებში ლაპარაკია ნაციონალური ენებისა და საერთო ენის შესახებ. არნ. ჩიქობავას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი ეთქვა, რომ გ. ახვლედიანი მხოლოდ იმიტომ მიუთითებს ლენინ-სტალინის მოძღვრებაზე, რომ ამ პუნქტში ნ. მარის დებულებები ხვდება ლენინ-სტალინის დებულებებს. მით უმეტეს, რომ გ. ახვლედიანმა განმარტა და მისი მოხსენებებიდანაც გამოირკვა, თუ რას გულისხმობდა ამ თეზისში.

გ. ახვლედიანი: ნაციონალური ენებისა და მსოფლიო ენების შესახებ ლენინ-სტალინის შეხედულებები მეთოდს წარმოადგენს და არა საკითხს.

გ. წერეთელის წინადადებას დაეთანხმა კომისიის ყველა წევრი, გარდა გ. ახვლედიანისა. გ. ახვლედიანი: არნ. ჩიქობავას არ ჰქონდა უფლება ეთქვა, რომ მე დამავიწყდა ეს საკითხები. ეს ცილისწამებაა. მე ცალკეულ საკითხებზე არ ვლაპარაკობდი, მე მეთოდზე მინდოდა მხოლოდ მიმეთითებინა.

ს. ჟღენტი: მე მოვითხოვ, რომ შევიდეს ოქმში: არნ. ჩიქობავას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ნ. მარის შეხედულებათა შესახებ განეცხადებინა, რომ მისი შეხედულებები კონტექსტის გარეშე ამოგლეჯილად აღებული ხვდება ლენინ-სტალინის დებულებებს.

ამის შემდეგ მსჯელობა გაიმართა არნ. ჩიქობავას შენიშვნების III პუნქტზე გ. ახვლედიანის I თეზისის შესახებ.

გ. წერეთელი: I თეზისი გ. ახვლედიანისა გულისხმობს ყველა იმ საკითხს, როგორიცაა ენის წარმოშობა, კლასობრიობა და სხვ., რამდენადაც ლაპარაკია ენის პრობლემებზე საერთოდ და იმაზე, რომ ეს საკითხები უნდა დამუშავდეს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეს საკითხები არაა გამოყოფილი ცალკე, როგორც ნაციონალური ენებისა და მსოფლიო ენის საკითხია გამოყოფილი ცალკე. არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოთვლილი საკითხები შედის ამ მუხლში, მაგრამ მხოლოდ ერთია გამოყოფილი. ეს არ იძლეოდა საბაბს იმის თქმისას, რომ ახვლედიანის თეზისებში ეს საკითხები უგულვებელყოფილია.

გ. ახვლედიანი: მე არც ერთი საკითხი არა მაქვს გამოყოფილი, ლაპარაკი მაქვს მეთოდზე.

ს.ჟღენტი: სწორია.

გ. წერეთელი: ყველა ეს საკითხი იგულისხმება I თეზისში. არნ. ჩიქობავას დასკვნა არაა მართებული, რამდენადაც საქმე ეხება უგულვებელყოფას. მაგრამ არის მეორე მომენტი (მითითება გ. ახვლედიანის IV თეზისებზე და შენიშვნა). გ. ახვლედიანის თეზისების III პუნქტში გარკვევითაა ნათქვამი: მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა შესწავლაზე უნდა იყოს დაფუძნებული ნ. მარის შეხედულებათა გამოყენებაო. ამდენად, აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ გ. ახვლედიანი იაფეტური თეორიით მოითხოვს მარქსიზმ-ლემიმიზმის გაზომვას ენის შესახებ და არა პირუკუ.

გ. ახვლედიანი მოითხოვს შეტანილ იქნეს ოქმში, რომ არნ. ჩიქობავა არ არჩევს იაფეტურ თეორიას, ახალ მოძღვრებას ენის შესახებ და საბჭოთა ენათმეცნიერებას.

შემდეგ გაიმართა მსჯელობა არნ. ჩიქობავას შენიშვნების იმ მუხლის შესახებ, რომელშიც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ გ. ახვლედიანის შეხედულებანი არ განსხვავდებოდა სერდიუჩკოსა და იაკოვლევის შეხედულებებისაგან.

გ. ახვლედიანი: თეზისებში არსად არაა ლაპარაკი სერდიუჩკო-იაკოვლევის მოსაზრებათა შესახებ. არნ. ჩიქობავას აზრით, სერდიუჩკო და იაკოვლევი ამბობენ, რომ მარის დებულებები უკრიტიკოდ უნდა მივიღოთო. მეც ამაში მდებს ბრალს. ეს რაა

სწორი, რადგან მე არ ვიღებ უკრიტიკოდ ნ.მარის დებულებებს.

გ. წერეთელი: ჩვენ ვწყვეტთ მხოლოდ ერთ საკითხს: რამდენად გადმოსცემს არნოლდ ჩიქობავას შენიშვნები გ. ახვლედიანის აზრს. ეს უნდა აღვნიშნოთ ჩვენ. სერდიუჩენკო-იაკოვლევის საკითხი სხვა საკითხია. ამ თვალსაზრისით ამ პუნქტის შესახებ და იმათ შეხედულებებთან შეხამების შესახებ თეზისებში ლაპარაკი არაა.

არნ. ჩიქობავას III შენიშვნაში აღნიშნულია, რომ გ. ახვლედიანის თეზისებში მარქსიზმის ადგილს იჭერს იაფეტური თეორია. მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებები იზომება მარის შეხედულებებით და არა პირუკუ და რომ ამას პირდაპირ ამბობს მეხუთე თეზისი. ამაზე კომისიის შეხედულება იხ. ზემოთ. მაგრამ არნ. ჩიქობავას შენიშვნებით, V თეზისი მოითხოვს ამავე საფუძველზე შედეგს ენათმეცნიერების სახელმძღვანელო. კომისია საჭიროდ თვლის, აღინიშნოს, რომ გ. ახვლედიანი V თეზისში ლაპარაკია მხოლოდ ზოგადად იმის შესახებ, რომ საბჭოთა ენათმეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა, შედგენა ენათმეცნიერების საფუძვლების სახელმძღვანელოსი, რომელიც უპასუხებს საბჭოთა ენათმეცნიერების მოთხოვნილებებს და არა იმის შესახებ, რომ იაფეტური თეორიის საფუძველზე შედგეს ასეთი სახელმძღვანელო.

გ. ახვლედიანი: V თეზისი სხვა ჩემს თეზისებთან არავითარ კავშირში არაა.

გ. წერეთელი: თუ არნ. ჩიქობავას გაგება IV თეზისისა სწორია, მაშინ სწორია V თეზისიც. ამდენად ამ პუნქტის შესახებ შეიძლება არ ვიმსჯელოთ.

ს. ჟღენტი: მეც ასე მესმის. გ. წერეთლის შეხედულება სწორია.

ამაზე სხდომა შეწყდა.

თავმჯდომარე (დ. უზნაძე)
მდივანი (ივ. გიგინეიშვილი)

ამ სხდომის შემდეგ სპეციალურად მოიწვიეს არნოლდ ჩიქობავა, მაგრამ იგი სხდომაზე არ გამოცხადდა. გიორგი ახვლედიანს თავიდან აკვირვებდა, რატომ უშლიდა არნოლდ

ჩიქობავა ხელს თავის საყვარელ მასწავლებელს, გაეტარებინა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკა საქართველოში, რაც თანამდებობრივად მოეთხოვებოდა მას. აკად. ნ. მარის სახელობის ენის სამეცნიერო საბჭოს 1950 წლის 3 იანვრის სხდომაზე შექმნილმა სპეციალური სარეზოლუციო კომისიამ იმუშავა, ერთმანეთს შეუდარა გიორგი ახვლედიანის თეზისები და არნოლდ ჩიქობავას შენიშვნები და დაადგინა, რომ ახვლედიანს მიზნად არ ჰქონდა ჩიქობავას წინააღდეგ გალაშქრება. ვიმოწმებთ კომისიის დასკვნიდან რამდენიმე მნიშვნელოვან მონაკვეთს:

„გ. ახვლედიანის თეზისებში, მართალია, ლაპარაკია ნაციონალური ენებისა და საერთო მსოფლიო ენის შესახებ, მაგრამ არნ. ჩიქობავას არ ჰქონდა საფუძველი დაეშვა, რომ გ. ახვლედიანი მხოლოდ იმიტომ მიუთითებს ლენინ-სტალინიზმის მოძღვრებაზე ამ საკითხის შესახებ, რომ ამ პუნქტში ნ. მარის დებულებებით ხვდება ლენინ-სტალინის დებულებებს. მით უმეტეს, რომ მის მიერ წაკითხული მოხსენებიდან გამოიკვეთა, რომ ხსენებულ თეზისებში აღნიშნული საკითხი (მოძღვრება ლენინ-სტალინისა ნაციონალურ ენათა და მსოფლიო ენების შესახებ) უნდა გამოყენებულ იქნეს, როგორც მეთოდი ენათმეცნიერული მუშაობისათვის.“

„ჩიქობავა შენიშვნებში წერს: თქვენს თეზისებში მარქსიზმის ადგილს იჭერს იაფეტური თეორია, მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებები იზომება ნ. მარის შეხედულებებით და არა პირუკუ“... თეზისები არაა სწორი მეცნიერულად – მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების თვალსაზრისით, - არაა მისაღები საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც.“

„კომისიის აზრით, ახვლედიანის თეზისების III პუნქტში ნათქვამია, რომ ნ. მარის შეხედულებათა გამოყენება მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა შესწავლაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამდენად, არაა საფუძველი დავასკვნათ, რომ გ. ახვლედიანი იაფეტური თეორიის გაზომვას მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებების გაზომვით და არა პირუკუ.“

„არნ. ჩიქობავას შენიშვნების V პუნქტში ნათქვამია: „თქვენი თეზისები სავსებით ემთხვევა სერდიუჩენკო-იაკოვლევის თვალსაზრისს: თქვენს თეზისებში არ მოიპოვება არც ერთი დებულება, რომელზედაც სერდიუჩენკო-იაკოვლევს უყოყმანოდ არ შეეძლოთ

ხელის მოწერა.“ კომისიის დასკვნით, სერდიუჩენკო-იაკოვლევის შეხედულებათა შესახებ და იმათ შეხედულებათა შეხამების შესახებ გ. ახვლედიანის თეზისებში ლაპარაკი არაა.“

„არნ. ჩიქობავას წერილში ახვლედიანის მიმართ ნათქვამია: „თქვენი თეზისები მიმართულია ჩემ წინააღმდეგ“. კომისიის დასკვნით, გ. ახვლედიანის თეზისებში არნ. ჩიქობავას ნათმეცნიერული შეხედულებების შესახებ სრულებით არაფერია ნათქვამი.“

კომისიის ეს დასკვნა სპეციალურად წაიკითხეს ენის ინსტიტუტის სხდომაზე 1950 წლის 13 თუ 17 იანვარს. მკითხველი, ნახავს, რომ ძნელი დასადგენია, რომელია გადახაზული 3 თუ 7.

არნოლდ ჩიქობავას შენიშვნებში ხშირად მოხსენიებული სერდიუჩენკო და იაკოვლევი, სწორედ მარის იდეათა მიმდევრები იყვნენ და ძალაც ჰქონდათ, გაეტარებინათ თავისი აზრი მთლიანად საბჭოთა ენათმეცნიერებაში. სწორედ მათი შეტევისაგან იცავდა გიორგი ახვლედიანი არნოლდ ჩიქობავას სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომაზე. „პრავდაში“ დისკუსიის დაწყების შემდეგ გიორგი ახვლედიანისთვის აშკარა გახდა, რომ იაფეტური თეორიის დამხობა ი. სტალინს უკვე 1949 წელს ჰქონდა ჩაფიქრებული და ამის შესახებ მეცნიერებათა აკადემიის არც ერთმა რგოლმა არაფერი არ იცოდა. ამის გამო თანამდებობიდან განთავისუფლება ითხოვა და ამ საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე წერილში მისი „დანაშაული“ ახსნა საქმის არცოდნით, რადგან არნოლდ ჩიქობავასაგან განსხვავებით, მან არ იცოდა, რა ფარული გადაწყვეტილება მიიღო სტალინმა ნიკო მარის იაფეტურ თეორიაზე. გიორგი ახვლედიანი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „დეკემბრიდან მაისამდე (იგულისხმება 1949 წლის დეკემბრიდან 1950 წლის მაისამდე პერიოდი, - თ.ბ.) მე დეზორიენტირებული ვიყავ, შესაძლოა, ჩემი მიუხვედრელობის გამო. არნოლდ ჩიქობავასთან ერთად ბევრმა იცოდა, რომ მზადდებოდა დიდი საქმე მარის თეორიისაგან განთავისუფლებისა; იცოდნენ უპარტიოებმაც. მე კი, პარტიის წევრმა და ენის ინსტიტუტის დირექ-

ტორმა, ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგემ და უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგემ, მაშასადამე, საქართველოში ენათმეცნიერებისათვის ოფიციალურმა პასუხისმგებელმა არაფერი ვიცოდი. ეს ჩემი გულისტკივილი მე მოვახსენე ამხ. კანდიდს 11 თუ 12 მაისს"...„ ამხ. არნ. ჩიქობავას, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა სცოდნოდა მარის თეორიის ლიკვიდაციისთვის დასახული გეგმის დეტალები, უფლება ჰქონდა (და მოვალეც იყო) გაეკრიტიკებინა ჩემი სამოსკოვო თეზისები, მაგრამ საქმის მოგვარება ადვილად შეიძლებოდა." ასეთ ახსნა-განმარტებებს გ. ახვლედიანმა მოაყოლა განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ეს საარქივო დოკუმენტი ნაკლულია. მას აკლია პირველი გვერდი:

„როცა თეზისები იწერებოდა, იმავე დროს მზადებოდა ჩვენს მიერ (მაშინ ერთსულოვნად) დარტყმა პლაგიატორ სერდიუჩენკო-იაკოვლევისათვის, რის შესახებაც მოვახსენე, ვისაც ჯერ არს თქვენი თანდასწრებით.

ცნობილია, თუ როგორ დაამუშავეს ჩემი თეზისები მარის მომხრეებმა მოსკოვში (მე არ დავსწრებივარ), მაგრამ ორგანიზაციული შედეგები არ მოჰყოლია. ამდენად, თეზისებმა მიზანს მიაღწია. ეს იყო დეკემბერში. იმ ხანიდან მაისამდე მე დეზორიენტირებული ვიყავ, შესაძლოა, ჩემი მიუხვედრელობის გამო. არნოლდ ჩიქობავასთან ერთად ბევრმა იცოდა, რომ მზადდებოდა დიდი საქმე მარის თეორიისაგან განთავისუფლებისა; იცოდნენ უპარტიოებმაც. მე კი, პარტიის წევრმა და ენის ინსტიტუტის დირექტორმა, ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგემ და უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგემ, მაშასადამე საქართველოში ენათმეცნიერებისათვის ოფიციალურმა პასუხისმგებელმა არაფერი ვიცოდი. ეს ჩემი გულისტკივილი მე მოვახსენე ამხ. კანდიდს 11 თუ 12 მაისს თქვენი თანდასწრებით.

ასეთ პირობებში ბუნებრივი იყო, რომ ა. ჩიქობავას და მას, ვინც საქმეში ორიენტირებული იყო, ჩემი თეზისები საეჭვოდ მოსჩვენებოდათ. მე კი მაოცებდა მათი ასეთი საქციელი. უნივერსიტეტში „ახალი ენათმოძღვრება" იკითხება, როგორც სავალდებულო საგანი. განა ასეთივე ბუნებრივი არ იყო, რომ მე

შეცდომები ჩამედინა? განა სხვაზე ნაკლებად შემეძლო მარის ზოგადენათმეცნიერული თეორია გამეკრიტიკებინა შედარებითი ენათმეცნიერების სასარგებლოდ? მე ვფიქრობ, რომ ეს კარგადაა დამტკიცებული ჩემს სადისკუსიო სტატიაში (Правда=ში).

... მე, რომელიც მთელი ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე სიტყვით (მაგ. ლექციებში) თუ საქმით ვებრძოდი მარის უნაყოფო თეორიას (ეს სიტყვები დაწერილია ჩემს მიერ ერთი წლის წინ, რაც იცის ზემდგომმა ორგანომ), დამბრალდა ამ თეორიის მომხრეობა (მარისას ვეთანხმებოდი მხოლოდ ხელის ენის თეორიას, რომლის შესახებაც დაბეჭდილი მაქვს რუსულ გაზეთში). მე რომ მას ვებრძოდი, ეს კარგად იცის ყველამ, ვისაც უსმენია ჩემი ლექციები და ვინც კი იცნობს ა. ჩიქობავას ზოგადენათმეცნიერულ წიგნებს, რომელთა მუდმივი რედაქტორი მე ვიყავი. მაშასადამე, ა. ჩიქობავამ ეს ყველაზე უკეთ იცოდა. უნივერსიტეტის საბჭოში ორჯერ დამამუშავეს ამ წიგნების რედაქტორობისათვის. ეს კი მართალია, რომ ჩემს საკუთარ კვლევა-ძიებაში მარის თეორიას მე არ ვეხებოდი - ჩემი ძირითადი სპეციალობის ხასიათის გამო.

მე რომ ეს ვერ ვიგრძენი, ამაში მე დანაშაული ვარ – უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე. ასეთ პირობებშიც შესაძლოა არ ჩამედინა შეცდომები, რომ ა. ჩიქობავასა და ჩემს შორის ზოგიერთ უპასუხისმგებლო თანამშრომელს არ გაეღვივებია არაპრინციპიალური უთანხმოება, არნ. ჩიქობავა უთუოდ გამაფრთხილებდა, ვფიქრობ, თეზისების გარეშე დაწყებული უთანხმოების მიუხედავად.

ც. კ. ბიუროში სრულიად მოულოდნელი კამათისას მე არ მქონდა შესაძლებლობა მეთქვა არც ეს და არც მრავალი სხვა, რაც ჩემს სასარგებლოდ მეთქმოდა (მაგ. ის, რომ ჩემი თეზისები არ ასახულა სამეცნ. თემატიკურ გეგმებში სათანადოდ. კამათი შეეხო ისეთ უმნიშვნელო დოკუმენტს, რომელიც რაღაც გზით ხელთ უგდია არნ. ჩიქობავას კანცელარიიდან.

კიდეც რომ მეთქვა ყველაფერი, ვფიქრობ, ვერ შესცვლიდა იმ მართებულ დასკვნას, რომელიც გამოიტანა კამათში თქმულიდან ამხ. კანდიდ ჩარკვიანმა ჩემს შესახებ.

მე, რომელსაც თითქმის ორმოცი წელი მიშრომია ჩემი ერისთვის უამრავი კადრების აღზრდაზე, მრავალი შრომის დაწერაზე და რიგი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმის

პირნათლად შესრულებაზე, - მრცხვენია თვალი გავუმართო ჩვენი რესპუბლიკის მმართველსა და წამყვან ამხანაგებს, რომელთა გულისწყრომისა თუ დაცინვის ობიექტად ვიქეცი ჩემთვის მოულოდნელად 6 ივლისს ც. კ. ბიუროს სხდომაზე, სადაც ალბათ, აღარ მექნება შემთხვევა მომზადებული წარვსდგე.

ზემოთქმულიდან ჩანს, თუ ვის მიუძღვის დანაშაული ჩემთან ერთად ენის ინსტიტუტის არევ-დარევაში. თუ როგორ დაიწყო ჩვენს შორის უთანხმოება, ეს კარგად მოეხსენება ამხ. ვ. კუპრაძეს. მართალია, მასთანაა დაკავშირებული, მაგრამ არა თეზისების საფუძველზე.

ყოველივე ამის გამო ვთხოვ კომისიას დასვას საკითხი ჩემი განთავისუფლების შესახებ როგორც ენის ინსტიტუტის დირექტორობიდან, ისე ამავე ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგეობიდან, რადგანაც ინსტიტუტში მუშაობა მე აღარ შემიძლია – მეტადრე იმ თანამშრომლებთან, რომელნიც ამწვავებდნენ ისედაც მძიმე მდგომარეობას ინსტიტუტში სიტყვის მიტან-მოტანით და ზოგჯერ უწესო საჯარო საქციელითა და გამოსვლებით.

ჩემი შეცდომების აღიარებისა და ინსტ-დან განთავისუფლების თხოვნის შემდეგ, ვფიქრობ, საჭირო აღარ იქნება კომისიის სხდომაზე ჩემი დასწრება.

9/VII-50წ. გ. ახვლედიანი[1]

გიორგი ახვლედიანს დიდხანს დასჭირდა ბრძოლა, რომ მოეშორებინა „მარისტის“ საშიში იარლიყი. როგორცა ჩანს, მის საქმეს ბევრი კომისია სწავლობდა როგორც ენის ინსტიტუტში, ისე უნივერსიტეტში. ეს ჩანს გიორგი ახვლედიანის წერილიდან აკადემიკოს მუსხელიშვილისადმი, რომელიც დათარიღებულია 1950 წლის 22 ნოემბრით.[2] ამ წერილში მეორდება ყველა ის არგუმენტი, რომლებითაც ახვლედიანი თავს იცავდა 1950 წლის 9 ივლისის წერილში (იხ. ზემოთ).

[1] გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თსუ მუზეუმი, 9916:2-4. დოკუმენტი ნაკლულია, არა აქვს პირველი გვერდი.
[2] თსუმ 10319, ხი-1775

რა მძიმე დღები გაიარა გიორგი ახვლედიანმა ენობრივი დისკუსიის შემდეგ კარგად ჩანს როგორც ზემოთ დამოწმებულ დოკუმენტებში, ისე წყაროს მნიშვნელობის მქონე ალექსანდრე ღლონტის საინტერესო წიგნში „მოძღვრები, მეგობრები, შეგირდები“: „გიორგი ახვლედიანი უმაღლეს შეფასებას აძლევდა ნიკო მარს, მაგრამ მარისტი, ენის ახალი მოძღვრების მიმდევარი ან პროპაგანდისტი მაინც არ ყოფილა. მახსოვს ყველასთვის, თვით მარისტებისთვის, მეტადრე ბატონი გიორგისათვისაც, როგორი დასანანი და გაუგებარი იყო, რომ მას ჩვენი უნივერიტეტის სააქტო დარბაზში გამართულ სხდომაზე სრულიად უსამართლოდ მარისტი უწოდეს, რამაც ყველა გააოცა, რადგან მაშინ ე.წ. „თავისუფალი დისკუსიის წყალობით მოდაში აღარ იყო, ცოდვად და მკრეხელობად ითვლებოდა. იმ დღეებში შევხვდი ბატონ გიორგის, რომელიც საშინლად შეწუხებული გამოიყურებოდა და გულისტკივილით შემომჩივლა: ალექსანდრე, მე მარისტი?! არა, გიორგი ახვლედიანი მარისტი არ ყოფილა, თუმც ვიცით, რომ რომელიმე მეცნიერის სახელს მარის მოწაფეობა არ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო ამაღლებს. მარისიტიც რომ ყოფილიყო, ამით განა ჩრდილი მიადგებოდა მის ღირსებას? პირიქით, განა მარის სკოლაში არ აღიზარდნენ და იმ ბუდიდან არ ამაღლდნენ მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორც იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, იოსებ ორბელი, ალექსანრე სამოილოვიჩი, ივანე მეშჩანინოვი, ფედოტ ფილინი, სოლომონ კაცნელსონი, რობერტ ბლაიხშტაინერი, რობერტ ბლეიკი, კარპეზ დონდუა და სხვები. დასანანი არ არის რომ ეს მაშინდელი ავად სახსენებელი ეპითეტი უსამართლოდ მიაკერეს გ. ახვლედიანის სახელს. განა დრო არ არის, რომ მაშინდელი მრუდსაქმეობა ახლა მაინც გასწორდეს“ (ღლონტი 1998:64).

როგორც განხილული მასალა აჩვენებს, საენათმეცნიერო დისკუსიას არ შეუცვლია საბჭოეთისთვის დამახასიათებელი არაჯანსაღი გარემო. მართალია, არც ერთი მეცნიერი არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ ანგარიშის გასწორებამ პიკს

მიაღწია. ნიკო მარის თეორია მთლიანად იქნა უკუგდებული. ამას გრძნობდნენ ნიკო მარის თანამოაზრეებიც, მაგრამ ამის მიუხედავად სტალინის „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ღლონტი წერს: „დისკუსია ფაქტობრივად ასცდა მართებულ გზას. წინ წამოიწია არა ლინგვისტური პრობლემა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვის პრობლემა, კერძოდ, ენის ზედნაშენურობისა და კლასობრიობის საკითხებზე მსჯელობა, რასაც ენათმეცნიერებისთვის, როგორც თავისი საგნის მქონე დამოუკიდებელი მეცნიერული სისტემისთვის, არავითარი, არც თეორიული და არც პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო ნ. მარი მთლიანად ჩაწიხლეს, მისი მემკვიდრეობის მთავარი ნაწილი – მოძღვრება იაფეტურ ენათა შესახებ სრულიად დავიწყებული და იგნორირებული აღმოჩნდა, აღარავის მოჰგონებია. ეს, რაღა თქმა უნდა, სამწუხარო მოვლენა გახლდათ, **მაგრამ დაგვიტოვა ი. სტალინის უდავოდ მნიშვნელოვანი ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, რომელშიაც, ჩემი აზრით, ბევრი იმისთანა ორიგინალურად და მეცნიერული სიზუსტით გამოთქმული ზოგადი თვალსაზრისია განვითარებული, რომ ყველა ეპოქას დაამშვენებს.** მაგრამ ამ შრომის ფატალურ დოგმად გამოცხადება, რაც სამწუხაროდ, მოხდა, სრულიად მიუღებელი და მეცნიერებისათვის შეუფერებელი ძალადობა იყო. დამკვიდრდა აუტანელი დოგმები, თავისუფალი შემოქმედებითი ძიება, რაც უწინ სუფევდა, მთლიანად ჩაკვდა. ხელი მიყვეს მხოლოდ სტალინის დებულებების გამეორება-გადამღერებას და ამისათვის ეროვნულ ენათა ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურების ხელოვნურ, ეკლექტურ მისადაგებას, რამაც თეორიული ენათმეცნიერება გამოუვალ ჩიხში მოაქცია. დაიწყეს არარსებული გამოგონილი არაკჩეევის რეჟიმზე ლაპარაკი და ნამდვილად სწორედ ახლა დანერგეს ეს ავის მომასწავებელი რეჟიმი. დაუწყეს დევნა ენის ახალი მოძღვრების მიმდევრებს. ეს იყო დიდად სავალალო მოვლენა... ასე რომ, ე. წ. „თავისუ-

ფალმა დისკუსიამ“ წაღმა კი არა, ლამის უკუღმა დაატრიალა ზოგადი ენათმეცნიერების განვითარების ბორბალი. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი მარის სახელი სულ ამოვარდა ენათმეცნიერებიდან. ერთხანს თეორიულ ენათმეცნიერებაში გაჩნდა ქაოსი, შემდეგ მოზღვავდა უცხოური მიმართულებები, გზა გაიკაფა სტუქტურალიზმის არასასურველმა განშტოებებმაც, წყალი აიმღვრა, რაც ჯერაც არ დაწმენდილა. ამჟამად ბედნიერება ისაა, რომ მეცნიერებს ხელი არ ეშლებათ, მათ სრული თავისუფლება მოიპოვეს თავიანთ თეორიულსა და პრაქტიკულ მუშაობაში. დოგმების მზე ჩაესვენა. ყოველივე ეს კი ჩვენი დღეების უდავო მონაპოვარია“ (ღლონტი 1998:22). სტურუქტურალისტთა მოხსენიება უარყოფით კონტექსტში იყო საბჭოთა ენათმეცნიერების ერთსულოვანი დამოკიდებულება ამ ლინგვისტური მიმართულებისადმი, რომელსაც ერთნაირად გამოხატავდა როგორც მარის თეორიის მიმდევარი, ისე მისი მოწინააღმდეგე მეცნიერები. ასეთივე დამოკიდებულებებას ამჟღავნდებდა არნოლდ ჩიქობავა სტრუქტურალიზმის მიმართ, რაც დაწვრილებით არის გადმოცემული „ზოგად ენათმეცნიერებაში“. სტრუქტურალისტთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ სამოციანი წლებიდან იცვლება თანდათანობით. ახლა კი ალბათ ძნელად მოიპოვება ენათმეცნიერი, რომელსაც არ ესმოდეს სტრუქტურალიზმის განსაკუთრებული წვლილი ენათმეცნიერების ისტორიაში.

ენობრივი დისკუსიის შემდეგ ვითარება არსებითად არ შეცვლილა. მდგომარეობა ისევ არაჯანსაღი იყო, როგორც ენობრივ დისკუსიამდე, ოღონდ ერთი განსხვავებით. 1950 წლამდე მარის თეორიის გამკრიტიკებლებს ებრძოდნენ, 1950 წლის შემდეგ მარის თეორიის მომხრეებს. ეს არ ცვლიდა საბჭოეთისთვის დამახასიათებელ ვითარებას. აზრთა სხვადასხვაობა, თეორიათა სიმრავლე კვლავ მიუღებლად ითვლებოდა. თუ რა საშინელი იყო ანტიმარისტული პერიოდი საბჭოთა ენათმეცნიერებაში, კარგად აჩვენებს ვასილ აბაევის სიტყვები: ბევრმა უნდა ილოცოს მარზე და ყვავილებით მიდიოდეს

მის საფლავზე, რადგან რომ არა მარი, ვერ წარმოიქმნებოდა ანტიმარისტი მეცნიერი (აბაევი 1988:25-26). ასეთი ანტიმარისტებიდან ბევრი დიდად ვერ გამოირჩეოდა მაღალი რანგის საენათმეცნიერო შრომებით ისევე, როგორც ინდოევროპეისტიკის მიმდევარი ლინგვისტების წინააღმდეგ მებრძოლი მარისტი ენათმეცნიერების ერთი ნაწილიც ვერ დაიკვეხნიდა სერიოზული სამეცნიერო შრომებით. მისაღები იყო ერთადერთი ადამიანის აზრი - ყველა უნდა აღფრთოვანებულიყო მეცნიერების კორიფეს, სტალინის დიადი ლინგვისტური იდეებით.

უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო სასწავლო პროგრამების გადაწყობა, ცნობილმა მეცნიერებმა მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალეს საკვლევი თემები, ასპირანტებს დასამუშავებლად ეძლეოდათ ისეთი საკითხები, რომლებიც უკეთესად წარმოაჩენდა სტალინის ნაშრომის მნიშვნელობას, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაც ამავე მიზანს ემსახურებოდა. მეცნიერები კითხულობდნენ პოპულარულ ლექციებს და წერდნენ წერილებს პრესისთვის სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომის მნიშვნელობაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სპეციალური საენათმეცნიერო კურსი „ენის შესახებ სტალინური მოძღვრების საფუძველზე“, რომელიც იკითხებოდა ფილოლოგიური პროფილის სტუდენტებთან. კათედრის სხდომებზე მსჯელობდნენ სტალინის დამსახურებაზე საბჭოთა ენათმეცნიერების წინაშე. აუცილებელი იყო უნივერსიტეტის ყველა ენათმეცნიერს დაეწერა წლიური ანგარიში სტალინის შესახებ წაკითხული მოხსნებებისა და დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიების თაობაზე. ენობრივი დისკუსიის შემდგომ შექმნილ ვითარებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი საილუსტრაციო მასალის დამოწმება შეიძლება უძველესი ისტორიის ცენტრალური არქივიდან. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სხდომების ოქმებიდან. ეს სხდომები გაიმართა 1950 წელს ენობრივი დისკუსიის შემდეგ. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე სხდომის ოქმს, რომელიც აჩვენებს იმდროინდელ

ვითარებას საბჭოთა ენათმეცნიერებაში, კერძოდ კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ოქმი №3[1]

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის 30/IX-50 წ სხდომისა

სხდომას დაესწრნენ: გ. ახვლედიანი, ს. ჟღენტი, თ შარაძენიძე, მზია ანდრონიკაშვილი და თ. აბზიანიძე

დღის წესრიგი:

1. ბრძანება ენათმეცნიერებაში შეცდომების აღმოფხვრის შესახებ და ამხ. სტალინის მოძღვრების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ.
2. სწავლების მიმდინარეობა.

მოისმინეს: რექტორის ბრძანება ენათმეცნიერულ ფრონტზე შეცდომების აღმოფხვრის შესახებ და ამხ. სტალინის მოძღვრების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რომ უნივერსიტეტში ენათმეცნიერების სწავლება და მეცნიერული კვლევა-ძიება ზოგჯერ წარმოებდა ნ. მარის მცდარი, არამარქსისტული დებულებების საფუძველზე.

I/ უახლოეს ხანში, კერძოდ 18 სექტემბრამდე გადაისინჯოს და შეტანილ იქნეს შესწორებები სასწავლო გეგმებში უმაღლესი განათლების სამინისტროს მითითებათა საფუძველზე.

ა/ამოღებულ იქნეს სასწავლო გეგმებიდან სპეციალური კურსი და სპეციალური სემინარი: „ნ. მარის ახალი მოძღვრება ენის შესახებ".

ბ/ფილოლოგიის ფაკულტეტის ყველა განყოფილების პირველ კურსზე ენათმეცნიერების შესავალი იკითხებოდეს ორ-ორი საათი კვირეულად ორივე სემესტრში ნაცვლად ოთხ-ოთხი საათისა მეორე სემესტრში.

გ/არჩევით დისციპლინებს დაემატოს ქართული ენის პროფილისთვის „ზოგადი ენათმეცნიერება" ორი საათი მეცხრე სემესტრში.

დ/არჩევითი დისციპლინების რუსული ენისა და ლიტ. განყოფილებას დაემატოს რუსული ენის პროფილისათვის „სლავური ენების შედარებითი გრამატიკა" ორ-ორი საათი.

---

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №220, ფურც 5-6

2/ გადაისინჯოს პროგრამები

3/დაევალოს საენათმეცნიერო კათედრებს სექტემბერში გაანიხილონ ხმარებული სახელმძღვანელოები. ამხანაგ სტალინის შრომებში მოცემული პრინციპების შესაბამისად. უახლოეს ვადაში მომზადდეს სტამბისათვის გადასაცემად პროფ. ა. ჩიქობავას სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების შესავალი".

4/ სამივე ფაკულტეტის II,III,IV, V კურსის სტუდენტებისათვის მიმდინარე სემესტრში ჩატარდეს 12 საათიანი კურსი: „ენის შესახებ ი. სტალინის მოძღვრების საფუძვლები" ლექციები იკითხებოდეს 3 საათიდან.

5/კურსის წაკითხვა დაევალოთ დოც. თ შარაძენიძეს, მეცნიერ. დოქტორს ქ. ლომთათიძეს, დოც ვლ. ფანჩვიძეს, პროფ. ს. ჟღენტს.

6/ საენათმეცნიერო დისციპლინების მასწავლებელთათვის ა/წლის 15 ოქტომბრიდან მოეწყოს სემინარი საბჭოთა ენათმეცნიერების იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ზემოხსენებული კურსით.

7/სამეცნიერო ნაწილის პრორექტორმა კათედრასთან ერთად 20 სექტემბრამდე გადასინჯოს უნივერსიტეტის ასპირანტთა სადისერტაციო თემები და შედეგები წარმოადგინოს დასამტკიცებლად და სხვა.

კათედრის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა მსჯელობაში და აღნიშნეს, რომ სწორად არის დაფასებული ენათმეცნიერების ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა და თვითკრიტიკაც სწორად არის წარმოდგენილი, რომ კათედრის თითოეული წევრი შეცდომების გამოსწორებას მიუდგება არა ფორმალურად, არამედ მთელი პასუხისმგებლობით.

ოქმი №12[1]
ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის 15.II.51წ ღია სხდომისა

სხდომას დაესწრნენ: გ. ახვლედიანი, ს. ჟღენტი, ვ. ფანჩვიძე, დ. მგელაძე, ნ. შეწირული, თ შარაძენიძე, მზია ანდრონიკაშვილი,

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №220, ფურც 21-23ა

ლ. გიორგიძე, ფურცელაძე, ხატიაშვილი, მ. ბახტაძე, ვ. ახალკაციშვილი, თ. აბზიანიძე, მზექალა შანიძე

დღის წესრიგი:

1. პროფ. გ.ახვლედიანის მოხსენება თემაზე: „სტალინური ენათმეცნიერების მნიშვნელობა ინდოევროპულ ენათა შედარებითი ისტორიული გრამატიკისთვის.
2. საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენა.
3. ამხ. კ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებაში დასახული ამოცანები

მოისმინეს: პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება „სტალინური ენათმეცნიერების მნიშვნელობა ინდოევროპულ ენათა შედარებითი ისტორიული გრამატიკისთვის"

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარქსისტული ენათმეცნიერების აგების შესაძლებლობა მოცემული იყო ლენინ-სტალინის შრომებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარებისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხთა გაშუქებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1950 წლამდე, მეტადრე ი. სტალინის შესანიშნავ შრომაში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი", მაგრამ საბჭოთა ენათმეცნიერებმა ვერ შეძლეს მისი რეალიზება, რადგანაც საბჭოთა ენათმეცნიერებაში შემთხვევით მარის მოძღვრების „გაბატონების" გამო, შესაძლებლად ითვლებოდა აკად. ნ. მარის ძირშივე მცდარი "თეორიის" დასაბუთება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებზე დაყრდნობით.

ი. სტალინის ფუძემდებელმა შრომებმა ენათმეცნიერების საკითხებზე გაათავისუფლა საბჭოთა ენათმეცნიერება მარის ანტიმარქსისტული თეორიისაგან და გზა გაუხსნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა 1950 წლამდელი შრომებისა და გამონათქვამების მართებულად გაგებას და მარქსიზმ-ლენინიზმის დანერგვას ენათმეცნიერებაში.

ი. სტალინის 1950 წელს გამოსულმა შრომებმა ენათმეცნიერების შესახებ შექმნა რა ახალი ი. სტალინური ეტაპი ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში, შესაძლებელი გახადა ადრინდელი შედარებითი ისტორიული გრამატიკის მემკვიდრეობის მართებული ათვისება, კერძოდ, ფრ. ენგელსის ენათმეცნიერული მემკვიდრეობისა. „ფრანკული დიალექტი" და ცალკეული გამონათქვამები

ენგელსისა, რომელიც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრს მუშაობდა ენათმეცნიერების საკითხებზე და იყენებდა თავისდროინდელი შედარებითი ისტორიული გრამატიკის დადებით მონაცემებს, შეიძლება მართებულად იქნეს დაფასებული და გამოყენებული. მხოლოდ ი. სტალინის ენათმეცნიერების სინათლეზე. ამდენად ენგელსის ენათმეცნიერული ნააზრევს მხოლოდ დღეს ენიჭება დიდი მნიშვნელობა ვინაიდან „შედარებით ისტორიული მეთოდი მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებისა, მაინც სჯობს ნ. ი. მარრის მართლაც იდეალისტურ ოთხელემენტოვან ანალიზს"(სტალინი). ენათმეცნიერებაში 1950 წლამდე მოქმედი შედარებითი ისტორიული მეთოდის ღირსება-ნაკლოვანებათა გამოვლინებას ამიერიდან საფუძვლად უნდა დაედოს სტალინური ენათმეცნიერების შემდეგი დებულებები:

1. ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი სიტყობრივი ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს. ამიტომ ენაში მთავარია მისი გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი სიტყვობრივი ფონდი.
2. ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი სიტყვობრივი ფონდი დიდ გამძლეობას იჩენს ისტორიულ პერიოდთა მანძილზე, მეტადრე პირველი. ამიტომ ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი სიტყვობრივი ფონდის გამძლეობით.
3. თანამედროვე ენის ელემენტების შექმნის უძველეს პერიოდში ენა იყო არაქართული: მას ჰქონდა მცირე სიტყვობრივი ფონდი და გრამატიკული წყობა.
4. ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაა.
5. სლავი ერების ენობრივი ნათესაობის შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს ენათმეცნიერებას ენათა განვითარების კანონთა შესწავლის საქმეში.

სტალინური ენათმეცნიერების ეს ხუთი შესანიშნავი დებულება უცილობლად გამოავლენს შედარებითი ისტორიული გრამატიკის ღირსება-ნაკლოვანებებს და მისცემს მას განვითარების განსაზღვრულ შესაძლებლობებს.

შედარებით ისტორიული გრამატიკა შეფერხებულია ჩვენში მარის მკვდარი „თეორიის" დროებითი „ბატონობის" გამო, „თეორიისა", რომელიც ცდილობდა შეერყია ძველ ენათა წერილობითი ძეგ-

ლების ავტორიტეტი, ხოლო ბურჟუაზიულ ქვეყნებში - ყოველივე პროგრესულის დევნის გამო.

სტალინის 1950 წელს გამოსული შრომები ენათმეცნიერების საკითხების შესახებ, ორგანულად დაკავშირებულია მისივე წინანდელ შრომებთან და გამონათქვამებთან ენის საკითხებზე დ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერებისა და კერძოდ შედარებით-ისტორიული გრამატიკისთვის.

მოისმინეს: ბრძანება №26 ა.წ. 18 იანვრის საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენების დამუშავების შესახებ კათედრაზე.

ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში გააშუქა ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნისა და დამკვიდრების ისტორიის ძირითადი მომენტები. აღნიშნა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში არსებული ნაკლი და ყურადღება გაამახვილა ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის გაძლიერებაზე.

ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენებაში მოცემულია აგრეთვე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა და ენის ახალი მარქსისტული შეფასება.

დაადგინეს: ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე კათედრიდან წაკითხულ იქნეს მოხსენება სალიტერატურო ქართულის სიწმინდის შესახებ ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენების საფუძველზე.

კათედრის გამგე გ. ახვლედიანი (ხელმოწერილია)
მდივანი თ. აბზიანიძე (ხელმოწერილია)

ოქმი №10[1]

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის 24.XII. 51 წ სხდომისა

დაესწრნენ: გ. ახვლედიანი, ს.ჟღენტი, თ. შარაძენიძე, მ.ანდრონიკაშვილიდა თ. აბზიანიძე

დღის წესრიგი:

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №222, ფურც 9-10

1. ჟურნალ „Вопросы Языкознания“-ს შესახებ
2. გ. ახვლედიანის სამეცნიერო თემის შეცვლის შესახებ.
3. კათედრის გამგის დასწრება მ. ანდრონიკაშვილის ლექციაზე.

მოისმინეს: გ. ახვლედიანის ინფორმაცია ჟურნალ „Вопросы Языкознания“-ს გამოცემის შესახებ, საკ, აკადემიის 1951 წ 31.VIII დადგენილების შესაბამისად

დაადგინეს:

1. ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა მიესალმება საკ. აკადემიის დადგენილებას ენათმეცნიერებაში სპეციალური ჟურნალის გამოცემის შესახებ.
2. მთლიანად იწონებს როგორც მიზანს, ისე ჟურნალის ყველა განყოფილებას და აგრეთვე რედაქციის შემადგენლობას. ამასთან განყოფილება შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებების საკითხები - კათედრას ესმის იმ აზრით, რომ ჟურნალში შეიძლება დაიბეჭდოს გამოკვლევები შედარებითი და შედარებით-ისტორიული ხასიათისა, რაგინდარა ენის შესწავლის შედეგად მიღებული.

მოისმინეს: გ. ახვლედიანის ინფორმაცია მისი თემის „შედარებით-ისტორიული ინდოევროპული გრამატიკის თანამედროვე მდგომარეობა საზღვარგარეთ სტალინური ენათმეცნიერების შუქზე” შეცვლის შესახებ თემით: „ზოგადი და შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხები სტალინური ენათმეცნიერების შუქზე”, 1952 წ დამუშავდება “ძირითადი სიტყვობრივი ფონდის საკითხი სტალინურ ენათმეცნიერებაში”, 1953 წ. „შედარებით-ისტორიული მეთოდი ინდოევროპულ გრამატიკაში და ინდოევროპული ენის საკითხი“; 1954 წ. „ინდოევროპული ენების შედარებით-ისტორიული გრამატიკის ისტორიიდან”; 1955 წ. „შედარებით-ისტორიული გრამატიკის თანამედროვე მდგომარეობა”.

დაადგინეს: გ. ახვლედიანის ზემოთ დასახელებული თემა შეცვლილი იქნეს.

კათედრის გამგე გ. ახვლედიანი (ხელმოწერილია)
მდივანი თ. აბზიანიძე (ხელმოწერილია)

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის მიერ შესრულებული სამუშაოები ი. ბ. სტალინის შრომების გამოსვლასთან დაკავშირებით 1950-1951წწ.[1]

I. 1950 წ წაკითხული იყო კურსი: „ენის შესახებ სტალინური მოძღვრების საფუძველზე“

1. ფილოლოგიის ფაკ. და აღმოსავლური ენების ფაკ IV-Vკურსებზე დოც თ. შარშენიძის მიერ.
2. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტ. ფაკ. II,III,IV,V კ. პროფ. ს. ჟღენტის მიერ
3. რუსული ენისა და ლიტ. ფაკ. II,III,IV,V კ. დოც. ვლ. ფანჩვიძის მიერ

II. კათედრის საჯარო სხდომებზე წაკითხული იყო შემდეგი მოხსენებები:

1. ასპირანტების: ლ. გიორგაძე, ნ. შეწირული, ლ. ხატიაშვილი და ვ. ფურცელაძის მიერ წაკითხული იყო რეფერატები ი. ბ. სტალინი „ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ” ოქმი №7, XI. 50 წ
2. გ. ახვლედიანი: „სტალინური ენათმეცნიერების მნიშვნელობა შედარებით-ისტორიული გრამატიკისთვის” - იხ. ოქმი №12, 15.II.51 წ
3. გ. ახვლედიანი: „სტალინური ენათმეცნიერების მნიშვნელობა ინდოევროპულ ენათა შედარებით-ისტორიული გრამატიკისათვის” - სამეცნ. სესია მიეძღვნილი საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისადმი 2.III. 51 წ
4. გ. ახვლედიანი: „ენის ძირითადი სიტყობრივი ფონდისა და სიტყვობრივი შედგენილობის საკითხი”. ოქმი №13, 24.III. 51 წ
5. გ. ახვლედიანი: „საბჭოთა ირანისტ-კომპარატივისტების მუშაობა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე”. ოქმი №3, 13.XI. 51 წ
6. თ. შარაძენიძე: „საერთო ენისა და დიალექტების საკითხი ი.ბ. სტალინის შრომების მიხედვით” ოქმი №5, 1.XII.51 წ
7. ს. ჟღენტი: „ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენის განვითარების შინაგან კანონებზე” -სამეც. სესია მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისადმი 2.III.51წ

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, ანაწერი №21, საქმე №219, ფურც 2- 4

8. ს. ჟღენტი: „ნაციონალური ენების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხი ი. ბ. სტალინის შრომების მიხედვით" - სამეც. სესია მიძღვნილი ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეც. საკითხების" გამოსვლის წლისთავისადმი 22.VI. 51 წ

II. ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით წაკითხული იყო მოსენება"

1. ნ. კოლესნიკოვი - Учение И. В. Сталина об основном словорном фонде языка, 18. V .51 წ

IV. თ შარაძენიძის ხელმძღვანელობით სტუდენტთა სამეცნიერო წრეში დამუშავდა 10 მოხსენება ი. ბ. სტალინის სამეცნიერო მოძღვრებიდან

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული იყო 5 მოხსენება

V. კათედრის წევრების მიერ დაბეჭდილია:

1. გ. ახვლედიანი - За Ленинско-Сталинский путь развития советского языкознания, Правда, 27. VI. 1950 г.
2. გ ახვლედიანი - 1951წ. გამოსულ Учебник грамматики Русского Языка-ს შესავალი
3. ს. ჟღენტი - „წერილი რედაქციას" (ამხანაგ სტალინის გამოსვლასთან დაკავშირებით საბჭოთა ენათმეცნიერების საკითხებზე), „კომუნისტი", 4. VIII. 1950 წ.
4. თ. შარაძენიძე - „უდიდესი განძი მეცნიერებაში ენის შესახებ", „ბოლშევიკი" №4 1951წ

VI. სამეცნიერო-პოპულარული მოხსენებები:

1. გ. ახვლედიანი „ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომები როგორც ენათმეცნიერების ახალი ეტაპი"- წაკითხულია კურსი Основные этапи советского языкознания в трудах И. В. Сталина სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე.
2. თ. შარაძენიძე, „ამხ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების მნიშვნელობა საბჭოთა ენათმეცნიერებაში" წაიკითხა თეატრალურ ინსტიტუტში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ტექნიკუმებისა და სპეც. სასწ. კომკავშირის აქტივისათვის და უნივერსიტეტის კომკავშირელი აქტივისათვის.

ამ ოქმებიდან ჩანს, რომ გიორგი ახვლედიანს, სხვა ენათმეცნიერთა მსგავსად, ხელი არ დაუკლია სტალინის როლის წარმოჩენისთვის. თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე დღეებს, რაც მან ენობრივი დისკუსიის მზადებისა და შემდეგ პერიოდში გადაიტანა, გასაკვირი არ უნდა იყოს. აქ სიცოცხლის გადარჩენის საკითხი იდგა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ენათმეცნიერი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთნაირად არ ფიქრობდა, როცა ყველა შეკრებაზე – კონფერენცია იქნებოდა ეს თუ სხვა სახის თავყრილობა, თავს მოვალედ თვლიდა აზრი გამოეთქვა სტალინის უკვდავ ნაშრომზე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყანა სტალინის შორმებს კითხულობდა და განიხილავდა, „პრავდაში“ მაინც დაიბეჭდა სტატია, რომელშიც დაწუნებული იყო ზოგიერთი უმაღლეს სასწავლებელში მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხების სწავლება. „პრავდის“ ამ სტატიას სპეციალურად განიხილავდნენ პარტორგანიზაციების დახურულ სხდომებზე.

ოქმი №5[1]

1951 წლის 28 სექტემბერს შესდგა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცის დახურული კრება.

მოისმინეს საქართველოს კ. პ. /ბ/ თბილისის კომიტეტი III პლენუმის შედეგები /მომხსენებელი პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ბახტაძე/

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს გაზეთი „პრავდა“ წერდა: „ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთავარი ნაკლია ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის დაბალი იდეურ-თეორიული დონე, მთელ რიგ მასწავლებელთა მედავითნური და თალმუდისტური მიდგომა მარქსისტულ-ლენინური თეორიის გადაცემისადმი. ლექციებში ყოველთვის როდია მოცემული იმ ძირითადი იდეების ზედმიწევნითი ახსნა-განმარტება, რომლებსაც შეიცავენ საკავშირო კ. პ. /ბ/ ისტორიის მოკლე კურსი და

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №947, ანაწერი №3, საქმე №191, გვ. 45

მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებას ორგანულად არ უკავშირებენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებსა და პრაქტიკას, ზოგიერთი მასწავლებელი ფაქტიური მასალის გადაცემის დროს ღრმა ანალიზს არ უკეთებს ისტორიულ მოვლენებს, არ უჩვენებს მსმენელს მარქსიზმ-ლენინიზმს მოქმედებაში.“ გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ანალოგიური ხასიათის ნაკლოვანებანი ზოგიერთ ჩვენს მასწავლებლის მუშაობასაც ახასიათებდეს.

მთავარი შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა ნიკო მარის იაფეტური თეორიის კრიტიკას იყო ისტორიულ-შედარებითი მეთოდის აღდგენა ენათა შორის ნათესაობის სამტკიცებლად. როგორც სტალინი წერდა, საბჭოთა ენათმეცნიერება „ყავაზე მკითხაობის მსგავსი ოთხელემენტოვანი ანალიზიდან“ კვლავ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას უნდა დაუბრუნდა, რომელსაც იოსებ სტალინის აზრით, ნაკლი კი ჰქონდა, მაგრამ იაფეტიდოლოგიას ნამდვილად სჯობდა. არნოლდ ჩიქობავა ცნობილია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული თეორიით, რომლის მესაფუძვლე ივანე ჯავახიშვილია. ამ თეორიას ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი დღესაც ხშირად საყვედურობს, რომ სწორედ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მკაცრი გამოყენებით ვერ ხერხდება სამხრეთ- და ჩრდილოეთ კავკასიურ ენებს შორის ნათესაობის დადგენა (ამ საკითხე იხ. ტუიტი 2008).

ენობრივი დისკუსიიდან საკმაო ხნის გასვლის შემდეგ წერდა გიორგი წერეთელი: სანამ არ დადგენილა ფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური ენათა ოჯახების სტრუქტურული მოდელები, არ გარკვეულა ქართველურ ენებთან შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით მსგავსებანი და განსხვავებანი ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, სანამ არ დადგენილა ამ ოჯახებს შორის შორის კანონზომიერი და რეგულარული მიმართებები, საკითხი ქართველურ ენათა გენეტიკური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა (წერეთელი 1965:027). აშკარაა, რომ ნაკლად არის ჩათვლილი მხოლოდ რწმენა, როცა არ არსებობს უდავო ისტორიულ-შედა-

რებით გრამატიკა, რომელიც უეჭველად აჩვენებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიურ ენათა ნათესაობას. თუმცა ამის საპასუხოდ, არნ. ჩიქობავას ასეთი არგუმენტი მოჰყავდა: „თუკი სპეციალისტი საკვლევი ენის მასალას ფლობს (ამ შემთხვევაში იბერიულ-კავკასიური ენების მასალას), მას გარკვეული რწმენა შეიძლება გაუჩნდეს (და უნდა გაუჩნდეს!) ამ ენათა კვლევის პროცესში – ჯერ კიდევ შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნამდე. ენათა გენეტიკური კავშირების (ენათა ნათესაობის) შესწავლა შედარებითი გრამატიკების შედგენით კი არ იწყება, არამედ თვით გრამატიკა წარმოადგენს შემაჯამებელ შედეგს ამგვარი კვლევისათვის და ენათა ნათესაობა ამით ამ ენათა არმცოდნე სპეციალისტებისათვის აშკარა ხდება“ (ჩიქობავა 1979:263). ამის საილუსტრაციოდ ჩიქობავა იმოწმებს ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის კვლევის საკითხს. ამ ენათა ნათესაობა დამტკიცებულად ითვლება 1816 წლიდან, ბოპის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, თუმცა ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ 1833-1852 წლებში გამოიცა. „ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის საკითხი გადაწყდა 1852 წელს“. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს ამას არ ნიშნავს. „ენათა ნათესაობა მეცნიერულად სარწმუნო ფაქტად შეიძლება იქცეს კვლევის პროცესში, შედარებითი გრამატიკის შექმნამდე. და, პირიქით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შედარებითი გრამატიკა შეადგინონ, მაგრამ ნათესაობა მეცნიერულ ფაქტად არ იქცეს (შდრ. მაგალითად, მელერის ცდა, დაემტკიცებინა ინდოევროპული და სემიტური ენების ნათესაობა. ნ. მარსაც სემიტურ-იაფეტურის (ქართულის) შედარებითი გრამატიკა ჰქონდა შემუშავებული, ათასამდე საერთო ძირიც გამოვლენილი, მაგრამ ამ ენათა ნათესაობა არ დადასტურდა უფრო დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ჩიქობავა 1979:164-267). ეს საკითხი, რომელიც დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, აჩვენებს, რომ ისტორიულ-შედარებითი

მეთოდი არ არის ერთადერთი საშუალება, რომელიც ასახავს ენებს შორის ურთიერთობებს, მით უმეტეს ენათა კონტაქტებით გამოწვეულ მრვალგვარ მსგავსებებს. ეს იყო ერთერთი მიზეზი იაფეტური თეორიის შექმნისა.

საბჭოთა ენობრივ დისკუსიას მთელი მსოფლიო გამოეხმაურა. ეს საკითხი სასურველია ცალკე განხილვის საგნად იქცეს განსაკუთრებულად დიდი მოცულობის ლიტერატურისა და შეფასებების გამო. ჩვენ დავიმოწმებთ მხოლოდ ერთს, ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგისა და კავკასიოლოგის, ჰანს ფოგტის წერილს, რომლითაც იგი 1951 წელს გამოეხმაურა საბჭოთა ენობრივ დისკუსიას. ჰანს ფოგტის მოსაზრება საინტერესოა იმ მხრივ, რომ მას უხდებოდა საბჭოთა საქართველოში ყოფნა და ისეთ კათედრის სხდომებსაც კი დასწრებია, რომლებზეც მარქსისტული ენათმეცნიერების პრობლემებს განიხილავდნენ. ერთი ასეთი სხდომა უკვე დავიმოწმეთ. ეს იყო „ქართული ენის კათედრის 1 აპრილს 1933 წლის პირველი აპრილის სხდომა /შეერთებულად სამ სხვა კათედრებთან: მარქსისტულ ენათმეცნიერებისა და კავკასიურ ენების, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის კათედრასთან/, როდესაც კარლ მარქსის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით პროფ. ა. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება „ენათმეცნიერება და მარქსიზმი“, რომელშიაც მოიყვანა სისტემატიური სახით მარქსიზმის ფუძემდებელთა აზრები; /მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინისა/ ენობრივი საკითხების შესახებ.“[1] სხდომის ოქმში სპეციალურად არის აღნიშნული, რომ სტუმრებს შორის იყო ნორვეგიელი ენათმეცნიერი ჰანს ფოგტი. სწორედ მან, როგორც საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის კარგად მცოდნემ, სპეციალური წერილი დაწერა 1951 წელს - „სტალინი და ენობრივი დისკუსია საბჭოთა კავშირში“. წერილი გამოქვეყნდა ოსლოს

[1] შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №471, ანაწერი №47, საქმე №2, ფურც 5

პოლიტიკის, ლიტერატურისა და სოციოლოგიის ჟურნალ „ჩვენ საუკუნეში.“ დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ თამარ კვიჟინაძეს, რომელმაც ჩვენი თხოვნით ნორვეგიულიდან ქართულად თარგმნა ეს სტატია.

ჰ. ფოგტი სტალინის „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილზე გამოთქვამს თავის შეხედულებას: „სტალინის ფორმულირებები საკმაოდ ჯანსაღი და გონივრულია. ავტორს საკითხთა საღად განსჯის უნარი შესწევს. მის მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან ზოგიერთი იმდენად მყარი და მნიშვნელოვანია, დასავლეთევროპელ ენათმეცნიერებსაც რომ გააოცებდა. თუმცა, წინააღმდეგობებიც არაერთია. ბევრი ჩვენგანისთვის სტალინის შეხედულებები, ალბათ, შედარებით კონსერვატიული და ტრადიციულია. ქვეყანაში, სადაც, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, უდავოდ ხელშესახები, მრავალმხრივი და ნაწილობრივ შეუსწავლელი ენობრივი მასალა არსებობს, ენათმეცნიერული კვლევის ყველანაირი საფუძველი უნდა შეიქმნას და ჩვენც კმაყოფილებისთვის მიზეზი გვექნებოდა... თუმცა, **საკითხს თუ ჩავუღრმავდებით, ყველაფერი კარგად სულაც არ არის. როცა აცნობიერებ, რომ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში, ქვეყნის სამეცნიერო წრეებში ერთი მიმართულება იყო გაბატონებული, უნუგეშობის განცდა გიპყრობს. მერე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ერთი ფრაზა ამ მიმართულებას ერთ ღამეში აცამტვერებს. მკვლევრები, რომლებიც მარის მოძღვრებას არასოდეს აღიარებდნენ, წესით, დღეს თავს ბევრად თავისუფლად უნდა გრძნობდნენ, მაგრამ მათ არანაირი გარანტიები არ გააჩნიათ. არავინ იცის, რამდენიმე წელიწადში დრო ვის სასარგებლოდ შემობრუნდება. გამორიცხული არ არის, ერთ მშვენიერ დღესაც, „არამეცნიერული მოტივით“, ხელახალი წმენდა ჩაატარონ. ის მეცნიერები კი, რომლებიც რამდენიმე წლის წინ იძულებულები გახდნენ, საკუთარ მოსაზრებებზე უარი ეთქვათ და მარის მოძღვრება ეღიარებინათ, თავს ისე გრძნობენ, როგორც პაიკები, რომ-**

ლებიც თამაშის წესებში ვერ გარკვეულან. მსგავსი სიტუაცია დიდად ვერავის წაახალისებს. ასეთი ატმოსფერო თავისუფალი კვლევისთვის ხელსაყრელი სულაც არ არის. მკვლევრები, ალბათ, ყველაფერს გარკვეული ცინიზმით უყურებენ, რასაც კარგი შედეგები ნამდვილად არ მოჰყვება და შესაბამისად, დროთა განმავლობაში ახალი სამუშაო ძალების მოზიდვაც გართულდება. ახლო მომავალში კურსის ცვლილება კონკრეტულ პროცესებზეც აისახება: ენათმეცნიერთა ნაწილი, ძირითადად ნაკლები დამსახურების მქონენი, უამრავ წერილს გააშანშალებენ, სადაც სტალინის მოსაზრებებს კიდევ უფრო ხატოვნად გადმოგვცემენ. მარის თეზისებს კი, რომლებსაც მთელი 20-30 წლის განმავლობაში ნებსით თუ უნებლიედ ულუფებად გვთავაზობდნენ, საბოლოოდ დაგმობენ და უარყოფენ. მარის მომხრეებს წამყვანი თანამდებობებიდან გადააყენებენ. მისი მემკვიდრე, მეშჩანინოვი უკვე გადადგა თანამდებობიდან, რომელიც მეცნიერებათა აკადემიაში ეკავა. მარის სახელი ყველა ჟურნალ-გაზეთიდან გაქრება, არცერთ დაწესებულებაში აღარ ახსენებენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რუსულ ენათმეცნიერებას ხელახალი განვითარების შესაძლებლობა მიეცემა. **მართალია, სიტყვა „თავისუფლება“ ჩვენ სულ სხვაგვარად გვესმის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ რუსულ მეცნიერებას თავისუფალი თუ არა, ნაყოფიერი განვითარების საშუალება მაინც მიეცემა. სტალინის განცხადებების ფარგლებში კარგი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა ნამდვილად იქნება. თუ განვითარება ამ გზით წავა, მაშინ საბჭოთა კავშირი შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს უმაღლესი კლასის საერთაშორისო ენობრივ კვლევებში. დიახ, ამ სფეროში წამყვანი პოზიციის დაკავებას ნამდვილად შეძლებს. კედელი, რომელიც საბჭოთა-რუსულ და დასავლეთევროპულ-ამერიკულ ენათმეცნიერებს შორის ბოლო წლების განმავლობაში აღიმართა, შესაძლოა, ჩამოიშალოს. ყოველ შემთხვევაში, თუ არ ჩამოიშლება, ამ კედელზე კარი ან ფანჯრები**

გაჩნდება. ამგვარად, ერთმანეთის დანახვას მაინც შევძლებთ და გამორიცხული არ არის, თანამშრომლობაც მოვახერხოთ. თუ ყველაფერი მართლა ასე მოხდა, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად გაგიგებთ. მაინც პირველები ვიქნებით იმათ შორის, ვინც ამ განვითარებას სიხარულით შეხვდება“ (ფოგტი 1951/2016:192-193).

ვფიქრობთ, ჰანს ფოგტი სწორად აფასებდა ვითარებას. მას ესმის, რომ იაფეტური თეორიის უარყოფა არ ნიშნავდა რეალურ თავისუფლებას, რადგან ვინ იცის, კიდევ რის გამო შეიცვლიდა აზრს სტალინი. ამიტომ განსაკუთრებით დასაფასებელია ის გარემოება, რომ სტალინის უსაზღვრო ქების გვერდით არსებობდა სწორი შეფასებებიც, რომლებიც ძირითადად საზოგადოების ჯანსაღ ირონიაში გამოიხატებოდა. ამის კარგი მაგალითია გულაგის ფოლკლორი, უფრო ზუსტად კი, იუზ ალეშკოვსკის ლექსი „სიმღერა სტალინზე“, რომელიც პირდაპირ ენობრივ დისკუსიას არ მოჰყოლია. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1959 წელს დაიწერა და პირველად მხოლოდ 1977 წელს გამოქვეყნდა პარიზში (ალეშკოვსკი 1977). ამის მიუხედავად, ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ „მეცნიერების კორიფედ“ სახელდებული სტალინი სიკვდილის შემდეგ ირონიულად მოიხსენიება „დიდ მეცნიერად“, რომელიც ჩაწვდა ენათმეცნიერების სირთულეებს. მთელი ეს ამბავი ჩართულია ამხანაგ ბელად სტალინზე ვითომ „ხალისიან ლექსში“, რომელშიც ჩანს გადასახლებული ჩვეულებრივი საბჭოთა პატიმრის გაუსაძლისი ცხოვრება. საბჭოთა პატიმრის მდგომარეობა ასახავს საერთოდ საბჭოთა ადამიანის ბედს სტალინურ ეპოქაში, როცა ყველა პრობლემა ისმებოდა და წყდებოდა კლასობრივი ბრძოლისა და შესასრულებელი ეკონომიკური მიღწევების ფონზე. მადლობას ვუხდით პოეტ ვასილ გულეურს, რომელმაც ჩვენი თხოვნით ქართულად თარგმნა იუზ ალეშკოვსკის ლექსი „სიმღერა სტალინზე“

ПЕСНЯ О СТАЛИНЕ

На просторах Родины чудесной,
Закаляясь в битвах и труде,
Мы сложили радостную песню
О великом друге и вожде.
Алексей Сурков

Товарищ Сталин, вы большой ученый,
В языкознанье знаете вы толк,
А я простой советский заключенный,
И мне товарищ серый брянский волк.

В чужих грехах мы сходу сознавались,
Этапом шли навстречу злой судьбе,
Но верили вам так, товарищ Сталин,
Как, может быть, не верили себе.

Так вот сижу я в Туруханском крае,
Где конвоиры, словно псы, грубы,
Я это все, конечно, понимаю
Как обостренье классовой борьбы.

То дождь, то снег, то мошкара над нами,
А мы в тайге с утра и до утра.
Вы здесь из искры разводили пламя,
Спасибо вам, я греюсь у костра.

Мы наш нелегкий крест несем задаром
Морозом дымным и в тоске дождей.
Мы, как деревья, валимся на нары,
Не ведая бессонницы вождей.

სიმღერა სტალინზე

სამშობლოსთვის ბრძოლასა და შრომაში
ვიწრთობოდით, საქმე კვლავაც მოგველის,
მივუძღვენით დიდ ამხანაგს და ბელადს
სიმღერები, სიხარულის მომგვრელი.
ალექსეი სურკოვი

თქვენ ხართ დიდი მეცნიერი, ამხანაგო სტალინო,
ენათმეცნიერებასაც ჩასწვდა თქვენი გენია,
მე - საბჭოთა ტუსაღი ვარ, ბედმა რომ არ დამინდო,
ხოლო ჩემი ამხანაგი ბრიანსკელი მგელია.

სხვისი ბრალიც ვაღიარეთ, რაც იყო და არ იყო,
და ეტაპით მივდიოდით, შავი ბედი გველოდა,
მაგრამ თქვენი ისე გვწამდა, ამხანაგო სტალინო,
როგორც, ალბათ, საკუთარი თავისა არ გვჯეროდა.

ჰოდა აი, ვზივარ ახლა ტურუხანსკის მხარეში,
აქ ყოველთვის ქოფაკივით იღრინება გუშაგი,
ყველაფერი კარგად მესმის, განმარტების გარეშე,
კლასობრივი ბრძოლა მიდის, განა რამეს ვუშავებ.

ხან წვიმს, ხან თოვს, ხანაც გუნდი გვახვევია ქინქლების,
ჩვენ კი აქ ვართ, ტაიგაში, დილიდან და დილამდე.
ნაპერწკლიდან რომ აანთეთ ალი, განა გვიქრება,
გმადლობთ, ახლა ცეცხლთან ვთბები, სითბო უფრო იმატებს.

სულ ამაოდ გვიწევს ჩვენი მძიმე ჯვარის ტარება
ყინვაა თუ წვიმის სევდა, თვალი მუდამ სველია.
ჩვენ მოჭრილი ხეებივით დავეცემით ნარებზე,
ბელადების უძილობის არაფერი გვსმენია.

Вы снитесь нам, когда в партийной кепке
И в кителе идете на парад.
Мы рубим лес по-сталински, а щепки,
А щепки во все стороны летят.

Вчера мы хоронили двух марксистов,
Тела одели красным кумачом.
Один из них был правым уклонистом,
Другой, как оказалось, ни при чем.

Он перед тем, как навсегда скончаться,
Вам завещал последние слова,
Велел в евонном деле разобраться
И тихо вскрикнул: "Сталин - голова!"

Живите тыщу лет, товарищ Сталин,
И пусть в тайге придется сдохнуть мне,
Я верю - будет чугуна и стали
На душу населения вполне!

Юз Алешковский, 1959

გვესიზმრებით, პარტიული კეპითა და კიტელით
აღლუმზე ხართ, ჩვენ კი ვშრომობთ, შრომით განა ვიღლებით,
ტყეებს ვკაფავთ სტალინურად, ხოლო ნაფოტები კი,
ნაფოტები, ხეს რომ ჭრიან, აქეთ-იქით იყრება.

აი, გუშინ ორ მარქსისტს რომ გავუთხარეთ სამარე,
ბამბის წითელ ქსოვილებში გავახვიეთ გვამები.
ერთი იყო მემარჯვენე, ბოლოს არც კი დამალა,
მეორე კი, აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად გაება.

ვიდრე ჟამმა მოუწია და სიკვდილმა იძალა,
გიანდერძათ ბოლო სიტყვა, გულში არ შეინახა.
მის ამბავში ყველაფერი გაგვერკვია, გვიბრძანა,
„მეთაური - სტალინია!“ - ჩუმად წამოიძახა.

თქვენ იცოცხლეთ, ამხანაგო სტალინ, წელი ათასი,
მე აქ მოვკვდე, ტაიგაში, ბედმა როგორც ინება,
მჯერა - თუჯი და ფოლადი, ან ისე და ან ასე,
ყოველ ერთ სულ მოსახლეზე საკმარისად იქნება.

იუზ ალეშკოვსკი, 1959

თარგმანი ვასილ გულეურისა

The Georgian Triangle of Soviet Linguistics: N. Marr, I. Stalin, Arn. Chikobava

Preface

In 2015-2018 with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation, we studied Soviet utopian linguistic theories and their impact on the textbooks of theoretical linguistics composed in Georgia. Niko Marr's Japhetic Theory is among the most famous Soviet linguistic theories, which was considered to be a base of the Marxist linguistics for the thirty years in the Soviet Union. A dominant position of this theory creates a thirty-year history of Soviet linguistics. The book is aimed to show researchers of the history and theory of linguistics, as well as a wide range of readers who are interested in this period, what are the consequences of the Soviet ideology in the linguistics, which was used by that regime along with philosophy only for propaganda, thanks to which the linguistics became a slave of politics.

The main purpose of this book was to show the thirty-year history of processing problematic issues of the Soviet theoretical linguistics on the basis of archival materials - the most reliable sources. In order to scientifically investigate the problem, we used the archival materials from the Archival Division of the Ministry of Internal Affairs of Georgia (formerly the archive of the Communist Party bodies) and the Central Archive of Georgia, as well as from the Archives of Academy of Sciences of Georgia and Museum of Tbilisi Ivane Javakhishvili State University where the personal archive of academician Giorgi Akhvlediani, one of the University's founders, is kept. Besides that, we use some interesting documents are also kept in the National Centre of Manuscripts of Georgia, which show N. Marr's connection with the village Dablatsikhe in the Chokhatauri District, where the future linguist was brought up. The House-Museum of N. Marr in Dablatsikhe keeps a lot of documents and rare books. The author of the book expresses gratitude to the management of the House-Museum: Ms. Eter Tsintsadze, Alexandra Marr and Ucha (Yuzhin) Marr for their support, and also thanks the leadership

and staff of the Union of Chokhatauri Museums. Special assistance was provided by Ms. Tamta Jankhoteli, and we thank her for that. In addition, the Kutaisi Colchis Botanical Garden is also very interesting, to the creation of which Niko Marr's father - Jacob Marr greatly contributed. When Niko was born, this place was called a farm because it was an agricultural school headed by Jacob Marr. The building of the farm is preserved in its old design where the House-Museum of N. Marr is located. The House-Museums of Dablatsikhe and Kutaisi Botanical Garden were depicted in the documentary film "Niko Marr's House-Museum", which was shot in cooperation with the Department of Cinema and TV Art at the TSU, 2016-2017.

In addition, we had to work in two archives of St. Petersburg: the Petersburg branch of the Archives of the Russian Academy of Sciences and the Archives of the St. Petersburg Public Library. The work there was very important because N. Marr headed that library for six years. The archival materials of the last kings of Georgia were fully described by him along with the other works that he performed in the second largest library of the world at that time. We would like to thank Professor Ethan Pollock, who has very important surveys on the Soviet scientific wars during Stalin's period, for his help in obtaining the electronic version of several documents from the state archives of Russia's socio-political history.

Documents obtained from several family archives were added to the listed archive materials. We are grateful to the well-known specialist of English philology, the former Ambassador of Georgia to the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, Mr. Gela Charkviani, the son of Kandid Charkviani, who gave us a letter on the Condition of Soviet Linguistics written by his father to Stalin on 27 December 1949 and permitted to publish this letter. For the first time, this archival document was published in Kandid Charkviani's book, which was edited by Gela Charkviani in 2015.

The author is grateful to Gubaz Megrelidze, the son of Ioseb Megrelidze, who was N. Marr's student and a follower of Japhetic theory, for the opportunity to work on Ioseb Megrelidze's family archives and to permit the publication of the archival materials. The work on Ioseb Megrelidze's archives convinced us that they must be

studied independently, since it contains the most important documents that require publication and monographic research to reconstract and study the history of Soviet linguistics.

We would like to thank Ms. Ketevan Goderdzishvili for introducing some unknown materials of Alexander Ghlonti, N. Marr's student and follower.

A reader may sometimes find it exaggerated to discuss some issues along with a huge number of archival documents or detailed content of any of the document, but a reliable picture can only be represented in this way. Our entire scientific project, and in particular, this monograph creates more advanced knowledge about the history of Georgian and Soviet linguistics. From this point of view, a copy of the letter published by Arnold Chikobava in newspaper „Pravda", which was handed over by Mr. Vazha Shengelia, the corresponding member of the Georgian Academy of Sciences, for which we would like to express our gratitude to the scientist. This should be the previous version of the letter of Arnold Chikobava, published in „Pravda" on 9 May 1950, with Joseph Stalin's notes.

